დანაშაულისა და სასჯელის სოციალური ასპექტების შესწავლა

დანაშაულისა და სასჯელის სოციალური ასპექტების შესწავლა

თბილისი
2021

დოკუმენტი მომზადებულია „ღია საზოგადოების ფონდების“ (OSF) მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად არის პასუხისმგებელი „სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი“ და „სოციალური სამართლიანობის ცენტრი“. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს დონორის პოზიციას.

კვლევის ავტორები: იაგო კაჭკაჭიშვილი, ნინო ესებუა, ანა პაპიაშვილი, მარიამ ჯიბუტი
სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი: იაგო კაჭკაჭიშვილი
დაკაბადონება: თორნიკე ლორთქიფანიძე
რედაქტორები: მედეა იმერლიშვილი, ნინო ბექიშვილი
ყდის ფოტო: ლაშა ცერცვაძე

ტირაჟი: 100
ISBN: 978-9941-8-3279-6

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, „სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის“ და „სოციალური სამართლიანობის ცენტრის“ წერილობითი ნებართვის გარეშე.

©სოციალური სამართლიანობის ცენტრი
მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო
ტელ.: +995 032 2 23 37 06
https://socialjustice.org.ge
info@socialjustice.org.ge
www.facebook.com/socialjustice.org.ge

„სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი“
მერაბ კოსტავას ქ. #68; I სადარბაზო, მე-5 სართული #12 ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (+995)32 2 434 900
www.issa-georgia.com/ge/home
info@issa-georgia.com

სარჩევი

შესავალი 8
მეთოდოლოგია 10
მონაცემთა მოპოვების მეთოდები 10
რაოდენობრივი კვლევა 10
თვისებრივი კვლევა: 12
ანალიტიკური ანგარიშის მახასიათებლები 13
შემაჯამებელი დასკვნა – საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (ქურდობა/ძარცვა) 16
შემაჯამებელი დასკვნა – ნარკოდანაშაული 20

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (ქურდობა/ძარცვა) 23
ყოფილი მსჯავრდებულებისა და ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრების გამოკითხვის ანალიზი 23
ძირითადი მიგნებები 23
1. ინფორმირებულობის დონე 30
2. პირადი გამოცდილება 32
3. ზოგადი კონტექსტი 52
4. საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი პირების უფლებრივი მდგომარეობა 65
5. საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) შესახებ არსებული პოლიტიკა 73
6. დემოგრაფიული ბლოკი 98

ყოფილ მსჯავრდებულებთან და ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრებთან ჩატარებული ფოკუს-ჯგუფების ანალიტიკური ანგარიში 109
კვლევის ძირითადი მიგნებები 109
ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა დემოგრაფიული მახასიათებლები 112
1. ინფორმირებულობის დონე 114
1.1 ინფორმირებულობის მნიშვნელობა 114
1.2 ინფორმაციის მიწოდების წყაროები 116
1.3 საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა, ძარცვა) კრიმინალური სახეები 119
2. საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა, ძარცვა) ჩამდენი ჯგუფები და დანაშაულის გამომწვევი მიზეზები 122
2.1 საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისკენ (ქურდობა, ძარცვა) მიდრეკილი ჯგუფები 122

2.2 საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა, ძარცვა) დანაშაულის გამომწვევი ფაქტორები 123
2.3 საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის (ქურდობა, ძარცვა) დაკავების შემდგომი ეტაპები და პროცედურები 125
2.4 მსჯავრდებულების უფლებები პენიტენციურ დაწესებულებებში 128
2.5. უფლებადამცველებთან ურთიერთობა 131
2.6 საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის (ქურდობა, ძარცვა) გასამართლებული პირების პერსპექტივები პენიტენციური დაწესებულების დატოვების შემდეგ 133
2.7 ბარიერები, რომლებსაც ოჯახის წევრები აწყდებიან 135
3. ზოგადი კონტექსტი/საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა, ძარცვა) პოლიტიკა 137
3.1 საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა, ძარცვა) შემცირების სტრატეგიები 137
3.2 სახელმწიფოს მოქმედების შეფასება 139

ნარკოდანაშაული 141
ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულებისა და ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრების გამოკითხვის შედეგები 141
ძირითადი მიგნებები 141
1. ინფორმირებულობის დონე 147
2. პირადი გამოცდილება 154
2.1. კრიმინალური გამოცდილება 154
2.2. რა ფაქტორებმა განაპირობა ნარკოდანაშაულის ჩადენა? 158
2.3. სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში ყოფნის დადებითი და უარყოფითი შედეგები 164
2.4. უფლებადაცვით პირებთან/ორგანიზაციებთან ურთიერთობა 167
3. ზოგადი კონტექსტი 172
3.1. ნარკომოხმარებისა და ნარკოდანაშაულის გამომწვევი მიზეზები 172
3.2. თემში/საცხოვრებელ გარემოში ნარკოდანაშაულის ჩადენის სიხშირე 176
3.3. ნარკოდანაშაულის ჩადენის რისკ-ჯგუფები 181
3.4. ნარკოდანაშაულის მასშტაბურობა საქართველოში 182
3.5. ნარკოდანაშაულისა და ეკონომიკური დანაშაულის შედარება 183
3.6. ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების ხელშემწყობი დემოგრაფიული მახასიათებლები 184

4. ნარკოპოლიტიკა 186
4.1. ადამიანის (ნარკოდამნაშავეების) უფლებები სასჯელაღსრულების სხვადასხვა ეტაპზე 186
4.2. საქართველოში არსებული ნარკოპოლიტიკის შეფასება 192
4.3. სასჯელი სხვადასხვა ნარკოდანაშაულისთვის 198
5. დემოგრაფიული ბლოკი 219

ნარკოდანაშაულის ჩამდენ ყოფილ მსჯავრდებულებთან და ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრებთან ჩატარებული ფოკუს-ჯგუფების ანალიტიკური ანგარიში 229
კვლევის ძირითადი მიგნებები 229
ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა დემოგრაფიული მახასიათებლები 232
1. ინფორმირებულობის დონე 233
1.1. ინფორმირებულობის მნიშვნელობა 233
1.2. ინფორმაციის გავრცელების ლეგიტიმური წყაროები 235
1.3. ნარკოდანაშაულის კრიმინალური სახეები 237
2. ნარკოდანაშაულის ჩამდენი სამიზნე ჯგუფები და ნარკოდანაშაულის გამომწვევი მიზეზები 241
2.1. ნარკოდანაშაულისკენ მიდრეკილი ჯგუფები 241
2.2. ნარკოდანაშაულის გამომწვევი ფაქტორები 242
2.3. ნარკოდანაშაულისთვის დაკავების შემდგომი ეტაპები და პროცედურები 245
2.4 მსჯავრდებულების უფლებები პენიტენციურ დაწესებულებებში 248
2.5. უფლებადამცველებთან ურთიერთობა 250
2.6. ნარკოდამნაშავეების პერსპექტივები პენიტენციური დაწესებულების დატოვების შემდეგ 254
2.7. ბარიერები, რომლებსაც ოჯახის წევრები აწყდებიან 256
3. ნარკოპოლიტიკა 257
3.1. ნარკოდანაშაულის შემცირების სტრატეგიები 257
3.2. ნარკოლოგიური შემოწმება 258
3.3. სახელმწიფოს მოქმედების სტრატეგიები 260

დანართი №1 – საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (ქურდობა/ძარცვა) 263
ბიბლიოგრაფია 264

შესავალი

დანაშაული კომპლექსური ფენომენია, კულტურების მიხედვით და დროში ცვალებადი; საყურადღებოა როგორც ინდივიდის ბუნება, ისე გარემო პირობები. შესაბამისად, არსებობს დანაშაულის ინტერნალური და ექსტერნალური ფაქტორები. სოციალური ასპექტები, ცხადია, სხვადასხვა მაპროვოცირებელ გარემოებასთანაა დაკავშირებული, რომლებიც სისტემურ, და არა ინდივიდუალურ დონეზე განისაზღვრება.

დანაშაულებრივ ქმედებებში ჩართულობის სოციალურ რისკ-ფაქტორებს შორის იკვეთება შემდეგი პრედიქტორები:

1. **ოჯახი** – მშობლების კრიმინალთან კავშირი დიდ ზეგავლენას ახდენს შვილების დანაშაულებრივ ქმედებებში ჩართულობაზე. ამ მიმართულებით გასათვალისწინებელია ოჯახში ძალადობაც, რასაც მნიშვნელოვანი თაობათაშორისი ეფექტი აქვს.
2. **განათლება** – სასკოლო განათლების მიუღებლობა სამომავლოდ დელინქვენტობისა[1] და კრიმინალურ აქტივობებში ჩართულობის ერთ-ერთი რისკ-ფაქტორია. განათლების სფეროში მიღწეული წარმატება კი დანაშაულის ეკონომიკურ სარგებელს ამცირებს. აგრეთვე, ყურადღება ექცევა საგანმანათლებლო გარემოს – მშობლების განათლების დაბალი დონე დანაშაულის ჩადენის მაპროვოცირებელ ფაქტორად შეიძლება იქცეს.
3. **ეკონომიკა** – დანაშაულებრივ ქცევაზე გავლენას ახდენს ისეთი ეკონომიკური ფაქტორები, როგორებიცაა უმუშევრობა, სიღარიბე და ა.შ. უმუშევრობის, როგორც დანაშაულებრივ ქმედებაში ჩართულობის წინაპირობის შემთხვევაში, ძირითადად, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული და არა ძალადობრივი დანაშაული მოიაზრება.
4. **თემი და თანატოლები** – თემი და სამეზობლო გავლენას ახდენს ანტისოციალურ ქმედებებსა და კრიმინალზე. დევიაციისა და ძალადობის განვითარების მიმართულებით სწორედ ანტისოციალურ ინდივიდებთან ურთიერთობა ასრულებს მნიშვნელოვან როლს.
5. **ალკოჰოლი და სხვა ნარკოტიკული საშუალებები** – ალკოჰოლს, სხვა ნარკოტიკულ საშუალებებსა და დანაშაულს შორის კავშირი კომპლექსურია. მათი მიღება პირდაპირ არ ნიშნავს დანაშაულის ჩადენას, თუმცა, ნარკოტიკებისა თუ ალკოჰოლის მუდმივი მოხმარება დანაშაულებრივ ქმედებაში მონაწილეობის შესაძლებლობას ზრდის (Ministry of Justice, 2009).

1 Delinquentia ლათინური სიტყვაა და სიტყვასიტყვით წესის დარღვევას, წესიდან გადახვევას ნიშნავს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული დეპარტამენტის 2020 წლის მონაცემების მიხედვით, მსჯავრდებულების 20.3% საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის (ქურდობა/ძარცვა) არის გასამართლებული (2457 შემთხვევა), ხოლო დაახლოებით მეათედი (9.4%) – ნარკოდანაშაულისთვის (ნარკოტიკების უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება – 1216 შემთხვევა) (საქსტატი, 2020).

2018 წლის „ზრუნვის სისტემების შეფასების ანგარიშში“ აღწერილია, რომ დასავლეთის ქვეყნებში „ნარკოტიკებთან ომის“ პარადიგმა ჰუმანური ნარკოპოლიტიკითაა შეცვლილი. მეტიც, არაერთ ქვეყანაში წამალმოხმარებამ სასჯელაღსრულებიდან ჯანდაცვის სფეროში გადაინაცვლა. ამდენად, ევროპის ქვეყნებში კანონების ლიბერალიზაციის ტენდენცია შეინიშნება, თუმცა, ამ შემთხვევაში გათვალისწინებულია ნარკოტიკების პირადი მოხმარება და არა მათი გაყიდვა ან სხვა დამამძიმებელი გარემოება. პირადი მოხმარებისას იშვიათად დგება პირის თავისუფლების აღკვეთის განაჩენი. მსგავს შემთხვევებში ხშირად ადმინისტრაციულ სასჯელს მიმართავენ (ზრუნვის სისტემის შეფასების ანგარიში, 2018).

ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის თანახმად, ზიანის შემცირების პრინციპი გულისხმობს ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებული პრობლემების შემცირებას ნარკოტიკებზე დამოკიდებული პირისადმი ჰუმანური დამოკიდებულებებითა და მისი უფლებათა დაცვის გზით. ამდენად, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პირის მიმართ გამოვლენილ პოზიტიურ დამოკიდებულებასა და კეთილგანწყობას და არა ძალადობრივ ქმედებებსა თუ თავისუფლების აღკვეთას. რეალურად კი, საქართველო მოქმედი რეპრესიული ნარკოპოლიტიკით გამოირჩევა, რაც ნარკოტიკების მომხმარებლების რესოციალიზაციის პროცესს აფერხებს, ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს არღვევს და სოციოეკონომიკურ მდგომარეობას ამძიმებს (საქართველოს რეპრესიული ნარკოპოლიტიკის მძიმე ადამიანური შედეგები, 2018).

სოციალური სამართლიანობის ცენტრი, ღია საზოგადოების ფონდის დაფინანსებით, მუშაობს პროექტზე, „სამართლიანი და ჰუმანური სისხლის სამართლის პოლიტიკის ჩამოყალიბება“, რომელსაც ორი ძირითადი მიმართულება აქვს:

1. რეპრესიული სისხლის სამართლის პოლიტიკისა და მისი ინსტრუმენტების დასაბუთებული კრიტიკა, სამართლიანი და სოციალურად მგრძნობიარე მართლმსაჯულების ადვოკატირების გზით.
2. ნარკოპოლიტიკის რეფორმის პოლიტიკურ დღის წესრიგში შენარჩუნება და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მომწიფება.

ზემოაღნიშნული მიმართულებით განხორციელებულმა ქმედებებმა საბოლოოდ ხელი უნდა შეუწყოს ქვეყანაში სამართლიანი და ჰუმანური სისხლის სამართლის პოლიტიკის ჩამოყალიბებას.

მეთოდოლოგია

კვლევის ძირითადი მიზანი იყო დანაშაულისა და სასჯელის სოციალური ასპექტების შესწავლა. დანაშაულის სახეებად კი კვლევის ფარგლებში ორი მიმართულება გამოიყო: საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (ქურდობა/ძარცვა) და ნარკოდანაშაული.[2]

კვლევამ თითოეული დანაშაულის ტიპის შემთხვევაში უპასუხა შემდეგ ამოცანებს: დანაშაულის შესახებ ინფორმირებულობის დონის განსაზღვრა; აგრეთვე, დანაშაულებრივი ქმედების განმაპირობებელი სოციალური ფაქტორების შესწავლა, რომლებიც პირს დანაშაულის ჩადენისკენ უბიძგებს. კვლევის ერთ-ერთ ამოცანად განისაზღვრა დანაშაულის მიმართ უფრო მეტად მიდრეკილი სოციალური ჯგუფების დადგენა – ის, თუ რა მახასიათებლები შეიძლება ჰქონდეთ მათ. კვლევის ფარგლებში შეფასდა დანაშაულის ჩამდენი პირების უფლებრივი მდგომარეობა და, ზოგადად, ზემოაღნიშნული დანაშაულებების მიმართ არსებული პოლიტიკა. გარდა ამისა, კვლევის ფარგლებში შევისწავლეთ რესპონდენტთა მოსაზრებები იმის შესახებ, თუ რომელ დანაშაულს სჩადიან ადამიანები ყველაზე ხშირად, რა ფაქტორები ახდენს ამაზე გავლენას და ა.შ.

მონაცემთა მოპოვების მეთოდები:

კვლევის მიზნისა და ამოცანების სრულყოფილად შესასწავლად, გამოვიყენეთ როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. კვლევის ფარგლებში რესპონდენტების **ორი სამიზნე ჯგუფი** გამოიყო: ა) დანაშაულის (მათ შორის, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) და ნარკოდანაშაულის) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები და ბ) ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები. როგორც რაოდენობრივმა, ისე თვისებრივმა კვლევამ საქართველოს 9 რეგიონი დაფარა: თბილისი, სამეგრელო, გურია, აჭარა, იმერეთი, სამცხე-ჯავახეთი, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, კახეთი.

რაოდენობრივი კვლევა:

რაოდენობრივი კვლევისთვის რესპონდენტები არაალბათური შერჩევის მოდელით შეირჩნენ, კერძოდ „თოვლის გუნდის“ პრინციპის გამოყენებით – ერთი მხრივ, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა), ხოლო, მეორე მხრივ, ნარკოდანაშაულის ჩამდენმა ინდივიდებმა გააზიარეს სამიზნე ჯგუფის სხვა

2 მათ შორის, მცირე/დიდი რაოდენობით ნარკოტიკული საშუალების/ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების/მცენარე კანაფის ან მარიხუანის დამზადება / წარმოება / შეძენა / გასაღება / შენახვა / მოხმარება / გადაზიდვა / გადაგზავნა.

წარმომადგენლების საკონტაქტო ინფორმაცია, რამაც შესაძლებელი გახადა გამოკითხვაში მონაწილეთა წრის გაფართოება.

კვლევა ჩატარდა პირისპირ ინტერვიუს მეთოდით. გამოკითხვაში სულ მონაწილეობა მიიღო 708 ინდივიდმა, რომლებიც დანაშაულის ტიპის მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (ქურდობა/ძარცვა) – 348 რესპონდენტი
- ნარკოდანაშაული – 360 რესპონდენტი

დანაშაულის ტიპისა და რესპონდენტთა ჯგუფების მიხედვით ჩატარებული ინტერვიუების რაოდენობის გადანაწილება იხილეთ ცხრილში ა.

ცხრილი ა

რეგიონი	ინტერვიუების რაოდენობა			
	საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (ქურდობა/ძარცვა)		ნარკოდანაშაული	
	ყოფილი მსჯავრდებულები	ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები	ყოფილი მსჯავრდებულები	ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები
თბილისი	15	15	26	21
სამეგრელო	26	40	24	29
გურია	11	8	9	4
აჭარა	16	25	15	24
იმერეთი	17	24	38	28
სამცხე-ჯავახეთი	47	23	24	7
შიდა ქართლი	29	38	35	39
ქვემო ქართლი	6	1	10	3
კახეთი	6	3	4	10
სულ	173	175	185	175

თვისებრივი კვლევა:

თვისებრივი კვლევის ფარგლებში შესასწავლი საკითხის თითოეული ჭრილი, ფოკუს-ჯგუფის მეთოდით, სიღრმისეულად გაანალიზდა. ამ შემთხვევაშიც, ისევე როგორც რაოდენობრივი კვლევისთვის, მონაწილეები არაალბათური შერჩევის მოდელით შევარჩიეთ, თუმცა დისკუსიისთვის ინდივიდები ორი მიდგომით შეირჩნენ: ა) გამოკითხვაში ჩართული პირებიდან ფოკუს-ჯგუფის მონაწილეების განსაზღვრა; ბ) „თოვლის გუნდის“ პრინციპი.

კვლევის ფარგლებში სულ ჩატარდა 17 ფოკუს-ჯგუფი. დისკუსიისას, ერთი მხრივ, განხილული და გაანალიზებული იყო საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა), ხოლო, მეორე მხრივ, ნარკოდანაშაულის სოციალური ასპექტები. ფოკუს-ჯგუფების ფარგლებში შესასწავლი საკითხის შესახებ საკუთარი გამოცდილება და ინფორმაცია ერთმანეთს გაუზიარეს როგორც დანაშაულისთვის გასამართლებულმა ყოფილმა მსჯავრდებულებმა, ისე ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრებმა.

ანალიტიკური ანგარიშის მახასიათებლები

პროექტის კვლევითი ნაწილის ანალიტიკური ანგარიშის ქვეთავები დანაშაულის ტიპის მიხედვითაა განსაზღვრული; წარმოდგენილია, როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი კვლევის შედეგები. გამოკითხვის შედეგად მიღებული მონაცემების გაანალიზებისას, შინაარსობრივი აღწერის გარდა, მოცემულია შედეგების ვიზუალიზაცია (ცხრილები და დიაგრამები); ხოლო ფოკუს-ჯგუფების შედეგები გამდიდრებულია რესპონდენტების ციტატებით, რაც ანგარიშში აღწერილ დასკვნებს მეტად ამყარებს.

სხვადასხვა მეთოდით მიღებული მონაცემები დამოუკიდებელი ანგარიშების სახითაა წარმოდგენილი, რაც საკითხის სრულყოფილად გააზრების საშუალებას იძლევა. დანაშაულის ტიპის მიხედვით, გამოკითხვისა და ფოკუს-ჯგუფების შედეგად მიღებული მონაცემების გადამკვეთი ძირითადი საკითხები „შემაჯამებელი დასკვნის“ ქვეთავებშია აღწერილი, რაც ხელს უწყობს საკითხის კომპლექსურ აღქმასა და გააზრებას.

თეორიული ჩარჩო

დანაშაულის ჩადენის მიზეზების ამხსნელი კრიმინოლოგიური თეორიები ორ ძირითად მიდგომად იყოფა: (SCCJR, 2016)

1. ბიოლოგიური თეორიები
2. სოციოლოგიური თეორიები

ბიოლოგიური თეორიები: დანაშაულის ამხსნელი ბიოლოგიური თეორიების ძირითადი მიდგომა შემდეგია – ზოგიერთი ადამიანი „დამნაშავედ იბადება“, რომლებიც ფსიქოლოგიურად მკვეთრად განსხვავდებიან არა-დამნაშავე ინდივიდებისგან. ამ მიდგომის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია ჩეზარე ლომბროზო (Cesare Lombroso). მისი თეორია, **ბიოლოგიური პოზიტივიზმი,** ჩარლზ დარვინის იდეებს ეყრდნობოდა. იტალიელი ციხის ფსიქიატრის, ლომბროზოს დაკვირვებით, პატიმრებს საერთო ფიზიკური ატრიბუტები ჰქონდათ. ამდენად, იგი ვარაუდობდა, რომ დამნაშავეებს საერთო მახასიათებლები დაბადებიდანვე მოჰყვებათ.

სოციოლოგიური თეორიები: ამ მიდგომის მიხედვით, დანაშაული განპირობებულია ექსტერნალური ფაქტორებით, პირველადი და მეორეული სოციალური ჯგუფებით – ოჯახი, მეგობრები, ნაცნობები, მეზობლები. **სოციალური დეზორგანიზაციის თეორია** ჩიკაგოს სკოლას უკავშირდება, კონკრეტულად კი – კლიფორდ შოუს (Clifford R.

Shaw) და ჰენრი მაკკეის (Henry D. McKay) სახელებს. კვლევების საფუძველზე დაადგინეს, რომ დელინქვენტობის პატერნები უფრო აქტიურად ღარიბ დასახლებებში, ცუდი ჯანმრთელობისა და, ზოგადად, დაბალი სოციოეკონომიკური მდგომარეობის მქონე მოსახლეობაში ვლინდებოდა. სწორედ მსგავსი შედეგების საფუძველზე ივარაუდეს, რომ დანაშაული უპირობოდ ინდივიდუალური მახასიათებლებით არ არის განპირობებული (SCCJR, 2016).

სოციალური დეზორგანიზაციის თეორეტიკოსების აზრით, სოციალური ინსტიტუტების როლის, მათ შორის, ოჯახის, როგორც სოციალური კონტროლის არაფორმალური ძალის, დასუსტება სოციალურ სოლიდარობას ამცირებს. ინდუსტრიალიზაციის, ურბანიზაციის, მიგრაციის მზარდი ტემპი – რამდენიმე ძირითადი ფაქტორია, რომლებიც დანაშაულის მაჩვენებლებს ზრდის. ზოგადად, რომ ითქვას, სოციალური დეზორგანიზაცია დაკავშირებულია კანონებისა და წესრიგის სიმცირესთან. დეზორგანიზაციის დანაშაულის კონტექსტში განხილვისას სამი ძირითადი მიმართულება მოიაზრება: ა) ანომია; 2) კულტურული კონფლიქტი; 3) დისფუნქცია (Ayar, Lotfi, & Nooraee, 2011).

ანომია ემილ დიურკემის (Émile Durkheim) სახელთანაა დაკავშირებული. ანომიის ფარგლებში არ არსებობს სწორი ქცევის განმსაზღვრელი რეგულაციები. დიურკემი სწორედ იმ სოციალური ნორმების რღვევის ახსნას ცდილობდა, რომლებიც სწრაფ სოციალურ ცვლილებებს ახლდა თან. ამ მიდგომაზე დაფუძნებული რობერტ მერტონის (Robert K. Merton) თეორიის მიხედვით, დანაშაული ხდება მაშინ, როდესაც საზოგადოებაში აღიარებულ კულტურულ მიზნებსა და მათ მისაღწევად არსებულ სტრუქტურულ, აღიარებულ საშუალებებს შორის კავშირი ვერ მყარდება, ერთმანეთს არ შეესაბამება. ამ მიდგომის მიხედვით, კულტურული ღირებულებები და სოციალური სტრუქტურები ზეწოლას ახდენს ინდივიდებზე, რასაც შედეგად სხვადასხვა ტიპის დანაშაულის ჩადენა მოჰყვება. **კულტურული კონფლიქტისას,** ქცევის განმაპირობებელი სულ მცირე ორი დომინანტური ოპოზიციური რეგულაცია არსებობს. მსგავს პირობებში, ერთი ქცევის ერთობლიობის მიყოლისას, სხვა ნორმებს თავად აქტორი არღვევს. **დისფუნქცია** კულტურული კონფლიქტის ისეთი მდგომარეობაა, რომლის დროსაც რეგულაციები არსებობს, თუმცა, მათი დაცვა უპირობოდ პოზიტიურ შედეგს არ გულისხმობს; მეტიც, შესაძლოა, რეგულაციების მიყოლას სასჯელიც კი მოჰყვეს (Ayar, Lotfi, & Nooraee, 2011).

სუბკულტურული თეორიები: ალბერტ კოჰენის (Albert Cohen) სახელს უკავშირდება **სტატუსის ფრუსტრაციის** თეორია, რომლის მიხედვითაც, იმის გამო, რომ დაბალი სოციალური კლასის წარმომადგენლები ვერ ახერხებენ საშუალო კლასის კულტურული მიზნებისკენ სწრაფვას, უარს ამბობენ ამ მიზნებზე და საკუთარ სუბკულტურულ ღირებულებით სისტემას ქმნიან. მაგალითად, სკოლის პერიოდშივე მათთვის

მნიშვნელოვანი ხდება თანატოლებისგან და არა მასწავლებლისგან დაფასება, მათი მოლოდინების დაკმაყოფილება და სხვადასხვა დელინქვენტურ აქტივობაში ერთვებიან (SCCJR, 2016).

რაციონალური არჩევანის თეორიის მიხედვით, ინდივიდი თავად იღებს გადაწყვეტილებებს, მათ შორის, დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის შესახებ. ნებისმიერი ქმედებისას ადამიანები შესაძლო სარგებელსა და საფრთხეებს აფასებენ. ამ თეორიის მიხედვით, დანაშაულის ჩადენამდე ინდივიდი თითოეულ დეტალს საზღვრავს და გაცნობიერებულად ჩადის ქმედებას.

მემარცხენე რეალიზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კონცეპტია **რელატიური დეპრივაცია,** რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული ანომიის თეორიასთან. რელატიური დეპრივაციის მიხედვით, დანაშაული ხდება მაშინ, როდესაც ინდივიდი ან ინდივიდთა ჯგუფი საკუთარ თავს, იმ ადამიანებთან შედარებით, რომელთაც თავიანთ მსგავსად აღიქვამენ, უსამართლოდ დაჩაგრულად მიიჩნევენ.

ფემინისტური პერსპექტივები დანაშაულის გენდერულ უთანასწორობაზე ამახვილებს ყურადღებას და მიუთითებს, რომ დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენა არაპროპორციულად ნაწილდება და უფრო ხშირად აქტორებად კაცები გვევლინებიან. მსგავსი გამოვლინების ახსნის ერთ-ერთი მაგალითია **ჰეგემონური მასკულინობა:** იდეების, ღირებულებების, პრაქტიკების ერთობლიობა, რომელიც „კაცად ყოფნასთან“, მის როლებთან ასოცირდება და მიღებულია, როგორც დომინანტური პოზიცია. ზოგიერთი მამრობითი სქესის წარმომადგენელი, სწორედ დანაშაულებრივ ქმედებებში ჩართულობით გამოხატავს საკუთარ მასკულინობას (SCCJR, 2016).

ინტერაქციონისტული მიდგომა: სოციალური პროცესის თეორიები – ამ მიდგომის მიხედვით, დანაშაულებრივი ქმედებები ინდივიდის სხვებთან სოციალური ინტერაქციის შედეგია, მათ შორის მეგობრებთან, ოჯახის წევრებთან. ამ თეორიის მიმდევრები დანაშაულის საფუძვლებს მეგობრებისა და ოჯახის ინდივიდზე გავლენას უკავშირებენ, ყურადღებას ამახვილებენ იმ მნიშვნელობებსა და აღქმებზე, რასაც მათი შეხედულებებიდან და მოლოდინებიდან ვიღებთ (Justice, 2000).

შემაჯამებელი დასკვნა — საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (ქურდობა/ძარცვა)

საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან (ქურდობა, ძარცვა) დაკავშირებით, ყოფილ მსჯავრდებულებთან და ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრებთან ჩატარებული რაოდენობრივი (გამოკითხვა) და თვისებრივი (ფოკუს-ჯგუფები) კვლევა აჩვენებს, რომ ქურდობისა და ძარცვის (სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე და 178-ე მუხლები) ბრალდებით გასამართლებულ ყოფილ მსჯავრდებულებსა და ახლანდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრებში ქურდობის/ძარცვის თანმხლები სამართლებრივი შედეგების შესახებ ინფორმირებულობა, დანაშაულის ჩადენამდე, დაბალია. გამოკითხვის შედეგად მიღებული მონაცემების თანახმად, ორივე სამიზნე ჯგუფის რესპონდენტების თითქმის ნახევარი შესაბამის ინფორმაციას არ ფლობდა, სანამ თავად ან მისი ოჯახის წევრი სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში არ მოხვდებოდა.

ფოკუს ჯგუფების მონაწილეები აღნიშნავენ, რომ ინფორმირებულობა არ არის დანაშაულის ჩაუდენლობის გარანტი, რადგან დიდი მნიშვნელობა აქვს დანაშაულის ჩადენის კონტექსტს, რომელშიც დანაშაულის წინაპირობები მოიაზრება: ეკონომიკური სიდუხჭირე, სოციალური გარემოს/ქსელების გავლენა და სხვა ფაქტორები ხშირად უფრო ძლიერია, ვიდრე ინფორმაციის ქონა. ინფორმირებულობა ნაკლებად ეფექტიანია დაუსჯელობის სინდრომის და შერჩევითი სამართლის ფონზეც. რაოდენობრივი კვლევის შედეგად მოპოვებული მონაცემების თანახმად, დანაშაულის ჩადენას ყოფილი მსჯავრდებულები უფრო აღიარებენ, ვიდრე ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები. ამასთანავე, გამოკითხულთა უმრავლესობა დაკისრებულ სასჯელს რეალურად ჩადენილ დანაშაულთან შესაბამისად მიიჩნევს. რაც შეეხება ყოფილი მსჯავრდებულების ან ახლანდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრების იმ ნაწილს (10-დან 16%-მდე), რომელიც საკუთარ/საკუთარი ოჯახის წევრის უდანაშაულობაში დარწმუნებულია, ისინი მიუთითებენ, რომ მათ მიერ ჩადენილ ქმედებას დანაშაულის კვალიფიკაცია საერთოდ არ უნდა მინიჭებოდა ან მათ ეს დანაშაული დაბრალდათ (დაიბრალეს). მსგავს შეფასებებს აკეთებენ ფოკუს-ჯგუფების მონაწილეებიც. ამ უკანასკნელთა ნაწილი ამბობს, რომ სამართალდამცავების მხრიდან მათ მიმართ განხორციელებული ქმედებები სამართლიანი იყო, ნაწილი კი, განვითარებულ მოვლენებს/პროცესებს უსამართლოდ აფასებს. გამოკითხულთა შორის არიან ისეთებიც, რომლებიც ამბობენ, რომ ჩადენილი დანაშაულისთვის უფრო მკაცრ სასჯელს ელოდნენ, თუმცა გაუმართლათ და სასამართლომ მათთვის სასარგებლო განაჩენი მიიღო. აღსანიშნავია, რომ ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა დიდი ნაწილი უკმაყოფილოა თავიანთი ოჯახის წევრების სასჯელით და უსამა-

რთლობის განცდა აქვთ. ნაწილი აღნიშნავს, რომ მათი ახლობლის შემთხვევაში დანაშაულის ჩადენის ფაქტს საერთოდ არ ჰქონია ადგილი, ნაწილი კი მიიჩნევს, რომ არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, უფრო მსუბუქი სასჯელის მისჯაც შეიძლებოდა. რესპონდენტებმა გამოყვეს ძირითადი დისფუნქციები, რომლებიც ნასამართლეობას/პატიმრობას მოსდევს: ესაა ზიანი, რომელიც პატიმართა პირველადი ჯგუფის (პირველ რიგში, ოჯახის წევრების) ფსიქოლოგიურ მდგომარეობას ადგება და ოჯახების გაუარესებული ეკონომიკური ფონი, რადგან სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში ხშირად სწორედ ის პირები ხვდებიან, ვინც ოჯახის შემოსავლის ძირითადი წყარო იყო (ეს ორი ფაქტორი, ცხადია, ერთმანეთთან კავშირშია). როგორც ფოკუს-ჯგუფებში, ასევე, გამოკითხვაში მონაწილე რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ როდესაც იმ წევრს იჭერენ, რომელიც მის ოჯახს ფინანსურად უზრუნველყოფს, ეს ძალზე უარყოფითად აისახება ოჯახის მატერიალურ მდგომარეობაზე. გარდა ამისა, თავად ოჯახს უწევს სერიოზული ხარჯების გაღება მისი წევრის დაკავებიდან პატიმრობის დასრულებამდე, იქნება ეს ადვოკატის მომსახურების საფასური, გირაო, ჯარიმა, უშუალოდ საპატიმროში ყოფნის პერიოდში მსჯავრდებულისთვის გასაგზავნი თანხა თუ სხვ.

გამოიკვეთა, ზოგადად, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა, ძარცვა) ჩადენის მიზეზები: ოჯახების ცუდი ფინანსური მდგომარეობა, მსგავსი დანაშაულებრივი წარსულის მქონე პირების საახლობლო გარემოში ყოლა, საბანკო ვალის/სესხის ქონა, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება და ა.შ. გარდა თქმულისა, ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ დანაშაულის ჩადენა დაკავშირებულია ისეთ სოციალურ-დემოგრაფიულ მახასიათებლებთან, როგორიცაა ასაკი, განათლება და დასაქმების მდგომარეობა. მათი აზრით, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისკენ (ქურდობა, ძარცვა) მიდრეკილება უფრო მეტად ახასიათებთ ახალგაზრდებს, აგრეთვე, განათლების შედარებით დაბალი ცენზის მქონე ადამიანებს და უმუშევრებს.

როგორც გამოკითხვის, ისე ფოკუს-ჯგუფების მონაწილე რესპონდენტები უჩივიან სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში სამედიცინო მომსახურების ვერმიღების/დაგვიანებით მიღების პრობლემას. ნეგატიურ კონტექსტში საუბრისას, ასევე, გამოყოფენ ისეთ საკითხს, როგორიცაა მსჯავრდებულების შეზღუდული შესაძლებლობები სხვადასხვა სერვისის მისაღებად და კანონმდებლობით განსაზღვრული, ვიზიტების დაბალი სიხშირე. პრობაციონერებისთვის მტკივნეულია პოლიციის მხრიდან გახშირებული კონტროლი. ყოფილ მსჯავრდებულებს უდგათ რესოციალიზაციის პრობლემა: ზოგადად და ნასამართლეობის სტიგმის გამოც, ამ ჯგუფის წევრებს უჭირთ დასაქმება, განსაკუთრებით, საჯარო, თუმცა, კერძო ფორმალურ სექტორშიც. ამიტომ, ყოფილი მსჯავრდებულები ძირითადად არაფორმალურად საქმდებიან, შემოსავლების გაჩენა მათი ოჯახების ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე

დადებითად აისახება. პატიმრობაში ყოფნას სხვა, მეორადი პოზიტიური შედეგებიც ახლავს: უარყოფითი გავლენის მქონე საახლობლო წრის ჩამოშორება, ხელობის დაუფლება, ფსიქოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და დეპრესიის დაძლევა. თუმცა, იმის თქმაც შეიძლება, რომ ეს პოზიტიური შედეგები ყოფილ პატიმრებში მეინსტრიმული არ არის. რესპონდენტების უმეტესმა ნაწილმა აღნიშნა, რომ რესოციალიზაციის პროცესში თავს დაუცველად და დაჩაგრულად გრძნობენ.

რაოდენობრივ კვლევაში (გამოკითხვა) მონაწილე რესპონდენტებმა, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა, ძარცვა) ჩადენაზე დემოგრაფიული მახასიათებლების გავლენის შეფასების შედეგად, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი პირის ემპირიული იდეალური ტიპი შექმნეს: როგორც წესი, ის არის მამრობითი სქესის წარმომადგენელი, რომელსაც, სავარაუდოა, რომ არ აქვს მიღებული სრული საშუალო განათლება, არ არის დასაქმებული, არის თინეიჯერი ან სრულწლოვანი ახალგაზრდა და არ არის დაოჯახებული.

რესპონდენტთა დაკვირვებით, დანაშაულების ჩადენის თვალსაზრისით, ქვეყანაში მდგომარეობა, წინა ხელისუფლების პერიოდთან შედარებით, დიდად არ გაუმჯობესებულა – იმატა წვრილმანმა ქურდობებმა, რაც მოსახლეობის არასახარბიელო მატერიალურ მდგომარეობაზე მიუთითებს. როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი კვლევის ორივე სამიზნე ჯგუფის რესპონდენტების შეფასებით, მათ საცხოვრებელ გარემოში ქურდობისა და ძარცვის ჩადენის დონე მეტ-ნაკლებად მაღალია. ამასთან, აღნიშნავენ, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში ქურდობის ფაქტები გახშირებულია.

კვლევაში მონაწილე პირების შეფასებით, წინასწარი პატიმრობისა და პირობითი მსჯავრის მოხდის პერიოდში, მსჯავრდებულების მიმართ ადამიანის უფლებები, ძირითადად, არ ირღვევა. რაც შეეხება სასჯელის მოხდის პერიოდს, ამ შემთხვევაში ყველაზე ხშირად ციხის თანამშრომლებისა და სხვა მსჯავრდებულებისგან ფიზიკური უსაფრთხოების დარღვევა იკვეთება. პირობითი მსჯავრის მქონე პირები მიუთითებენ პოლიციის კონტროლის გარეშე თავისუფალი გადაადგილების უფლების დარღვევის ფაქტებზე. აღსანიშნავია, რომ უშუალოდ სასჯელის მოხდის პერიოდში ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებზე უფრო ხშირად იმ პირებმა მიუთითეს, რომელთაც სასჯელი 2012 წლამდე მოიხადეს.

რაც შეეხება სახელმწიფო პოლიტიკის შეფასებას, რესპონდენტების ძირითადი ნაწილი მიიჩნევს, რომ საქართველოში ჩადენილი დანაშაულის სამართლიანი და თანაზომიერი სასჯელის პოლიტიკა ტარდება, მსჯავრდებულები სამედიცინო, სოციალურ, ფსიქოლოგიურ საჭიროებებზე მორგებული მომსახურებებით არიან უზრუნვე-

ლყოფილნი. თუმცა, მეორე მხრივ, რესპონდენტების შეფასებით, სამართლებრივი პოლიტიკა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) შემცირებაზე ნაკლებადაა ორიენტირებული. რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ქურდობისა და ძარცვის შემცირებისა და პრევენციისთვის, პირველ რიგში, საჭიროა არა შედეგთან (უკვე ჩადენილ დანაშაულთან), არამედ დანაშაულის ჩადენის **მიზეზებთან** ბრძოლა, რაც მოითხოვს საზოგადოების წევრების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, მათ დასაქმებაზე, ანტიკრიმინალური ცნობიერების ამაღლებაზე, განათლების დონის გაუმჯობესებაზე ზრუნვას.

შემაჯამებელი დასკვნა — ნარკოდანაშაული

ნარკოდანაშაულთან დაკავშირებით ყოფილ მსჯავრდებულ პირებთან და ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრებთან ჩატარებული ფოკუს-ჯგუფებისა და გამოკითხვის შედეგების თანახმად, როგორც ყოფილი მსჯავრდებულები, ისე ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები ნარკოდანაშაულის ამა თუ იმ ტიპის სამართლებრივი შედეგების/სასჯელის შესახებ მწირ ინფორმაციას ფლობდნენ მანამ, ვიდრე თავად/მათი ოჯახის წევრი მოხვდებოდა სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში. ყოფილი მსჯავრდებულები უფრო მეტად ინფორმირებულები აღმოჩნდნენ ნარკოტიკული საშუალებების შეძენა/შენახვისა და მოხმარების თანმდევ სამართლებრივ შედეგებთან დაკავშირებით. ამასთანავე, კვლევაში მონაწილე პირების ცოდნა უფრო სიღრმისეულია მარიხუანას, ვიდრე სხვა ნარკოტიკული საშუალებების შესახებ. ფოკუს-ჯგუფების მონაწილეები დასძენენ, რომ ნარკოდანაშაულის ნებისმიერი ტიპის და მათი თანმხლები რისკების შესახებ საზოგადოების წევრებისთვის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებისთვის, ინფორმაციის მიწოდება მნიშვნელოვანი საკითხია. თუმცა იმასაც აღნიშნავენ, რომ ინფორმირებულობა დანაშაულის ჩაუდენლობის გარანტი არ არის.

ოჯახის წევრები დანაშაულსა და სასჯელს მეტწილად შესაბამისობის კონტექსტში მოიხსენიებენ. ამის საპირისპიროდ, ყოფილი მსჯავრდებულები მეტწილად სასჯელის შეუსაბამობაზე ამახვილებენ ყურადღებას. გარდა ამისა, როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი კვლევის კომპონენტის მონაწილეთა შეფასებით, ნარკოდანაშაულის ნებისმიერი ტიპი, გარდა მოხმარებისა და მოხმარების მიზნით შეძენა/შენახვა/დამზადებისა, იმსახურებს დანაშაულის კვალიფიკაციას.

კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა ნარკოდანაშაულის ჩადენის ძირითადი მიზეზები. როგორც თვისებრივ, ისე რაოდენობრივ კვლევაში მონაწილე ოჯახის წევრებს მიაჩნიათ, რომ პირს ნარკოდანაშაულის ჩადენისკენ, პირველ რიგში, მსგავსი დანაშაულებრივი გამოცდილების მქონე საახლობლო წრე უბიძგებს, ამის შემდეგ კი ისეთი მიზეზები, როგორიცაა ინტერესი და რეკრეაციული მოხმარების სურვილი. ყოფილი მსჯავრდებულები უმეტესად რეკრეაციულ მოხმარებას, ამის შემდეგ კი, ინტერესსა და ცუდ ფინანსურ მდგომარეობას ასახელებენ. რაც შეეხება სხვადასხვა ტიპის ნარკოდანაშაულით გამოწვეულ ზიანს, იკვეთება ძირითადი სამი ფორმა: ჯანმრთელობის, სოციალური და ეკონომიკური. ფოკუს ჯგუფების მონაწილე პირების შეფასებით, არის ნარკომომხმარებლების ორი კატეგორია – ადამიანები, რომლებიც წამალდამოკიდებულები არიან, თუმცა მათ მართლაც არანაირი ზიანი არ მოაქვთ ოჯახებითვის და მეორე კატეგორია ნარკომომხმარებლებისა, რომლებიც ნარკოტიკის საყიდლად ყველანაირ ხერხს მიმართავენ, იქნება ეს სახლის გაყიდვა, თუ სხვა უფრო რადიკალური ზომები.

ნარკოდამნაშავეებისა და ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრების ნაწილი ჩადენილ დანაშაულთან ადეკვატურად აფასებს იმ პროცესებს, რომლებიც მათ/მათმა ახლობლებმა განვლეს დაკავებიდან სასამართლომდე, ნაწილი კი მიიჩნევს, რომ როგორც დაკავება, ისე შემდეგ განვითარებული მოვლენები მნიშვნელოვანი დარღვევებით წარიმართა. როგორც ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები, ყოფილი მსჯავრდებულებიც, პატიმრობაში/პრობაციაში ყოფნის უარყოფით შედეგად ასახელებენ ჯანმრთელობის პრობლემების შექმნას, რაც ხანგრძლივ მკურნალობას საჭიროებს, პატიმრის/პრობაციონერის დეპრესიულ მდგომარეობას/აქტიური ცხოვრების ინტერესის დაკარგვას. მეორე მხრივ, დადებით შედეგად მიიჩნევა ცუდი გავლენის მქონე გარემოსგან ჩამოშორება, ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარებისათვის თავის დანებება და რიგ შემთხვევაში, აქტიური ცხოვრების ინტერესის დაბრუნება. მსჯავრდებულების ნაწილი, რომელთაც აქვთ როგორც წინა (2012-წლამდე), ისე ახალი ხელისუფლების პირობებში სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ყოფნის გამოცდილება, დასძენს, რომ ციხეში საცხოვრებელი პირობები, ახალი ხელისუფლების პირობებში, ხელშესახებად არ გაუმჯობესებულა, მხოლოდ დამოკიდებულებები შეიცვალა მსჯავრდებულებისადმი – მსჯავრდებულებზე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის პრაქტიკები მნიშვნელოვნად შემცირდა.

რესპონდენტები ადასტურებენ, რომ სასჯელაღსრულების ამა თუ იმ ეტაპზე უფლებების დარღვევის ფაქტების შესახებ, ადვოკატს (როგორც კერძო, ისე სახაზინო) სრული ინფორმაცია მიეწოდებოდა. ამავე დროს, არსებობს რესპონდენტთა წილი, ვისაც უფლებების დარღვევის შესახებ ინფორმაცია არ გაუზიარებია, რამდენადაც არ აქვთ ვითარების გამოსწორების იმედი.

ნარკოდანაშაულის ჩადენის თვალსაზრისით, მაღალი რისკის სოციალურ ჯგუფებს შორის ოთხი ძირითადი ჯგუფი გამოიყო. ესენი, პირველ რიგში, არიან ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ ისეთ გარემოში, სადაც ნარკოტიკული საშუალებები გავრცელებულია, ასევე, ნარკოდამოკიდებული პირების ოჯახის წევრები, ფინანსურად შეძლებული ადამიანები და, გარკვეულწილად, უმუშევრები. გარდა ამისა, რესპონდენტები ამბობენ, რომ ნარკომომხმარებელი ნებისმიერი სოციალური თუ ეკონომიკური ფენის წარმომადგენელი შეიძლება გახდეს. და აქ საზოგადოების რომელიმე სპეციფიკურ ფენაზე, რომელიმე სოციალურ სტატუსზე მითითება უმართებულო იქნებოდა.

როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა უმეტესი წილის შეფასებით, ისეთ დემოგრაფიულ მახასიათებლებს, როგორიცაა განათლება, ოჯახური მდგომარეობა და რელიგიურობა, არ აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ნარკოდანაშაულის ჩადენის თვალსაზრისით. თუმცა აღსანიშნავია, რომ ფოკუს ჯგუფების ზოგიერთი მონაწილე საუბრობს **რელიგიისა და რწმენის** ფაქტორის გავლენაზე. როგორც ისინი ამბობენ, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, მორწმუნე და ეკლესიური ადამიანი ნარკოდანაშაულს არ ჩაიდენს.

გარდა ამისა, რესპონდენტები ნარკოდანაშაულის ჩადენას, როგორც წესი, მამრობით სქესს მიაწერენ. „სრულწლოვანი-ახალგაზრდების“ (20-34 წლის) ასაკობრივ ჯგუფში ყოფნა, იკვეთება როგორც ხელშემწყობი ფაქტორი.

რესპონდენტების მოსაზრებით, არსებული ნარკოპოლიტიკა ნარკომომხმარებლის დასჯაზეა ორიენტირებული და, ამავე დროს, ეჭვქვეშ აყენებენ მოსაზრებას, რომ იგი ნარკოდანაშაულის შემცირებას ისახავს მიზნად. ნარკოდამნაშავეებისთვის საპატიმრო სასჯელის დაკისრებამ, შესაძლოა, მეტ-ნაკლებად შეუწყოს ხელი ქვეყანაში ნარკოდანაშაულის შემცირებას, თუმცა არა ყველა მიმართულებით. კერძოდ, ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების შემთხვევაში, პირის დაპატიმრება არ არის პრობლემის აღმოფხვრის საშუალება.

რესპონდენტები არსებული ნარკოპოლიტიკის კრიტიკას რამდენიმე ფაქტორზე აფუძნებენ. კვლევის მონაწილეთა მოსაზრებით, ნარკომომხმარებელთათვის განკუთვნილი მკურნალობისა და მომსახურების მიუხედავად, ეს სერვისები საკმარისი არ არის. ამავე დროს, მათი შეხედულებით, იძულებითი ნარკოლოგიური შემოწმება არღვევს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას, ნარკოტესტირება ხშირად შესაბამისი მტკიცებულებების არარსებობის პირობებში ხდება და ნარკოტესტირება საქართველოში პოლიციური კონტროლის სახეს ატარებს. რესპონდენტები იხრებიან მოსაზრებისკენ, რომ ნარკოტესტირებით, ხშირად ნარკომომხმარებელთა და ნარკოდამოკიდებულთა გაიგივება ხდებაა.

რესპონდენტები ყურადღებას ამახვილებენ იმ გამოწვევებსა და ბარიერებზე, რომლებსაც პენიტენციური დაწესებულების დატოვების შემდეგ ყოფილი მსჯავრდებული აწყდება. კერძოდ, მათი შეფასებით, ნარკოდამნაშავეებს რიგ პრობლემებთან უწევთ გამკლავება – იქნება ეს სამსახურის შოვნა, ახალ გარემოსთან ადაპტაცია თუ საზოგადოებაში ხელახალი ინტეგრაცია. ყოფილი მსჯავრდებულები საუბრობენ ნასამართლეობის სტიგმაზე, რაც მათი რესოციალიზაციისთვის დამაბრკოლებელი ფაქტორია.

რესპონდენტები თანხმდებიან, რომ სახელმწიფომ უნდა შეცვალოს არსებული ნარკოპოლიტიკა და დასჯაზე ორიენტირებული მიდგომა ზრუნვაზე ორიენტირებული მიდგომით ჩაანაცვლოს. კვლევაში მონაწილე პირების აზრით, ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების შემთხვევაში, პირის დაპატიმრება არ არის პრობლემის აღმოფხვრის საშუალება. რესპონდენტების აზრით, სტიქიური ნარკოლოგიური შემოწმება პოლიციური კონტროლის სახეს ატარებს, არღვევს ადამიანის უფლებებს და ხშირად სადამსჯელო მიზნებისთვის გამოიყენება. მეორე მხრივ, რესპონდენტები არასაკმარისად აფასებენ საზოგადოების ცოდნას ნარკოდანაშაულის რისკებსა და მოსალოდნელ სასჯელზე და სკოლებში ნარკომოხმარებასთან დაკავშირებული საკითხების სწავლებას, დადებითად ეკიდებიან.

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (ქურდობა/ძარცვა)

ყოფილი მსჯავრდებულებისა და ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრების გამოკითხვის ანალიზი

ძირითადი მიგნებები

ყოფილი/ამჟამინდელი მსჯავრდებულების სოციალურ–დემოგრაფიული პროფილი

კვლევაში მონაწილე საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულების უმრავლესობა (96.5%) მამაკაცია; ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრების 98.6%-იც მიუთითებს, რომ მსჯავრდებული კაცია. ყოფილი და ამჟამინდელი მსჯავრდებულების დიდი ნაწილი დანაშაულის ჩადენის დროს 25-34 წლის კატეგორიას ეკუთვნოდა.

რაც შეეხება წარსულში დანაშაულის ჩამდენი, სასჯელმოხდილი პირების სტატუსს, უმრავლესობა (82.7%) ყოფილი პატიმარია, რომელთა ძირითადი ნაწილი სასჯელის ამოწურვის შედეგად, ხოლო მეათედი ვადაზე ადრე, განთავისუფლების კომისიით (ე.წ. „უდო“) გაათავისუფლეს. საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი პირების 5.8% ყოფილი პრობაციონერია, ხოლო 4.6% – ყოფილი მსჯავრდებული პირობითი მსჯავრით. მეორე მხრივ, ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრების უმრავლესობამაც მიუთითა, რომ პატიმარი სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში იმყოფება.

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი როგორც ყოფილი, ისე ამჟამინდელი მსჯავრდებულების გამოკვეთილი უმრავლესობა (65%-ზე მეტი) **ახალგაზრდა** იყო, როცა დააპატიმრეს (25-34 წლის შუალედში ან 25 წლამდე). რაც შეეხება **განათლების მიღწეულ დონეს,** ყოფილ მსჯავრდებულებში ეს, როგორც პატიმრობამდე, ისე პატიმრობის შემდეგ, საშუალო განათლებაა (10-12 კლასი); ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრებიც ადასტურებენ, რომ მოქმედ მსჯავრდებულებს, ძირითადად, საშუალო განათლება აქვთ მიღებული. **ოჯახური მდგომარეობის** მიხედვით, თუკი დანაშაულის ჩამდენი პირების ყველაზე დიდი ნაწილი (47.4%) პატიმრობამდე/პრობაციამდე დასაოჯახებელი იყო, ამჟამად ყოფილი მსჯავრდებულების ყველაზე დიდი ნაწილი (46.8%), პირიქით, დარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირია. რაც შეხება ამჟამინდელ მსჯავრდებულებს, მათი უმრავლესობა (53%) დაოჯახებული არ არის. **შემოსავლის ძირითადი წყარო,**

როგორც პატიმრობამდე/პრობაციამდე, ისე ამჟამინდელი მონაცემებით, ორივე სამიზნე ჯგუფში (ყოფილი და ამჟამინდელი მსჯავრდებულები) ორია: საკუთარი დასაქმება და მშობლების მხრიდან გაწეული ფინანსური დახმარება. რაც შეეხება **შემოსავლის ოდენობას,** თუკი პატიმრობამდე/პრობაციამდე ყოფილი მსჯავრდებულების ყოველთვიური შემოსავალი უფრო ხშირად (24.3%) 201-500 ლარის ფარგლებში მერყეობდა, ამჟამინდელი მონაცემებით, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი პირების მეოთხედზე მეტის (25.4%) ყოველთვიური შემოსავალი 501-700 ლარის ფარგლებში მოექცა. ყოფილი მსჯავრდებულების ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ დინამიკაში 100 ლარზე ნაკლები შემოსავლის მქონე პირების რაოდენობა შემცირებულია (პატიმრობამდე/პრობაციამდე – 11%, ამჟამად – 5.2%). მეორე მხრივ, ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრების მეხუთედზე მეტის შეფასებით, მსჯავრდებულს დანაშაულის ჩადენისას პირადი შემოსავალი საერთოდ არ ჰქონია. ოჯახის ეკონომიკური შესაძლებლობების სიტუაციურმა შეფასებამაც გამოავლინა, რომ ყოფილი მსჯავრდებულების ოჯახების ზოგადი ეკონომიკური მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესებულია, თუმცა, გაუარესდა იმ ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობა, რომელთაც მსჯავრდებული წევრები ჰყავთ.

დასაქმების მდგომარეობის შეფასების მიმართულებითაც, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენ ყოფილ მსჯავრდებულებში დასაქმების ფონი გაუმჯობესებულია: პატიმრობამდე/პრობაციამდე უმრავლესობა უმუშევარი იყო, ხოლო ახლა ნახევარზე მეტი დასაქმებულია, თუმცა არაოფიციალურად[3].

სამართლებრივი შედეგების შესახებ ინფორმირებულობა და ჩადენილი დანაშაულის მეორადი ზიანი

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის (ქურდობა/ძარცვა) გასამართლებული ყოფილი მსჯავრდებულებისა და ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრების თითქმის ნახევარი **არ ფლობდა ინფორმაციას** ქურდობის/ძარცვის თანმხლები სამართლებრივი შედეგების შესახებ, ვიდრე თავად ან მისი ოჯახის წევრი არ მოხვდა სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში.

3 საქართველოს შრომის კოდექსის მიხედვით, „დასაქმებულად“ მიიჩნევა „ფიზიკური პირი, რომელიც შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, დამსაქმებლისათვის ასრულებს გარკვეულ სამუშაოს“. პროფესიული კავშირების შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით კი „მუშაკი“ არის „ფიზიკური პირი, რომელიც მუშაობს საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში შრომითი ხელშეკრულების (კონტრაქტის) საფუძველზე ან ეწევა ინდივიდუალურ მეწარმეობას“. შესაბამისად, არაოფიციალურად დასაქმებულში მოიაზრება ყველა ის ფიზიკური პირი, რომელიც კანონით გათვალისწინებულ დეფინიციაში არ მოიაზრება, მათ შორის ის თვითდასაქმებული, რომელიც არ არის რეგისტრირებული ინდმეწარმედ, ასევე, ნებისმიერი დასაქმებული, რომელიც სხვის დაქვემდებარებაში მუშაობს, მაგრამ არ იხდის გადასახადებს.
საქართველოს შრომის კოდექსი: https://bit.ly/3n07bYd
საქართველოს კანონი პროფესიული კავშირების შესახებ: https://bit.ly/2VWNZyY

ორივე ჯგუფის რესპონდენტების შეფასებით, ყველაზე მნიშვნელოვანი ზიანი, რაც მსჯავრდებულების პირველადი ჯგუფის (ოჯახის წევრების) იმ პირებს ადგებათ, ვისაც უშუალოდ დანაშაული არ ჩაუდენია, ფსიქიკური ზიანია. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ინდივიდის ციხეში ყოფნით ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა მკვეთრად უარესდება – ერთი მხრივ, მსჯავრდებულს სჭირდება ფინანსური დახმარება, მეორე მხრივ კი, სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში ხშირად სწორედ ის პირები ხვდებიან, ვინც ოჯახის შემოსავლის ძირითადი წყაროა. მსჯავრდებულების გარშემო მყოფების მიერ მიღებული ფსიქოლოგიური და ეკონომიკური ზიანი იმდენად დიდია, რომ ღირსების შელახვის, სოციალური კავშირების გაწყვეტითა და საზოგადოებისგან გარიყვით გამოწვეულ დისკომფორტს გაცილებით აღემატება.

პირადი გამოცდილება

კვლევაში მონაწილე საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულების უმრავლესობა ქურდობის გამო გასამართლდა. მსგავსი პრაქტიკა გამოვლინდა ამჟამინდელი მსჯავრდებულების შემთხვევაშიც. როგორც აღმოჩნდა, დანაშაული, უმრავლეს შემთხვევაში, კერძო საკუთრებაში შეღწევით ქურდობა იყო. სასჯელის ფორმად კი, ძირითადად, თავისუფლების აღკვეთა განისაზღვრა. თუმცა, ზოგიერთი ყოფილი პატიმრისა თუ ამჟამინდელი პატიმრის შემთხვევაში, პირს ჯარიმის გადახდა დაეკისრა, რომლის ოდენობაც 1000-დან 10 000 ლარამდე შუალედში მონაცვლეობს. იშვიათ შემთხვევებში, მსჯავრდებულს შინაპატიმრობა ან პირობითი მსჯავრი შეეფარდა.

რესპონდენტების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მათთვის/მათი ოჯახის წევრისთვის დაკისრებული სასჯელი რეალურად ჩადენილ დანაშაულს შეესაბამებოდა. ასევე, ორივე სამიზნე ჯგუფის უმრავლესობა ფიქრობს, რომ მათ/მათმა ოჯახის წევრებმა დანაშაული ნამდვილად ჩაიდინეს. თუმცა, ამას ყოფილი მსჯავრდებულები უფრო მეტად აღიარებენ (83.8%), ვიდრე ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები (70.7%). შესაბამისად, ყოფილ მსჯავრდებულებში 10.4%-ია ისეთი, ვინც მიუთითებს, რომ ეს კონკრეტული დანაშაული არ ჩაუდენია, ხოლო ოჯახის წევრთა შორის 16.4%-ს შეადგენენ ისინი, ვინც მათი ახლობლის უდანაშაულობაზე მიუთითებს; ამასთანავე, ოჯახის წევრები უფრო მეტად იკავებენ თავს (11.4%) მოცემულ შეკითხვაზე პასუხისგან, ვიდრე ყოფილი მსჯავრდებულები (1.2%) ამ პოზიციაზე მყოფი ოჯახის წევრების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ დანაშაული სხვამ ჩაიდინა, მაგრამ მათი ოჯახის წევრს დაბრალდა, ან თავად დაიბრალა. რაც შეეხება საკუთარ უდანაშაულობაში დარწმუნებულ მსჯავრდებულებს, ისინი აპელირებენ იმაზე, რომ: ა) მათ მიერ ჩადენილ ქმედებას საერთოდ არ უნდა მინიჭებოდა დანაშაულის კვალიფიკაცია და ბ) მათ ჩაუდენელი დანაშაული დაბრალდათ.

ორივე სამიზნე ჯგუფის (ყოფილი მსჯავრდებულები და ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები) შეფასებით, ინდივიდის მიერ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩადენა ოჯახის **ცუდმა ფინანსურმა მდგომარეობამ** განაპირობა. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, **სოციალური წრეც** მნიშვნელოვან გავლენას ახდენს, რადგან ხშირად დანაშაულის ჩადენის მიზეზი მსგავსი დანაშაულებრივი წარსულის მქონე პირების საახლობლო გარემოში ყოფნა და მათი გავლენა ხდება.

როგორც ყოფილი, ისე ამჟამინდელი მსჯავრდებულების დაახლოებით მეხუთედისთვის **ბოლო ნასამართლეობა ერთადერთი დანაშაული არ ყოფილა,** ისინი იქამდეც ყოფილან იმავე მუხლებით (177-ე, 178-ე) ნასამართლევი – უმრავლეს შემთხვევაში, ერთხელ. საინტერესოა, რომ ყოფილი მსჯავრდებულებისა და ამჟამინდელი მსჯავრდებულების უმრავლესობა (90%-ზე მეტი) ქურდობის/ძარცვის გარდა, სხვა არცერთი დანაშაულისთვის არ გასამართლებულა. ეს მიუთითებს, რომ **ქურდობის და ძარცვის ჩამდენი პირები სხვა ტიპის კრიმინალური ქმედებების ჩამდენთა მაღალი რისკის ჯგუფს არ მიეკუთვნებიან.**

გამოიკვეთა ის პრობლემები, რომლებიც პატიმრობაში/პრობაციაში ექმნებათ ადამიანებს. რესპონდენტებმა, ძირითადად, **დასაქმების მიმართულებით** არსებული დაბრკოლებები, აგრეთვე, პოლიციის მხრიდან **ხშირი კონტროლის ფაქტები** (პრობაციის შემთხვევაში) გამოყვეს. თუმცა, საყურადღებოა ცალკეულ შემთხვევებში **ჯანმრთელობის შექმნილი პრობლემებიც,** რომლებიც ზოგჯერ მკურნალობას არც კი ექვემდებარება. მეორე მხრივ, ორივე სამიზნე ჯგუფის რესპონდენტების ნაწილი (ყოფილი მსჯავრდებულები 10%-20%, ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები – 4%-30%) მიიჩნევს, რომ პატიმრობამ/პრობაციამ პოზიტიური შედეგებიც მოიტანა; კერძოდ, დანაშაულის ჩამდენ პირს საშუალება მისცა უარყოფითი გავლენის მქონე საახლობლო წრეს ჩამოშორებოდა, ან ხელობას დაუფლებოდა, ნაწილმა კი, ფსიქოლოგიური მდგომარეობაც გაიუმჯობესა და დეპრესია დაძლია. აღსანიშნავია, რომ ყოფილი მსჯავრდებულების დაახლოებით 30%-ს და ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახების წევრების თითქმის 42%-ს გაუჭირდა პატიმრობის პოზიტიური შედეგების გამოყოფა. ეს, სავარაუდოდ, მოწმობს, რომ როგორც **ყოფილი, ისე ამჟამინდელი მსჯავრდებულების სოციალიზაცია/რესოციალიზაცია ხელშესახები პოზიტიური შედეგების გარეშე მინდინარეობს.**

როგორც ყოფილი, ისე ამჟამინდელი მსჯავრდებულები, პატიმრობის პერიოდში, ყველაზე ხშირად კერძო ადვოკატს ხვდებოდნენ. რესპონდენტების დიდი ნაწილი არასდროს შეხვედრია არც სახაზინო ადვოკატს, არც ადგილობრივი თუ საერთაშორისო უფლებადაცვითი ორგანიზაციისა თუ საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის წარმომადგენლებს. შესაბამისად, ყველაზე ხშირად სწორედ კერძო ადვოკატებს აცნობდნენ ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტე-

ბის შესახებ. ნებისმიერი ინდივიდისა თუ ჯგუფისადმი მსგავსი ინფორმაციის შეუტყობინებლობის მიზეზად, ხშირად ვითარების გამოსწორების უიმედობა და პირის დაუცველობა სახელდება.

ზოგადი კონტექსტი

პირადი გამოცდილების მსგავსად, ზოგადად, ქურდობის/ძარცვის ჩადენის მიზეზად ოჯახის **ცუდი ფინანსური მდგომარეობა** მიიჩნევა. თავს იჩენს სხვა სოციალური ფაქტორებიც: **მსგავსი დანაშაულებრივი წარსულის მქონე პირების** ყოლა საახლობლო გარემოში, **საბანკო ვალის/სესხის** ქონა და ა.შ.; ამასთანავე, ორივე სამიზნე ჯგუფის რესპონდენტებმა გამოყვეს **აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება,** რამაც ადამიანს დანაშაულის ჩადენისკენ შეიძლება უბიძგოს.

ორივე სამიზნე ჯგუფის რესპონდენტების შეფასებით, მათ საცხოვრებელ გარემოში ქურდობისა და, განსაკუთრებით, ძარცვის ჩადენის დონე უნდა შეფასდეს როგორც უფრო დაბალი, ვიდრე მაღალი; თუმცა, ბოლო 5 წლის განმავლობაში, რესპონდენტების შეფასებით, დანაშაულის ჩადენა, განსაკუთრებით, ქურდობის მიმართულებით, გახშირდა.

ორივე ჯგუფის რესპონდენტების დაახლოებით მესამედი მიიჩნევს, რომ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისა (ქურდობა/ძარცვა) და ნარკოდანაშაულის ჩადენის სიხშირე თანაბარია. ამ ორი დანაშაულის სიმძიმის შეფასებისას, აღმოჩნდა, რომ რესპონდენტები დანაშაულის ამ ტიპებს, ძირითადად, არ ასხვავებენ ერთმანეთისგან; თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ნარკოტიკული საშუალებების გასაღება სხვადასხვა ასაკობრივ და სოციალურ ჯგუფში მათ გავრცელებას ნიშნავს, ინდივიდები ნარკოდანაშაულს მაინც უფრო მძიმე დანაშაულად მიიჩნევენ. უფრო კონკრეტულად, რესპონდენტები შედარებით ლოიალურად არიან განწყობილები, როდესაც საქმე ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებას შეეხება. თუმცა, მათი შეხედულება მკვეთრად იცვლება, როდესაც ნარკოტიკული საშუალებების გასაღებას აფასებენ. ამ უკანასკნელს ყოველი მეორე რესპონდენტი უფრო მძიმე დანაშაულად მიიჩნევს, ქურდობა/ძარცვასთან შედარებით.

ყოფილი მსჯავრდებულებიც და ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრების დიდი ნაწილიც მიიჩნევს, რომ დემოგრაფიულ მახასიათებლებს, როგორებიცაა, განათლება, ასაკი, ოჯახური მდგომარეობა და, განსაკუთრებით, რელიგიურობა, დანაშაულის ჩადენაზე არსებითი გავლენა არ აქვს. თუმცა, განათლება, ასაკი და ოჯახური მდგომარეობა შეიძლება გარკვეული ირიბი გავლენის მატარებელი იყოს. ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენის მქონე ცვლადი აღმოჩნდა **სქესი:** რესპონდენტების უმრავლესობის შეფასებით, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშა-

ულის (ქურდობა/ძარცვა) პოტენციური ჩამდენები, ძირითადად, მამრობითი სქესის წარმომადგენლები არიან. საბოლოო ჯამში, ორივე სამიზნე ჯგუფის რესპონდენტები საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) **ჩამდენი პირების შემდეგ სოციალურ-დემოგრაფიულ პორტრეტს ქმნიან: საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი, როგორც წესი, მამრობითი სქესის ადამიანია, რომელსაც, მოსალოდნელია, რომ არ აქვს მიღებული სრული საშუალო განათლება, არ არის დასაქმებული, არის თინეიჯერი ან სრულწლოვანი ახალგაზრდა და არ არის დაოჯახებული.**

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) შესახებ არსებული პოლიტიკა

კვლევის ფარგლებში, ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები 4 პერიოდის გათვალისწინებით გაანალიზდა: წინასწარი პატიმრობა, სასჯელის მოხდა (პატიმრობა), პირობითი მსჯავრის მოხდა და სასჯელის მოხდის (პატიმრობის დასრულების) შემდგომი პერიოდი.

აღსანიშნავია, რომ წინასწარი პატიმრობისა და პირობითი მსჯავრის მოხდის პერიოდში ორივე ჯგუფის რესპონდენტების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ მსჯავრდებულების მიმართ ადამიანის უფლებები არ ირღვევა. საინტერესოა სასჯელის მოხდის პერიოდში არსებული ვითარება – ერთი მხრივ, ყოფილი მსჯავრდებულები მიიჩნევენ, რომ არც ამ ეტაპზე იკვეთება ამ მიმართულებით პრობლემები, ხოლო მსჯავრდებულების ოჯახის წევრები ეთანხმებიან მოსაზრებას, რომ საქართველოში პატიმრობის პერიოდში მსჯავრდებულთან მიმართებით ადამიანის უფლებები ირღვევა. რაც შეეხება კონკრეტულ ფაქტებს, რესპონდენტების ინფორმაციით, ყველაზე ხშირად **ციხის თანამშრომლებისა და მსჯავრდებულებისგან ფიზიკური უსაფრთხოება ირღვევა.** განსხვავებულ ეტაპებზე თავს იჩენს **ციხეში ღირსეული ცხოვრების პირობებისა და სამედიცინო სერვისების მიღების** პრობლემურობა; აგრეთვე, პირობითი მსჯავრდებულების შემთხვევაში, პოლიციის კონტროლის გარეშე **თავისუფალი გადაადგილების უფლებების** დარღვევა.

გამოკითხვა აჩვენებს, რომ ყოფილი მსჯავრდებულები მათი უფლებების დარღვევის შესახებ ყველაზე მეტად **პატიმრობის შემდგომ პერიოდზე** მიუთითებენ, როდესაც რეინტეგრაციისა და რესოციალიზაციის გავლა უწევთ. ამ პროცესში თითქმის ყოველი მეორე ყოფილი მსჯავრდებული თავს დაუცველად და დაჩაგრულად მიიჩნევს.

მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხულთა შეფასებით (ყოფილი მსჯავრდებულები 50%-68%, ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები 53%-63%), საქართველოში ჩადენილი დანაშაულის სამართლიანი, თანაზომიერი სასჯელის პოლიტიკა

ტარდება და, მსჯავრდებულები სამედიცინო, ფსიქოლოგიურ და სოციალურ საჭიროებებზე მორგებული მომსახურებებით, ძირითადად, უზრუნველყოფილნი არიან, ყოფილი მსჯავრდებულების უმრავლესობა (54.3%) არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ სამართლებრივი პოლიტიკა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) შემცირებაზეა ორიენტირებული. ორივე ჯგუფის რესპონდენტების უმრავლესობა იზიარებს შეხედულებას, რომ სახელმწიფო დანაშაულთან ბრძოლის მიზნით დასჯის გარდა, სხვა დამცავ მექანიზმებსაც (სამედიცინო, სოციალური, საგანმანათლებლო, კულტურული) უნდა იყენებდეს. როგორც აღმოჩნდა, ადამიანის უფლებებისა და ინტერესების დაცვა კვლევაში მონაწილე პირების უმრავლესობისთვის პრიორიტეტული საკითხია, რადგან მათი აზრით, სისხლის სამართლის პოლიტიკის გატარებისას სახელმწიფოსთვის თანაბრად პრიორიტეტული უნდა იყოს როგორც დაზარალებულის, ისე დამნაშავის უფლებებისა და ინტერესების დაცვა.

გამოკითხვა აჩვენებს ორივე სამიზნე ჯგუფის რესპონდენტთა **ამბივალენტურ დამოკიდებულებას** დანაშაულთან ბრძოლის პოლიტიკის მიმართ: ერთი მხრივ, როგორც საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) წარსულში ჩამდენი პირები, ისე ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრების უმრავლესობამ მიიჩნია, რომ სახელმწიფომ კიდევ უფრო აქტიურად უნდა გამოიყენოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ალტერნატიული მექანიზმები (მაგ., განრიდება, პირობითი მსჯავრი და სხვ.). მეორე მხრივ, ორივე სამიზნე ჯგუფის უმრავლესობა იზიარებს შეხედულებას, რომ სახელმწიფო ვალდებულია კრიმინალთან ბრძოლაში ნულოვანი კომპრომისის მეთოდები გამოიყენოს და არა – ლიბერალური პოლიტიკა.

საქართველოს კანონმდებლობით გაწერილი ქურდობის/ძარცვის ფორმების შემთხვევაში, რესპონდენტების ორივე ჯგუფის უმრავლესობა თანხმდება, რომ **თავისუფლების აღკვეთა** უნდა გამოიყენებოდეს შემდეგ დანაშაულებთან მიმართებით:

- ქურდობა/ძარცვა ჩადენილი არაერთგზის
- ქურდობა/ძარცვა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ
- ქურდობა/ძარცვა ორგანიზებული ჯგუფის მიერ
- დიდი ოდენობით ქონების ქურდობა/ძარცვა
- ქურდობა/ძარცვა ჩადენილი იმ პირის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალვისთვის
- ქურდობა/ძარცვა, რომელმაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია

თავისუფლების აღკვეთის ზომის გამოყენების **არამართლზომიერებას** რესპონდენტები უფრო მეტად უკავშირებენ შემდეგ ქმედებებს:

- სატრანსპორტო საშუალების ქურდობა/ძარცვა
- მაგისტრალური მილსადენიდან ნავთობის ან გაზის ქურდობა/ძარცვა.

1. ინფორმირებულობის დონე

კვლევის საწყის ეტაპზე შეფასდა რესპონდენტების ინფორმირებულობა, კონკრეტულად კი, პენიტენციურ დაწესებულებაში აღმოჩენამდე, იცოდნენ თუ არა, თუ რა სამართლებრივ შედეგებს/სასჯელ(ებ)ს შეიცავს საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ისეთი სახეები, როგორიცაა ძარცვა და ქურდობა. როგორც აღმოჩნდა, დანაშაულის ჩამდენი პირების 42.8%-ს ძარცვის სამართლებრივი შედეგების შესახებ არ ჰქონდა ინფორმაცია, 39.3% – ნაწილობრივ ფლობდა ინფორმაციას. მეხუთედზე მცირეა მათი წილი (17.3%), ვინც იცოდა, თუ რა სასჯელი შეიძლება მოჰყვეს ძარცვის ფაქტს. რაც შეეხება ქურდობას, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი პირების 39.3% ნაწილობრივ ფლობდა ინფორმაციას, 31.8%-ს კი არ ჰქონდა შესაბამისი ინფორმაცია. ამ შემთხვევაში, მეოთხედს აჭარბებს მათი წილი (28.3%), ვინც ქურდობის სამართლებრივი შედეგების შესახებ ინფორმირებული იყო. დანაშაულის ორივე ტიპის შემთხვევაში, მხოლოდ თითო-თითო ადამიანი აღმოჩნდა, რომელთაც პასუხის გაცემა გაუჭირდათ. იდენტური ტიპის შეკითხვა მსჯავრდებულების ოჯახის წევრებსაც დაესვათ. როგორც აღმოჩნდა, მათ თითქმის ნახევარს (47.9) ოჯახის წევრის დაჭერამდე არ ჰქონდა ინფორმაცია ძარცვის სამართლებრივი შედეგების შესახებ, 32.9%-მა მიუთითა, რომ მსგავს ინფორმაციას ნაწილობრივ ფლობდა; გამოკითხულთა მეხუთედზე ნაკლები (17.9%) აღმოჩნდა იმ რესპონდენტების წილი, რომლებიც სასჯელის შესახებ სწორ ინფორმაციას ფლობდნენ. რაც შეეხება ქურდობის სამართლებრივ შედეგებს, როგორც ჩანს, ოჯახის წევრის დაპატიმრებამდე გამოკითხულთა 42.9% შესაბამის ინფორმაციას არ ფლობდა, ნაწილობრივ ინფორმირებული იყო 37.1%. მსჯავრდებულების ოჯახის წევრების 18.6%-ის შეფასებით კი, მათ იცოდნენ, თუ რა სასჯელი შეიძლებოდა მოჰყოლოდა ქურდობას. ამ ჯგუფის რესპონდენტთა შორის 3-3 ადამიანი აღმოჩნდა, რომელთაც, დანაშაულის ტიპის გათვალისწინებით, გაუჭირდათ პასუხის გაცემა.

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი პირების 37.2%-ის აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი ზიანი, რაც იმ პირს ადგება, ვისაც უშუალოდ დანაშაული არ ჩაუდენია, არის ფსიქიკური ზიანი, 32.7% – ეკონომიკურ, ხოლო 28.2% – სოციალურ ზიანს ასახელებს. როგორც ჩანს, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი პირები ყველაზე მეტად იმ ფსიქოლოგიურ პრობლემებს განიცდიან, რომლებიც მათი ოჯახის წევრებს ექმნებათ. აქვე გასათვალისწინებელია, რომ როგორც სოციალური, ისე ეკონომიკური ზიანი უშუალოდ არის დაკავშირებული და ნეგატიური გავლენა შეიძლება იქონიოს დამნაშავის ოჯახის წევრებისა თუ ახლობლების ფსიქიკურ მდგომარეობაზე. აღსანიშნავია, რომ მსჯავრდებულების ოჯახის წევრების 38.9%-ის შეფასებითაც, ყველა-

ზე მნიშვნელოვანი ზიანი დამნაშავის ოჯახის წევრების/ახლობლების ფსიქოლოგიური მდგომარეობის გაუარესებაა. შემდგომ პოზიციას ეკონომიკური ზიანი იკავებს 35.4%-ით, ხოლო შედარებით უმნიშვნელოდ მსჯავრდებულების ოჯახის წევრები სოციალურ ზიანს მიიჩნევენ (24.8%) (იხ. დიაგრამა №1.1).

დიაგრამა №1. თქვენი შეფასებით, ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი?



როგორც შედეგების მიხედვით ირკვევა, ფსიქოლოგიური და ეკონომიკური ზიანი, რაც მსჯავრდებულების გარშემომყოფებს ექმნებათ, გაცილებით აღემატება სოციალური კავშირების გაწყვეტითა და გარიყვით გამოწვეულ დისკომფორტს.

2. პირადი გამოცდილება

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი პირების უმრავლესობა (68.8%) მიუთითებს, რომ ქურდობის (სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით) გამო გასამართლდნენ, ხოლო 30.1% – ძარცვისთვის. საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი პირების ოჯახის წევრებიც იზიარებენ მსგავს შეხედულებას – მათი ახლობლების უმრავლესობა (70.7%) ქურდობის გამო გაასამართლეს. დამნაშავეების დიდ უმრავლესობას (83.1%) **თავისუფლების აღკვეთა** შეეფარდა. მათ შორის ყველაზე ხშირი 3-დან 4 წლამდე პატიმრობის ვადაა, რასაც 32.9% ასახელებს. საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი პირების 17.8%-ის ინფორმაციით, მათ მიერ ჩადენილი დანაშაული 4-დან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებდა, ხოლო 15.1%-ის შეფასებით – 2-დან 3 წლამდე.

ოჯახის წევრების თითქმის 90%-ის მითითებით, მსჯავრდებულს თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა, რაც 23.7%-ის შემთხვევაში 3-დან 4 წლამდე პატიმრობის ვადას ითვალისწინებს, 20.6%-ის შემთხვევაში კი – 2-დან 3 წლამდე პერიოდს. საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი პირების ოჯახის წევრების 18.3%-ის ინფორმაციით, მსჯავრდებულს 4-დან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთა აქვს მისჯილი (იხ. ცხრილი №2.1).

ცხრილი №2.1

თავისუფლების აღკვეთა	საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=152)	ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები (N=164)
1-დან 2 წლამდე	7.9%	3.1%
2-დან 3 წლამდე	15.1%	20.6%
3-დან 4 წლამდე	32.9%	23.7%
4-დან 5 წლამდე	17.8%	18.3%
5-დან 6 წლამდე	7.9%	15.3%
6-დან 7 წლამდე	9.2%	6.9%
7-დან 8 წლამდე	1.3%	2.3%
8-დან 9 წლამდე	3.3%	3.1%
9-დან 10 წლამდე	3.3%	1.5%
10 წელი ან მეტი	1.3%	5.3%

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი პირების 10%-საც კი არ აჭარბებს მათი წილი (9.8%, N=18), ვისთვისაც დაკისრებული სასჯელი ჯარიმას ითვალისწინებდა. ოჯახის წევრების გამოკითხვის (ანუ, ამჟამინდელი მსჯავრდებულების) შემთხვევაში, ეს მაჩვენებელი 3.4%-ს (N=14) უტოლდება. რაც შეეხება ჯარიმის ოდენობას, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი პირების მეოთხედზე მეტმა (27.8%) 3000 ლარი დაასახელა, თანაბარი 16.7%-16.7%-ითაა წარმოდგენილი 5000 და 10000 ლარის ოდენობის ჯარიმის შემთხვევები. გამოკითხულთა 11.1%-მა მიუთითა, რომ მისთვის დაკისრებული ჯარიმა 2000 ლარს შეადგენდა. პროცენტულად ყველაზე დაბალი მაჩვენებლით 1000, 3500, 4000 ლარის ოდენობის ჯარიმებია წარმოდგენილი (თანაბარი 5.6%). საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის (ქურდობა/ძარცვა) გასამართლებული პირების 11.1%-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა. მსჯავრდებულების ოჯახის წევრების 45.5%-ის შეფასებით, დაკისრებული ჯარიმა 5000 ლარს უტოლდება, ხოლო მეოთხედზე მეტის (27.3%) ინფორმაციით – 2000 ლარს. გამოკითხულთა თითქმის მეხუთედი (18.2%) აღნიშნავს, რომ ჯარიმის ოდენობა 10000 ლარს შეადგენს, ხოლო 10%-საც ვერ აღწევს მათი წილი, ვინც ჯარიმად 6000 ლარს ასახელებს[4] (იხ. ცხრილი №2.2).

ცხრილი №2.2

ჯარიმის ოდენობა	საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=18)	ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები (N=14)
1000 ლარი	5.6%	-
2000 ლარი	11.1%	27.3%
3000 ლარი	27.8%	-
3500 ლარი	5.6%	-
4000 ლარი	5.6%	-
5000 ლარი	16.7%	45.5%
6000 ლარი	-	9.1%
10000 ლარი	16.7%	18.2%
მიჭირს პასუხის გაცემა/ უარი პასუხზე	11.1%	-

4 ჯარიმის ოდენობები დათვლილია რესპონდენტთა (ყოფილ მსჯავრდებულთა ან ახლანდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრთა) იმ ჯგუფებში, რომლებმაც აღნიშნეს, რომ სასჯელის ზომა იყო ჯარიმის დაკისრება.

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის (ქურდობა/ძარცვა) გასამართლებული პირების 6%-ის შეფასებით (N=11), სასჯელი **შინაპატიმრობას** ითვალისწინებდა. მსგავსი პოზიცია უკავია ოჯახის წევრების 6.8%-ს (N=5). რაც შეეხება სასჯელის ვადას, დანაშაულის ჩამდენი პირების უმრავლესობამ (54.5%) აღნიშნა, რომ 4 თვის ვადით მოუწია შინაპატიმრობაში ყოფნა, შემდგომი პოზიცია კი 5 თვის ხანგრძლივობამ დაიკავა (27.3%). რესპონდენტების 18.2%-მა დაასახელა შინაპატიმრობა 3-თვიანი ვადით. ოჯახის 3 წევრის შეფასებით, სასჯელი 4-თვიან შინაპატიმრობას ითვალისწინებდა, ხოლო თითო-თითო რესპონდენტმა 3 თვე ან 1 წელი მიუთითა.[5]

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი პირების 1.1%-ის (N=2) მითითებით, მათ 2 წლის ვადით პირობითი მსჯავრი შეეფარდათ.

კვლევის ფარგლებში შეფასდა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) **გამომწვევი ფაქტორებიც,** თუ რა შეიძლება იყოს მსგავსი დანაშაულის ჩადენის მიზეზი. რესპონდენტებს რამდენიმე პასუხის გაცემის შესაძლებლობა ჰქონდათ. როგორც აღმოჩნდა, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი პირების მეხუთედზე მეტმა (21.3%) დანაშაული საკუთარი ან ოჯახის ცუდი ფინანსური მდგომარეობის გამო ჩაიდინა. შემდგომ პოზიციას საახლობლო გარემოში მსგავსი დანაშაულებრივი წარსულის მქონე პირების ყოლა და მათი გავლენა იკავებს (19%). დამნაშავის ოჯახის წევრების 34.6%-ის აზრით, სწორედ ეს უკანასკნელი ფაქტორია მათი ახლობლების მიერ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩადენის მნიშვნელოვანი მიზეზი. ამ ჯგუფის რესპონდენტების თითქმის მეხუთედი (19.2%) ფიქრობს, რომ დანაშაულის ჩადენა ოჯახის ცუდმა ფინანსურმა მდგომარეობამ განაპირობა (იხ. ცხრილი №2.3).

5 ამ შემთხვევაშიც შინაპატიმრობის ხანგრძლივობა დათვლილია რესპონდენტთა (ყოფილ მსჯავრდებულთა ან ახლანდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრთა) იმ ჯგუფებში, რომლებმაც აღნიშნეს, რომ სასჯელის ზომა იყო ჯარიმის დაკისრება.

ცხრილი №2.3

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩადენის მიზეზი	საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=173)	ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები (N=175)
მსგავსი დანაშაულებრივი წარსულის მქონე პირების ყოლა საახლობლო გარემოში და მათი გავლენა	19%	34.6%
არაინფორმირებულობა ძარცვის/ ქურდობის თანმხლები რისკების შესახებ	6.7%	5%
არასრულფასოვანი აღზრდა (მშობლების/საგანმანათლებლო დაწესებულებების მხრიდან გამოხატული უყურადღებობა)	2%	1.3%
ჩემი/ჩემი ოჯახის ცუდი ფინანსური მდგომარეობა	21.3%	19.2%
განსხვავებული ღირებულებების ქონა	5.7%	4.2%
ინფორმაციის ნაკლებობა მოსალოდნელი სასჯელის შესახებ	5.7%	6.7%
კრიმინალური სუბკულტურის კუთვნილება	1%	2.5%
საბანკო/ არასაბანკო ვალი/სესხები	11%	5.8%
აზარტული თამაშებით გამოწვეული ფინანსური ვალდებულებები	8.3%	7.9%
უთანასწორო სოციალურ-ეკონომიკური გარემო (საკუთარი თავის რეალიზაციის შეუძლებლობა საზოგადოებაში)	8.7%	5.8%
სხვა	3.7%	0.4%
მიჭირს პასუხის გაცემა/უარი პასუხზე	7%	6.7%

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი პირები, ძირითადად, შუალედურ პოზიციას იკავებენ იმის შესაფასებლად, თუ რამდენად შეესაბამებოდა მათ მიერ ჩადენილ დანაშაულს დაკისრებული სასჯელი. შეფასება გაკეთდა 4-ქულიან სკალაზე, რომელზეც ქულა 1 აღნიშნავდა კატეგორიას „სრულიად შეესაბამება“, ხოლო ქულა 4 კატეგორიას – „საერთოდ არ შეესაბამება“. დანაშაულის ჩამდენი პირების 53.2%-ის აზრით, სასჯელი ჩადენილ დანაშაულს შეესაბამებოდა (მათ შორის, 19.1% „სრულიად შეესაბამება“). მსჯავრდებულების ოჯახის წევრების უმრავლესობაც (55%) მიიჩნევს, რომ სასჯელი ჩადენილ დანაშაულს შეესაბამებოდა. მხოლოდ 7.1%-ია, ვისი შეფასებაც უკიდურესად ნეგატიურია – მათი აზრით, დაკისრებული სასჯელი ჩადენილ დანაშაულს საერთოდ არ შეესაბამებოდა (იხ. დიაგრამა №2.1).

დიაგრამა №2.1. თქვენი შეფასებით, თქვენთვის / თქვენი ოჯახის წევრისთვის დაკისრებული სასჯელი რამდენად შეესაბამება რეალურად ჩადენილ დანაშაულს? (%)



როგორც საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი პირების (60.1%), ისე მათი ოჯახის წევრების უმრავლესობა (62.9%) მიუთითებს, დანაშაულის შინაარსს შეადგენდა ქურდობა კერძო საკუთრებაში შეღწევით. სხვა თანმხლებ გარემოებებთან მიმართებით, ორივე ჯგუფის რესპონდენტებმა უარყოფითი პასუხები გასცეს: მათი შეფასებით, ჩადენილ დანაშაულს არ ახლდა იმგვარი ძალადობა, რომელიც არ არის საშიში სიცოცხლის ან ჯანმრთელობისთვის; ასევე, ამ დანაშაულს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ზიანი არ გამოუწვევია; დანაშაულებრივი ქმედება არც ორგანიზებული და წინასწარ შეთანხმებული არ ყოფილა. რესპონდენტთა ჯგუფების მიხედვით პროცენტული გადანაწილება დეტალურად მოცემულია ცხრილში №2.4.

ცხრილი №2.4

რამდენად ახლდა თქვენ მიერ/თქვენი ოჯახის წევრის მიერ ჩადენილ საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს (ქურდობა/ძარცვა) ქვემოთ ჩამოთვლილი გარემოებები?	საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=173)			ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები (N=175)		
	დიახ	არა	მიჭირს პასუხის გაცემა/უარი პასუხზე	დიახ	არა	მიჭირს პასუხის გაცემა/უარი პასუხზე
საკუთრების წინააღმდეგ მიმართულმა ჩადენილმა დანაშაულმა (ქურდობა/ ძარცვა) მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია საზოგადოებისთვის	23.7%	74%	2.3%	35%	60%	5%
საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ჩადენილი დანაშაული (ქურდობა/ ძარცვა) ორგანიზებული და წინასწარ შეთანხმებული იყო ჯგუფის მიერ	20.8%	77.5%	1.7%	25%	70.7%	4.3%
ქურდობა კერძო საკუთრებაში შეღწევით	60.1%	37.6%	2.3%	62.9%	33.6%	3.6%
საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ ჩადენილ დანაშაულს (ქურდობა/ ძარცვა) თან ახლდა ძალადობრივი ქმედებები, რომლებიც საშიში არ იყო სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის	16.8%	81.5%	1.8%	22.9%	76.4%	0.7%
სხვა	2.9%	80.9%	16.2%	3.6%	90.7%	5.7%

კვლევის შემდგომ ეტაპზე შეფასდა, **ბოლო ნასამართლეობამდე იყვნენ თუ არა ყოფილი და ამჟამინდელი მსჯავრდებულები ძარცვის ან ქურდობისთვის გასამართლებულნი.** როგორც აღმოჩნდა, ყოფილი მსჯავრდებულების დიდი უმრავლესობა (82.1%) ბოლო შემთხვევამდე არ ყოფილა გასამართლებული, მხოლოდ 17.9%-

მა (N=31) მიუთითა, რომ სხვა მსგავსი გამოცდილება ჰქონია. სწორედ ამ რესპონდენტების უმრავლესობამ (71%, N=22) აღნიშნა, რომ ასეთი შემთხვევა მხოლოდ ერთხელ იყო. მეხუთედს აღემატება მათი წილი (22.6%, N=7), ვინც ბოლო ნასამართლეობამდე ორჯერ ყოფილა ქურდობისთვის/ძარცვისთვის გასამართლებული; 6.5%-ს კი (N=2) სამჯერ ნასამართლეობის გამოცდილება აქვს.

როგორც აღმოჩნდა, ერთი ნასამართლეობის მქონე ყოფილ მსჯავრდებულთა ნახევარზე მეტი (54.8% ანუ 12 ყოფილი მსჯავრდებული) 177-ე მუხლით იყო გასამართლებული; 3 რესპონდენტი (12.9%) 178-ე მუხლით გასამართლდა; 2 რესპონდენტი (6.5%) 265-ე, ხოლო 1 რესპონდენტი – 277-ე მუხლით იყვნენ გასამართლებულები. 4 ყოფილ მსჯავრდებულს (22.6%) პასუხის გაცემა გაუჭირდა ან უარი განაცხადა პასუხზე.

ბოლო ნასამართლეობის გარდა, ორი ნასამართლეობის მქონე პირთა თანაბარმა რაოდენობამ (N=3) მიუთითა, რომ მეორედ 177-ე და 178-ე მუხლით გასამართლდა. ერთადერთმა რესპონდენტმა მიუთითა, რომ 265-ე მუხლით გასამართლდა, ხოლო ორმა უარი განაცხადა პასუხზე. იმ პირებმა კი, რომელთაც სამი ნასამართლეობა აქვთ, მესამე ნასამართლეობის მუხლის დასახელებისგან თავი შეიკავეს.

რაც შეეხება ამჟამინდელ მსჯავრდებულებს, მათი ოჯახის წევრების 80.7% აცხადებს, რომ მათი ოჯახის წევრი (ამჟამინდელი მსჯავრდებული) ბოლო ნასამართლეობამდე გასამართლებული არ ყოფილა. შესაბამისად, დაახლოებით მეხუთედია მათი წილი (19.3%, N=34), ვისი ოჯახის წევრსაც ქურდობისთვის/ძარცვისთვის გასამართლების სხვა გამოცდილებაც აქვს. მათ შორის უმრავლესობას (85.2%, N=29) ბოლო ნასამართლეობამდე მხოლოდ ერთი დანაშაული აქვს ჩადენილი, ხოლო თანაბარი რაოდენობით არიან წარმოდგენილნი (N=3) ორი და სამი დანაშაულის ჩამდენი მსჯავრდებულები.

ბოლო ნასამართლეობის გარდა, ერთი ნასამართლეობის მქონე მსჯავრდებულების ოჯახის წევრების 37%-მა მიუთითა, რომ მსჯავრდებული 177-ე მუხლით იყო გასამართლებული, ხოლო რამდენიმემ (N=3) – 178-ე მუხლი დაასახელა. იმის გათვალისწინებით, რომ ამ ჯგუფის შემთხვევაში შეკითხვები შეეხება არა უშუალოდ რესპონდენტს, არამედ მისი ოჯახის წევრს, გამოკითხულთა ნახევარზე მეტს (55.6%) პასუხის გაცემა გაუჭირდა.

იდენტური მდგომარეობაა ქურდობისთვის/ძარცვისთვის სხვა ორი ნასამართლეობის მქონე მსჯავრდებულების შემთხვევაშიც: მსგავსი გამოცდილების მქონე ერთადერთმა პირმა მიუთითა, რომ მათი ოჯახის წევრი 177-ე მუხლით გასამართლდა, ხოლო 4 მათგანს გაუჭირდა პასუხის გაცემა. მესამე ნასამართლეობის გამოცდილე-

ბის მქონე პირების ოჯახის წევრებმა ვერ შეძლეს იმ მუხლის დასახელება, რომლითაც მსჯავრდებული გასამართლდა.

კვლევის ფარგლებში, ყოფილი და ამჟამინდელი მსჯავრდებულების ზოგადი პროფილის უკეთ გასაანალიზებლად, **სხვა ტიპის დანაშაულის ჩადენის ფაქტებიც** გამოვლინდა. როგორც საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულების 90.8%-მა მიუთითა, სხვა არცერთი დანაშაულისთვის არ ყოფილან გასამართლებულები. შესაბამისად, მსგავსი გამოცდილება მხოლოდ 9.2%-ს (N=16) აქვს; მათგან პრაქტიკულად ყველა (N=15) აღნიშნავს, რომ ერთხელ ყოფილა ნასამართლევი; ერთი რესპონდენტი კი სხვა დანაშაულისთვის გასამართლების 2 შემთხვევაზე მიუთითებს.

სხვა დანაშაულისთვის ერთხელ ნასამართლეობის შემთხვევაში, ყოფილმა მსჯავრდებულებმა 177-ე (N=4), 239-ე (N=3), 271-ე (N=2), 273-ე (N=1) მუხლები დაასახელეს. პირი, რომელიც ორჯერ იყო გასამართლებული, აღნიშნავს, რომ მეორედ 265-ე მუხლით გაასამართლეს.

ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრების 88.6%-ის შეფასებით, მსჯავრდებული სხვა დანაშაულისთვის არ ყოფილა გასამართლებული. შესაბამისად, სხვა დანაშაულისთვის გასამართლების გამოცდილებას 7.9% (N=14) გამოყოფს. რაც შეეხება ჩადენილი დანაშაულის რაოდენობას, მსგავსი გამოცდილების მქონე პირების ოჯახის წევრების 90.9% (N=13) მიუთითებს, რომ მხოლოდ ერთი დანაშაული აქვს ჩადენილი, ხოლო ერთადერთი ადამიანის შეფასებით – ორი.

ქურდობისა და ძარცვის გარდა ჩადენილი ერთი დანაშაულის შემთხვევაში, ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრების 27.3%-მა (N=4) მიუთითა, რომ პირი 180-ე მუხლით გასამართლდა; სამი რესპონდენტის აღნიშვნით – 261-ე მუხლით, ხოლო ორი რესპონდენტი ამბობს, რომ მისი ოჯახის წევრი 273-ე მუხლით იყო ნასამართლევი. ხუთ რესპონდენტს გაუჭირდა მათი ოჯახის წევრის სხვა დანაშაულზე ნასამართლეობის კონკრეტული მუხლის დასახელება.

კვლევის შემდგომ ეტაპზე შეფასდა, თუ **რამდენად მიჩნევენ ყოფილი მსჯავრდებულები ან ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები, რომ მათ (მათი ოჯახის წევრებმა) ნამდვილად ჩაიდინეს ის ბოლო საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (ქურდობა/ძარცვა), რომლის გამოც სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხვდნენ.** საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულების 83.8% მიიჩნევს, რომ დანაშაული ნამდვილად ჩაიდინეს. მსგავს პოზიციას იზიარებს ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრების 70.7%-იც. ყოფილი მსჯავრდებულების 10.4%-ის (N=18) აზრით,

მათ ეს კონკრეტული დანაშაული არ ჩაუდენიათ. ამის ახსნას ისინი სხვადასხვა ფაქტორით ცდილობენ: მესამედი ჩადენილ ქმედებას დანაშაულად არ მიიჩნევს; კიდევ მესამედი აცხადებს, რომ ჩადენილი დანაშაული მათ დაბრალდათ. საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის (ქურდობა/ძარცვა) გასამართლებული ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრების 16.4% მიიჩნევს, რომ მათ ახლობელს ეს კონკრეტული დანაშაული არ ჩაუდენია. მიზეზად კი ასახელებენ გარემოებას, რომ მსჯავრდებულს დანაშაული დააბრალეს (51.2%) ან არასწორი მუხლით გაასამართლეს (18.6%), ან თავად რესპონდენტები მძიმე ცხოვრების პირობებში ჩადენილ დანაშაულს დანაშაულად არ აღიქვამენ (11.6%). ორივე ჯგუფის რესპონდენტების შეხედულებების დეტალური პროცენტული გადანაწილება იხილეთ დიაგრამაზე №2.2.

დიაგრამა №2.2. რატომ ფიქრობთ, რომ თქვენ / თქვენი ოჯახის წევრს ეს კონკრეტული ქმედება არ ჩაგიდენიათ / ჩაუდენია?



თრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულების 4.6% (N=8) მიიჩნევს, რომ დანაშაული საერთოდ არ ჩაუდენია; იმავეს ფიქრობს ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრების 1.4% (N=3).

გამოკითხვამ აჩვენა რესპონდენტთა დამოკიდებულება იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად **სამართლიანი/პროპორციული იყო დაკისრებული სასჯელი.** საინტერესოა, რომ ყოფილი მსჯავრდებულების ნახევარი (50.3%) არასამართლიანად მიიჩნევს დაკისრებულ სასჯელს; 38.7% ფიქრობს, რომ განაჩენი დანაშაულის პროპორციულია, ხოლო დანარჩენი 11% უარს აცხადებს პასუხის გაცემაზე ან უჭირს შეფასება.

იმ პირების 42.1% კი, რომელთა ოჯახის წევრი ამჟამად მსჯავრდებულია, მიიჩნევს, რომ დაკისრებული სასჯელი ჩადენილი დანაშაულისთვის სამართლიანი იყო. ამ შემთხვევაში უარყოფითი პასუხი აქვს 38.6%-ს. შესაბამისად, თითქმის მეხუთედს (19.3%) პასუხის გაცემა უჭირს.

გამოკითხვის შემდგომ ეტაპზე შეფასდა ის **სოციალური, სამედიცინო თუ ფსიქოლოგიური პრობლემები, რომლებიც, შესაძლოა, პირის პატიმრობაში/პრობაციაში ყოფნას მოჰყოლოდა.** როგორც საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის (ქურდობა/ძარცვა) გასამართლებულ ყოფილ მსჯავრდებულთა 17.5% აღნიშნავს, მათ დასაქმების კუთხით შეექმნათ პრობლემა. რესპონდენტების ნაწილმა (12.8%) პოლიციის მხრიდან ხშირ კონტროლზე მიუთითა. შემდგომი პოზიცია დაიკავა შექმნილმა ჯანმრთელობის პრობლემებმა 11.4%-ის შეფასებით, მათ ჯანმრთელობის ქრონიკული პრობლემა გაუჩნდათ, რომელიც მკურნალობას არ ექვემდებარება. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე ყოფილმა მსჯავრდებულმა შემდეგი პრობლემები დაასახელა: „გავხდი ნარკოტიკების ინტენსიური მომხმარებელი“ და „დამიქვეითდა ან დავკარგე შრომის უნარი“. ეს უკანასკნელი უშუალოდ არის დაკავშირებული დასაქმების კუთხით შექმნილ პრობლემასთან.

ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრების თითქმის მეხუთედს უჭირს მათი ახლობლის პატიმრობით გამოწვეულ პრობლემებზე საუბარი (ამის მიზეზი, შესაძლოა, პატიმრისგან მიღებული არასრულყოფილი ინფორმაცია იყოს). გამოკითხულთა 14.3% ყურადღებას ჯანმრთელობის შექმნილ პრობლემებზე ამახვილებს. შემდგომ პოზიციას კი სამსახურის დაკარგვის კატეგორია იკავებს, რასაც რესპონდენტების 10% ასახელებს. საგულისხმოა, რომ მსჯავრდებულების ოჯახის წევრების 7.6% გამოყოფს მათი ოჯახის წევრ მსჯავრდებულზე პოლიციის მხრიდან ხშირ კონტროლს. ზოგიერთ შემთხვევაში ქონების დაკარგვისა (5.7%) და ოჯახის დანგრევის (6.7%) ფაქტებიც სახელდება.

პატიმრობის შედეგად გაჩენილი სოციალური, სამედიცინო თუ ფსიქოლოგიური პრობლემების შესახებ დეტალური გადანაწილება იხილეთ ცხრილში №2.5.

ცხრილი №2.5

მოჰყვა თუ არა ქვემოთ ჩამოთვლილი სოციალური, სამედიცინო და ფსიქოლოგიური პრობლემები პატიმრობაში/პრობაციაში თქვენს/თქვენი ოჯახის წევრის ყოფნას?	საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=173)	ამჟამინდელი მსჯავრდებულე-ბის ოჯახის წევ-რები (N=175)
შემექმნა/შეექმნა ჯანმრთელობის ქრონიკული პრობლემა, რომელიც არ ექვემდებარება მკურნალობას	2.2%	2.4%
შემექმნა/შეექმნა ჯანმრთელობის პრობლემა, რომელიც ხანგრძლივ მკურნალობას საჭიროებს	11.4%	14.3%
დამენგრა/დაენგრა ოჯახი	3.9%	6.7%
დამიქვეითდა/დაუქვეითდა ან დავკარგე/ დაკარგა შრომის უნარი	1.7%	1.9%
მიჭირს/უჭირს სხვა ადამიანებთან კონტაქტი (ოჯახის წევრების ჩათვლით)	4.4%	4.3%
დავკარგე/დაკარგა ქონება	4.4%	5.7%
დავკარგე/დაკარგა სამსახური	6.9%	10%
გავხდი/გახდა ნარკოტიკების ინტენსიური მომხმარებელი	1.7%	-
გავხდი/გახდა ალკოჰოლის ინტენსიური მომხმარებელი	3.9%	0.5%
გავხდი/გახდა საძილე საშუალებებზე/ ფსიქოტროპულ ნივთიერებებზე დამოკიდებული (ვიდრე პატიმრობამდე)	3.9%	2.4%
გავხდი/გახდა დეპრესიული / დავკარგე/ დაკარგა აქტიური ცხოვრების ინტერესი	6.4%	8.6%
საზოგადოებამ გამრიყა/გარიყა / გავხდი/ გახდა სტიგმატიზებული	3.3%	1.9%
შემექმნა/შეექმნა პრობლემები დასაქმების კუთხით	17.5%	9%
შემეზღუდა/შეეზღუდა ქვეყნიდან გასვლის უფლება	8.1%	4.8%
ხშირად ვხდები/ხდება საპოლიციო კონტროლის ობიექტი	12.8%	7.6%
არცერთი	1.9%	1.4%
მიჭირს პასუხის გაცემა/უარი პასუხზე	5.6%	18.6%

პრობლემების გარდა, გამოკითხვის ფარგლებში, პატიმრობაში/პრობაციაში ყოფნის შესაძლო დადებითი შედეგებიც გაანალიზდა: საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულების თითქმის მეხუთედი (18.4%) აღნიშნავს, რომ იმ გარემოს ჩამოშორდა, რომელმაც თავის დროზე მასზე მავნე გავლენა იქონია. 10%-ს აღემატება მათი წილი, ვინც ამბობს, რომ ხელობას დაეუფლა (12.7%) ან დაიბრუნა აქტიური ცხოვრების ინტერესი/დაძლია დეპრესია (10.1%). აღსანიშნავია, რომ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის (ქურდობა/ძარცვა) გასამართლებული პირების 27.6%-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა ან თავი შეიკავა პასუხისგან.

რაც შეეხება ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრებს, მათი 29.4% ყველაზე მნიშვნელოვან დადებით შედეგად იმას ასახელებს, რომ მსჯავრდებული იმ გარემოს ჩამოშორდა, რომელმაც მასზე უარყოფითი გავლენა იქონია. 5.5% აღნიშნავს, რომ მათი ოჯახის წევრი დაეუფლა ხელობას. პასუხის სხვა კატეგორიები მინიმალური მაჩვენებლითაა წარმოდგენილი. ამ შემთხვევაშიც, რესპონდენტების 41.7%-ს გაუჭირდა პატიმრობის დადებითი შედეგების დასახელება, ხოლო 4.3%-მა თავი აარიდა პასუხს. გამომდინარე იქიდან, რომ ორივე ჯგუფში გამოკითხულთა დიდ ნაწილს გაუჭირდა პასუხის გაცემა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ როგორც **ყოფილი, ისე ამჟამინდელი მსჯავრდებულების სოციალიზაცია/რესოციალიზაცია ხელშესახები პოზიტიური შედეგების გარეშე მინდინარეობს.**

ჯგუფებს შორის მონაცემების დეტალური გადანაწილება იხილეთ ცხრილში №2.6.

ცხრილი №2.6

მოჰყვა თუ არა ქვემოთ ჩამოთვლილი დადებითი შედეგები პატიმრობაში/პრობაციაში თქვენს/ თქვენი ოჯახის წევრის ყოფნას?	საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=173)	ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები (N=175)
ჩამოვშორდი/ჩამოშორდა იმ გარემოს, რომელმაც თავის დროზე მავნე გავლენა იქონია	18.4%	29.4%
გავხდი/გახდა მეტად სოციალური/ კომუნიკაბელური	5.7%	1.8%
მივიღე/მიიღო არაფორმალური განათლება	3.1%	1.2%
დავეუფლე/დაეუფლა ხელობას	12.7%	5.5%
დავსაქმდი/დასაქმდა, გავხდი/ გახდა თვითდასაქმებული	7.5%	3.1%
დამიბრუნდა/დაუბრუნდა აქტიური ცხოვრების ინტერესი / დავძლიე/ დაძლია დეპრესია	10.1%	4.9%
ოჯახთან/ახლობლებთან დამილაგდა/დაულაგდა ურთიერთობა	6.6%	4.3%
ვისწავლე/ისწავლა ადამიანების ამოცნობა	6.1%	-
მივხვდი/მიხვდა, რომ დიდი შეცდომა დავუშვი	1.8%	-
დადებითი შედეგი არ მოჰყოლია	0.4%	3.7%
მიჭირს პასუხის გაცემა/უარი პასუხზე	27.6%	46%

კვლევის ფარგლებში, აგრეთვე, გაანალიზდა **უფლებადამცველ კერძო პირებთან, ორგანიზაციების წარმომადგენლებსა და სასულიერო პირებთან შეხვედრის გამოცდილება ყოფილ/ამჟამინდელ მსჯავრდებულებში.** როგორც აღმოჩნდა, ყოფილი მსჯავრდებულების უმრავლესობა (54.3%) ხშირად ხვდებოდა კერძო ადვოკატს, თუმცა 14.5% არასდროს შეხვედრია. მსგავს სურათს აჩვენებს რესპონდენტების ოჯახის წევრების გამოკითხვის შედეგებიც – 52.1% აღნიშნავს, რომ მსჯავრდებული ხშირად ხვდებოდა კერძო ადვოკატს. აღსანიშნავია, რომ კერძო ადვოკატის გარდა, სხვადასხვა ინდივიდთან თუ ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, მსჯავრდებულების

უმრავლესობას კონტაქტი არ ჰქონია. დანაშაულის ჩამდენი პირებისა და მათი ოჯახების წარმომადგენელთა უმრავლესობის შეხედულება თავს იყრის კატეგორიაში – „არასდროს“. კერძოდ, არასდროს შეხვედრია:

- სახაზინო ადვოკატს: ყოფილი მსჯავრდებულების – 51.4%, ხოლო ამჟამინდელი მსჯავრდებულების – 50%;
- სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლებს: ყოფილი მსჯავრდებულების – 59%, ამჟამინდელი მსჯავრდებულების – 45.7%;
- ადგილობრივი უფლებადაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებს: ყოფილი მსჯავრდებულების – 63%, ამჟამინდელი მსჯავრდებულების – 49.3%;
- საერთაშორისო უფლებადაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებს: ყოფილი მსჯავრდებულების – 65.3%, ამჟამინდელი მსჯავრდებულების – 50.7%;
- გაეროს/ევროსაბჭოს და სხვა საერთაშორისო სამთავრობათაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს: ყოფილი მსჯავრდებულების – 69.4%, ამჟამინდელი მსჯავრდებულების – 53.6%;
- საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის წარმომადგენლებს: ყოფილი მსჯავრდებულების – 68.2%, ამჟამინდელი მსჯავრდებულების – 56.4%;
- სასულიერო პირებს: ყოფილი მსჯავრდებულების – 50.3%, ამჟამინდელი მსჯავრდებულების – 47.1%.

როგორც ჩანს, რესპონდენტები, ძირითადად, კერძო ადვოკატის მომსახურებით სარგებლობენ და თავად აჰყავთ ადვოკატი. კერძო პირებთან თუ ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრის სიხშირის დეტალური გადანაწილება იხილეთ ცხრილში №2.7.

ცხრილში №2.7

უფლებადაცვითი პირი/ ორგანიზაცია		ხშირად	ზოგჯერ	ძალზე იშვიათად	არასოდეს	მიჭირს პასუხის გაცემა/უარი პასუხზე
კერძო ადვოკატს	საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=173)	54.3%	20.8%	10.4%	14.5%	-
	ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები (N=175)	52.1%	29.3%	11.4%	4.3%	2.9%
სახაზინო ადვოკატს	საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=173)	8.1%	31.8%	8.1%	51.4%	0.6%
	ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები (N=175)	5%	20.7%	7.9%	50%	16.4%
სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენელს	საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=173)	12.1%	16.8%	11.6%	59%	0.6%
	ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები (N=175)	8.6%	10%	9.3%	45.7%	26.4%
ადგილობრივი უფლებადაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელს	საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=173)	13.3%	16.2%	7.5%	63%	-
	ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები (N=175)	9.3%	7.1%	9.3%	49.3%	25%

უფლებადაცვითი პირი/ ორგანიზაცია		ხშირად	ზოგჯერ	ძალზე იშვიათად	არასოდეს	მიჭირს პასუხის გაცემა/უარი პასუხზე
საერთაშორისო უფლებადაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელს	საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=173)	10.4%	16.8%	6.9%	65.3%	0.6%
	ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები (N=175)	5.7%	10.7%	7.1%	50.7%	25.7%
გაეროს/ევროსაბჭოს და სხვა საერთაშორისო სამთავრობათაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს	საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=173)	5.2%	14.5%	9.8%	69.4%	1.2%
	ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები (N=175)	8.6%	4.3%	7.9%	53.6%	25.7%
საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის წარმომადგენლებს	საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=173)	5.8%	17.3%	8.7%	68.2%	-
	ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები (N=175)	5.7%	6.4%	7.1%	56.4%	24.3%
სასულიერო პირებს	საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=173)	19.1%	21.4%	9.2%	50.3%	-
	ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები (N=175)	16.4%	10.7%	5.7%	47.1%	20%

ზემოაღნიშნული შეკითხვა ფილტრი კითხვაა – მათთვის, ვინც თქვა, რომ არასდროს შეხვედრიან კონკრეტულ ინდივიდსა თუ ჯგუფის წარმომადგენელს, არ დაუსვამთ შემდეგი შეკითხვა – **აცნობდნენ თუ არა ამ პირებს ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების შესახებ.** საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი პირების უმრავლესობა დადებითად აფასებს ამ გამოცდილებას. რესპონდენტების უმრავლესობა სრულად ან ნაწილობრივ (მინიშნებებით) აცნობდა უფლებების დარღვევის ფაქტების შესახებ შესაბამის ორგანიზაციებს/პირებს. მსგავს შეხედულებას იზიარებს მსჯავრდებულების ოჯახის წევრების მნიშვნელოვანი ნაწილიც, რაც სამიზნე ჯგუფების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება[6]:

- კერძო ადვოკატი: დანაშაულის ჩამდენი პირები – 75.7%, ოჯახის წევრები – 68.7%;
- სახაზინო ადვოკატი: დანაშაულის ჩამდენი პირები – 77.4%, ოჯახის წევრები – 50%;
- სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენელი: დანაშაულის ჩამდენი პირები – 69%, ოჯახის წევრები – 38.2%;
- ადგილობრივი უფლებადაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი: დანაშაულის ჩამდენი პირები – 73.4%, ოჯახის წევრები – 38%;
- საერთაშორისო უფლებადაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი: დანაშაულის ჩამდენი პირები – 71.2%, ოჯახის წევრები – 39.1%;
- გაეროს/ევროსაბჭოს და სხვა საერთაშორისო სამთავრობათაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები: დანაშაულის ჩამდენი პირები – 62.3%, ოჯახის წევრები – 33.8%;
- საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის წარმომადგენლები – 70.9%, ოჯახის წევრები – 34.4%;
- სასულიერო პირები: დანაშაულის ჩამდენი პირები – 68.6%, ოჯახის წევრები – 36.5% (იხ. ცხრილი №2.8)

6 აღნიშნული მონაცემები აღწერს 4-ქულიან სკალაზე იმათ წილს, ვინც აღნიშნა ქულა 1 („ვაცნობდი სრულად“) და ქულა 2 („ვაცნობდი ნაწილობრივ (მინიშნებებით)“.

ცხრილი №2.8

უფლებადაცვითი პირი/ ორგანიზაცია		ვიცნობდი სრულად	ვიცნობდი ნაწილობრივ	არ ვიცნობდი, რადგან არავეცერი ვიცოდი ასეთი ფაქტების შესახებ	არ ვიცნობდი	მიჭირს პასუხის გაცემა/უარი პასუხზე
კერძო ადვოკატს	საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=148)	66.9%	8.8%	14.9%	8.8%	0.7%
	ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები (N=168)	61.9%	6.7%	9%	5.2%	17.2%
სახაზინო ადვოკატს	საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=84)	33.3%	44%	15.5%	6%	1.2%
	ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები (N=88)	17.1%	32.9%	10%	1.4%	38.6%
სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენელს	საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=71)	29.6%	39.4%	19.7%	4.2%	7%
	ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები (N=95)	15.8%	22.4%	7.9%	5.3%	48.7%
ადგილობრივი უფლებადაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელს	საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=64)	48.4%	25%	17.2%	7.8%	1.6%
	ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები (N=89)	16.9%	21.1%	8.5%	4.2%	49.3%

უფლებადაცვითი პირი/ ორგანიზაცია		ვიცნობდი სრულად	ვიცნობდი ნაწილობრივ	არ ვიცნობდი, რადგან არაფერი ვიცოდი ასეთი ფაქტების შესახებ	არ ვიცნობდი	მიჭირს პასუხის გაცემა/უარი პასუხზე
საერთაშორისო უფლებადაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელს	საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=59)	25.4%	45.8%	15.3%	10.2%	3.4%
	ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები (N=86)	10.1%	29%	4.3%	7.2%	49.3%
გაეროს/ევროსაბჭოს და სხვა საერთაშორისო სამთავრობათაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს	საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=53)	22.6%	39.6%	26.4%	9.4%	1.9%
	ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები (N=81)	12.3%	21.5%	6.2%	4.6%	55.4%
საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის წარმომადგენლებს	საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=55)	34.5%	36.4%	18.2%	10.9%	–
	ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები (N=76)	14.8%	19.7%	4.9%	1.6%	59%
სასულიერო პირებს	საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=86)	46.5%	22.1%	16.3%	15.1%	–
	ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები (N=93)	23%	13.5%	9.5%	4.1%	50%

იმ რესპონდენტებმა, რომლებიც ნაწილობრივ ან საერთოდ **არ აცნობდნენ** ინფორმაციას ადამიანის უფლებების დარღვევის შესახებ, დაასახელეს **შეუტყობინებლობის მიზეზები.** როგორც აღმოჩნდა, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულების უმრავლესობას (66%), გაუჭირდა პასუხის გაცემა ან უარი განაცხადა პასუხის გაცემაზე. იმ რესპონდენტების მეოთხედზე მეტი (28.3%), რომლებმაც ადამიანის უფლებების დარღვევის შესახებ ინფორმაციის გაუცემლობის მიზეზები გამოყო, აღნიშნავდა, რომ მსგავსი ქმედება **ვითარების გამოსწორების უიმედობით იყო გამოწვეული.** როგორც აღმოჩნდა, ყოფილი მსჯავრდებულების მცირე ნაწილი თავს დაცულად არ გრძნობდა, რადგან ინფორმაციის გაუცემლობის მიზეზად რესპონდენტების 3.8% ასახელებს შიშს, რომ ამისთვის უარესად დასჯიდნენ მას ან მისი ოჯახის წევრებს. კვლევაში მონაწილე მხოლოდ ერთი ყოფილი მსჯავრდებული მიუთითებს, რომ არსებული მდგომარეობის შესახებ საუბრის შესაძლებლობა არ ჰქონდა.

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი პირების ოჯახის წევრების 50.9%-ის შეხედულებით (იმათგან, ვინც აღნიშნა, რომ არ აცნობდა), ინფორმაციის გაუცემლობა გამოწვეული იყო იმით, რომ მსჯავრდებულს ვითარების გამოსწორების იმედი არ ჰქონდა. 34%-ს გაუჭირდა პოზიციის გამოხატვა. 9.4%-ის აზრით, მსჯავრდებულს ინფორმაციის გადმოცემის შესაძლებლობა არ ჰქონია, ხოლო 5.7%-ის შეფასებით, მსგავსი ფაქტების შეუტყობინებლობის მიზეზი შიში იყო, რომ ამისთვის საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი პირი უარესად დაისჯებოდა.

3. ზოგადი კონტექსტი

ზოგადი კონტექსტის შესაფასებლად, საწყის ეტაპზე, **საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩადენის ფაქტორები გაანალიზდა.**

ძარცვასთან მიმართებით, დანაშაულის ჩამდენი პირების დაახლოებით მეხუთედი (21.1%) მიზეზად ოჯახის ცუდ ფინანსურ მდგომარეობას ასახელებს. იკვეთება როგორც ინდივიდუალური, ისე სოციალური ფაქტორები. საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი პირების 13.5%-მა, ერთი მხრივ, აღნიშნა, რომ აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება შეიძლება მივიჩნიოთ ძარცვის მიზეზად; მეორე მხრივ კი, 13.7%-მა მიზეზად მსგავსი დანაშაულებრივი წარსულის მქონე პირების საახლობლო გარემოში ყოფნა დაასახელა. რესპონდენტების 10.3%-ის შეფასებით, ძარცვის გამომწვევი ფაქტორია საბანკო ვალი/სესხი. პასუხის სხვა კატეგორიების პროცენტული მაჩვენებელი 10%-ს არ აღემატება.

ქურდობის შემთხვევაშიც პასუხის იდენტური კატეგორიებია წარმოდგენილი, რაც შემდეგნაირადაა გადანაწილებული:

- ოჯახის ცუდი ფინანსური მდგომარეობა – 19.5%
- მსგავსი დანაშაულებრივი წარსულის მქონე პირების ყოლა საახლობლო გარემოში – 15.8%
- აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება – 13.4%
- საბანკო ვალი/სესხი – 11%

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი პირების ოჯახის წევრების შეფასებითაც, როგორც ძარცვა, ისე ქურდობა უმეტესწილად ოჯახის ცუდი ფინანსური მდგომარეობით (ძარცვა – 22.1%, ქურდობა – 19.1%), საახლობლო წრით (ძარცვა – 22.6%, ქურდობა – 20.8%), აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებითა (ძარცვა – 12.5%, ქურდობა – 13.9%) და საბანკო ვალით/სესხით (ძარცვა – 12.5%, ქურდობა – 11.6%) არის გამოწვეული (იხ. ცხრილი №3.1).

ცხრილი №3.1

თქვენი აზრით, ქვემოთ ჩამოთვლილი ფაქტორებიდან, რომელი განაპირობებს, დღესდღეობით, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩადენას?	ძარცვა		ქურდობა	
	საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=173)	ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები (N=175)	საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=173)	ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები (N=175)
მსგავსი დანაშაულებრივი წარსულის მქონე პირების ყოლა საახლობლო გარემოში	13.7%	22.6%	15.8%	20.8%
არაინფორმირებულობა ძარცვის/ქურდობის თანმხლები რისკების შესახებ	9.2%	6.3%	9.4%	9.3%
ცხოვრების მიმართ ინტერესის დაკარგვა/დეპრესია/სტრესი	7.4%	3.8%	5.7%	4.6%
არასრულფასოვანი აღზრდა ოჯახში (მშობლების მხრიდან გამოხატული უყურადღებობა)	2.9%	2.5%	3.7%	3.6%
არასრულფასოვანი აღზრდა სკოლაში	3.6%	1.4%	4.6%	1.8%
ოჯახის ცუდი ფინანსური მდგომარეობა	21.1%	22.1%	19.5%	19.1%
განსხვავებული ღირებულებების ქონა	5.2%	6.3%	3.5%	5.9%
ქვეყანაში გავრცელებული დაუსჯელობის სინდრომი	1.3%	1.4%	3.3%	2.3%
ქვეყანაში არსებული შერჩევითი მართლმსაჯულება	2.7%	2.2%	2.4%	2.6%
აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება	13.5%	12.5%	13.4%	13.9%
საბანკო ვალი/სესხი	10.3%	12.5%	11%	11.6%
უთანასწორო სოციოეკონომიკური გარემო (პოლიტიკური/ბიზნეს ელიტა მუდმივად მდიდრდება, ღარიბი მოსახლეობის მდგომარეობა კი არ იცვლება)	7.2%	4.9%	5.7%	3.6%
მიჭირს პასუხის გაცემა/უარი პასუხზე	1.8%	1.6%	2%	1%

იმის გათვალისწინებით, რომ რესპონდენტების ნაწილმა, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩადენის ერთ-ერთ ფაქტორად, საახლობლო წრე დაასახელა, საინტერესო იყო იმის შეფასება, თუ **რამდენად მაღალია მათ თემში/საცხოვრებელ გარემოში ძარცვისა და ქურდობის ჩადენის დონე.**

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი პირების ნახევრის (50.3%) აზრით, **ძარცვის** დონე მათ საცხოვრებელ გარემოში დაბალია (მათ შორის 22% – „ძალზე დაბალი“). თუმცა, აღსანიშნავია, რომ მესამედზე მეტის (36.4%) შეფასებით, ძარცვის ჩადენის დონე მაღალია (მათ შორის, 20.8%-ის აზრით, „ძალიან მაღალი“). 10%-მდეა მათი წილი (9.8%), ვისი აზრითაც, თემში/საცხოვრებელ გარემოში ძარცვა საერთოდ არ ხდება. საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი პირების ოჯახის წევრების 51.4%-ის აზრით, მათ საცხოვრებელ გარემოში ძარცვის ჩადენის დონე დაბალია. ჯამში 30.7%-ს უტოლდება მათი წილი, ვისი აზრითაც, ძარცვის ჩადენის დონე მაღალია (მათ შორის, 13.6% – „ძალიან მაღალი“).

ქურდობის ჩადენის დონის შეფასებისას, ორივე სამიზნე ჯგუფის მოსაზრებები გაყოფილია: საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულების პასუხები თითოეულ კატეგორიაში თითქმის თანაბრად ნაწილდება. აღსანიშნავია, რომ უკიდურესი პოზიციები, რომლებიც ქურდობის ჩადენის ძალზე დაბალ და ძალიან მაღალ დონეს აღწერს, რესპონდენტების თანაბარი პროცენტული მაჩვენებლითაა (23.7%-23.7%) წარმოდგენილი. მსჯავრდებულების ოჯახის წევრების ერთი, შედარებით დიდი, ნაწილის (45.7%) შეფასებით, ქურდობის ჩადენის დონე მათ საცხოვრებელ თემში დაბალია (17.9% – „ძალზე დაბალი“), ხოლო მეორე ნაწილის (40.7%) თანახმად – მაღალი (10.7% – „ძალიან მაღალი“); 5% მიიჩნევს, რომ მათ თემში/საცხოვრებელ გარემოში ქურდობა საერთოდ არ ხდება (იხ. დიაგრამა №3.1).

დიაგრამა №3.1. როგორ ფიქრობთ, თქვენს თემში/საცხოვრებელ გარემოში რამდენად მაღალია ძარცვისა და ქურდობის ჩადენის დონე? (%)



შემდგომ ეტაპზე, რესპონდენტებმა შეაფასეს **მათ საცხოვრებელ გარემოში ბოლო 5 წლის განმავლობაში ქურდობისა და ძარცვის სიხშირე.** საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულების ნახევარზე მეტს (52.1%) მიაჩნია, რომ **ქურდობის** შემთხვევები გახშირდა (ძალზე ან მეტ-ნაკლებად). მხოლოდ 2.9% (N=5) ფიქრობს, რომ მსგავსი ფაქტები საერთოდ აღმოიფხვრა. რაც შეეხება მსჯავრდებულების ოჯახის წევრებს, მათი პოზიციები გაყოფილია: ერთი ნაწილი (45.7%) ფიქრობს, რომ ქურდობის შემთხვევებმა მოიმატა (ძალზე ან მეტ-ნაკლებად), ხოლო მეორე ნაწილი (42%) ასეთი შემთხვევების შემცირებაზე მიუთითებს.

ძარცვის შემთხვევების სიხშირესთან დაკავშირებით, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი პირების შეფასებები გაყოფილია: 43.9%-ის შეფასებით, ბოლო 5 წლის განმავლობაში, შემცირებულია (ძალზე ან მეტ-ნაკლებად). ყოფილი მსჯავრდებულები 3.5% უფრო კატეგორიულია და აცხადებს, რომ ძარცვის შემთხვევები საერთოდ აღმოიფხვრა. თუმცა, ყოფილი მსჯავრდებულების მეორე ნაწილი (43.4%) მიუთითებს ძარცვის შემთხვევების ზრდაზე მათ საცხოვრებელ გარემოში („მეტ-ნაკლებად გაიზარდა“ და „ძალიან გაიზარდა“). რაც შეეხება ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრებს, პოზიციები აქაც გაყოფილია: ერთი ნაწილი – 42.8% ფიქრობს, რომ მათ საცხოვრებელ გარემოში ძარცვის შემთხვევები შემცირდა, ხოლო, 41.4% ფიქრობს, რომ გაიზარდა (იხ. დიაგრამა №3.2).

დიაგრამა №3.2. თქვენი ინფორმაციით, ბოლო 5 წლის განმავლობაში, როგორ შეიცვალა ძარცვისა და ქურდობის ჩადენის სიხშირე თქვენს საცხოვრებელ გარემოში? (%)



კვლევის ფარგლებში, რესპონდენტებმა **დაასახელეს ის სოციალური ჯგუფ(ებ)ი, რომლებიც, მათი აზრით, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩადენის მაღალი რისკის მქონეა.** დასახელებულ ჯგუფებს შორის, სწორედ დანაშაულის განმაპირობებელი მახასიათებლების (რესპონდენტთა მიხედვით) მატარებელი ჯგუფები მოექცნენ. საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის (ქურდობა/ძარცვა) გასამართლებული პირების (ყოფილი მსჯავრდებულების) თითქმის მეხუთედი ფიქრობს, რომ, ქურდობისა და ძარცვის ჩადენის თვალსაზრისით, მაღალი რისკის წინაშე დგანან აზარტულ თამაშებზე დამოკიდებული პირები (18.7%) და უმუშევრები (18.7%). დაახლოებით 15%-ია მათი წილი, ვინც ფიქრობს, რომ საბანკო/არასაბანკო ვალის/სესხის მქონე პირები არიან დანაშაულის ჩადენის მაღალი რისკის ქვეშ. ყოფილი მსჯავრდებულების 13.9%-ის შეფასებით, უფრო მეტად სავარაუდოა, რომ მსგავსი დანაშაულებრივი წარსულის მქონე პირები კვლავ ჩაიდენენ ქურდობას/ძარცვას. რისკ-ჯგუფად დასახელდა, აგრეთვე, დანაშაულებრივ სოციალურ გარემოში მცხოვრები ადამიანები (13.3%). სხვა ჯგუფების პროცენტული მაჩვენებელი 10%-ს არ აჭარბებს.

რაც შეეხება მსჯავრდებულების ოჯახის წევრებს, მათ სამი რისკ-ჯგუფი გამოარჩიეს, დაახლოებით ერთნაირი მაჩვენებლებით: ა) აზარტულ თამაშებზე დამოკიდებული პირები (17.8%); ბ) უმუშევრები (17.3%). და გ) სიღარიბეში მცხოვრები ადამიანები (17%).

ჯგუფებს შორის დეტალური გადანაწილება იხილეთ ცხრილში №3.2.

ცხრილი №3.2

რომელი სოციალური ჯგუფ(ებ)ი ატარებს მაღალ რისკს საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩადენის თვალსაზრისით?	საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=173)	ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები (N=175)
სიღარიბეში მცხოვრები ადამიანები	7.9%	17%
ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ გარემოში, სადაც საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩადენა გავრცელებულია	13.3%	14.3%
მზრუნველობას მოკლებული (უდედმამო, ქუჩაში მცხოვრები და ა.შ.) არასრულწლოვნები	8.2%	8.3%
დევნილები/ლტოლვილები	0.6%	1.5%
მსგავსი დანაშაულებრივი წარსულის მქონე პირების ყოლა საახლობლო გარემოში	13.9%	10.8%
ფინანსურად შეძლებული ადამიანები/ბიზნესმენები	3.2%	1.8%
აზარტულ თამაშებზე დამოკიდებული პირები	18.7%	17.8%
საბანკო/არასაბანკო ვალის/ სესხის მქონე პირები	15.5%	11%
უმუშევარი	18.7%	17.3%
მიჭირს პასუხის გაცემა/უარი პასუხზე	-	0.5%

გარდა იმისა, რომ რესპონდენტებმა თავიანთ თემში/საცხოვრებელ გარემოში შეაფასეს, რამდენად მაღალია ქურდობის/ძარცვის ჩადენის დონე, უპასუხეს შემდეგ შეკითხვასაც – „**თქვენი აზრით, რომელ დანაშაულს სჩადიან ადამიანები უფრო ხშირად საქართველოში – ნარკოდანაშაულს თუ საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს (ქურდობა/ძარცვა)?“**[7] საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის (ქურდობა/ძარცვა) გასამართლებულებმა (ყოფილმა მსჯავრდებულებმა) თითქმის თანაბრად დაასახელეს ორივე ტიპის დანაშაული. რესპონდენტების 31.8%-ის აზრით, ნარკოდანაშაულს უფრო ხშირად სჩადიან; 30.1% – საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისკენ (ქურდობა/ძარცვა) იხრება, ხოლო 30.6%-ის შეხედულებით, ორივე ტიპის დანაშაულის ჩადენის სიხშირე საქართველოში თანაბარია. გამოკითხულთა მხოლოდ 7.5%-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა.

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი პირების ოჯახის წევრების მესამედის (33.6%) აზრით, ორივე დანაშაულის სიხშირე თანაბარია. 22.9%-ს უტოლდება მათი წილი, ვისი შეფასებითაც, საქართველოში საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს (ქურდობა/ძარცვა) უფრო ხშირად სჩადიან; 21.4%-ის მოსაზრებით კი, ნარკოდანაშაულის შემთხვევები უფრო ხშირია. მსჯავრდებულების ოჯახის წევრების მეხუთედზე მეტს (22.1%) ამ ორი დანაშაულის ჩადენის სიხშირეების შედარება გაუჭირდა (იხ. დიაგრამა №3.3).

დიაგრამა №3.3. თქვენი აზრით, რომელ დანაშაულს სჩადიან ადამიანები უფრო ხშირად საქართველოში - ნარკოდანაშაულს თუ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულს (ქურდობა/ძარცვა)? (%)



7 რესპონდენტებს ინტერვიუს პროცესში განემარტათ, თუ, გამოკითხვის ინტერესებისთვის, კონკრეტულად რას მოიაზრებს როგორც ნარკოდანაშაული (ნარკოტიკული ნივთიერების შეძენა, შენახვა, მოხმარება, გასაღება), ისე საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (ქურდობა/ძარცვა).

კვლევის შემდგომ ეტაპზე მხოლოდ ყოფილმა მსჯავრდებულებმა გამოთქვეს ვარაუდი იმის შესახებ, თუ, მათი აზრით, **სასჯელაღსრულების დაწესებულებების მსჯავრდებულთა შორის დაახლოებით რამდენ პროცენტს შეადგენს ძარცვისთვის/ქურდობისთვის გასამართლებულთა წილი.** ეს შეკითხვა ღია ტიპის იყო. მიღებული შედეგები 10%-90%-ს შორის არის მოქცეული. მონაცემების მედიანურ მნიშვნელობას (Median) 40% წარმოადგენს, ხოლო საშუალოს (Mean) – 43.7%. ანალიზის ეტაპზე რესპონდენტთა მხრიდან გამოთქმული მოსაზრებები 4 ინტერვალად გაიყო, რომლებიც პროცენტულად შემდეგნაირადაა გადანაწილებული:

- 10%-დან 30%-ის ჩათვლით: გამოკითხულთა 28.9%
- 30%-დან 50%-ის ჩათვლით: რესპონდენტების 22%
- 50%-დან 70%-ის ჩათვლით: გამოკითხულთა 24.9%
- 70%-დან 90%-ის ჩათვლით: რესპონდენტების 2.3%.

აღსანიშნავია, რომ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის (ქურდობა/ძარცვა) გასამართლებული პირების მეხუთედზე მეტს (22%) გაუჭირდა შეკითხვაზე პასუხის გაცემა.

კვლევის ფარგლებში, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენმა პირებმა **შეაფასეს, თუ რომელი უფრო მძიმე დანაშაულია – ნარკოდანაშაულის ესა თუ ის ტიპი თუ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (ქურდობა/ძარცვა):**

ა) რესპონდენტების 34.7%-ის შეფასებით, ქურდობა/ძარცვა უფრო მძიმე დანაშაულია, ვიდრე ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება. დაახლოებით მესამედია მათი წილი (31.8%), ვისი აზრითაც, ორივე დანაშაული თანაბარი სიმძიმისაა, ხოლო 12.7%-ს ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება დანაშაულად საერთოდ არ მიაჩნია.

ბ) ნარკოტიკული საშუალებების დამზადებისა და ქურდობის/ძარცვის შედარების შემთხვევაში, რესპონდენტების 39.3% მიიჩნევს, რომ ორივე თანაბარი სიმძიმის დანაშაულია. 35.8%-ის აზრით კი, ნარკოტიკული საშუალებების დამზადება უფრო მძიმე დანაშაულია, ვიდრე ქურდობა/ძარცვა.

გ) საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი პირების 35.8%-ის შეხედულებით, ნარკოტიკული საშუალებების შეძენა/შენახვა და ქურდობა/ძარცვა თანაბარი სიმძიმის დანაშაულებია. გამოკითხულთა მეხუთედს აჭარბებს მათი წილი (21.4%), ვისი აზრითაც, ქურდობა/ძარცვა უფრო მძიმე დანაშაულია, ხოლო მეოთხედზე მეტი (27.2%) ნარკოტიკული საშუალებების შეძენა/შენახვისკენ იხრება.

დ) რაც შეეხება ნარკოტიკული საშუალებების გასაღებისა და ქურდობის/ძარცვის შედარებას, რესპონდენტების უმრავლესობა (50.3%) მიიჩნევს, რომ ნარკოტიკული საშუალებების გასაღება უფრო მძიმე დანაშაულია. 10%-საც კი ვერ აღწევს იმ რესპონდენტების რაოდენობა, ვისი შეფასებითაც, ქურდობა/ძარცვა ნარკოტიკული საშუალებების გასაღებაზე უფრო მძიმე დანაშაულია. აღსანიშნავია ისიც, რომ გამოკითხულთა 31.3% ორივე დანაშაულს თანაბარი სიმძიმის მქონედ აფასებს.

დებულებების მიხედვით მონაცემთა დეტალური გადანაწილება იხილეთ დიაგრამაზე №3.4.

დიაგრამა №3.4. თქვენი შეფასებით, რომელი უფრო მძიმე დანაშაულია - ნარკოდანაშაულის ესა თუ ის ტიპი თუ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (ქურდობა/ძარცვა)? (%) (N=173)



ზემოაღნიშნული მონაცემები მოწმობს, რომ **რესპონდენტები უფრო ლოიალურად არიან განწყობილები, როდესაც საქმე ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებას შეეხება. თუმცა, მათი შეხედულება მკვეთრად იცვლება, როდესაც ნარკოტიკული საშუალებების გასაღებას აფასებენ. ამ უკანასკნელს ყოველი მეორე რესპონდენტი უფრო მძიმე დანაშაულად მიიჩნევს, ქურდობა/ძარცვასთან შედარებით.**

კვლევის ფარგლებში **შეფასდა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩადენის შესაძლო ხელშემწყობი დემოგრაფიული მახასიათებლები: განათლება, ასაკი, ოჯახური მდგომარეობა, რელიგიურობა, სქესი.**

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი პირების უმრავლესობა (63.6%) მიიჩნევს, რომ ამ ტიპის დანაშაულის ჩადენისთვის **განათლების დონეს** არ აქვს მნიშვნელობა. დაახლოებით მეხუთედის (21.4%) აზრით, პირმა, რომელსაც არასრული საშუალო განათლება აქვს, მეტად სავარაუდოა, რომ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (ქურდობა/ძარცვა) ჩაიდინოს. ყოფილი მსჯავრდებულებიდან მხოლოდ ერთი პირი ფიქრობს, რომ უმაღლესი განათლების დონე ქურდობის/ძარცვის ჩადენას ხელს უწყობს.

მსგავს ტენდენციას ავლენს მსჯავრდებულების ოჯახის წევრების გამოკითხვაც. გამოკითხულთა თითქმის ნახევარი (47.9%) მიიჩნევს, რომ დანაშაულის ჩადენასთან მიმართებით, განათლების დონეს არ აქვს მნიშვნელობა. შემდგომ პოზიციას კი, ამ ჯგუფის შეფასებითაც, არასრული საშუალო განათლება იკავებს – ეს კატეგორია რესპონდენტების მეოთხედზე მეტმა (27.1%) დაასახელა. არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, შეიძლება ვიფიქროთ, რომ თუკი განათლების მიღწეული დონე რამენაირად აისახება საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩადენაზე, მაშინ **უფრო დაბალი განათლების მქონე პირები საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩადენის უფრო მაღალი რისკის ქვეშ არიან.**

ასაკობრივი კატეგორიების განხილვისას, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის (ქურდობა/ძარცვა) გასამართლებულთა 34.7%-ის აზრით, თინეიჯერული ასაკი დანაშაულის ჩადენას ხელს უწყობს. ყოფილი მსჯავრდებულების მეოთხედზე მეტი (27.7%) მიიჩნევს, რომ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩადენისთვის ასაკს არ აქვს მნიშვნელობა, ანუ ნებისმიერი ასაკის პირი შეიძლება იყოს პოტენციური დამნაშავე. ამავე პოზიციას იზიარებს მსჯავრდებულთა ოჯახის წევრების 25%. ამ ჯგუფის უფრო დიდი ნაწილის (35%) შეფასებით კი, ყველაზე მეტად 20-34 წელი უწყობს ხელს საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩადენას, ანუ ინდივიდის სრულწლოვნობის, ახალგაზრდობის პერიოდი.

როგორც აღმოჩნდა, ყოფილი მსჯავრდებულების უმრავლესობის (58.4%) აზრით, ქურდობის/ძარცვის ჩადენისთვის, **ოჯახურ მდგომარეობას** – პირი დაოჯახებული იქნება, დაუოჯახებელი თუ განქორწინებული – არ აქვს მნიშვნელობა. მსგავს შეხედულებას იზიარებს მსჯავრდებულთა ოჯახის წევრების 60%. საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი პირების თითქმის მე-

ოთხედის (24.9%) აზრით, ფაქტი, რომ ინდივიდი დაუოჯახებელია, მეტად უწყობს ხელს დანაშაულის ჩადენას. ამ კატეგორიას მსჯავრდებულების ოჯახის წევრების 32.1% ემხრობა.

კვლევის ფარგლებში გამოვლინდა, რომ ორივე ჯგუფის რესპონდენტების შეფასებით, ყველაზე უმნიშვნელო როლს დანაშაულის ჩადენის მიმართულებით **რელიგიურობა** ასრულებს – საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი პირების 78% და მსჯავრდებულების ოჯახის წევრების 68.6% მიიჩნევს, რომ, ქურდობის/ძარცვის ჩადენის თვალსაზრისით, რელიგიურობას მნიშვნელობა არ აქვს. საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის (ქურდობა/ძარცვა) გასამართლებული პირების 7.5%-ის შეხედულებით, დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი ფაქტორი შეიძლება რელიგიური რიტუალების მიმართ გულგრილობა იყოს. ამ შეხედულებას მსჯავრდებულთა ოჯახების წევრების 10% იზიარებს. რაც შეეხება ათეისტობას, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი პირების 5.8% მიიჩნევს, რომ ეს ქურდობის/ძარცვის ჩადენის ხელშემწყობი ასპექტია, რასაც მსჯავრდებულების ოჯახის წევრების 5%-იც ეთანხმება.

საინტერესო შედეგი გამოიკვეთა **სქესის** გავლენის შეფასებისას. როგორც საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი პირების (80.9%), ისე მსჯავრდებულთა ოჯახის წევრების (86.4%) უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მამრობითი სქესის წარმომადგენლები უფრო მეტად მიიჩნევიან პოტენციურ დამნაშავეებად. ოჯახის წევრების ჯგუფის შემთხვევაში, პასუხის კატეგორია „მდედრობითი“ არ დაუსახელებიათ, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის (ქურდობა/ძარცვა) გასამართლებულ პირთაგან კი, მხოლოდ 1.7%-მა (N=3) დაასახელა ეს კატეგორია. ჯგუფების მიხედვით, გამოკითხულთა 12%-13% მიიჩნევს, რომ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩადენისთვის, სქესს მნიშვნელობა არ აქვს.

მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ ორივე სამიზნე ჯგუფის რესპონდენტები **საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი პირების შემდეგ სოციალურ-დემოგრაფიულ პორტრეტს ქმნიან: საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი, როგორც წესი, არის მამრობითი სქესის ადამიანი, რომელსაც, მოსალოდნელია, რომ არ აქვს მიღებული სრული საშუალო განათლება, არ არის დასაქმებული, არის თინეიჯერი ან სრულწლოვანი ახალგაზრდა და არ არის დაოჯახებული.**

ჯგუფების მიხედვით საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ხელშემწყობი დემოგრაფიული მახასიათებლების შეფასების მაჩვენებლები დეტალურად იხილეთ ცხრილში №3.3.

ცხრილი №3.3

	საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=173)	ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები (N=175)
განათლება		
არასრული საშუალო განათლება	21.4%	27.1%
სრული საშუალო განათლება	11.6%	16.4%
უმაღლესი განათლება	0.6%	2.9%
განათლების დონეს არ აქვს მნიშვნელობა	63.6%	47.9%
მიჭირს პასუხის გაცემა/უარი პასუხზე	2.9%	5.7%
ასაკი		
თინეიჯერული ასაკი (13-19 წლის)	34.7%	24.3%
სრულწლოვანი-ახალგაზრდა (20.-34 წლის)	25.4%	35%
საშუალო 35-54 წლის)	9.8%	12.9%
ასაკს არ აქვს მნიშვნელობა	27.7%	25%
მიჭირს პასუხის გაცემა/უარი პასუხზე	2.3%	2.9%
ოჯახური მდგომარეობა		
დაოჯახებული	5.2%	1.4%
დაუოჯახებელი	24.9%	32.1%
განქორწინებული	4.6%	1.4%
ოჯახურ მდგომარეობას არ აქვს მნიშვნელობა	58.4%	60%
მიჭირს პასუხის გაცემა/უარი პასუხზე	6.9%	5%
რელიგიურობა		
რელიგიური რიტუალების დაცვა/ ეკლესიურობა	1.7%	0.7%

	საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=173)	ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები (N=175)
რელიგიური რიტუალების მიმართ გულგრილობა	7.5%	10%
ათეისტობა	5.8%	5%
რელიგიურობას არ აქვს მნიშვნელობა	78%	68.6%
მიჭირს პასუხის გაცემა/უარი პასუხზე	7%	15.7%
სქესი		
მამრობითი	80.9%	86.4%
მდედრობითი	1.7%	-
სქესს არ აქვს მნიშვნელობა	13.9%	12.9%
მიჭირს პასუხის გაცემა/უარი პასუხზე	3.5%	0.7%

4. საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი პირების უფლებრივი მდგომარეობა

კვლევის ფარგლებში შეფასდა, თუ რამდენად ეთანხმებიან რესპონდენტები მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ **საქართველოში მსჯავრდებულებთან მიმართებით ადამიანის უფლებები ირღვევა.** ეს საკითხი **ოთხი ძირითადი პერიოდის** გათვალისწინებით გაანალიზდა: წინასწარი პატიმრობა, სასჯელის მოხდა (პატიმრობა), პირობითი მსჯავრის მოხდა, სასჯელის მოხდის (პატიმრობის დასრულების) შემდგომი პერიოდი.

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი პირების 42.2% ეთანხმება (მათ შორის, 11.6% სრულიად ეთანხმება) შეხედულებას, რომ **წინასწარი პატიმრობის პერიოდში** ადამიანის უფლებები ირღვევა, ხოლო 45.1% ამ მოსაზრებას არ ეთანხმება (მათ შორის, 12.7% სრულიად არ ეთანხმება) ამ მოსაზრებას.

რაც შეეხება მსჯავრდებულების ოჯახის წევრებს, 43.6% არ ეთანხმება მსგავს მოსაზრებას. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ რესპონდენტების ამ კატეგორიას პირდაპირი შემხებლობა არ აქვს წინასწარი პატიმრობისა თუ სასჯელაღსრულების დაწესებულებებთან, ხშირად უჭირთ პასუხის გაცემა და კონკრეტული პოზიციის გამოხატვა. მსგავსი ტენდენცია შეინიშნება, ყველა პერიოდის განხილვისას. წინასწარი პატიმრობის პერიოდში ადამიანის უფლებების დარღვევის შეფასება 24.3%-ს გაუჭირდა.

რაც შეეხება უშუალოდ **სასჯელის მოხდის (პატიმრობის) პერიოდს,** როგორც აღმოჩნდა, თავად ყოფილი მსჯავრდებულების უმრავლესობა (62.4%) არ ეთანხმება მოსაზრებას ამ პერიოდში ადამიანის უფლებების დარღვევის შესახებ (მათ შორის, 27.7%-ის შეფასებით, მსგავსი ფაქტები საერთოდ არ ხდება). მეოთხედს აჭარბებს მათი წილი (27.2%), ვისი შეფასებითაც, პატიმრობის პერიოდში ადამიანის უფლებები ირღვევა, თუმცა საგულისხმოა, რომ ამ მოსაზრებაზე სრულ თანხმობას გამოკითხულთა მხოლოდ 7.5% აცხადებს. მსგავსი შედეგები განსაკუთრებით საინტერესოა იმ მიმართულებით, რომ კითხვა გულისხმობდა მსჯავრდებულთან შემხებლობაში მყოფ თითოეულ ჯგუფს, როგორც სხვა მსჯავრდებულებს, ისე ზედამხედველებს და ა.შ. ამდენად, რესპონდენტებმა პასუხის გაცემისას თითოეულ ჯგუფთან ურთიერთობა გაითვალისწინეს.

ყოფილი მსჯავრდებულებისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრების პოზიცია: მათი 45.7% ეთანხმება მოსაზრებას, რომ პატიმრობის პერიოდში პატიმრის მიმართ ადამიანის უფლებები ირღვევა. თუმცა, აქაც უნდა აღინიშნოს, რომ ამ ჯგუფის რესპონდენტების მეხუთედზე მეტს (22.1%) უჭირს პასუხის გაცემა. საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის (ქურდობა/ძარცვა) გასამართლებული პირების ნახევარი (50.9%) არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ პირობითი **მსჯავრის მოხდის პერიოდში** მსჯავრდებულების მიმართ ადამიანის უფლებები ირღვევა, რასაც ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრების 39.3%-იც იზიარებს; საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი პირების 12.1% სრულად ეთანხმება წარმოდგენილ დებულებას, ანუ მიიჩნევს, რომ უფლებების დარღვევის ფაქტები ხშირია.

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი პირების შემთხვევაში, პატიმრის მიმართ ადამიანის უფლების დარღვევის ფაქტების არსებობაზე თანხმობის კატეგორია ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებლით **სასჯელის მოხდის (პატიმრობის დასრულების) შემდგომი პერიოდის** შეფასებისას იკვეთება – 45.2%; მსჯავრდებულების ოჯახის წევრების შემთხვევაში, ამ მოსაზრებაზე დათანხმების მაჩვენებელი 32.1%-ს უტოლდება. მეორე მხრივ, ისიც საყურადღებოა, რომ ყოფილი მსჯავრდებულების 44.5% და ოჯახის წევრების 38.6% არ იზიარებს ამ შეხედულებას. ამ მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ყოფილ მსჯავრდებულთა რეინტეგრაციის საკითხი რესპონდენტთა მიერ ინდივიდუალურ დონეზე განიხილება – ზოგიერთ შემთხვევაში ის უფრო რთულად მიმდინარეობს, რაც, შესაძლოა, თუნდაც დასაქმების მიმართულებით იჩენდეს თავს.

ამრიგად, როგორც გამოკითხვის მონაცემები აჩვენებს, **ყოფილი მსჯავრდებულები თავიანთი უფლებების დარღვევის შესახებ ყველაზე მეტად პატიმრობის შემდგომ პერიოდზე მიუთითებენ, როდესაც მათ უწევთ რეინტეგრაციისა და რესოციალიზაციის გავლა. ამ პროცესში თითქმის ყოველი მეორე ყოფილი მსჯავრდებული თავს დაუცველად და დაჩაგრულად გრძნობს.**

ჯგუფებს შორის მონაცემთა დეტალური გადანაწილება იხილეთ დიაგრამაზე №4.1.

დიაგრამა №4.1. რამდენად ეთანხმებით მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ საქართველოში ირღვევა ადამიანის უფლებები პატიმრებთან მიმართებით? (%)



არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, კვლევის შემდეგ ეტაპზე შეფასდა, **თუ კონკრეტულად რომელი უფლებები ირღვევა ყველაზე მეტად.** ამ შემთხვევაშიც, არსებული სიტუაცია ცალკეული პერიოდის ჭრილში გაანალიზდა.

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი პირების 16.7%-ის შეფასებით, **წინასწარი პატიმრობის პერიოდში,** ყველაზე მეტად ციხის თანამშრომლებისგან ფიზიკური უსაფრთხოების უფლება ირღვევა. შემდგომ

პოზიციას თანაბარი 11.7%-11.7%-ით ციხეში ცხოვრების ღირსეული პირობებისა და ადვოკატზე ხელმისაწვდომობის უფლების დარღვევა იკავებს. 10%-ს მცირედით აჭარბებს მათი წილი, ვისი შეფასებითაც, ხარვეზები/პრობლემები სამედიცინო სერვისების მიღებისა (10.8%) და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის (10.4%) მიმართულებითაც იჩენს თავს.

ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრების შემთხვევაშიც იგივე კატეგორიებია დომინანტურად წარმოდგენილი: რესპონდენტების 14.2%-ის შეხედულებით, წინასწარი პატიმრობის პერიოდში ყველაზე მეტად ადვოკატზე ხელმისაწვდომობის უფლება ირღვევა. 11.7% კი მიიჩნევს, რომ ციხეში ცხოვრების ღირსეული პირობების უფლება სრულყოფილად არ არის დაცული. საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის (ქურდობა/ძარცვა) გასამართლებული პირების ოჯახის წევრების შეფასებითაც პრობლემურია ციხის თანამშრომლებისგან ფიზიკური უსაფრთხოების განცდა (10.5%) და სამედიცინო სერვისების (10.5%) მიღება. საინტერესოა, რომ ამ დარღვევებთან ერთად, ოჯახის წევრების 10.5% საჩივრების/თხოვნების უფლების დარღვევაზეც მიუთითებს. აღმოჩნდა, რომ ის პირები უფრო ხშირად მიუთითებენ ციხეში ცხოვრების ღირსეული პირობების უფლების დარღვევაზე, ვინც 2012 წლამდე იხდიდა სასჯელს (17.6%), ვიდრე ისინი, ვინც 2012 წლის შემდეგ გასამართლდნენ (11.3%).

უშუალოდ **სასჯელის მოხდის პერიოდში** ყოფილი მსჯავრდებულების მეხუთედი (20.7%) მსჯავრდებულებისგან ფიზიკური უსაფრთხოების დარღვევაზე მიუთითებს. ამ შეხედულებას ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრების თითქმის იგივე რაოდენობა (20.3%) იზიარებს. ყოფილი მსჯავრდებულების, ასევე, მეხუთედი (19.9%) ციხის თანამშრომლების მხრიდან ფიზიკური უსაფრთხოების უფლების დარღვევაზე მიუთითებს. როგორც ჩანს, ამ ინფორმაციას მსჯავრდებულების ოჯახის წევრების 16.8%-იც ფლობს. არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით იკვეთება, რომ როგორც წინასწარი პატიმრობის, ისე უშუალოდ სასჯელის მოხდის პერიოდში, ციხეში ცხოვრების ღირსეული პირობები პრობლემური საკითხია (ყოფილი მსჯავრდებულები – 15.3%, ოჯახის წევრები – 18.8%).

მონაცემების სასჯელის მოხდის პერიოდის ჭრილში განხილვის შედეგად, სამ კომპონენტთან მიმართებით სტატისტიკურად სანდო განსხვავებები გამოვლინდა. აღმოჩნდა, რომ 2012 წლამდე მსჯავრდებულები უფრო ხშირად მიუთითებენ სასჯელის მოხდის პერიოდში უფლებების დარღვევის შესახებ, ვიდრე 2012 წლის შემდეგ გასამართლებულები:

ციხეში ცხოვრების ღირსეული პირობები:

- პირები, რომელთაც 2012 წლამდე მოიხადეს სასჯელი – 25%
- პირები, რომელთაც 2012 წლის შემდეგ მოიხადეს სასჯელი – 14%

ფიზიკური უსაფრთხოება ციხის თანამშრომლებისგან:

- პირები, რომელთაც 2012 წლამდე მოიხადეს სასჯელი – 37.5%
- პირები, რომელთაც 2012 წლის შემდეგ მოიხადეს სასჯელი – 17.7%

ადვოკატზე ხელმისაწვდომობა:

- პირები, რომელთაც 2012 წლამდე მოიხადეს სასჯელი – 12.5%
- პირები, რომელთაც 2012 წლის შემდეგ მოიხადეს სასჯელი – 3.7%

არსებული მონაცემების მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ, კვლევაში მონაწილე პირების შეხედულებით, 2012 წლის შემდეგ სასჯელის მოხდის პერიოდში ადამიანის უფლებების დაცვის საკითხი გაუმჯობესებულია. პირობითი მსჯავრის შემთხვევაში, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი პირების 33.3%-ის შეხედულებით, ყველაზე მეტად პოლიციის კონტროლის გარეშე თავისუფალი გადაადგილების უფლება ირღვევა. ამ პოზიციას იზიარებს მსჯავრდებულების ოჯახის წევრების 40.5%. ყოფილ მსჯავრდებულთა შორის, აგრეთვე, შედარებით ხშირია შემთხვევები, როდესაც რესპონდენტები მსჯავრდებულებისა (14.8%) და ციხის თანამშრომლებისგან (13.6%) ფიზიკური უსაფრთხოების უფლების დარღვევაზე საუბრობენ. ოჯახის წევრების 12.4%-იც, ციხის თანამშრომლებისგან ფიზიკური უსაფრთხოების უფლების დარღვევას გამოყოფს.

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის (ქურდობა/ძარცვა) გასამართლებული პირების 38.7%-ის შეფასებით, სასჯელის მოხდის შემდეგ / პრობაციაში ყოფნის პერიოდში ყველაზე მეტად პოლიციის კონტროლის გარეშე თავისუფალი გადაადგილების უფლება ირღვევა. მსგავს პოზიციას იზიარებს მსჯავრდებულების ოჯახის წევრების თითქმის ნახევარი (48.6%). საინტერესოა, რომ სასჯელის მოხდის შემდგომ პერიოდშიც კი, როგორც ყოფილი მსჯავრდებულების (14.2%), ისე ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წარმომადგენლების ნაწილის (10.5%) შეფასებით, ყველაზე მეტად ციხის თანამშრომლებისგან ფიზიკური უსაფრთხოება ირღვევა (როგორც ჩანს, ფიზიკური უსაფრთხოება, პრობაციის პერიოდში ირღვევა).

ჯგუფების მიხედვით მონაცემთა დეტალური გადანაწილება იხილეთ ცხრილში №4.1.

ცხრილი №4.1

თქვენი აზრით, რომელი უფლებები ირღვევა ყველაზე მეტად?		წინასწარი პატიმრობის პერიოდში	სასჯელის მოხდის (პატიმრობის) პერიოდში	პირობითი მსჯავრის მოხდის პერიოდში	სასჯელის მოხდის (პატიმრობის დასრულების) შემდეგ/პრობაციაში ყოფნის პერიოდში
სამედიცინო სერვისების მიღება	საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=173)	10.8%	8.8%	1.2%	0.6%
	ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები (N=175)	10.5%	11.4%	2.5%	1%
პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა	საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=173)	10.4%	6.9%	7.4%	5.8%
	ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები (N=175)	6.8%	5%	7.4%	7.6%
ციხეში ცხოვრების ღირსეული პირობები	საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=173)	11.7%	15.2%	4.3%	4.5%
	ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები (N=175)	11.7%	18.8%	7.4%	2.9%
საგანმანათლებლო სერვისების მიღება	საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=173)	3.2%	2.7%	3.7%	3.2%
	ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები (N=175)	3.1%	2.5%	2.5%	2.9%

თქვენი აზრით, რომელი უფლებები ირღვევა ყველაზე მეტად?		წინასწარი პატიმრობის პერიოდში	სასჯელის მოხდის (პატიმრობის) პერიოდში	პირობითი მსჯავრის მოხდის პერიოდში	სასჯელის მოხდის (პატიმრობის დასრულების) შემდეგ/პრობაციაში ყოფნის პერიოდში
ფიზიკური უსაფრთხოება მსჯავრდებულებისგან	საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=173)	6.3%	20.7%	14.8%	5.8%
	ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები (N=175)	9.3%	20.3%	4.1%	5.7%
ფიზიკური უსაფრთხოება ციხის თანამშრომლებისგან	საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=173)	16.7%	19.9%	13.6%	14.2%
	ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები (N=175)	10.5%	16.8%	12.4%	10.5%
საჩივრები/თხოვნები	საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=173)	9%	5%	3.7%	3.2%
	ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები (N=175)	10.5%	8.4%	2.5%	1%
ადვოკატზე ხელმისაწვდომობა	საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=173)	11.7%	4.2%	3.1%	1.9%
	ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები (N=175)	14.2%	1.5%	4.1%	3.8%

თქვენი აზრით, რომელი უფლებები ირღვევა ყველაზე მეტად?		წინასწარი პატიმრობის პერიოდში	სასჯელის მოხდის (პატიმრობის) პერიოდში	პირობითი მსჯავრის მოხდის პერიოდში	სასჯელის მოხდის (პატიმრობის დასრულების) შემდეგ/ბრობაციაში ყოფნის პერიოდში
თავისუფალი გადაადგილების უფლება პოლიციის კონტროლის გარეშე	საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=173)	9.5%	6.5%	33.3%	38.7%
	ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები (N=175)	9.3%	9.4%	40.5%	48.6%
არცერთი	საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=173)	1.8%	1.5%	1.2%	1.3%
	ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები (N=175)	-	-	-	-
მიჭირს პასუხის გაცემა/უარი პასუხზე	საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=173)	9%	8.4%	13.6%	20.6%
	ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები (N=175)	14.2%	5.9%	16.5%	16.2%

5. საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) შესახებ არსებული პოლიტიკა

კვლევის შემდგომ ეტაპზე რესპონდენტებს წარედგინათ მოსაზრებები **სამართლებრივი პოლიტიკის** შესახებ. ეს მოსაზრებები (დებულებების სახით მიწოდებული) შეეხებოდა ჩადენილი დანაშაულისა და სასჯელის თანაზომიერებას/შესაბამისობას, პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი პირების სამედიცინო, ფსიქოლოგიური და სოციალურ საჭიროებებზე მორგებული მომსახურებებით უზრუნველყოფას.

აღსანიშნავია, რომ გამოკვეთილი მხარდაჭერა[8], ორივე სამიზნე ჯგუფში, წილად ხვდა შემდეგ დებულებას:

- საქართველოში პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი პირები უზრუნველყოფილნი არიან სამედიცინო, ფსიქოლოგიურ და სოციალურ საჭიროებებზე მორგებული მომსახურებებით: ყოფილი მსჯავრდებულები – 67.1%; ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები – 62.9%;

უფრო მეტი მხარდამჭერი ჰყავს შემდეგ მოსაზრებას:

- საქართველოში ჩადენილი დანაშაულის სამართლიანი და თანაზომიერი/შესაბამისი სასჯელის პოლიტიკა ხორციელდება: ყოფილი მსჯავრდებულები – 50.9%; ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები – 53.6%; საგულისხმოა, რომ ყოფილი მსჯავრდებულების თითქმის 40% არ ეთანხმება ამ მოსაზრებას.

ყოფილი მსჯავრდებულების უმრავლესობა (54.3%) **არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ არსებული სამართლებრივი პოლიტიკა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) შემცირებაზეა ორიენტირებული.** ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრების შემთხვევაში დომინანტური პოზიცია არ გამოკვეთილა – 41.4% ამ შეხედულებას იზიარებს და მიიჩნევს, რომ სამართლებრივი პოლიტიკა სწორედ ამ მიმართულებით მოქმედებს. ხოლო 40.7% არ ეთანხმება მოცემულ მოსაზრებას.

ამდენად, **ყოფილ მსჯავრდებულებში ბევრია ისეთი, ვინც ფიქრობს, რომ საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან (ქურდობა/ძარცვა) დაკავშირებული სამართლებრივი პოლიტიკა საჭიროებს რევიზიას და დახვეწას.**

8 დებულებები შეფასდა 4-ქულიან სკალაზე, რომელზეც ქულა 1 ნიშნავს „სრულიად ვეთანხმები“, ხოლო ქულა 4 – „სრულიად არ ვეთანხმები“.

ზემოაღნიშნული დებულებების შეფასების დეტალური გადანაწილება ჯგუფებს შორის იხილეთ ცხრილში №5.1.

ცხრილი №5.1

		სრულიად ვეთანხმები	უფრო ვეთანხმები, ვიდრე არა	უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე კი	სრულიად არ ვეთანხმები	მიჭირს პასუხის გაცემა/ უარი პასუხზე
საქართველოში ჩადენილი დანაშაულის სამართლიანი და თანაზომიერი/შესაბამისი სასჯელის პოლიტიკა ხორციელდება	საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=173)	16.2%	34.7%	35.8%	2.9%	10.4%
	ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები (N=175)	16.4%	37.2%	27.1%	1.4%	17.9%
საქართველოში პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი პირები უზრუნველყოფილნი არიან სამედიცინო, ფსიქოლოგიურ და სოციალურ საჭიროებებზე მორგებული მომსახურებებით	საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=173)	19.7%	47.4%	23.1%	6.9%	2.9%
	ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები (N=175)	19.3%	43.6%	22.9%	5.7%	8.6%
საქართველოში არსებული სამართლებრივი პოლიტიკა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ ძარცვა) შემცირებაზეა ორიენტირებული	საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=173)	4%	32.4%	39.3%	15%	9.3%
	ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები (N=175)	12.1%	29.3%	28.6%	12.1%	17.9%

სწორედ მოსაზრებებზე თანხმობის პრინციპით შეფასდა რესპონდენტების დამოკიდებულება **სახელმწიფოს პოლიტიკის მიმართ.**

გამოკითხვა აჩვენებს, რომ ორივე სამიზნე ჯგუფის რესპონდენტებს აქვთ ერთგვარი ამბივალენტური დამოკიდებულება დანაშაულთან ბრძოლის მექანიზმების მიმართ. კერძოდ:

ა) ერთი მხრივ, როგორც საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი პირების უმრავლესობა (87.3%), ეთანხმება (მათ შორის, 68.2% სრულიად ეთანხმება) შეხედულებას, რომ სახელმწიფო, დანაშაულთან ბრძოლის მიზნით, დასჯის გარდა, სხვა დამცავ მექანიზმებს (სამედიცინო, სოციალური, საგანმანათლებლო, კულტურული) უნდა იყენებდეს. მსგავს პოზიციას იზიარებს მსჯავრდებულების ოჯახის წევრების 90%.

ბ) მეორე მხრივ, როდესაც საქმე ეხება მოქალაქეების დანაშაულებრივი ქმედებებისგან დაცვას, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის (ქურდობა/ძარცვა) გასამართლებული პირების 73.4% მიიჩნევს, რომ სახელმწიფო ვალდებულია კრიმინალთან ნულოვანი კომპრომისის მეთოდები გამოიყენოს და არა – ლიბერალური პოლიტიკა. ამ ჯგუფის რესპონდენტების ნახევარი (50.9%) სრულიად იზიარებს მსგავს მიდგომას. მსჯავრდებულების ოჯახის წევრების შემთხვევაში ზემოაღნიშნულ მოსაზრებაზე დათანხმების მაჩვენებელი 83.6%-მდე იმატებს, მხოლოდ 8.6%-ია, ვინც არ ეთანხმება ამ შეხედულებას.

როგორც ჩანს, ადამიანის უფლებებისა და ინტერესების დაცვა კვლევაში მონაწილე პირების უმრავლესობისთვის პრიორიტეტული საკითხია. საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი პირების (92.5%) და მსჯავრდებულების ოჯახის წევრების უმრავლესობა (92.1%) ეთანხმება მოსაზრებას, რომ სისხლის სამართლის პოლიტიკის გატარებისას სახელმწიფოსთვის თანაბრად პრიორიტეტული უნდა იყოს, როგორც დაზარალებულის, ისე დამნაშავის უფლებებისა და ინტერესების დაცვა. ცალკეულ ჯგუფში მხოლოდ ათეული შემთხვევაა, როდესაც რესპონდენტები ზემოაღნიშნულ მოსაზრებას არ იზიარებენ.

გარდა იმისა, რომ რესპონდენტების აზრით, დანაშაულთან ბრძოლის მიზნით დასჯის გარდა სხვა დამცავი მექანიზმებიც უნდა გამოიყენებოდეს, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი პირების 91.9% იზიარებს მოსაზრებას, რომ სახელმწიფომ კიდევ უფრო აქტიურად უნდა გამოიყენოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ალტერნატიული მექანიზმები (მაგ., განრიდება, პირობითი მსჯავრი და სხვ.). მსჯავრდებულების ოჯახის წევრების 90.7%-იც ამავე შეხედულებისაა. აღსანიშნავია, რომ რესპონდენტების არცერთ ჯგუფში უკი-

დურესად უარყოფითი შინაარსის მქონე პასუხი, „სრულიად არ ვეთანხმები“, არ გამოვლენილა.

ჯგუფებს შორის მონაცემების დეტალური გადანაწილება იხილეთ ცხრილში №5.2.

ცხრილი №5.2

		სრულიად ვეთანხმები	უფრო ვეთანხმები, ვიდრე არა	უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე კი	სრულიად არ ვეთანხმები	მიჭირს პასუხის გაცემა/უარი პასუხზე
სახელმწიფო დანაშაულთან ბრძოლის მიზნით დასჯის გარდა, უნდა იყენებდეს სხვა დამცავ მექანიზმებს (სამედიცინო, სოციალური, საგანმანათლებლო, კულტურული)	საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=173)	68.2%	19.1%	5.2%	0.6%	6.9%
	ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები (N=175)	60.7%	29.3%	2.1%	-	7.9%
სახელმწიფო ვალდებულია, რომ საკუთარი მოქალაქეები დაიცვას დანაშაულებრივი ქმედებისგან კრიმინალთან ნულოვანი კომპრომისის მეთოდების გამოყენებით და არა ლიბერალური პოლიტიკით.	საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=173)	50.9%	22.5%	12.1%	3.5%	11%
	ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები (N=175)	46.4%	37.1%	4.3%	4.3%	7.9%

		სრულიად ვეთანხმები	უფრო ვეთანხმები, ვიდრე არა	უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე კი	სრულიად არ ვეთანხმები	მიჭირს პასუხის გაცემა/უარი პასუხზე
სისხლის სამართლის პოლიტიკის გატარებისას სახელმწიფოსთვის თანაბრად პრიორიტეტული უნდა იყოს, როგორც დაზარალებულის ისე დამნაშავის უფლებების და ინტერესების დაცვა	საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=173)	63.6%	28.9%	5.8%	0.6%	1.2%
	ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები (N=175)	55%	37.1%	3.6%	1.4%	2.9%
სახელმწიფომ კიდევ უფრო აქტიურად უნდა გამოიყენოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ალტერნატიული მექანიზმები (მაგ., განრიდება, პირობითი მსჯავრი და ა.შ.)	საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=173)	67.6%	24.3%	6.4%	-	1.7%
	ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები (N=175)	57.1%	33.6%	1.4%	-	7.9%

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) მხრივ არსებული პოლიტიკის გაანალიზებისას, რესპონდენტებმა შეაფასეს, **საკუთრების წინააღმდეგ მიმართული თითოეული დანაშაულისთვის (ქურდობა/ძარცვა),** მათი აზრით, **რა ტიპის სასჯელს უნდა ითვალისწინებდეს საქართველოს კანონმდებლობა** (დანაშაულის მითითებული ტიპის შემთხვევაში სასჯელის ვადებიც განისაზღვრა):

- **ქურდობა/ძარცვა, რომელმაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია**

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი პირების უმრავლესობა (56.1%) მიიჩნევს, რომ ამ დანაშაულისთვის **თავისუფლების აღკვეთა** უნდა იყოს გათვალისწინებული. ამავე აზრისაა ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრების 57.9%-იც. რაც შეეხება სასჯელის ვადას, ყოფილი მსჯავრდებულების 47.4%-ის აზრით, 3-დან 5 წლამდე უნდა განისაზღვროს, ხოლო 30.9%-ის შეფასებით – 1-დან 3 წლამდე. ოჯახის წევრების 32% 5-დან 10 წლამდე სასჯელს ასახელებს, 29.6% კი – 3-დან 5 წლამდე (ცხრილი №5.3).

ცხრილი №5.3

თავისუფლების აღკვეთა	საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=97)	ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები (N=101)
1-დან 3 წლამდე	30.9%	27.2%
3-დან 5 წლამდე	47.4%	29.6%
5-დან 10 წლამდე	14.4%	32%
10 წელი ან მეტი	1%	2.5%
მიჭირს პასუხის გაცემა	6.2%	8.6%

კვლევაში მონაწილე ყოფილი მსჯავრდებულების 18.5%-ის (N=32) შეფასებით, მნიშვნელოვანი ზიანის გამომწვევი ქურდობისთვის/ძარცვისთვის სასჯელის ფორმად ჯარიმა უნდა განისაზღვროს. აღნიშნული კატეგორია ოჯახის წევრების შემთხვევაში 10%-ს (N=18) უტოლდება. ჯარიმის მინიმალურ ოდენობად, როგორც საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენმა პირებმა (9.4%), ისე მსჯავრდებულების ოჯახის წევრებმა (14.3%) 200 ლარი განსაზღვრეს. ჯგუფებს შორის ჯარიმების ოდენობა შემდეგნაირად განისაზღვრა: 500-დან 1000 ლარამდე (ყოფილი მსჯავრდებულები – 9.4%; ოჯახის წევრები – 21.4%), 1000-დან 3000 ლარამდე (ყოფილი მსჯავრდებულები – 71.9%; ოჯახის წევრები – 4.3%).

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის (ქურდობა/ძარცვა) გასამართლებულების 8.7%-ის (N=15) შეფასებით, მნიშვნელოვანი ზიანის გამომწვევი ქურდობისთვის/ძარცვისთვის შესაფერისი სასჯელი გამასწორებელი სამუშაო იქნება, რასაც მსჯავრდებულების ოჯახის წევრების 5.7%-იც (N=10) იზიარებს. რესპონდენტების მხრიდან სასჯელის ვადად 1 წელი (ყოფილი მსჯავრდებულები – 20%; ოჯა-

ხის წევრები – 25%), 2 წელი (ყოფილი მსჯავრდებულები – 46.7%; ოჯახის წევრები – 37.5%) ან 3 წელი (ყოფილი მსჯავრდებულები – 26.7%; ოჯახის წევრები – 25%) განისაზღვრა. აღსანიშნავია, რომ ორივე ჯგუფის რესპონდენტებიდან თითო-თითო ადამიანს გაუჭირდა გამასწორებელი სამუშაოს კონკრეტული ვადის განსაზღვრა.

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი პირების 6.4%–მა (N=11) შესაფერის სასჯელად **შინაპატიმრობა** განსაზღვრა, რასაც ოჯახის წევრებს შორის ერთი ინდივიდიც ეთანხმება. ამ პოზიციის მომხრე ყოფილი მსჯავრდებულების 36.4%-ს მიაჩნია, რომ შინაპატიმრობა 1 თვით უნდა განისაზღვროს, თითქმის მეხუთედი კი (18.2%) შესაბამის სასჯელად 2-თვიან ან 9-თვიან შინაპატიმრობას ასახელებს. საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის (ქურდობა/ძარცვა) გასამართლებული პირებიდან მხოლოდ თითო-თითო ადამიანი მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანი ზიანის გამომწვევი ქურდობისთვის/ძარცვისთვის შესაფერისი სასჯელი იქნება 3-თვიანი, 6-თვიანი, ან 7-თვიანი შინაპატიმრობა. მსჯავრდებულების ოჯახის წევრმა კი სასჯელის ვადად 3 თვე დაასახელა.

ყოფილი მსჯავრდებულების 3.5%-სთვის (N=6) ამ შემთხვევაში პირს **საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა** უნდა მიესაჯოს. ამავე აზრისაა მსჯავრდებულების ოჯახის წევრების 3.6% (N=6). ყოფილ მსჯავრდებულებს შორის ორ-ორი ინდივიდი მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანი ზიანის გამომწვევი ქურდობისთვის/ძარცვისთვის 2-დღიანი ან 5-დღიანი საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა შესაფერისი სასჯელი იქნებოდა, ხოლო თითო-თითო რესპონდენტი 1-დღიანი ან 3-დღიანი ხანგრძლივობისკენ იხრება. ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრებს შორის 4 ინდივიდი მიიჩნევს, რომ მსგავს შემთხვევაში 1-დღიანი საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა შესაფერისი სასჯელი იქნებოდა, შესაბამისად 2 რესპონდენტი 2 დღის ვადას ემხრობა.

ყოფილი მსჯავრდებულების 7%-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა ან თავი შეიკავა. საინტერესოა, რომ მსჯავრდებულების ოჯახის წევრების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 22.1%-ს აღწევს.

- **ქურდობა/ძარცვა სადგომში ან საცავში უკანონო შეღწევით**

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის (ქურდობა/ძარცვა) გასამართლებული პირების ნახევარი (50.9%) მიიჩნევს, რომ სადგომში ან საცავში უკანონო შეღწევით ქურდობის/ძარცვის შემთხვევაში სასჯელი **თავისუფლების აღკვეთას** უნდა ითვალისწინებდეს. ოჯახის წევრების 50.7%-იც ემხრობა ამ აზრს. ამ პოზიციის მომხრე ყოფილი მსჯავრდებულების 46.6% მიიჩნევს, რომ მსგავს შემთხვევაში სასჯელის ვადა 3-დან 5 წლამდე უნდა განისაზღვროს, ხოლო 37.5%-მა 1-დან 3 წლამდე

პერიოდი დაასახელა. როგორც ჩანს, 6.8%-სთვის კონკრეტული ვადის მითითება რთული აღმოჩნდა. რაც შეეხება ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრებს, თავისუფლებს აღკვეთის მომხრე რესპონდენტების უფრო დიდი ნაწილიც (45.1%) თავისუფლების აღკვეთის ვადად 3-დან 5 წლამდე საზღვრავს. გამოკითხულთა მეხუთედზე მეტი (21.1%) მიიჩნევს, რომ სადგომში ან საცავში უკანონო შეღწევით ქურდობისთვის/ძარცვისთვის პირს 5-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთა უნდა მიესაჯოს. მსჯავრდებულების ოჯახის წევრების 8.5%-ს სასჯელის ხანგრძლივობის განსაზღვრა გაუჭირდა (იხ. ცხრილი №5.4).

ცხრილი №5.4

თავისუფლების აღკვეთა	საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=88)	ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები (N=89)
1-დან 3 წლამდე	37.5%	25.4%
3-დან 5 წლამდე	46.6%	45.1%
5-დან 10 წლამდე	9.1%	21.1%
10 წელი ან მეტი	-	-
მიჭირს პასუხის გაცემა	6.8%	8.5%

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი პირების 13.9%-ის აზრით, მსგავსი დანაშაულის შემთხვევაში, სასჯელი **ჯარიმა** უნდა იყოს, რასაც ოჯახის წევრების 7.9%-იც იზიარებს. რაც შეეხება ჯარიმის ოდენობას, ყოფილი მსჯავრდებულების შემთხვევაში 500-დან 5000 ლარამდე მონაცვლეობს, ხოლო ოჯახის წევრების მითითებით, 1000-დან 10000 ლარამდე. ჯგუფებს შორის პროცენტული გადანაწილება იხილეთ ცხრილში №5.5.

ცხრილი №5.5

ჯარიმა	საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=24)	ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები (N=14)
500-დან 1000 ლარამდე	12.5%	-
1000-დან 3000 ლარამდე	58.4%	63.7%
3000-დან 5000 ლარამდე	16.7%	18.2%
5000 ლარი ან მეტი	-	18.2%
მიჭირს პასუხის გაცემა	12.5%	-

ყოფილი მსჯავრდებულების თითქმის 10% (9.8%, N=17) მიიჩნევს, რომ სადგომში ან საცავში უკანონო შეღწევით ქურდობისთვის/ძარცვისთვის საქართველოს კანონმდებლობა **გამასწორებელ სამუშაოს** უნდა ითვალისწინებდეს. მსგავსი შეხედულება გამოთქვა ოჯახის წევრების 6.4%-მა (N=11). ამ პოზიციის მომხრე ყოფილი მსჯავრდებულების 41.2%-ის აზრით, ეს სასჯელი 3 წლის ვადით უნდა განისაზღვროს, მეხუთედს აჭარბებს მათი წილი (23.5%), ვისი შეფასებითაც გამასწორებელი სამუშაო 1 წელი უნდა გრძელდებოდეს, 17.6%-მა 2 წელი დაასახელა, რაც შეეხება ოჯახის წევრებს, უმრავლესობამ (66.7%) გამასწორებელი სამუშაოს ვადად 2 წელი განსაზღვრა, 22.2%-მა (N=3) – 3 წელი, ხოლო მხოლოდ ერთი რესპონდენტის მითითებით, სასჯელი 4-წლიან გამასწორებელ სამუშაოს უნდა ითვალისწინებდეს.

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის (ქურდობა/ძარცვა) გასამართლებული პირების 7.5%-ს (N=13) მიაჩნია, რომ მსგავსი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში პირს **საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა** უნდა მიესაჯოს, რასაც ოჯახის წევრების 4.3%-იც (N=8) იზიარებს. ამ პოზიციის მომხრე ყოფილი მსჯავრდებულების 38.5%-ის აზრით, მსგავსი დანაშაული 3-დღიან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომას უნდა ითვალისწინებდეს, 30.8%-ის შეფასებით, ხანგრძლიობა 2 დღე უნდა იყოს, ხოლო ერთმა ადამიანმა 4 დღე დაასახელა. შესაბამისად, მეხუთედზე მეტს, 23.1%-ს, კონკრეტული ვადის განსაზღვრა გაუჭირდა. რაც შეეხება ოჯახის წევრებს, ამ შემთხვევაში უმრავლესობა მიიჩნევს, რომ სადგომში ან საცავში უკანონო შეღწევით ქურდობისთვის/ძარცვისთვის 1-დღიანი სასჯელი უნდა იყოს, რაც საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომას ითვალისწინებს.

ყოფილი მსჯავრდებულების 7.5% (N=13) მიიჩნევს, რომ ამ დანაშაულის შემთხვევაში სასჯელი **შინაპატიმრობას** უნდა ითვალისწინებდეს. მსგავსი შეხედულება გამოთქვა მსჯავრდებულების ოჯახის წევრების 2.1%-მაც (N=4). ამ მოსაზრების მქონე ყოფილმა მსჯავრდებულებმა შინაპატიმრობის ვადად, ძირითადად, 6 თვე განსაზღვრეს. ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები, ოთხივე რესპონდენტი, რომელთაც სასჯელის ფორმად შინაპატიმრობა დაასახელეს, მიიჩნევს, რომ ხანგრძლივობა 6 თვე უნდა იყოს.

- **ქურდობა/ძარცვა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ**

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის (ქურდობა/ძარცვა) გასამართლებული პირების უმრავლესობა (60.1%) მიიჩნევს, რომ ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით ქურდობა/ძარცვა **თავისუფლების აღკვეთით** უნდა ისჯებოდეს. ამავე აზრს იზიარებს ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრების 66.4%. ამ პოზიციის მომხრე ყოფილი მსჯავრდებულების მეხუთედზე მეტს (39.5%) მიაჩნია, რომ მსგავსი დანაშაულისთვის საქართველოს კანონმდებლობა 5-დან 10 წლამდე სასჯელს უნდა ითვალისწინებდეს, 27.8%-ის მოსაზრებით კი – 3-დან 5 წლამდე, რასაც

მცირედით ჩამორჩება იმ რესპონდენტების წილი (25%), რომელთა აზრითაც 1-დან 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთა შესაფერისი სასჯელია. ოჯახის წევრების შემთხვევაშიც, დიდი ნაწილი (39.8%) შესაბამის სასჯელად 5-დან 10 წლამდე პერიოდს მიიჩნევს; რესპონდენტების 29%-ის აზრით, ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით ქურდობა/ძარცვა 1-დან 3 წლამდე ვადით უნდა ისჯებოდეს. ოჯახის წევრების 7.5%-ის აზრით, მსგავსი დანაშაულის შემთხვევაში პირს 10 წლით ან მეტით თავისუფლების აღკვეთა უნდა მიესაჯოს (იხ. ცხრილი №5.6).

ცხრილი №5.6

თავისუფლების აღკვეთა	საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=104)	ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები (N=116)
1-დან 3 წლამდე	25%	29%
3-დან 5 წლამდე	27.8%	17.2%
5-დან 10 წლამდე	39.5%	39.8%
10 წელი ან მეტი	-	7.5%
მიჭირს პასუხის გაცემა	7.7%	6.5%

ყოფილი მსჯავრდებულების 9.2%-ის (N=16) შეფასებით, ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით ქურდობა/ძარცვა **ჯარიმით** უნდა ისჯებოდეს, რასაც ოჯახის წევრების 4.3%-იც (N=8) იზიარებს. ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისას ორივე ჯგუფის რესპონდენტების მხრიდან დასახელდა 2000 ლარი (ყოფილი მსჯავრდებულები – 25%; ოჯახის წევრები – 33.3%), 4000 ლარი (ყოფილი მსჯავრდებულები – 12.5%; ოჯახის წევრები – 33.3%) და 5000 ლარი (ყოფილი მსჯავრდებულები 25%; ოჯახის წევრები – 33.3%).

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის (ქურდობა/ძარცვა) გასამართლებული პირების 7.5% (N=13) მიიჩნევს, რომ საქართველოს კანონმდებლობა ამ დანაშაულის შემთხვევაში პირისთვის **გამასწორებელი სამუშაოს** მისჯას უნდა ითვალისწინებდეს. მათი უმეტესი ნაწილი მიიჩნევს, რომ გამასწორებელი სამუშაოს ხანგრძლივობა 2 წელი ან 3 წელი უნდა იყოს. გამასწორებელ სამუშაოს ადეკვატურ ზომად მიიჩნევს ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრების 1.4%-იც (N=3). ისინი 2-წლიან ხანგრძლივობას ემხრობიან.

ყოფილი მსჯავრდებულების 5.2% (N=9) მიიჩნევს, რომ მსგავსი დანაშაულისთვის კანონი სასჯელად **საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომას** უნდა ითვალისწინებდეს. რესპონდენტების შეხედულება სასჯელის ვადასთან დაკავშირებით შემდეგნაირად ნაწილდება: 2 დღე – 1 რესპონდენტი, 3 დღე – 1 რესპონდენტი, 4 დღე – 2

რესპონდენტი, 5 დღე – 5 რესპონდენტი. საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის (ქურდობა/ძარცვა) გასამართლებული პირების 4%-ის (N=7) აზრით, ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით ქურდობა/ძარცვა **შინაპატიმრობით** უნდა ისჯებოდეს. მათი აზრით, შინაპატიმრობის ხანგრძლივობა 1-დან 4 თვემდე უნდა გრძელდებოდეს.

აღსანიშნავია, რომ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის (ქურდობა/ძარცვა) გასამართლებული ერთი პირი მიიჩნევს, რომ მსგავსი დანაშაული საერთოდ არ უნდა ისჯებოდეს, ხოლო 13.3%-მა თავი აარიდა პასუხის გაცემას, ან გაუჭირდა პასუხის გაცემა. ამავე კატეგორიაში მოექცა ოჯახის წევრების 27.1%.

- **ქურდობა/ძარცვა ჩადენილი არაერთგზის**

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი პირების უმრავლესობა (63.6%) მიიჩნევს, რომ არაერთგზის ჩადენილი ქურდობის/ძარცვის შემთხვევაში პირს **თავისუფლების აღკვეთა** უნდა შეეფარდოს, რასაც ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრების 70.7%-იც იზიარებს. რაც შეეხება თავად სასჯელის ხანგრძლივობას, აღნიშნული პოზიციის მომხრე ყოფილი მსჯავრდებულების 39.9% მიიჩნევს, რომ მსგავსი დანაშაულის შემთხვევაში, პირს 5-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთა უნდა მიესაჯოს. რესპონდენტების 30%-ის აზრით, სასჯელი 3-დან 5 წლამდე პერიოდს უნდა მოიცავდეს. საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის (ქურდობა/ძარცვა) გასამართლებული პირების 6.4%-მა მიუთითა, რომ მსგავსი დანაშაული 10 წლის ან მეტით თავისუფლების აღკვეთას უნდა ითვალისწინებდეს. მსჯავრდებულების ოჯახის წევრების შეფასებითაც, დანაშაული 5-დან 10 წლამდე (41.4%) თავისუფლების აღკვეთას უნდა ითვალისწინებდეს, ხოლო გამოკითხულთა 22.2%-ის აზრით – 3-დან 5 წლამდე პერიოდს (იხ. ცხრილი №5.7).

ცხრილი №5.7

თავისუფლების აღკვეთა	საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=110)	ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები (N=124)
1-დან 3 წლამდე	16.3%	16.1%
3-დან 5 წლამდე	30%	22.2%
5-დან 10 წლამდე	39.9%	41.4%
10 წელი ან მეტი	6.4%	10.1%
მიჭირს პასუხის გაცემა	7.3%	10.1%

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი პირების 9.2% (N=16) მიიჩნევს, რომ არაერთგზის ჩადენილი ქურდობისთვის/ძარცვისთვის პირს **გამასწორებელი სამუშაო** უნდა შეეფარდოს. ამ აზრს იზიარებს ოჯახის წევრების 2.9%-იც (N=5). ამ პოზიციის მომხრე ყოფილი მსჯავრდებულების 62.5%-ის აზრით, გამასწორებელი სამუშაო 2 წლის ვადით უნდა განისაზღვროს.

არაერთგზის ჩადენილი დანაშაულისთვის, ყოფილი მსჯავრდებულების 5.2%-ს (N=9) შეფასებით, სასჯელი **ჯარიმას** უნდა ითვალისწინებდეს (ოჯახის წევრები 1.4%, N=3). სასჯელის რაოდენობის განსაზღვრის შემთხვევაში, როგორც აღმოჩნდა ოჯახის წევრები 2000-ლარიან ჯარიმას ემხრობიან, ხოლო ყოფილი მსჯავრდებულების თანაბარი რაოდენობა (3-3 რესპონდენტი) მიიჩნევს, რომ პირს 500-დან 1000 ლარამდე ან 3000-დან 5000 ლარამდე ოდენობის ჯარიმა უნდა დაეკისროს (იხ. ცხრილი №5.8).

ცხრილი №5.8

ჯარიმა	საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=9)	ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები (N=3)
500 ლარამდე	2 რესპონდენტი	-
500-დან 1000 ლარამდე	3 რესპონდენტი	-
1000-დან 3000 ლარამდე	-	100% (3 რესპონდენტი)
3000-დან 5000 ლარამდე	3 რესპონდენტი	-
5000 ლარი ან მეტი	1 რესპონდენტი	-

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი პირების 6.4% (N=11) არაერთგზის ჩადენილი ქურდობისთვის/ძარცვისთვის სასჯელად **საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომას** მიიჩნევს. ოჯახის წევრებს შორის მხოლოდ ერთმა რესპონდენტმა დაასახელა ეს კატეგორია; ხოლო სასჯელის ვადად 2 დღე განსაზღვრა. რაც შეეხება საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის (ქურდობა/ძარცვა) გასამართლებულ პირებს, მათ მიერ განსაზღვრული სასჯელი 1-5 დღის ვადას მოიცავს, რაც პროცენტულად შემდეგნაირადაა გადანაწილებული: 1 დღე – 1 რესპონდენტი, 2 დღე – 6 რესპონდენტი (54.5%), 3 დღე –1 რესპონდენტი, 4 დღე – 2 რესპონდენტი, 5 დღე – 1 რესპონდენტი.

ყოფილი მსჯავრდებულების 5.8%-ის (N=10) შეფასებით, არაერთგზის ჩადენილი ქურდობის/ძარცვის შემთხვევაში, პირს შინაპატიმრობა უნდა შეეფარდოს. ოთხი

მათგანი მიიჩნევს, რომ შინაპატიმრობა 2 თვის ვადას უნდა მოიცავდეს, ორ-ორი რესპონდენტი კი 1 თვისა და 3 თვის კატეგორიებს ემხრობა. ხოლო 4 თვეს ან 5 თვეს მხოლოდ თითო-თითო გამოკითხული ასახელებს.

საინტერესოა, რომ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის (ქურდობა/ძარცვა) გასამართლებული პირების 9.8%-მა თავი შეიკავა პასუხისგან ან გაუჭირდა პასუხის გაცემა; მაშინ, როდესაც ოჯახის წევრების იდენტური კატეგორიის მაჩვენებელი 24.3%-ს უტოლდება.

- **ქურდობა/ძარცვა ბინაში უკანონო შეღწევით**

გამოკითხვაში მონაწილე საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი პირების ნახევარი (50.9%) მიიჩნევს, რომ ბინაში უკანონო შეღწევით ქურდობა/ძარცვა **თავისუფლების აღკვეთით** უნდა ისჯებოდეს. მსგავსი დამოკიდებულება გამოხატა ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრების 63.6%-მაც. რაც შეეხება სასჯელის ვადას, ამავე პოზიციის მომხრე ყოფილი მსჯავრდებულების 46.5% მიიჩნევს, რომ მსგავსი დანაშაულისთვის პირს 1-დან 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთა უნდა მიესაჯოს, 39.8%-ის შეფასებით კი, სასჯელის ვადა 3-დან 5 წლამდე უნდა იყოს. რაც შეეხება ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრებს, მათი 41.6%-ის შეფასებით, სასჯელის ვადა 3-დან 5 წლამდე პერიოდით უნდა განისაზღვროს. მეხუთედს აღემატება მათი წილი, ვინც მიიჩნევს, რომ ბინაში უკანონო შეღწევით ქურდობა/ძარცვა 5-დან 10 წლამდე (22.4%) თავისუფლების აღკვეთით უნდა ისჯებოდეს (იხ. ცხრილი №5.9).

ცხრილი №5.9

თავისუფლების აღკვეთა	საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=88)	ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები (N=111)
1-დან 3 წლამდე	46.5%	27%
3-დან 5 წლამდე	39.8%	41.6%
5-დან 10 წლამდე	10.1%	22.4%
10 წელი ან მეტი	-	2.2%
მიჭირს პასუხის გაცემა	3.4%	6.7%

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის (ქურდობა/ძარცვა) გასამართლებული პირების 11.6%-ს (N=20) მიაჩნია, რომ ბინაში უკანონო შეღწევით ქურდობა/ძარცვა შინაპატიმრობით უნდა ისჯებოდეს. ამ რესპონდენტების დიდი

ნაწილი (45%) შინაპატიმრობის ვადად 3 თვეს საზღვრავს, 30%-ის შეფასებით კი, მსგავსი დანაშაული 2-თვიან სასჯელს უნდა ითვალისწინებდეს. საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენ პირებს შორის შედარებით დაბალი პროცენტული მაჩვენებლით არის წარმოდგენილი მათი წილი, ვინც მიიჩნევს, რომ ამ დანაშაულისთვის საქართველოს კანონმდებლობა 1-თვიან (15%) ან 5-თვიან (10%) შინაპატიმრობას უნდა ითვალისწინებდეს.

კვლევაში მონაწილე ყოფილი მსჯავრდებულების 10.4%-ის (N=18) შეფასებით, ბინაში უკანონო შეღწევით ქურდობისთვის/ძარცვისთვის შესაბამისი სასჯელი **ჯარიმა** იქნებოდა, რასაც მსჯავრდებულების ოჯახის წევრების 3.6%-იც (N=6) ეთანხმება. აღნიშნული პოზიციის მომხრე ყოფილი მსჯავრდებულების მესამედმა (33.3%) ჯარიმის ოდენობად 3000-დან 5000 ლარამდე განსაზღვრა, 22.3%-ია მათი წილი, ვინც მიიჩნევს, რომ მსგავსი დანაშაული 1000-დან 3000 ლარამდე ჯარიმას უნდა ითვალისწინებდეს. ოჯახის წევრების შემთხვევაში კი, უმრავლესობა (60%) მიიჩნევს, რომ მსგავსი დანაშულისთვის პირს 5000 ლარი ან მეტი ჯარიმის გადახდა უნდა დაეკისროს (იხ. ცხრილი №5.10).

ცხრილი №5.10

ჯარიმა	საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=18)	ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები (N=6)
500 ლარამდე	11.2%	-
500-დან 1000 ლარამდე	-	20%
1000-დან 3000 ლარამდე	22.3%	20%
3000-დან 5000 ლარამდე	33.3%	-
5000 ლარი ან მეტი	22.2%	60%
მიჭირს პასუხის გაცემა	11.1%	-

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის (ქურდობა/ძარცვა) გასამართლებული პირების 9.2%-ის (N=16) შეფასებით, ბინაში უკანონო შეღწევით ქურდობა/ძარცვა **გამასწორებელი სამუშაოთი** უნდა ისჯებოდეს. კვლევის ფარგლებში მსგავს შეხედულებას იზიარებს ოჯახის წევრების 6.4%-იც (N=11). ამ პოზიციის მომხრე ყოფილი მსჯავრდებულების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ სასჯელი 2 ან 3 წლის ვადით უნდა განისაზღვროს. რაც შეეხება გამასწორებელი სამუშაოს მომხრე ოჯახის წევრების შეფასებას, უმრავლესობას (55.6%) მიაჩნია, რომ მსგავსი დანაშაულისთვის შესაფერისი სასჯელი 4-წლიანი გამასწორებელი სამუშაო იქნებოდა, ხოლო 22.2%-ის შეფასებით – 3-წლიანი.

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი პირების 6.4%-მა (N=11) ბინაში უკანონო შეღწევით ქურდობისთვის/ძარცვისთვის შესაბამის სასჯელად **საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა** დაასახელა, ხოლო სასჯელის ვადად – ძირითადად 2 დღე. ყოფილი მსჯავრდებულების მეოთხედზე მეტს (27.3%) გაუჭირდა კონკრეტული პერიოდის განსაზღვრა. ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრებიდან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას მხარი მხოლოდ ერთმა რესპონდენტმა დაუჭირა.

ზოგადი კონტექსტის შესაფასებლად უნდა ითქვას, რომ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის (ქურდობა/ძარცვა) გასამართლებული პირების 11.6%-ს გაუჭირდა ამ დანაშაულისთვის სასჯელის განსაზღვრა, ან თავი აარიდა პასუხის გაცემას. სწორედ იმის გამო, რომ მსჯავრდებულების ოჯახის წევრებს შედარებით ნაკლები კონტაქტი აქვთ უშუალოდ სასამართლოსთან, შესაძლოა, კანონთანაც, და ინფორმაციას, ძირითადად, თავად მსჯავრდებულებისგან იღებენ, მათ 25.7%-ს გაუჭირდა სასჯელის ტიპის დასახელება.

- **სატრანსპორტო საშუალების ქურდობა/ძარცვა**

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი პირების 35.3%-ს მიაჩნია, რომ სატრანსპორტო საშუალების ქურდობას/ძარცვას სასჯელად **თავისუფლების აღკვეთა** უნდა მოჰყვებოდეს, რასაც მსჯავრდებულების ოჯახის წევრების 44.3%-იც დაეთანხმა. სასჯელის ვადად ყოფილი მსჯავრდებულების უმრავლესობამ 1-დან 3 წლამდე (60.6%) პერიოდი დაასახელა. ოჯახის წევრების შემთხვევაში, რესპონდენტების თანაბარი 38.7%-38.7% მიიჩნევს, რომ ამგვარი დანაშაულისთვის საქართველოს კანონმდებლობა 1-დან 3 წლამდე ან 3-დან 5 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას უნდა ითვალისწინებდეს (იხ. ცხრილი №5.11).

ცხრილი №5.11

თავისუფლების აღკვეთა	საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=61)	ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები (N=78)
1-დან 3 წლამდე	60.6%	38.7%
3-დან 5 წლამდე	26.2%	38.7%
5-დან 10 წლამდე	4.9%	16.1%
10 წელი ან მეტი	-	-
მიჭირს პასუხის გაცემა	8.2%	6.5%

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის (ქურდობა/ძარცვა) გასამართლებული პირების 19.1% (N=33) მიიჩნევს, რომ სატრანსპორტო საშუალების ქურდობა/ძარცვა **ჯარიმით** უნდა ისჯებოდეს. მსგავსი პოზიცია გამოხატა მსჯავრდებულების ოჯახის წევრების 8.6%-მაც (N=15). ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისას ყოფილი მსჯავრდებულების 42.4% მიიჩნევს, რომ მსგავსი დანაშაულისთვის საქართველოს კანონმდებლობით 1000-დან 3000 ლარამდე ჯარიმა უნდა იყოს განსაზღვრული, 27.3%-ის აზრით კი – 5000 ლარიანი ან მეტი ოდენობის. ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრების უმრავლესობის (66.7%) აზრით, მსგავსი დანაშაული სასჯელად 1000-დან 3000 ლარამდე ჯარიმას უნდა ითვალისწინებდეს (იხ. ცხრილი №5.12).

ცხრილი №5.12

ჯარიმა	საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=33)	ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები (N=15)
500 ლარამდე	3%	-
500-დან 1000 ლარამდე	3%	-
1000-დან 3000 ლარამდე	42.4%	66.7%
3000-დან 5000 ლარამდე	12.1%	8.3%
5000 ლარი ან მეტი	27.3%	25%
მიჭირს პასუხის გაცემა	12.1%	-

ყოფილი მსჯავრდებულების 11%-ის (N=19) შეფასებით, სატრანსპორტო საშუალების ქურდობა/ძარცვა **საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით** უნდა ისჯებოდეს, რასაც მსჯავრდებულების ოჯახის წევრების 7.9%-იც (N=14) იზიარებს. ამ პოზიციის მომხრე ყოფილი მსჯავრდებულების უმრავლესობა სასჯელად 2-დღიან ან 3-დღიან ვადას ასახელებს. რაც შეეხება ოჯახის წევრების შეხედულებას, უფრო დიდი ნაწილის აზრით, მსგავსი დანაშაულისთვის საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა 1 დღის ვადას უნდა ითვალისწინებდეს (იხ. დიაგრამა №5.1).

დიაგრამა №5.1. სასარგებლო შრომა (დღეები) (%)



საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის (ქურდობა/ძარცვა) გასამართლებული პირების 7.5% (N=13) აზრით, საქართველოს კანონმდებლობა სატრანსპორტო საშუალების ქურდობისთვის/ძარცვისთვის სასჯელის ფორმად **გამასწორებელ სამუშაოს** უნდა ითვალისწინებდეს. მსგავსი პოზიცია გამოავლინა ოჯახის წევრების 8.6%-მაც (N=15). ყოფილი მსჯავრდებულების მოსაზრებები სასჯელის ვადის შესახებ 1-4 წლის შუალედში მერყეობს. ოჯახის წევრების შემთხვევაში კი – დანაშაულის სასჯელის ვადად 1 ან 2 წელი განისაზღვრა.

სატრანსპორტო საშუალების ქურდობისთვის/ძარცვისთვის შესაფერის სასჯელად საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი პირების 4%-ს (N=7) **შინაპატიმრობა,** ხოლო სასჯელის ვადად უპირატესად 3 თვე მიაჩნია. ოჯახის წევრების ჯგუფის შემთხვევაში მხოლოდ ერთადერთი ადამიანია, ვინც სასჯელის ამ ტიპს ასახელებს, ვადად კი 6 თვეს საზღვრავს.

აღსანიშნავია, რომ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენ პირთა თითქმის მეოთხედს გაუჭირდა სატრანსპორტო საშუალების ქურდობა/ძარცვისთვის სასჯელის კონკრეტული ტიპის განსაზღვრა (ან უარი განაცხადა პასუხზე). მსჯავრდებულების ოჯახის წევრების 30%-თვისაც რთული აღმოჩნდა სატრანსპორტო საშუალების ქურდობისთვის/ძარცვისთვის სასჯელის ტიპის დასახელება.

- **ქურდობა/ძარცვა ორგანიზებული ჯგუფის მიერ**

ჯგუფის მიერ ორგანიზებული ქურდობის/ძარცვის შემთხვევა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი პირების 61.3%-ის აზრით, **თავისუფლების აღკვეთით** უნდა ისჯებოდეს. მსგავს პოზიციას იზიარებს ოჯახის წევრების 71.4%-იც. ამ პოზიციის მომხრე ყოფილი მსჯავრდებულების 39.6% მიიჩნევს, რომ სასჯელის ვადად 5-დან 10 წლამდე პერიოდი უნდა განისაზღვროს, 27.4%-ის მოსაზრებით – 3-დან 5 წლამდე პერიოდი. ოჯახის წევრების შემთხვევაში 33% მიიჩნევს, რომ ორგანიზებული ჯგუფის მიერ ქურდობისთვის/ძარცვისთვის საქართველოს კანონმდებლობა 3-დან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას უნდა ითვალისწინებდეს, 28% – 5-დან 10 წლამდე პერიოდს ემხრობა (იხ. ცხრილი №5.13).

ცხრილი №5.13

თავისუფლების აღკვეთა	საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=106)	ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები (N=125)
1-დან 3 წლამდე	20.8%	21%
3-დან 5 წლამდე	27.4%	33%
5-დან 10 წლამდე	39.6%	28%
10 წელი ან მეტი	3.8%	10%
მიჭირს პასუხის გაცემა	8.5%	8%

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის (ქურდობა/ძარცვა) გასამართლებული პირების 6.9%-ის (N=12) აზრით, ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი ქურდობა/ძარცვა **საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით** უნდა ისჯებოდეს. სასჯელის ხანგრძლივობა 1-5 დღის ფარგლებში მონაცვლეობს.

ყოფილი მსჯავრდებულების 5.8%-ის (N=10) შეფასებით, ჯგუფის მიერ ორგანიზებული ქურდობის/ძარცვის შემთხვევაში, სასჯელი **გამასწორებელი სამუშაოს** ტიპით უნდა განისაზღვროს, ხოლო მსგავსი დანაშაულისთვის 3 წელი გამასწორებელი სამუშაო, ამ ჯგუფის უმრავლესობისთვის, შესაფერისი სასჯელია.

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის (ქურდობა/ძარცვა) გასამართლებული პირების 5.2%-ის (N=9) მოსაზრებით, ჯგუფის მიერ ორგანიზებული ქურდობა/ძარცვა **შინაპატიმრობით** უნდა ისჯებოდეს, ხოლო შინაპატიმრობის ვადა ძირითადად 2 თვით უნდა განისაზღვრებოდეს. ოჯახის წევრების შემთხვევაში, ამ პოზიციის გამზიარებელი მხოლოდ ერთი ადამიანი აღმოჩნდა.

ყოფილი მსჯავრდებულების 2.3%-ის (N=4) მოსაზრებით, ჯგუფის მიერ ორგანიზებული ქურდობა/ძარცვა **ჯარიმით** უნდა ისჯებოდეს, რასაც ოჯახის წევრების 2.1%-იც (N=4) ეთანხმება. ორივე ჯგუფის შემთხვევაში ჯარიმის ოდენობად 3000 ლარი და 5000 ლარი განისაზღვრა.

რესპონდენტების ნაწილს სირთულე შეექმნა სასჯელის ტიპის განსაზღვრის ეტაპზე – ყოფილი მსჯავრდებულების 18.5% და ოჯახის წევრების 24.3% გაუჭირდა პასუხის დასახელება ან პასუხზე უარი განაცხადეს.

- **დიდი ოდენობით ქონების ქურდობა/ძარცვა**

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი პირების 60.1%-ის აზრით, დიდი ოდენობით ქონების ქურდობა/ძარცვა **თავისუფლების აღკვეთით** უნდა ისჯებოდეს. იდენტური შეხედულება აქვს მსჯავრდებულების ოჯახის წევრების 67.9%-ს. ამ პოზიციის მომხრე ყოფილი მსჯავრდებულების 37.5%-ის მოსაზრებით, მსგავსი დანაშაული 3-დან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას უნდა ითვალისწინებდეს. გამოკითხულთა 36.5% კი ფიქრობს, რომ სასჯელის ხანგრძლივობა 5-დან 10 წლამდე ვადით უნდა განისაზღვროს. მსგავს პოზიციას ემხრობა ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრების 44.2%-იც. მეოთხედზე მეტს კი (28.4%) მიაჩნია, რომ საქართველოს კანონმდებლობა 3-დან 5 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას უნდა ითვალისწინებდეს (იხ. ცხრილი №5.14).

ცხრილი №5.14

თავისუფლების აღკვეთა	საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=104)	ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები (N=119)
1-დან 3 წლამდე	14.4%	8.5%
3-დან 5 წლამდე	37.5%	28.4%
5-დან 10 წლამდე	36.5%	44.2%
10 წელი ან მეტი	1.9%	12.6%
მიჭირს პასუხის გაცემა	9.6%	6.3%

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის (ქურდობა/ძარცვა) გასამართლებული პირების 8.7%-ის (N=15) აზრით, დიდი ოდენობით ქონების ქურდობა/ძარცვა **გამასწორებელი სამუშაოთი** უნდა ისჯებოდეს. იდენტური მოსაზრება გამოთქვა მსჯავრდებულების ოჯახის წევრების 2.9%-მაც (N=5). ორივე ჯგუფის შემთხვევაში სასჯელის ვადად 2 და 3 წელი დასახელდა.

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის (ქურდობა/ძარცვა) გასამართლებული პირების 6.4% (N=11) მიიჩნევს, რომ დიდი ოდენობით ქონების ქურდობისთვის/ძარცვისთვის საქართველოს კანონმდებლობა სასჯელად **საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომას** უნდა ითვალისწინებდეს. ამ პოზიციის მქონე რესპონდენტების დიდი ნაწილის (45.5%) შეფასებით, სასჯელის ვადად 2 დღე უნდა განისაზღვროს.

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი პირების 4.6%-ის (N=8) აზრით, დიდი ოდენობით ქონების ქურდობა/ძარცვა **ჯარიმით** უნდა ისჯებოდეს. მსჯავრდებულების ოჯახის წევრებს შორის მხოლოდ ერთმა გაიზიარა ეს შეხედულება და ჯარიმის ოდენობად 4000 ლარი განსაზღვრა. ყოფილი მსჯავრდებულების შემთხვევაში ჯარიმის მინიმალურ ოდენობად 2000 ლარი (25%, N=2) დასახელდა, ხოლო მაქსიმალურად – 5000 ლარი (12.5%, N=1).

ყოფილი მსჯავრდებულების 17.3%-ს, ხოლო ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრების თითქმის 30%-ს გაუჭირდა აღნიშნული დანაშაულისთვის სასჯელის ტიპის განსაზღვრა, ან პასუხზე უარი განაცხადა.

- **ქურდობა/ძარცვა ჩადენილი იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალვისთვის**

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის (ქურდობა/ძარცვა) გასამართლებულთა უმრავლესობა (60.7%) მიიჩნევს, რომ ორჯერ ან მეტჯერ სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისთვის ან გამოძალვისთვის ნასამართლევი პირის მხრიდან ჩადენილი ქურდობა/ძარცვა **თავისუფლების აღკვეთით** უნდა ისჯებოდეს, რასაც ოჯახის წევრების 70% ეთანხმება. ამ პოზიციის მქონე ყოფილი მსჯავრდებულების მესამედზე მეტი (34.3%) მიიჩნევს, რომ ამ დანაშაულისთვის სასჯელი 3-დან 5 წლამდე პერიოდით უნდა განისაზღვროს, 29.6%-ის შეფასებით კი, კანონმდებლობა 5-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას უნდა ითვალისწინებდეს. გამოკითხულთა 10.5%-ის აზრით, ამ ტიპის დანაშაულის შემთხვევაში სასჯელის ვადად 10 წელი ან მეტი უნდა განისაზღვროს. მსჯავრდებულების ოჯახის მესამედზე მეტს (35.7%) მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნული დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში პირს 5-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთა უნდა მიესაჯოს, ხოლო 17.2%-ის აზრით –10 წელი ან მეტი (იხ. ცხრილი №5.15).

ცხრილი №5.15

თავისუფლების აღკვეთა	საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=105)	ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები (N=123)
1-დან 3 წლამდე	15.3%	13.3%
3-დან 5 წლამდე	34.3%	24.5%
5-დან 10 წლამდე	29.6%	35.7%
10 წელი ან მეტი	10.5%	17.2%
მიჭირს პასუხის გაცემა	10.5%	9.2%

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის (ქურდობა/ძარცვა) გასამართლებული პირების 9.8% (N=17) მიიჩნევს, რომ ორჯერ ან მეტჯერ სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისთვის ან გამოძალვისთვის ნასამართლევი პირის მხრიდან ჩადენილი ქურდობა/ძარცვა **გამასწორებელი სამუშაოთი** უნდა ისჯებოდეს. მსგავსი შეხედულება გამოავლინა ოჯახის წევრების 2.9%-მა (N=5). ასეთი პოზიციის მქონე ორივე სამიზნე ჯგუფის რესპონდენტების უმრავლესობის აზრით, ამ დანაშაულისთვის გამასწორებელი სამუშაოს ვადად 2 წელი ან 3 წელი უნდა განისაზღვროს.

ყოფილი მსჯავრდებულების 8.7% (N=15) მიიჩნევს, რომ ზემოთ განხილული დანაშაულის შემთხვევაში პირს **საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა** უნდა მიესაჯოს. ვადების მითითებისას კი რესპონდენტებმა 1 დღე (N=1), 2 დღე (73.3%, N=11) და 3 დღე (20%, N=3) დაასახელეს. რესპონდენტების 1.7%-მა (N=3) კი დანაშაულისთვის რელევანტურ სასჯელად 2-თვიანი **შინაპატიმრობა** დაასახელა.

კვლევაში მონაწილე ყოფილი მსჯავრდებულების თითქმის მეხუთედს (19.1%) გაუჭირდა კონკრეტული სასჯელის ტიპის განსაზღვრა. ამავე კატეგორიაში გაერთიანდა ოჯახის წევრების 26.4%-იც.

- **ქურდობა/ძარცვა მაგისტრალურ მილსადენში არსებული ნავთობის ან გაზის მიმართ**

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი პირების 31.8% მიიჩნევს, რომ მაგისტრალურ მილსადენში არსებული ნავთობის ან გაზის ქურდობა/ძარცვა **თავისუფლების აღკვეთით** უნდა ისჯებოდეს, რასაც ოჯახის წევრების 32.1%-იც ეთანხმება. ამ პოზიციის მქონე ყოფილი მსჯავრდებულების 30.9%-ის შეფასებით, სასჯელის ვადად 1-დან 3 წლამდე პერიოდი უნდა განისაზღვროს, 29.1%-ის აზრით კი – 3-დან 5 წლამდე. მსგავს პოზიციას იზიარებს ამჟა-

მინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრების 37.8%. მესამედს უტოლდება მათი წილი (33.3%), ვინც მიიჩნევს, რომ მაგისტრალურ მილსადენში არსებული ნავთობის ან გაზის ქურდობისთვის/ძარცვისთვის საქართველოს კანონმდებლობა 1-დან 3 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას უნდა ითვალისწინებდეს (იხ. ცხრილი №5.16).

ცხრილი №5.16

თავისუფლების აღკვეთა	საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=55)	ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები (N=56)
1-დან 3 წლამდე	30.9%	33.3%
3-დან 5 წლამდე	29.1%	37.8%
5-დან 10 წლამდე	21.7%	24.4%
10 წელი ან მეტი	9.1%	-
მიჭირს პასუხის გაცემა	9.1%	4.4%

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის (ქურდობა/ძარცვა) გასამართლებული პირების 13.9% (N=24) მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული დანაშაულის სასჯელის ფორმად **ჯარიმა** უნდა განისაზღვროს. იდენტურ პოზიციას გამოხატავს ოჯახის წევრების 7.9% (N=14). საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი პირების 33.3%-ს მიაჩნია რომ 1000-დან 3000 ლარამდე ჯარიმა უნდა დაეკისროს დამნაშავეს, რასაც ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრების 27.3%-იც იზიარებს. (იხ. ცხრილი №5.17).

ცხრილი №5.17

ჯარიმა	საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=24)	ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები (N=14)
500-დან 1000 ლარამდე	8.3%	-
1000-დან 3000 ლარამდე	33.3%	27.3%
3000-დან 5000 ლარამდე	12.5%	9.1%
5000 ლარი ან მეტი	37.5%	36.4%
მიჭირს პასუხის გაცემა	8.3%	-

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი პირების 5.2%-ის (N=9) შეხედულებით, მაგისტრალურ მილსადენში არსებული ნავთობის ან გაზის ქურდობა/ძარცვა **გამასწორებელი სამუშაოთი** უნდა ისჯებოდეს, რასაც მსჯავრდებულების ოჯახის წევრების 4.3% (N=8) ეთანხმება. ორივე ჯგუფის შემთხვევაში სასჯელის ძირითად ვადად 1, 2 ან 3 წელი დასახელდა.

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი პირების 6.4%-ს (N=11) მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნული დანაშაულის ჩადენისთვის პირს **საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა** უნდა მიესაჯოს, რასაც ოჯახის წევრების 8.6%-იც (N=15) ეთანხმება. სასჯელის ვადად, ამ პოზიციის მქონე რესპონდენტები 1-დან 4 დღემდე ასახელებენ.

ყოფილი მსჯავრდებულების 5.2%-ის (N=9) აზრით, ზემოაღნიშნული დანაშაულის შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობა სასჯელის ფორმად **შინაპატიმრობას** უნდა ითვალისწინებდეს. მსგავს შეხედულებას იზიარებს მსჯავრდებულების ოჯახის წევრების 2.1%-იც (N=4). საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი პირების შემთხვევაში შინაპატიმრობის ვადა 1-3 თვეს შორის მონაცვლეობს. ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრებიდან, სამმა სასჯელის ვადად 9 თვე, ხოლო ერთმა რესპონდენტმა 3 თვე განსაზღვრა.

აღსანიშნავია, რომ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი პირების 9.8%-ისა და ოჯახის წევრების 2.9%-ის აზრით, მაგისტრალურ მილსადენში არსებული ნავთობის ან გაზის ქურდობა/ძარცვა საერთოდ არ უნდა ისჯებოდეს. აქვე საინტერესოა, რომ ყოფილი მსჯავრდებულების 27.7%-სთვის რთული აღმოჩნდა სასჯელის ტიპის განსაზღვრა, რამაც ოჯახის წევრების შემთხვევაში გაცილებით მასშტაბური სახე მიიღო და 42.1% შეადგინა.

- **ძარცვა ჩადენილი ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისათვის, ან იგივე ქმედება ძალადობის გამოყენების მუქარით.**

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის (ქურდობა/ძარცვა) გასამართლებული პირების თითქმის ნახევარი (49.7%) მიიჩნევს, რომ ძარცვა ჩადენილი ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის ან იგივე ქმედება ძალადობის გამოყენების მუქარით **თავისუფლების აღკვეთით** უნდა ისჯებოდეს. მსგავსი პოზიცია გამოხატა ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრების უმრავლესობამაც (52.9%). ამგვარი პოზიციის მქონე ყოფილი მსჯავრდებულების 39.5% მიიჩნევს, რომ მსგავსი დანაშაულის შემთხვევაში პირს 3-დან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთა უნდა მიესაჯოს, ხოლო 27.9%-ის შეფასებით, სასჯელი 5-დან 10 წლამდე პერიოდს უნდა მოიცავდეს. ამ ჯგუფის რესპონდენტების

მინიმალური ოდენობა 2.3%, მიიჩნევს, რომ მსგავსი დანაშაულის შემთხვევაში პირი 10 წლით ან მეტით თავისუფლების აღკვეთით უნდა დაისაჯოს. რაც შეეხება ოჯახის წევრებს, მათი 39.2% მიიჩნევს, რომ სასჯელის ვადა 3-დან 5 წლამდე პერიოდს უნდა მოიცავდეს (იხ. ცხრილი №5.18).

ცხრილი №5.18

თავისუფლების აღკვეთა	საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=86)	ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები (N=93)
1-დან 3 წლამდე	23.2%	20.3%
3-დან 5 წლამდე	39.5%	39.2%
5-დან 10 წლამდე	27.9%	32.5%
10 წელი ან მეტი	2.3%	1.4%
მიჭირს პასუხის გაცემა	7%	6.8%

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი პირების 8.1% (N=14) მიიჩნევს, რომ ძარცვა ჩადენილი ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის ან იგივე ქმედება ძალადობის გამოყენების მუქარით **ჯარიმით** უნდა ისჯებოდეს. ოჯახის წევრების შემთხვევაში სასჯელის აღნიშნული ტიპი მხოლოდ 2.1%-ითაა (N=3) წარმოდგენილი. რაც შეეხება ჯარიმის ოდენობას, ყოფილი მსჯავრდებულების შემთხვევაში ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებლით (42.8%) კატეგორია „5000 ლარი ან მეტი“ არის წარმოდგენილი. (იხ. ცხრილი №5.19).

ცხრილი №5.19

ჯარიმა	საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=14)	ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები (N=3)
500 ლარამდე	7.1%	-
500-დან 1000 ლარამდე	14.2%	-
1000-დან 3000 ლარამდე	7.1%	33.3% (1 რესპონდენტი)
3000-დან 5000 ლარამდე	14.3%	33.3% (1 რესპონდენტი)
5000 ლარი ან მეტი	42.8%	33.3% (1 რესპონდენტი)
მიჭირს პასუხის გაცემა	14.3%	-

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის (ქურდობა/ძარცვა) გასამართლებული პირების 9.2% (N=16) მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული დანაშაული **გამასწორებელი სამუშაოთი** უნდა ისჯებოდეს, რასაც ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრების 6.4%-იც (N=11) იზიარებს. ორივე ჯგუფის შემთხვევაში სასჯელის ვადად 1-დან 3 წლამდე დასახელდა.

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი პირები 8.1% (N=14) მიიჩნევს, რომ ძარცვა ჩადენილი ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის ან იგივე ქმედება ძალადობის გამოყენების მუქარით **საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით** უნდა ისჯებოდეს. ოჯახის წევრების შემთხვევაში სასჯელის ეს ფორმა 5%-ის (N=9) მიერ დასახელდა. ორივე ჯგუფის რესპონდენტების უმრავლესობამ სასჯელის ვადად 1-დან 3 დღემდე დაასახელა.

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის (ქურდობა/ძარცვა) გასამართლებული პირების 2.9%-მა (N=5) კვლევის ფარგლებში აღნიშნა, რომ ძარცვა ჩადენილი ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის ან იგივე ქმედება ძალადობის გამოყენების მუქარით **შინაპატიმრობით** უნდა ისჯებოდეს, რასაც მსჯავრდებულების ოჯახის წევრების 1.4% (N=3) დაეთანხმა და სასჯელის ვადად 6 თვე განსაზღვრა. რაც შეეხება ყოფილ მსჯავრდებულებს, მათ მიერ დასახელებული ვადები 1-დან 5 თვემდე მერყეობს.

აღსანიშნავია, რომ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის (ქურდობა/ძარცვა) გასამართლებული პირების 20.2%-ს გაუჭირდა სასჯელის ფორმის დაკონკრეტება ან პასუხზე უარი თქვა. ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრების 32.1%-საც გაუჭირდა სასჯელის ტიპის განსაზღვრა.

6. დემოგრაფიული ბლოკი

კვლევაში მონაწილე საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულების უმრავლესობა (96.5%) მამაკაცია, 3.5% – ქალი. ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრების ჯგუფის წარმომადგენლების 98.6%-მა მიუთითა, რომ მსჯავრდებული მამაკაცია.

კვლევის ფარგლებში საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის (ქურდობა/ძარცვა) გასამართლებული ყოფილი მსჯავრდებულების ასაკი ორ ეტაპად შეფასდა – დანაშაულის ჩადენის დროს და ამჟამად. როგორც ყოფილი მსჯავრდებულების 39.9%-მა აღნიშნა დანაშაულის ჩადენის დროს, 25-34 წლის კატეგორიას ეკუთვნოდა. 28.3% კი – 25 წელზე ნაკლები ასაკის იყო. ამჟამინდელი ასაკის შეფასებისას, ცხადია, გაზრდილია 35-44 წლის ასაკის რესპონდენტების წილი, სწორედ იმ პირების გამო, რომელთა ძირითადი ასაკობრივ თავმოყრა დანაშაულის ჩადენის დროს 35 წლამდე იყო. ამჟამად 35-44 წლის ასაკობრივ კატეგორიაში 39.9% ექცევა, ხოლო 25-34 წლის კატეგორიაში – 36.4%. აღსანიშნავია, რომ მკვეთრად შემცირებულია 25 წლამდე ასაკის პირების რაოდენობრივი მაჩვენებელი და 3.5%-ს უტოლდება.

მსჯავრდებულების ოჯახის წევრებს პატიმრის ასაკი უნდა შეეფასებინათ დაპატიმრებამდე და ახლა. როგორც აღმოჩნდა, დაპატიმრებამდე მსჯავრდებულების 40% 25-34 წლის ასაკობრივ კატეგორიაში ერთიანდებოდა, 27.9% – 25 წლამდე ასაკის კატეგორიაში, ხოლო 27.1% – 35-44 წლის ინტერვალში. რაც შეეხება ამჟამინდელ მდგომარეობას, მსჯავრდებულების დიდი ნაწილი (40%) კვლავ 25-34 წლის ასაკობრივ კატეგორიაში ერთიანდება; შედარებით გაზრდილია (35%) 35-44 წლის ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენელთა წილიც.

ასაკობრივი ჯგუფების დეტალური გადანაწილება იხილეთ დიაგრამაზე №6.1.

დიაგრამა №6.1. ყოფილი მსჯავრდებული / ამჟამინდელი მსჯავრდებულის ასაკი (%)



კვლევაში მონაწილე საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი პირების უმრავლესობა (82.7%) **ყოფილი პატიმარია** (ვიწრო გაგებით, ანუ ისინი, ვისაც სასჯელად თავისუფლების აღკვეთა ჰქონდათ განსაზღვრული). მათი 73.4% სასჯელის ამოწურვის შედეგად, ხოლო 10.5% ვადაზე ადრე განთავისუფლების კომისიით (ე.წ. „უდო) გათავისუფლდა. ყოფილი მსჯავრდებულების 7.7% შეწყალების, ხოლო 6.3% ამნისტიის შედეგად გაათავისუფლეს. მინიმალური 0.7%-ითაა წარმოდგენილი ისეთი შემთხვევები, როდესაც მსჯავრდებული სასჯელისგან მძიმე დაავადების გამო გათავისუფლდა. კვლევის ფარგლებში მსჯავრდებულების განთავისუფლების პერიოდად 2010-2020 წელი დასახელდა. საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი პირების თანაბარი 15.4%-15.4% გათავისუფლდა 2015 და 2017 წლებში. შემდგომ პოზიციას კი 2013, 2016 და 2019 წლები იკავებს (თანაბარი, 13.3%) (იხ. დიაგრამა №6.2).



საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი პირების 5.8% **ყოფილი პრობაციონერია,** ხოლო 4.6% – **ყოფილი მსჯავრდებული პირობითი მსჯავრით.** გამოკითხულთა 3.5%-მა აღნიშნა, რომ ახლანდელი პრობაციონერია, ხოლო 1.2% – ახლანდელი მსჯავრდებულია პირობითი მსჯავრით. როგორც აღმოჩნდა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი პირების 2.3%-ს დაეკისრა ალტერნატიული სასჯელი, კერძოდ ჯარიმა.

ინფორმაცია, თუ რომელ სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში იხდის ამჟამინდელი მსჯავრდებული სასჯელს, იხილეთ დანართში №1.

სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულების ოჯახის წევრების 16.4%-მა აღნიშნა, რომ მსჯავრდებულს პირობითი სასჯელი აქვს დაკისრებული, ხოლო 8.6% – პრობაციონერია. რესპონდენტების მხოლოდ 1.4%-ის მითითებით, მათი ოჯახის წევრის დანაშაული ჯარიმას ითვალისწინებდა.

რაც შეეხება სხვა დემოგრაფიულ მახასიათებლებს, ისინიც ორ კატეგორიად გაანალიზდა – დანაშაულის ჩადენამდე და ამჟამად. **განათლების დონის** თვალსაზრისით აღმოჩნდა, რომ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი პირების უმრავლესობას (71.7%) პატიმრობამდე საშუალო განათლება (10-12 კლასები) ჰქონდა მიღებული, ხოლო 8.1%-ს – პროფესიული განათლება. აღსანიშნავია, რომ კვლევაში მონაწილე საბაზო განათლების (7-9 კლასები) მქონე პირების მიერ ჩადენილი დანაშაულის შემთხვევები (6.9%) პრაქტიკულად უტოლდება სრული უმაღლესი განათლების მქონე ადამიანების (6.4%) მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტებს.

ყოფილი მსჯავრდებულების 71.7%-ის ამჟამინდელი განათლების დონე საშუალო განათლებაა (10-12 კლასები), თითქმის 10%-ს (9.8%) კი – პროფესიული განათლება აქვს მიღებული. ყველაზე დაბალი მაჩვენებლით ის ჯგუფია წარმოდგენილი, რომელსაც ოფიციალური განათლება არ მიუღია, თუმცა წერა-კითხვა იცის – 0.6%.

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი პირების ოჯახის წევრების 65.7%-ის შეფასებით, მსჯავრდებულს საშუალო განათლება (10-12 კლასები) აქვს მიღებული. ამ შემთხვევაში შედარებით მაღალი პროცენტული მაჩვენებლით გამოირჩევა სრული უმაღლესი განათლების კატეგორია – ის მსჯავრდებულების ოჯახის წევრი რესპონდენტების 13.6%-მა დაასახელა.

მიღწეული განათლების დონის დეტალური გადანაწილება დინამიკასა და ჯგუფებს შორის იხილეთ ცხრილში №6.1.

ცხრილი №6.1

განათლების დონე	საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=173)		ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები (N=175)
	პატიმრობამდე/ პრობაციამდე	ამჟამად	პატიმრის მიერ მიღწეული განათლების დონე
არ მიმიღია ოფიციალური განათლება, მაგრამ ვიცი წერა-კითხვა	1.2%	0.6%	-
დაწყებითი განათლება (1-6 კლასები)	-	-	-
საბაზო განათლება (7-9 კლასები)	6.9%	5.2%	3.6%
საშუალო განათლება (10-12 კლასები)	71.7%	71.7%	65.7%
პროფესიული განათლება	8.1%	9.8%	9.3%
არასრული უმაღლესი განათლება	5.2%	5.8%	7.9%
სრული უმაღლესი განათლება	6.4%	6.9%	13.6%
მიჭირს პასუხის გაცემა/ უარი პასუხზე	0.6%	-	-

ოჯახური მდგომარეობის მიხედვით, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი პირების თითქმის ნახევარი (47.4%) პატიმრობამდე/პრობაციამდე დასაოჯახებელი იყო, 31.8% კი – დარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი. შედარებით მაღალი პროცენტული მაჩვენებლით დაურეგისტრირებელ ქორწინებაში მყოფები გამოირჩევიან – 13.3%. როგორც აღმოჩნდა, პატიმრობამდე/პრობაციამდე რესპონდენტების მხოლოდ 0.6%-ს ჰყავდა პარტნიორი, თუმცა ერთად არ ცხოვრობდნენ, ან იყო გაშორებული ან მარტოხელა მშობელი.

რაც შეეხება ამჟამინდელ მდგომარეობას, ყოფილი მსჯავრდებულების დიდი ნაწილი 46.8% დარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირია, დაახლოებით მეოთხედია მათი წილი (26.6%), ვინც დასაოჯახებელია. რაც შეეხება მსჯავრდებულების ოჯახის წევრების შედეგებს, მათმა უმრავლესობამ (52.9%) აღნიშნა, რომ მსჯავრდებული დასაოჯახებელია, ხოლო თითქმის მესამედის (31.4%) შეფასებით – დარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი. მონაცემების დეტალური გადანაწილება იხილეთ ცხრილში №6.2.

ცხრილი №6.2

ოჯახური მდგომარეობა	საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=173)		ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები (N=175)
	პატიმრობამდე/ პრობაციამდე	ამჟამად	პატიმრის ოჯახური მდგომარეობა
დარეგისტრირებულ ქორწინებაში	31.8%	46.8%	31.4%
დაურეგისტრირებელ ქორწინებაში	13.3%	16.2%	5%
თანაცხოვრებაში პარტნიორთან ერთად	2.3%	2.9%	1.4%
პარტნიორთან ერთად, მაგრამ თანაცხოვრების გარეშე	0.6%	0.6%	-
დასაოჯახებელი	47.4%	26.6%	52.9%
განქორწინებული	3.5%	4.6%	4.3%
გაშორებული	0.6%	2.3%	5%
ქვრივი	-	-	-
მარტოხელა მშობელი	0.6%	-	-
მიჭირს პასუხის გაცემა/ უარი პასუხზე	-	-	-

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი პირების **შემოსავლის ძირითადი წყაროს** გაანალიზებისას, დომინანტურ პოზიციას ორი ძირითადი კატეგორია იკავებს. როგორც პატიმრობამდე/პრობაციამდე, ისე ამჟამინდელი მონაცემებით, საკუთარი შრომით ფულის შოვნა და მშობლების მხრიდან გაწეული ფინანსური დახმარება ჭარბობს. თუკი პატიმრობამდე/პრობაციამდე 49.1% საკუთარი შრომით იღებდა შემოსავალს, ამჟამად ეს მაჩვენებელი 71.1%-ს უტოლდება, მშობლების მხრიდან გაწეული დახმარება კი დინამიკაში შემდეგნაირადაა წარმოდგენილი: პატიმრობამდე/პრობაციამდე – 39.3%, ამჟამად – 17.3%. როგორც ჩანს, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი პირების დასაქმების დონე შედარებით გაუმჯობესებულია, რადგან საკუთარი შრომით ახერხებენ თავისი და ოჯახის ფინანსურ უზრუნველყოფას.

ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრების თითქმის ნახევარმა (48.6%) მიუთითა, რომ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენ პირს პატიმრობამდე/პრობაციამდე მშობლები უწევდნენ ფინანსურ დახმარებას, ხოლო 40.7%-ის მითითებით, მსჯავრდებული საკუთარი შრომით შოულობდა ფულს. მონაცემების დეტალური გადანაწილება იხილეთ ცხრილში №6.3.

ცხრილი №6.3

შემოსავლის ძირითადი წყარო	საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=173)		ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები (N=175)
	პატიმრობამდე/ პრობაციამდე	ამჟამად	პატიმრის შემოსავლის ძირითადი წყარო
ჩემი შრომით ფულის შოვნა	49.1%	71.1%	40.7%
ფინანსური დახმარება პარტნიორის/მეუღლის მხრიდან	2.3%	3.5%	5%
ფინანსური დახმარება მშობლების მხრიდან	39.3%	17.3%	48.6%
პენსია	0.6%	0.6%	-
სახელმწიფო დახმარება (სოციალური)	2.3%	2.3%	2.1%
მიჭირს პასუხის გაცემა/უარი პასუხზე	6.4%	5.2%	3.6%

ფინანსური მდგომარეობის შესაფასებლად, გამოკითხვის ფარგლებში შესწავლილ იქნა ყოფილი და ამჟამინდელი მსჯავრდებულების **ყოველთვიური შემოსავალი.**

თუკი პატიმრობამდე/პრობაციამდე საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი პირების ყოველთვიური შემოსავალი ხშირ შემთხვევაში (24.3%) 201-500 ლარის ფარგლებში მერყეობდა, ამჟამინდელი მონაცემებით, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი პირების მეოთხედზე მეტის (25.4%) ყოველთვიური შემოსავალი 501-700 ლარის ფარგლებში მოექცა. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ თუკი პატიმრობამდე/პრობაციამდე რესპონდენტების 15.6% ყოველგვარი პირადი შემოსავლის გარეშე იყო, ამჟამინდელი მდგომარეობით, თითქმის განახევრებულია ამ კატეგორიაში თავმოყრილი ადამიანების რაოდენობა (8.1%). ის ფაქტიც, რომ დინამიკაში 100 ლარზე ნაკლები შემოსავლის მქონე პირების რაოდენობა შემცირებულია (პატიმრობამდე/პრობაციამდე – 11%, ამჟამად – 5.2%), მათი ფინანსური მდგომარეობის შედარებით გაუმჯობესებაზე უნდა მიუთითებდეს.

ამჟამად სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულების შემთხვევაში მცირედით განსხვავებული მდგომარეობაა. საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი პირების ოჯახის წევრების 27.9%-მა მიუთითა, რომ მსჯავრდებულს, დანაშაულის ჩადენისას, პირადი შემოსავალი არ ჰქონია, 20.7%-მა კი შემოსავლის კატეგორიად 201-500 ლარი დაასახელა. აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ ოჯახის წევრების 12.9%-ის შეფასებით, მსჯავრდებულს სტაბილური შემოსავალი არ ჰქონია (იხ. ცხრილი №6.4).

ცხრილი №6.4

ყოველთვიური შემოსავალი	საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=173)		ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები (N=175)
	პატიმრობამდე/ პრობაციამდე	ამჟამად	პატიმრის ყოველთვიური შემოსავალი
100 ლარზე ნაკლები	11%	5.2%	5.7%
101-200 ლარი	6.9%	2.9%	4.3%
201-500 ლარი	24.3%	16.8%	20.7%
501-700 ლარი	9.2%	25.4%	12.1%
701-1000 ლარი	8.1%	11.6%	1.4%
1000 ლარზე მეტი	1.7%	5.8%	2.9%
სტაბილური შემოსავლის გარეშე	12.1%	11%	12.9%
ყოველგვარი პირადი შემოსავლის გარეშე	15.6%	8.1%	27.9%
მიჭირს პასუხის გაცემა/უარი პასუხზე	11%	13.3%	12.1%

ფინანსური მდგომარეობის გაანალიზებისას რესპონდენტებმა სიტუაციურად შეაფასეს თავიანთი **ოჯახის ეკონომიკური შესაძლებლობები** პატიმრობამდე/პრობაციამდე და ამჟამად. როგორც, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი პირების ნახევარზე მეტმა (51.4%) აღნიშნა, პატიმრობამდე/პრობაციამდე საკვებისთვის საკმარისი ფული ჰქონდათ, მაგრამ ტანსაცმლის, ფეხსაცმლის შესაძენად უნდა დაეზოგათ ან ესესხათ; მეხუთედს აღემატება მათი წილი (22%), ვისი შეფასებითაც, საკვებსაც კი გაჭირვებით ყიდულობდნენ. რესპონდენტების მხოლოდ 1.7-მა მიუთითა, რომ ნებისმიერ დროს შეეძლოთ ყველაფრის შეძენა. რაც შეეხება ამჟამინდელ მდგომარეობას, რესპონდენტების დიდი ნაწილის (45.1%) შეფასებით, საკვებისთვის საკმარისი ფული აქვთ, მაგრამ ტანსაცმლისა და ფეხსაცმლისთვის კვლავ უწევთ თანხის დაზოგვა ან სესხება; ხოლო 16.8%-ის ინფორმაციით, საკვებსაც კი გაჭირვებით ყიდულობენ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ განხილულ ორ კატეგორიაში თავმოყრილი რესპონდენტების რაოდენობა შემცირებულია. ამასთანავე, თუკი პატიმრობამდე/პრობაციამდე რესპონდენტების 19.7%-ს შეეძლო საკვების, ყოველდღიური ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის შეძენა, მაგრამ სხვადასხვა ტექნიკის შესაძენად ფულის დაზოგვა ან სესხება უწევდა, პასუხის აღნიშნულ კატეგორიას ამჟამინდელი ვითარების გათვალისწინებით 27.7% აფიქსირებს. არსებული შედეგებიც მიუთითებს, რომ პატიმრობის/პრობაციის შემდეგ, ამჟამინდელი სიტუაციის გათვალისწინებით, **რესპონდენტების ოჯახების ზოგადი ეკონომიკური მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესებულია.**

რაც შეეხება საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახების წევრების შეფასებას, 43.6%-მა აღნიშნა, რომ პატიმრობამდე ოჯახს საკვებისთვის საკმარისი ფული ჰქონდა, მაგრამ ტანსაცმლისა თუ ფეხსაცმლის შესაძენად თანხის დაზოგვა ან სესხება სჭირდებოდათ. მეოთხედს აჭარბებს მათი წილი (26.4%), ვისაც ტანსაცმლის, ფეხსაცმლის შეძენაც შეეძლო, მაგრამ ტექნიკის შესაძენად თანხა აღარ ჰყოფნიდა. ოჯახის წევრის პატიმრობამდე/პრობაციამდე რესპონდენტების თითქმის მეხუთედი (18.6%) გაჭირვებით ყიდულობდა საკვებს. რაც შეეხება ამჟამინდელ მდგომარეობას, 24.3%-ს უჭირს საკვების შეძენაც კი. შემცირდა მათი წილიც, ვისაც საკვების, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის შეძენა შეეძლო, მაგრამ ტექნიკის საყიდლად ფულის სესხება ან დაზოგვა უწევდა. ძირითადად, ამჟამინდელი მდგომარეობის შეფასების შედეგად, გამოიკვეთა რომ **ოჯახების, რომელთაც მსჯავრდებული წევრები ჰყავთ, ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდა.**

ჯგუფებს შორის რესპონდენტების მიერ ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება დეტალურად იხილეთ ცხრილში №6.5.

ცხრილი №6.5

	საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=173)		ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები (N=175)	
	პატიმრობამდე/ პრობაციამდე	ამჟამად	პატიმრობამდე/ პრობაციამდე	ამჟამად
გაჭირვებით ვყიდულობდით/ ვყიდულობთ საკვებს	22%	16.8%	18.6%	24.3%
საკვებისთვის საკმარისი ფული გვქონდა/გვაქვს, მაგრამ უნდა დაგვეზოგა/დავზოგოთ ან გვესესხა/ვისესხოთ, რომ ტანსაცმელი და ფეხსაცმელი გვეყიდა/ვიყიდოთ	51.4%	45.1%	43.6%	43.6%
საკვებისთვის, ყოველდღიური ტანსაცმლისა და ფეხსაცმლისთვის საკმარისი ფული გვქონდა/გვაქვს, მაგრამ კარგი ტანსაცმლის, მობილური ტელეფონის, მტვერსასრუტის და სხვა საოჯახო მოწყობილობების საყიდლად უნდა დაგვეზოგა/დავზოგოთ ან გვესესხა/ვისესხოთ	19.7%	27.7%	26.4%	23.6%
საკვებისთვის, ყოველდღიური ტანსაცმლისა და ფეხსაცმლისთვის საკმარისი ფული გვქონდა/გვაქვს, მაგრამ მანქანის ან ბინის საყიდლად უნდა დაგვეზოგა/დავზოგოთ ან გვესესხა/ ვისესხოთ	4%	6.9%	7.1%	5%
ნებისმიერ დროს შეგვეძლო გვეყიდა/შეგვიძლია ვიყიდოთ ყველაფერი, რაც გვინდოდა	1.7%	2.3%	2.1%	2.1%
მიჭირს პასუხის გაცემა/უარი პასუხზე	1.2%	1.2%	2.1%	1.4%

კვლევის ფარგლებში გაანალიზდა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულების **დასაქმების მდგომარეობა.** როგორც აღმოჩნდა, პატიმრობამდე/პრობაციამდე მათი უმრავლესობა

(58.4%) უმუშევარი იყო, ხოლო 30.1% – არაოფიციალურად დასაქმებული. მინიმალური პროცენტული მაჩვენებელითაა წარმოდგენილი პენსიონერის კატეგორია – 0.6%. რაც შეეხება ამჟამინდელ მდგომარეობას, უმრავლესობა (52%) არაოფიციალურად დასაქმებულია, 34.1% კი – უმუშევარი. ამ მონაცემზე დაყრდნობითაც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ **დასაქმების ზოგადი ფონი საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენ პირებში, გაუმჯობესებულია** (იხ. დიაგრამა №6.3).

დიაგრამა №6.3. საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) ჩამდენი პირების დასაქმების მდგომარეობა (%) (N=173)



რაც შეეხება ოჯახის წევრების შეფასებას, 71.4%-მა მიუთითა, რომ მსჯავრდებული პატიმრობამდე/პრობაციამდე არ მუშაობდა, 17.1%-ის შემთხვევაში კი – არაოფიციალურად იყო დასაქმებული. როგორც ოჯახის წევრების 8.6% აღნიშნავს, მსჯავრდებული ოფიციალურად იყო დასაქმებული. რესპონდენტების 2.1%-მა მიუთითა, რომ პირი პატიმრობამდე/პრობაციამდე სტუდენტი იყო, შესაბამისად 0.7%-ს გაუჭირდა კითხვაზე პასუხის გაცემა.

უფრო მეტი კონკრეტიკისთვის, კვლევის ფარგლებში **დასაქმების სექტორიც** შეფასდა. იმ პირების უმრავლესობა (62.3%), ვინც პატიმრობამდე/პრობაციამდე მუშაობდა (ასეთია, როგორც უკვე აღინიშნა 30.1%), კერძო სექტორში იყო დასაქმებული, თითქმის მეხუთედი (18.8%) – თვითდასაქმებული იყო, კონკრეტულად კი არაფერმერულ საქმიანობას ეწეოდა, 10.1% – საჯარო სექტორში მუშაობდა, ხოლო 8.7% – ფერმერული საქმიანობით იყო დაკავებული. რაც შეეხება ამჟამინდელ მდგომარეობას, იმ რესპონდენტების 62.4%, ვინც ამჟამად დასაქმებულია, კერძო სექტორში მუშაობს, მეოთხედზე მეტი კი (26.6%) – თვითდასაქმებულია არაფერმერული საქმიანობის მიმართულებით. ახლანდელი მდგომარეობის აღწერის

შემთხვევაში, რესპონდენტების 9.2% ფერმერულ საქმიანობას ეწევა და მხოლოდ 1.8% (N=2)-ია საჯარო სექტორში დასაქმებული.

ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრებმა (ვინც მიუთითა, რომ მათი ოჯახის მსჯავრდებული წევრი დაკავებამდე დასაქმებული იყო[9]) აღნიშნეს, რომ მსჯავრდებული დაკავებამდე თვითდასაქმებული იყო არაფერმერულ საქმიანობაში (45.9%), 37.8%-ის ინფორმაციით, კერძო სექტორში მუშაობდა, ხოლო 13.5%-ის ინფორმაციით – საჯარო სექტორში.

9 ასეთია ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრების დაახლოებით მეოთხედი.

ყოფილ მსჯავრდებულებთან და ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრებთან ჩატარებული ფოკუს–ჯგუფების ანალიტიკური ანგარიში

კვლევის ძირითადი მიგნებები

საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან (ქურდობა, ძარცვა) დაკავშირებით, ყოფილ მსჯავრდებულებთან და ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრებთან ჩატარებული ფოკუს-ჯგუფების საფუძველზე ცხადი გახდა ის ძირითადი საკვანძო საკითხები, რომლებიც საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა, ძარცვა) შესახებ ინფორმირებულობის მნიშვნელობას, სასჯელის ადეკვატურობას, პენიტენციალურ დაწესებულებაში და მის გარეთ მსჯავრდებულების პირობებსა და გამოწვევებს/ბარიერებს, დანაშაულის პრევენციას და გასატარებელ ღონისძიებებს ეხება.

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის (ქურდობა, ძარცვა) გასამართლებული ყოფილი მსჯავრდებულები და ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები მიიჩნევენ, რომ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა, ძარცვა) ნებისმიერი ტიპის და მისი თანმხლები რისკების შესახებ საზოგადოების წევრებისთვის, განსაკუთრებით კი, ახალგაზრდებისთვის, ინფორმაციის მიწოდება ძალზე მნიშვნელოვანია. ეს გამორჩეულად ეხება **ძარცვისა და ქურდობის ნაკლებად მძიმე ფორმებს,** რომელთა შესახებაც შეიძლება არსებობდეს განცდა, რომ ისინი კანონდარღვევას არც წარმოადგენს, ხოლო ეს განცდა არაინფორმირებულობის ბრალი იყოს. თუმცა, ამავდროულად, ფოკუს-ჯგუფების მონაწილეები აღნიშნავენ, რომ ინფორმირებულობა არ არის დანაშაულის არჩადენის გარანტი, რადგან დიდი მნიშვნელობა აქვს დანაშაულის ჩადენის **კონტექსტს,** რომელშიც დანაშაულის წინაპირობები მოიაზრება: ეკონომიკური სიდუხჭირე, სოციალური გარემოს/ქსელების გავლენა და სხვა ფაქტორები ხშირად უფრო ძლიერია, ვიდრე ინფორმაციის ქონა. ინფორმირებულობა ნაკლებად ეფექტიანია, აგრეთვე, დაუსჯელობის სინდრომის და შერჩევითი სამართლის ფონზე.

რესპონდენტთა დიდი ნაწილისთვის, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა, ძარცვა) შესახებ **ინფორმაციის მიწოდების ლეგიტიმურ წყაროებად** სახელდება როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური საშუალებები; ფორმალურ წყაროებს შორის გამოყოფენ ინტერნეტის სივრცეს და სატელევიზიო მედიას, ასევე, საგანმანათლებლო დაწესებულებებს, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს და შესაბამის საჯარო/სახელმწიფო ინსტიტუტებს (მაგალითად, იუსტიციის სახლებს). ინფორმაციის მოწოდების არაფორმალურ წყაროებს შორის

გამოიკვეთა ოჯახი და, ზოგადად, საახლობლო. მონაწილეებმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭეს იმას, რომ ინფორმაციის გავრცელებაში ჩაერთონ კომპეტენტური პირები; აგრეთვე, თავად საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა, ძარცვა) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები, რომლებიც საკუთარი ნეგატიური გამოცდილების შესახებ მოუთხრობენ ახალგაზრდებს.

კვლევაში მონაწილე პირები საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა, ძარცვა) **ჩადენის მიზეზებად** ოჯახის მძიმე მატერიალურ მდგომარეობას, მსგავსი დანაშაულებრივი გამოცდილების მქონე სამეგობრო/საახლობლო წრეს, სუსტ ნებისყოფას, სტრესს და ა.შ. ასახელებენ. რესპონდენტები საუბრობენ იმაზე, რომ დანაშაულის ჩადენა კავშირშია ისეთ სოციალურ-დემოგრაფიულ მახასიათებლებთან, როგორებიცაა ასაკი, განათლება და დასაქმების მდგომარეობა. მათი აზრით, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისკენ (ქურდობა, ძარცვა) მიდრეკილება უფრო მეტად ახასიათებთ ახალგაზრდებს, აგრეთვე, განათლების შედარებით დაბალი ცენზის მქონე ადამიანებს და უმუშევრებს.

ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა შეფასებით, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის **ორივე ტიპი (ძარცვა/ქურდობა) იმსახურებს დანაშაულის კვალიფიკაციას.** თუმცა, ამასთან, ამბობენ, რომ გასათვალისწინებელია დანაშაულის ჩადენის განმაპირობებელი ფაქტორები; განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ქურდობას ეხება. კერძოდ, გასათვალისწინებელია, სჩადის თუ არა ვინმე ქურდობას უკიდურესი ეკონომიკური სიდუხჭირის გამო, ან ფსიქიკური დისფუნქციებიდან გამომდინარე. ეს ფაქტორები ასუსტებს ქურდობის დანაშაულად (კრიმინალად) აღქმას და, ასეთ შემთხვევაში, სასჯელის ალტერნატიული ფორმები უნდა გამოიყენებოდეს და არა – ციხეში ჩასმა (მაგალითად, პირობითი სასჯელი, ჯარიმა და ა.შ.). რესპონდენტები აქცენტს ახალგაზრდებზე აკეთებენ: თუ ახალგაზრდას არ ეძლევა თავისი უნარ-ჩვევების რეალიზაციის შესაძლებლობები, თუ არ არსებობს მისი განვითარების პერსპექტივა, პასუხისმგებლობის ძირითადი ტვირთი უნდა მოდიოდეს ინსტიტუციურ გარემოსა და სახელმწიფოზე, და არა მასზე, ვისაც გარემო აიძულებს, დამნაშავედ ჩამოყალიბდეს. ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს, ასევე, ქურდობისთვის დაწესებული სასჯელის (4-7 წელი) შეუსაბამობასა და არადივერსიფიცირებულობაზე, განსაკუთრებით მაშინ, თუ დანაშაული ჩადენილია პირველად და ზემოაღნიშნული ობიექტური გარემოებების გათვალისწინებით.

ფოკუს-ჯგუფებში დაფიქსირებული მოსაზრებების მიხედვით, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (ქურდობა, ძარცვა) შეიძლება ნებისმიერი სოციალური თუ ეკონომიკური ფენის წარმომადგენელმა ჩაიდინოს. ფოკუს-ჯგუფების მონაწილეები ქურდობის ან ძარცვის **გამომწვევ ძირითად ფაქტორებად** ასახელებენ პირის ეკონომიკურ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, თვითრეალიზაციის შეუძლებლო-

ბას, მიმბაძველობას, სუსტ ნებისყოფას, კონფლიქტურ ურთიერთობებს ოჯახში და ა.შ.

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის (ქურდობა, ძარცვა) გასამართლებული ყოფილი მსჯავრდებულების და ოჯახის წევრების ნაწილი ჩადენილ დანაშაულთან ადეკვატურად აფასებს იმ პროცესებს, რომლებიც მსჯავრდებულებმა განვლეს დაკავებიდან სასამართლომდე, ნაწილი კი უსამართლოდ მიიჩნევს როგორც დაკავებას, ისე შემდგომ განვითარებულ მოვლენებს. ეს ნაწილი ხაზგასმით საუბრობს **პროკურატურის გავლენის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებებზე** და ამბობენ, რომ მოსამართლე არ არის ობიექტური და მისი საბოლოო ვერდიქტი პროკურორის მიერ არის ნაკარნახევი.

პენიტენციალურ დაწესებულებებში არსებული მდგომარეობის შეფასებისას, სკეპტიკურად განწყობილი ყოფილი მსჯავრდებულების მიერ გამოთქმული შეფასებებიდან განსაკუთრებით ყურადსაღებია **სამედიცინო სერვისებთან დაკავშირებული ხარვეზები,** რაც გამოიხატება მსჯავრდებულებისთვის სხვადასხვა სახის მედიკამენტის დროულად ვერ/არმიწოდებითა და ექიმის/თან ვიზიტის დროში გაწელვით, რაც მსჯავრდებული პირების ჯანმრთელობის მდგომარეობას მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის. ნეგატიურ კონტექსტში საუბრისას, ასევე, გამოყოფენ ისეთ საკითხს, როგორებიცაა მსჯავრდებულების შეზღუდული შესაძლებლობები სხვადასხვა სერვისის მისაღებად და კანონმდებლობით განსაზღვრული, ვიზიტების დაბალი სიხშირე. კერძოდ, რესპონდენტებისთვის პრობლემური აღმოჩნდა ოჯახის წევრებთან, კანონით განსაზღვრული შესაძლო ვიზიტების და ასევე, მათთან სატელეფონო საუბრისთვის გამოყოფილი წუთების რაოდენობა/ხანგრძლივობა. მეორე მხრივ, მსჯავრდებულების ის ნაწილი, რომელსაც როგორც წინა, ისე ახლანდელი ხელისუფლების პირობებში მოუწია პატიმრობაში ყოფნა, დასძენს, რომ პენიტენციალურ დაწესებულებებში ახლა ზოგადი ფონი მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია.

რაც შეეხება უფლებადამცველებთან ურთიერთობას, როგორც აღმოჩნდა, ყოფილ მსჯავრდებულთაგან ნაწილის უფლებებს **სახაზინო ადვოკატი** იცავდა, ნაწილისას კი, **კერძო/დაქირავებული** ადვოკატი (იყო ორივე სტატუსის მქონე ადვოკატის მომსახურების შემთხვევებიც). ფოკუს-ჯგუფების მონაწილეებს შორის არიან ადვოკატის (სახაზინო/კერძო) მომსახურებით როგორც კმაყოფილები, ისე იმედგაცრუებულებიც. სახაზინო ადვოკატის მომსახურების უპირატესობებს შორის გამოიკვეთა: ა) მომსახურების ფინანსური ტვირთის აცილება და ბ) სახაზინო ადვოკატის მოტივირებულობა, საქმის მოგების შემთხვევაში, გაზარდოს საკუთარი რეპუტაცია. რაც შეეხება სახაზინო ადვოკატის მომსახურების ნაკლოვანებებს, აქ რესპონდენტებმა მიუთითეს იმაზე, რომ სახაზინო ადვოკატს არ გააჩნია საქმის მოგების ფინანსური ინტერესი, რადგან ის საქმის მოგება/წაგების მიუხედავად, საბიუჯეტო ანაზღაურებას

მაინც მიიღებს. კერძო ადვოკატის მომსახურების უპირატესობად გამოიყო მისი კავშირები პროცესში ჩართულ სხვა მნიშვნელოვან აქტორებთან (პირველ რიგში, პროკურორებთან) და მაღალი მოტივირებულობა. ნაკლოვანებებს შორის ძირითადად დასახელდა მომსახურების სიძვირე.

პენიტენციალური დაწესებულების დატოვების შემდეგ, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის (ქურდობა, ძარცვა) გასამართლებულ მსჯავრდებულებს რიგ პრობლემებთან უწევთ გამკლავება – იქნება ეს **სამსახურის შოვნა, ახალ გარემოსთან ადაპტაცია თუ საზოგადოებაში ხელახალი ინტეგრაცია/რესოციალიზაცია.** რესპონდენტები ამბობენ, რომ საჯარო სამსახურში მუშაობის დაწყება ნასამართლეობის გამო თითქმის შეუძლებელია, თუმცა, კერძო სექტორში ეს შესაძლებლობა არსებობს. მსჯავრდებულის ოჯახის წევრებისთვის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა **სტრესულ მდგომარეობაში** ყოფნაა, რაც ახლობელთან განშორებას, აგრეთვე, ოჯახის წევრის პატიმრობით გამოწვეულ უხერხულობას და სირცხვილს უკავშირდება, რაც მყარ სტიგმად შეიძლება ჩამოყალიბდეს. ოჯახის წევრები საუბრობენ **ფინანსურ** პრობლემებზე, რაც ოჯახის წევრის დაპატიმრებით შეექმნათ.

რესპონდენტთა დაკვირვებით, დანაშაულების ჩადენის თვალსაზრისით, ქვეყანაში მდგომარეობა, წინა ხელისუფლების პერიოდთან შედარებით, დიდად არ გაუმჯობესებულა – იმატა წვრილმანმა ქურდობებმა. რაც მოსახლეობის არასახარბიელო მატერიალურ მდგომარეობაზე მიუთითებს.

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა, ძარცვა) სახელმწიფო პოლიტიკაზე და მოქმედების სტრატეგიებზე საუბრისას, რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ქურდობისა და ძარცვის შემცირებისა და პრევენციისთვის, უპირველესად, საჭიროა არა შედეგთან (უკვე ჩადენილ დანაშაულთან), არამედ დანაშაულის ჩადენის მიზეზებთან ბრძოლა, რაც მოითხოვს საზოგადოების წევრების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, მათ დასაქმებაზე, ანტიკრიმინალური ცნობიერების ამაღლებაზე, განათლების დონის გაუმჯობესებაზე ზრუნვას.

ფოკუს–ჯგუფების მონაწილეთა დემოგრაფიული მახასიათებლები

კვლევის ფარგლებში ჩატარებულ ფოკუს-ჯგუფებში მონაწილეობა მიიღეს საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა, ძარცვა) ამა თუ იმ ტიპისთვის გასამართლებულმა ყოფილმა მსჯავრდებულებმა, რომლებსაც უკვე დატოვებული აქვთ საპატიმრო დაწესებულება; მეორე სამიზნე ჯგუფს კი ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრებისგან შედგებოდა.

კვლევაში მონაწილე ყოფილ მსჯავრდებულებს შორის იყვნენ ქურდობისა და ძარცვის მუხლით გასამართლებული პირები, სხვადასხვა მსუბუქი თუ დამამძიმებელი გარემოების თანხლებით. რაც შეეხება ამჟამინდელ მსჯავრდებულებს, ისინიც ქურდობისა და ძარცვის მუხლებით გასამართლდნენ.

ყოფილ მსჯავრდებულთაგან ნაწილი პენიტენციალურ დაწესებულებაში იხდიდა სასჯელს, ნაწილი პირობითი მსჯავრით იყო, ნაწილი კი – პრობაციონერი. რამდენიმე მსჯავრდებულმა სრულად მოიხადა სასჯელი პენიტენციალურ დაწესებულებაში, ზოგი კი ამნისტიით გაათავისუფლეს. ასევე, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საპატიმრო დაწესებულებაში გარკვეული დროის გატარების შემდეგ, მსჯავრდებულების ნაწილს თავისუფლების აღკვეთა ჩაუნაცვლეს პირობითი მსჯავრით. ასევე, ფიქსირდება მსჯავრდებულთა მიერ ჯარიმების გადახდის ფაქტებიც.

დასაქმების სტატუსის მიხედვით, ფოკუს ჯგუფებში რამდენიმე დასაქმებული ყოფილი მსჯავრდებული ჩაერთო; ძირითადი ნაწილი კი უმუშევარია. დასაქმებულთა შორის ყველა კერძო სექტორში მუშაობს. მათ შორის ნაწილს საკუთარი ბიზნესი აქვს, ნაწილი კი დაქირავებული მუშახელია. ეს უკანასკნელნი ამბობენ, რომ ისინი ძირითადად მშენებლობებზე ან საზღვარგარეთ სეზონურ სამსახურებში საქმდებიან, რადგან სხვაგან ნასამართლეობის ცნობას ითხოვენ და დამსაქმებლები უარით ისტუმრებენ.

ყოფილი მსჯავრდებულები და ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის ძირითად შემოსავლად ოჯახის სხვა წევრების ხელფასი, საზღვარგარეთიდან ფულადი გზავნილები, მშობლების პენსია და ა.შ. სახელდება. ყოფილმა მსჯავრდებულებმა სასჯელი შემდეგ პენიტენციალურ დაწესებულებებში მოიხადეს: ქსნის, გეგუთის, გლდანის, რუსთავის, ბათუმის, ხონის კოლონიები. ამავე საპატიმროებში იმყოფებიან ამჟამინდელი მსჯავრდებულებიც.

1. ინფორმირებულობის დონე

1.1 ინფორმირებულობის მნიშვნელოვნება

კვლევამ გამოავლინა რესპონდენტთა შეფასებები, თუ რამდენად მნიშვნელოვნად მიაჩნიათ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა, ძარცვა) ამა თუ იმ ტიპის შესახებ საზოგადოების წევრების **ინფორმირებულობა** (დანაშაულის სამართლებრივი, სოციალური, ფსიქოლოგიური, სამედიცინო და ა.შ. შედეგები, მოსალოდნელი სასჯელები და სხვა). მათ, ასევე, ისაუბრეს იმასთან დაკავშირებით, თუ რა გავლენას ახდენს ინფორმაციის ფლობა ადამიანთა ქცევაზე საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის, კერძოდ, ძარცვის ან ქურდობის, ჩადენის თვალსაზრისით.

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის (ქურდობა, ძარცვა) გასამართლებული ყოფილი მსჯავრდებულები აღნიშნავენ, რომ საზოგადოებაში დანაშაულისა და მისი თანმხლები უარყოფითი შედეგების შესახებ ინფორმაციის გავრცელება აუცილებელია. ადამიანებს რაც უფრო მეტი ინფორმაცია ექნებათ კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედების და მისთვის განკუთვნილი სასჯელის შესახებ, მით უფრო მოძებნიან ალტერნატიულ, არაკანონსაწინააღმდეგო გზებს პრობლემების გადასაჭრელად. თუმცა, ამავდროულად, ამბობენ, რომ გააჩნია **კონტექსტს,** რომელშიც ჩადენილია საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (ქურდობა, ძარცვა). კერძოდ, გასათვალისწინებელია დამნაშავის ოჯახის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა, გარემოს (სოციალური ქსელების) ზემოქმედება და სხვა ფაქტორები. რესპონდენტების აზრით, მიუხედავად იმისა, დამნაშავეს ექნება თუ არა დეტალური ინფორმაცია დანაშაულის შესახებ, მან, შესაძლოა, მაინც ჩაიდინოს დანაშაულებრივი ქმედება, ვინაიდან სხვაგვარად ოჯახი რთულ ეკონომიკურ მდგომარეობაში აღმოჩნდება. ფოკუს-ჯგუფების მონაწილე ყოფილი მსჯავრდებულები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ **ნაკლებად მძიმე დანაშაულების შესახებ** ინფორმაციის გავრცელების აუცილებლობაზე. მათი აზრით, ადამიანს შეიძლება არც ჰქონდეს წარმოდგენა იმის თაობაზე, რომ დანაშაულს სჩადის და მისთვის სრულიად მოულოდნელად აღმოჩნდეს კანონდამრღვევი. რამდენიმე რესპონდენტმა აღნიშნა, რომ მათ მიერ ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებული რისკებისა და სასჯელის ზომის შესახებ დეტალური ინფორმაცია წინასწარ რომ ჰქონოდათ, შესაძლოა თავი შეეკავებინათ.

> *„მიმიყვანეს ამ ზომამდე, გაჭირვება იყო. ინფორმაცია მე მქონდა, ვიცოდი, რომ თუ ჩავიდენდი, ციხეში მოვხვდებოდი.“ (თბილისი, ყოფილი მსჯავრდებული, ქურდობა)*

„მე რომ მცოდნოდა, რა მოყვებოდა და რომ ვყოფილიყავი განათლებული ამ კუთხით, სავარაუდოდ, ალბათ, არ ჩავიდენდი" (ბათუმი, ყოფილი მსჯავრდებული, ქურდობა)

რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ინფორმირებულობა დანაშაულის პრევენციასა თუ შემცირებაზე ვერ იქონიებს ეფექტურ გავლენას, თუ ქვეყანაში იარსებებს **დაუსჯელობის სინდრომი და შერჩევითი სამართალი.** ასეთ პირობებში პოტენციურ დამნაშავეებს მუდმივად ექნებათ განცდა, რომ შესაძლოა გამოძვრნენ.

რაც შეეხება საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის (ქურდობა, ძარცვა) გასამართლებული ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრებს, მათი შეფასებები საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულზე (ქურდობა, ძარცვა) ინფორმირებულობის აუცილებლობის შესახებ ყოფილი მსჯავრდებულების შეფასებების მსგავსია. ნაწილს მიაჩნია, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია და გავლენას ახდენს დანაშაულის ჩადენაზე, მეორე ნაწილი კი ფიქრობს, რომ დანაშაულის და მისი თანმხლები რისკების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობა ვერ შეამცირებს საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა, ძარცვა) ჩადენის სიხშირეს. ამ დამოკიდებულებებსა და განწყობებს რესპონდენტები საკუთარი ოჯახის წევრი/ახლობელი მსჯავრდებულების მაგალითზე ხსნიან. რესპონდენტთა ნაწილი იმასაც ამბობს, რომ მომავალში მათი ოჯახის წევრი დანაშაულს აღარ ჩაიდენს, რადგან მას უკვე აქვს ინფორმაცია, საკუთარი გამოცდილებით მიღებული, თუ რა შედეგები ახლავს კრიმინალურ ქმედებას.

„მე ვფიქრობ, რომ კი – ინფორმირება აუცილებელია. ახლა უკვე იცის, რაც გაიარა და ვფიქრობ, რომ აღარ იზამს." (ქვემო ქართლი, ძარცვა, ამჟამინდელი მსჯავრდებულის ოჯახის წევრი).

„იცით, რომ სცოდნოდა რა ელოდებოდა ციხეში, არ ჩაიდენდა მაგას, მე დარწმუნებული ვარ. ნამდვილად არ ჩაიდენდა, რომ სცოდნოდა." (ქვემო ქართლი, ქურდობა, ამჟამინდელი მსჯავრდებულის ოჯახის წევრი)

ფოკუს-ჯგუფების მონაწილე ოჯახის წევრების ის ნაწილი, რომლებიც ინფორმირებულობის დადებით მხარეებზე საუბრობენ, აღნიშნავენ, რომ განსაკუთრებით ახალგაზრდებში არის საყურადღებო ინფორმაციის გავრცელება, რადგან მათ შესაძლოა არ გააჩნდეთ სრულყოფილი/საკმარისი ცოდნა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა, ძარცვა) ამა თუ იმ ტიპის შესახებ და გაუაზრებლად ჩაიდინონ დანაშაულებრივი ქმედება და უწყინარ ქცევად ჩათვალონ. ამის საპირისპიროდ, ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ, დღესდღეობით, თითქმის ყველამ იცის, თუ რა შედეგები მოჰყვება დანაშაულებრივი ქმედებას და რა რისკებთან არის დაკავშირებული კრიმინალური აქტი.

„მე პირადად ასე ვფიქრობ, რომ ადამიანი, როდესაც დანაშაულს სჩადის, მას აბსოლუტურად აქვს გათვითცნობიერებული, თუ რა დანაშაული ჩაიდინა“ (შიდა ქართლი, ქურდობა, ამჟამინდელი მსჯავრდებულის და).

1.2 ინფორმაციის მიწოდების წყაროები

კვლევაში მონაწილე პირები საუბრობენ იმ საფეხურებსა და ეტაპებზე, თუ სად და როდის, რა გზით და ვის უნდა მიეწოდოს საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა, ძარცვა) შესახებ ინფორმაცია.

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის (ქურდობა, ძარცვა) გასამართლებული პირები პირველ რიგში **საგანმანათლებლო დაწესებულებებსა** და ოჯახს გამოყოფენ. მათი შეფასებით, სკოლა არის ის ადგილი, სადაც პიროვნებად ჩამოყალიბების გზას გადის მოზარდი და სწორედ ამ ეტაპიდან, თანდათანობით და, ამავდროულად, გასაგებ ენაზე უნდა მიეწოდოს მოსწავლეს სამართლებრივი საკითხები. ასევე, ხაზგასმით საუბრობენ ოჯახის ფაქტორზე. მათი შეფასებით, ოჯახის წევრები მუდმივად უნდა ცდილობდნენ მოზარდებისთვის და ახალგაზრდებისთვის ცხოვრების სწორი გზის ჩვენებას – არა ძალდატანებით, არამედ ფაქიზად, რათა მოწოდებებმა ახალგაზრდებში უარყოფითი რეაქცია და პროტესტის გრძნობა არ გამოიწვიოს, რასაც ხშირად საპირისპირო მოქმედებებისკენ მივყავართ.

„პირველ რიგში, სკოლა და ოჯახია მთავარი; არ იქნება ცუდი, თუ კი სკოლაში იქნება საგანი, რომელიც გასაგებ ენაზე აუხსნის ბავშვებს, რომ, მაგალითად, ქურდობა ცუდია ან რატომაა ცუდი. ამ ზომამდე არ უნდა მივიდეს, პირველი დანაშაული არ უნდა ჩაიდინოს, მერე უკვე ირევა ცხოვრება და ძნელია თავის დაღწევა ქურდობისგან“ (თბილისი, ყოფილი მსჯავრდებული, ქურდობა).

ინფორმაციის მიწოდების უკვე ხსენებული წყაროების გარდა, რესპონდენტები სხვა საშუალებების აქტიურ გამოყენებაზეც მიუთითებენ. დანაშაულებთან დაკავშირებით სხვადასხვა სახის ინფორმაცია **საჯარო სივრცეებში** უნდა ვრცელდებოდეს. ფოკუს-ჯგუფების მონაწილე ყოფილი მსჯავრდებულების აზრით, ასეთ საკითხებთან დაკავშირებით იურისტები **ტრეინინგებს** უნდა ატარებდნენ ნებისმიერი ასაკის ადამიანისთვის. ასევე, ფიქრობენ, რომ მსგავსი საკითხების ორგანიზებასა და დაგეგმვაში მნიშვნელოვანი როლი **არასამთავრობო ორგანიზაციებს** ენიჭება. რესპონდენტთა აზრით, საზოგადოებაში სამართლებრივი საკითხების შესახებ ცნობიერების ამაღლება მნიშვნელოვანი ფაქტორია დანაშაულის პრევენციისთვის. და ბოლოს, მნიშვნელოვნად მიაჩნიათ თავად **დანაშაულებრივი გამოცდილების მქონე ადამიანებმა** გაუზიარონ სხვებს საკუთარი ნეგატიური გამოცდილება, რომელიც მათმა კანონსაწინააღმდეგო ქცევამ გამოიწვია.

„იურისტებმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა უნდა მიაწოდონ ადამიანებს ინფორმაცია; ამაში თავად ყოფილი მსჯავრდებულებიც უნდა იყვნენ ჩართულნი. ფართომასშტაბიანი ტრეინინგები უნდა ჩატარდეს“ (ახალციხე, ყოფილი მსჯავრდებული, ძარცვა).

ყოფილი მსჯავრდებულების მსგავსად, ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრების შეფასებითაც, დანაშაულებრივი ქმედებების მიმართ მართებული დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ოჯახი და საგანმანათლებლო დაწესებულებები. **ოჯახი** განიხილება როგორც მოზარდის აღზრდის პროცესში ყველაზე მთავარი მოქმედი რგოლი, სადაც ახალგაზრდას მიეწოდება საბაზისო ინფორმაცია სწორი და არასწორი ქცევების შესახებ, მოზარდებს ექმნებათ პირველადი წარმოდგენები, თუ როგორ უნდა არეგულირონ საკუთარი ქცევა ისე, რომ დანაშაულებრივი ქმედებისკენ არ აიღონ გეზი. ბავშვებზე ძალიან დიდი გავლენას ახდენს ის გარემო, რომელშიც მათ უწევთ დროის ძირითადი ნაწილის გატარება. და, ოჯახის გარდა, **სკოლის როლი** აქ დიდია. სკოლების შემთხვევაში რესპონდენტები ასახელებენ **სამოქალაქო განათლების** გაკვეთილებს, სადაც უნდა განიხილებოდეს და ისწავლებოდეს სამართლებრივი საკითხები. კერძოდ, ყურადღება უნდა გამახვილდეს დანაშაულის სახეებზე, სასჯელებზე, რისკებზე, ალტერნატივებზე და ა.შ. მნიშვნელოვანია, ასევე, კიდევ ერთი პირველადი ჯგუფი – სამეგობრო წრე. შესაბამისად, სოციალიზაციის ყველა რგოლში უნდა მოხდეს ახალგაზრდებისთვის კრიმინალური ისტორიის მქონე ჯგუფებთან ურთიერთობისა და დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისგან თავის არიდების დადებითი მხარეების მიწოდება.

„ბავშვმა უნდა იცოდეს, უკვე ბავშვობაში, რა ხდება, რა ელოდება, რა მოჰყვება ამა და ამ საქციელს, რომ უკვე რომ გაიზრდება, აღარ ჩაიდინოს; არც კი გაიფიქროს, არათუ ჩაიდინოს“ (ქვემო ქართლი, ქურდობა, ამჟამინდელი მსჯავრდებულის ოჯახის წევრი).

რესპონდენტების ნაწილი ამბობს, რომ, ზოგიერთ შემთხვევაში, სრულყოფილი ინფორმაციის ფლობის შემთხვევაშიც კი, არ არის ადამიანი დაზღვეული დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისგან. კერძოდ, ყოფილა შემთხვევები, როდესაც ალკოჰოლური თრობის ქვეშ მყოფმა პირმა, რომელიც სრულიად გაუაზრებლად მოქმედებდა, ჩაიდინა ქურდობა. რესპონდენტი საუბრობს საკუთარი მეუღლის შემთხვევაზე, რომელიც მხოლოდ მაშინ სჩადის საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს, კერძოდ, ქურდობას, როდესაც თვრება. შესაბამისად, ამგვარი მაგალითები იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ, ზოგჯერ, ადამიანი საკუთარი ნებისგან დამოუკიდებლადაც იქცევა დამნაშავედ. თუმცა, აღსანიშნავია, რომ, მსგავსი შემთხვევების მიუხედავად, ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები არ ცდილობენ საკუთარი ნათესავების ქცევის გამართლებას.

„ჩემი ძმაც ზუსტად იმიტომ დააკავეს, რომ ალკოჰოლურ მდგომარეობაში იმყოფებოდა და საკმაოდ გადაჭარბებულ დოზაში და მაგ დროს ჩაიდინა, ზუსტად მაგ საღამოს, დანაშაული და მეორე დღეს გონზე რომ მოვიდა და დაჭერილი რომ იყო, საერთოდ ვერ აცნობიერებდა რა დაემართა და მხოლოდ იმის მერე გააცნობიერა რაც გონზე მოვიდა“ (შიდა ქართლი, ქურდობა, ამჟამინდელი მსჯავრდებულის ძმა).

„რა ვიცი, ჩემი ოჯახის წევრი მაინც ჩაიდენდა ისევ დანაშაულს. რამდენი დათვრება, მაინც ისევ იდენს ამ დანაშაულს“ (ქვემო ქართლი, ქურდობა, ამჟამინდელი მსჯავრდებულის ოჯახის წევრი).

გამოკითხულთა მიერ, ინფორმაციის მიწოდების მთავარ წყაროდ, ოჯახთან და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთად, სახელდება **სატელევიზიო მედია** და **ინტერნეტი.** მათი აზრით, სატელევიზიო გადაცემები უნდა ეთმობოდეს სამართლებრივი საკითხების განხილვას. ოჯახის წევრების აზრით, შესაძლებელია, ასევე, სატელეფონო წერილების სახით მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნა. მიზანშეწონილია, აგრეთვე, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და შესაბამისი სამთავრობო სამართალდამცავი სტრუქტურების ჩართულობით ხდებოდეს ინფორმაციის მიწოდება სამიზნე ჯგუფებისთვის. ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ დანაშაულებზე, რომელიც ყველაზე ხშირად ფიქსირდება.

„არასამთავრობო ორგანიზაციებმა, სხვებმაც, თუნდაც, იუსტიციის სახლიდან, პროკურატურიდან, უზრუნველყონ, რომ 11-12 კლასელებს ჩაუტარდეთ ერთი გაკვეთილი მაინც კვირაში. ნარკოტიკზე და ქურდობაზე. ამ ასაკიდან იწყება ყველა დანაშაული“ (გურია, ქურდობა, ამჟამინდელი მსჯავრდებულის მეუღლე)

„ჯერ ოჯახი და მერე უკვე ყველა საინფორმაციო საშუალებით და განათლების სისტემა უნდა მუშაობდეს ამაზე ძალიან აქტიურად და, მე მგონი, ბევრად წინ წავიდოდით“ (ქვემო ქართლი, ქურდობა, ამჟამინდელი მსჯავრდებულის ოჯახის წევრი).

ოჯახის წევრთა ნაწილს სკეპტიკური დამოკიდებულება გააჩნია **სოციალურ ქსელებში** განთავსებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით. მათი აზრით, არ არის გამორიცხული, რომ მცდარი ინფორმაცია გავრცელდეს, რაც სოციალური ქსელების მეშვეობით ძალიან ხშირად ხდება. სწორედ ამიტომ საჭიროა, რომ დანაშაულებრივი ქმედებების შესახებ მნიშვნელოვანი საკითხები სამიზნე აუდიტორიის წევრებს სამართლებრივ სფეროებში კომპეტენტურმა პირებმა გააცნონ – იქნება ეს ტრენინგების, სატელევიზიო გადაცემების თუ სხვა სახით. მსჯავრდებულების ოჯახის წევრების აზ-

რით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია სამართალდამცავებსა და ახალგაზრდებს შორის **თანამშრომლური** დამოკიდებულების ჩამოყალიბება. პოლიციელების მხრიდან არ უნდა იგრძნობოდეს დაკავებაზე და ძალის დემონსტრირებაზე მიმართული აგრესია, ისინი თანადგომას უნდა ავლენდნენ ახალგაზრდების მიმართ.

„უფრო მეგობრული სიტუაცია ჯობია, უფრო სხვანაირი თაობა იქნება წამოვიდეს, ძალიან სჭირდება ჩვენს თაობას დახმარება თუნდაც პოლიციის მხრიდან. იმის მაგივრად რომ დააკავო“ (შიდა ქართლი, ქურდობა, ამჟამინდელი მსჯავრდებულის ოჯახის წევრი)

1.3 საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა, ძარცვა) კრიმინალური სახეები

ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა მიერ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის საკვლევი სახეების – ქურდობა/ძარცვა – შეფასება, როგორც კრიმინალური ქმედების, აჩვენებს, რომ **ქურდობა, ზოგიერთ შემთხვევაში, არ იმსახურებს დანაშაულის კვალიფიკაციას;** გააჩნია ქურდობის **მასშტაბს** და, რაც მთავარია, **მოტივაციას. ქურდობის გამომწვევი ფაქტორი, შესაძლოა, ოჯახის უკიდურესად ცუდი ეკონომიკური მდგომარეობა** იყოს, რაც ასუსტებს ქურდობის აღქმას კრიმინალურ ქმედებად. გარდა ამისა, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის (ქურდობა, ძარცვა) გასამართლებული ყოფილი მსჯავრდებულების აზრით, ქურდობისთვის განსაზღვრული სასჯელის ზომა შეუსაბამოდ დიდია და მისი შეფასება უნდა ხდებოდეს სიტუაციის, დანაშაულის ჩადენის მიზეზების გათვალისწინებით. რაც შეეხება ძარცვას, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა, ძარცვა) ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები, როგორც წესი, ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მათთვის ძარცვა ერთმნიშვნელოვნად მიუღებელია და, შესაბამისად, დანაშაულის ამ ტიპისთვის სასჯელი მკაცრი უნდა იყოს.

„ადამიანს რომ უჭირს, ეგაა მიზეზი, რატომაც მოიპარავს და სასჯელი ძალიან დიდია, 7 წლით არ უნდა ისჯებოდეს პურის და კარაქის მოპარვა. 4-7 წლამდეა მუხლი“ (გურია, ყოფილი მსჯავრდებული, ძარცვა).

„ახლა, ადამიანი მშიერი რომ არის, რაღაცას რომ მოიპარავს და 4-7 წლამდე რომ მისცემ ბევრია, აბა, რა არის, გააჩნია, რას მოიპარავს ადამიანი, რის ნიადაგზე მოიპარავს“ (ახალციხე, ძარცვა, ყოფილი მსჯავრდებული).

მიუხედავად იმისა, რომ ყოფილი მსჯავრდებულები ქურდობის ჩადენას, ძირითად შემთხვევებში, დამნაშავის ცხოვრების ხარისხითა და ოჯახის ეკონომიკური მდგო-

მარეობით ხსნიან და სასჯელის არაადეკვატურობაზე საუბრობენ, საბოლოო ჯამში, მონაწილეები თანხმდებიან, რომ, უმრავლეს შემთხვევაში, **ქურდობა, მით უფრო, ძარცვა, დანაშაულებრივი კვალიფიკაციის მქონე ქმედებებად უნდა ჩაითვალოს.**

ფოკუს-ჯგუფებში მონაწილე ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრებმაც ისაუბრეს ქურდობისა და ძარცვის დანაშაულებრივ ქმედებებად განსაზღვრის თაობაზე. მათი და ყოფილი მსჯავრდებულების შეფასებები ერთმანეთს ემთხვევა. მსჯავრდებულების ახლობლები ფიქრობენ, რომ ნებისმიერი დანაშაულებრივი ქმედების შეფასებებისას უნდა გაითვალისწინონ მოტივები და განმაპირობებელი ფაქტორები. მათი აზრით, თუ ქურდობა გამოწვეულია დამნაშავის და მისი ოჯახის ეკონომიკური სიდუხჭირით, შეიძლება ითქვას, რომ ასეთი სახის ქმედება კრიმინალური ქცევის ფარგლებს გარეთ გადის და არა მკაცრი სასჯელით, არამედ შედარებით მსუბუქი სანქციით უნდა გასამართლდეს. კერძოდ, მსგავსი ფაქტის პირველად დაფიქსირების შემთხვევაში, რესპონდენტები დამნაშავისთვის ალტერნატიული სასჯელის მინიჭებას უჭერენ მხარს, მაგალითად, ჯარიმას ან პირობით სასჯელს, რომლის ხანგრძლივობა არ იქნება 2 წელზე მეტი.

> *„ქურდობა შეიძლება ოჯახური პირობებით იყოს განპირობებული. შეიძლება გამიზნულად არ უნდოდეს, დავუშვათ ბავშვი ყავს და პურის ფული არ აქვს“ (სამეგრელო, ძარცვა, ამჟამინდელი მსჯავრდებულის მეუღლე).*

> *„თუ პირველი შემთხვევაა შეიძლება შეღავათები იყოს და ასეთ მკაცრი არ იყოს. შეღავათი შეიძლება იყოს პირობითი სასჯელი, ვთქვათ, 2 წელი. პირველ შემთხვევაზე პირდაპირ 5-7 წელი არ იყოს“ (სამეგრელო, ძარცვა, ყოფილი მსჯავრდებული).*

მსჯავრდებულთა ოჯახის წევრები, ასევე, საუბრობენ ისეთ შემთხვევებზე, როდესაც ქურდობას განაპირობებს არა მატერიალური მდგომარეობა, არამედ ადამიანის **ფსიქოლოგიური მდგომარეობა.** მათი შეფასებით, შესაძლოა დამნაშავეს **ჩვევად ექცეს** ამ დანაშაულის ჩადენა და ეს გარკვეულ ფსიქიკურ დარღვევად (დისფუნქციად) ჩამოყალიბდეს. გარდა ამისა, ოჯახის წევრების აზრით, განსხვავებულად უნდა უდგებოდნენ იმ ადამიანების დანაშაულებრივ ქმედებებს, რომლებიც ალკოჰოლური თრობის ქვეშ იმყოფებოდნენ დანაშაულის ჩადენისას და, ფაქტიურად, ვერ აცნობიერებდნენ ქცევას.

რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ციხე/კოლონია არ არის ადამიანის ქცევის გამოსასწორებელი საშუალება; მით უმეტეს, თუ საქმე ცუდი ფინანსური მდგომარეობით, ოჯახის სიდუხჭირით გამოწვეულ ქურდობას ეხება. ასეთ შემთხვევაში, სახელმწიფომ, პირველ რიგში, დამნაშავის დაჭერასა და გასამართლებაზე კი არ უნდა

იფიქროს, არამედ დამნაშავე პირის გაძლიერებაზე, დასაქმებასა და მატერიალური კეთილდღეობის შექმნაზე, რათა დანაშაულებრივი ქმედება აღარ განმეორდეს. მატერიალური კეთილდღეობის წინაპირობების უზრუნველყოფის შემთხვევაში, ქურდობა/ძარცვის დანაშაულებრივი ქმედებები მნიშვნელოვნად შემცირდება. რესპონდენტები აქცენტს ახალგაზრდებზე აკეთებენ. მათი მოსაზრებით, დანაშაულის პრევენციისთვის სახელმწიფომ უპირობოდ უნდა იზრუნოს ახალგაზრდა თაობის სწორი განვითარებისთვის, რაც, პირველ რიგში, საზოგადოების ამ სეგმენტის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას და მათთვის საინტერესო და ხელმისაწვდომი ინიციატივების დანერგვას გულისხმობს. სხვა შემთხვევაში, გვეყოლება დაუსაქმებელი, ქუჩაში მოხეტიალე ახალგაზრდები, რომლებიც, შესაძლოა, დამნაშავეებად ჩამოყალიბდნენ.

> *„საერთოდ, წეღან აღვნიშნე, სახელმწიფო ღარიბებისთვის არ არსებობს, არსებობს ბიზნესმენებისთვის, პოლიტიკოსებისთვის“ (თბილისი, ძარცვა, ყოფილი მსჯავრდებული)*

2. საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა, ძარცვა) ჩამდენი ჯგუფები და დანაშაულის გამომწვევი მიზეზები

2.1 საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისკენ (ქურდობა, ძარცვა) მიდრეკილი ჯგუფები

გარდა ზემოთ განხილული საკითხებისა, ფოკუს ჯგუფების მონაწილეებმა ისაუბრეს, საზოგადოების რომელი ჯგუფების წევრები არიან განსაკუთრებით მოწყვლადნი საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა, ძარცვა) ჩადენის თვალსაზრისით. ყურადღება გამახვილდა, აგრეთვე, დანაშაულის გამომწვევ მიზეზებზე.

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის (ქურდობა, ძარცვა) გასამართლებული ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრების ნაწილი ფიქრობს, რომ ამ ტიპის დანაშაულის ჩადენისთვის მოწყვლადი **ნებისმიერი** სოციალური თუ ეკონომიკური ფენის/ჯგუფის წარმომადგენელი შეიძლება იყოს. თუმცა, დაბალ და მაღალშემოსავლიანი ადამიანების ქვეჯგუფებში განსხვავებულია საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა, ძარცვა) სიმძიმე. კერძოდ, წვრილმან საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს (ქურდობა, ძარცვა) ღარიბი ადამიანები ოჯახის ელემენტარულ საჭიროებებთან გამკლავების მიზნით სჩადიან. ხოლო, რაც შეეხება უფრო ფართომასშტაბიან დანაშაულებს, როგორებიცაა დიდი ოდენობის ქონების, თანხის მითვისება და ა.შ., ისინი, უმეტესწილად, მაღალი შემოსავლების მქონე პირების მიერ ხორციელდება.

> *„ეკონომიკურ დანაშაულს ნებისმიერი სოციალური ფენის ადამიანი სჩადის. როგორც შედარებით შეჭირვებული ფენიდან, ასევე შედარებით შეძლებული ფენიდან“ (შიდა ქართლი, ქურდობა, ამჟამინდელი მსჯავრდებულის ოჯახის წევრი).*

> *„მდიდრებს უნდათ, რომ ქონებას ქონება დაამატონ. მაპატიეთ ამ სიტყვაზე, უკვე ვეღარ ძღებიან. და არ ვიცი, აი, თანამდებობის პირები, მაგალითად, რომლებსაც მე ვფიქრობ, აი, ზუსტად მასეთებს უნდა მიეცეთ ორმაგი სასჯელი, რადგანაც ჩვენნაირ საცოდავ ხალხს ღლიტავენ თავიანთი ქურდობით და ყაჩაღობით“ (ქვემო ქართლი, ქურდობა, ამჟამინდელი მსჯავრდებულის ოჯახის წევრი).*

ყოფილი მსჯავრდებულების აზრით, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა, ძარცვა) ჩადენისკენ ყველაზე მეტად მიდრეკილები დაბალშემოსა-

ვლიანი და არასახარბიელო სოციალური თუ ეკონომიკური მდგომარეობის მქონე ადამიანები არიან. ამავდროულად, დასძენენ, რომ ცუდი ფინანსური პირობების მქონე ადამიანები ძირითადად წვრილმან დანაშაულებს სჩადიან. ხოლო, რაც შეეხება ფართომასშტაბიანი ქურდობისა და ძარცვის შემთხვევებს, მსგავსი ქმედებებისკენ ჩინოვნიკები, სახელმწიფოს სათავეში მყოფი ადამიანები არიან მიდრეკილნი.

> *„ეკონომიკურ დანაშაულს რაც შეეხება, სიღარიბისკენ მიდრეკილი ხალხი იწყებს და არა ის, ვინც თავს კარგად გრძნობს. თუმცა, ბევრ მდიდარს უნდა, კიდევ უფრო მეტად გამდიდრდეს“ (ქუთაისი, ძარცვა, ყოფილი მსჯავრდებული)*

2.2 საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა, ძარცვა) დანაშაულის გამომწვევი ფაქტორები

ფოკუს-ჯგუფების მონაწილეები აქცენტს სვამენ დანაშაულის ჩადენის **მიზეზებზე,** რაც მათი აზრით, დამნაშავეს უქვეითებს იმის უნარს, რომ კონკრეტულ მომენტში მისი განხორციელებული თუ დაგეგმილი ქმედების შედეგებზე იფიქროს. უმეტესწილად, ასეთ მიზეზებად სახელდება ეკონომიკური სიდუხჭირე. კვლევაში მონაწილე ყოფილი მსჯავრდებულების მიერ ქურდობის ჩადენის ძირითადი მოტივი, როგორც ისინი ამბობენ, მათი ოჯახის არასახარბიელო ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა იყო. ასევე, რამდენიმემ აღნიშნა, რომ ისინი ალკოჰოლური თრობის ქვეშ იმყოფებოდნენ და გაუცნობიერებლად ჩაიდინეს დანაშაული.

> *„მე, როგორც გითხარით, ქურდობაზე ვარ ნასამართლევი და საჭიროება თუ არ მოითხოვს გაჭირვება, ზოგადად არ ჩაიდენს ადამიანი დანაშაულს. თუ აქვს იმის შესაძლებლობა, რომ ელემენტარულად ოჯახში მაინც კარგად იყოს და მშვიდად ცხოვრობდეს“ (გურია, ქურდობა, ყოფილი მსჯავრდებული).*

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა, ძარცვა) განმაპირობებელ ფაქტორებზე საუბრისას, ახლანდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები დანაშაულის გამომწვევ სხვადასხვა ფაქტორზე მიუთითებენ: ეს შეიძლება იყოს უმუშევრობა, უსაქმურობა, კრიმინალური გამოცდილების მქონე გარემოცვა, ეკონომიკური სიდუხჭირე, ოჯახის სოციალური მდგომარეობა და ა.შ. რესპონდენტები მნიშვნელოვან ფაქტორად მიიჩნევენ, ასევე, ადამიანის ფსიქოლოგიურ თავისებურებებს. მათი შეფასებით, ის ფაქტი, რომ ყველა გაჭირვებული ქურდი/მძარცველი არ არის, პიროვნების ინდივიდუალური ფსიქიკური მდგომარეობით არის განპირობებული. ზოგიერთები ნაკლებად მძაფრად აღიქვამენ საკუთარ მდგომარეობას, ზოგიერთებისთვის კი გამოსავლის პოვნა მეტად რთულდება და რადიკალურ გადა-

წყვეტილებებს იღებენ. რესპონდენტების აზრით, ნებისმიერი დანაშაულის განხილვა უნდა მოხდეს ინდივიდუალურად, რათა გამოვლინდეს ის ძირითადი მიზეზები, რომლებიც ადამიანისთვის დანაშაულის ჩადენის ბიძგის მიმცემია.

„მე მგონი, უფრო სოციალური მდგომარეობა იწვევს დანაშაულს. დღეს თითქმის 50%-ს კი არა მეტს, უჭირს სოციალურად. უმუშევრობაა. მერე ფსიქოლოგიურად ყალიბდება ადამიანი, როცა არ გაქვს, ნერვებიც იმიტომ გეშლება“ (სამეგრელო, ძარცვა, ამჟამინდელი მსჯავრდებულის ოჯახის წევრი).

„ხალხს პურის ფული, წამლის ფული არა აქვს და ვის რა აზრი მოუვა თავში, კაცმა არ იცის და მიდიან ამ შედეგებამდე“ (ქვემო ქართლი, ქურდობა, ამჟამინდელი მსჯავრდებულის ოჯახის წევრი).

„სოციალური მდგომარეობა, ეგ არის პირველი, არის ფსიქოლოგიურიც. ადამიანს რომ არ აქვს, რომ მუშაობს და 5-20 ლარს მისცემენ, იმ ფულით ვერაფერს იყიდის დღევანდელ დღეს“ (გურია, ქურდობა, ყოფილი მსჯავრდებული).

„ყველას ერთი ფსიქიკა და ფსიქოლოგია არ აქვს. ყველა არ ფიქრობს, ასე ვთქვათ, რაღაც კონკრეტულ საკითხზე ერთნაირად. შესაბამისად შეიძლება უმეტესობა არ სჩადის დანაშაულს, მაგრამ ფსიქოლოგიურად რომ მიხვალ იმ აზრამდე, რომ შენ უკვე იმის იქით გზა არ გაქვს, მაშინ ხდები დამნაშავე“ (შიდა ქართლი, ქურდობა, ყოფილი მსჯავრდებული).

ფოკუს-ჯგუფების მონაწილე ყოფილი მსჯავრდებულები ასახელებენ დანაშაულის ჩადენაზე გავლენის მქონე ისეთ ფაქტორებსაც, როგორებიცაა **ასაკი** და **განათლების დონე.** მათი აზრით, ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები, ძირითადად მოზარდები, რომლებიც საზოგადოებაში საკუთარი თავის დამკვიდრებას ცდილობენ და მუდმივ წინააღმდეგობაში არიან ყოველდღიურ გამოწვევებთან, უფრო მეტად მიმართავენ ასეთ რადიკალურ გადაწყვეტილებებს. ამავდროულად, გამოყოფენ დაბალი განათლების დონის მქონე ადამიანებს, რამდენადაც მათ საკუთარი თავის რეალიზების პოტენციალი ნაკლებად გააჩნიათ, მათთვის რთულია დასაქმება და, ამდენად, შემოსავალიც ნაკლები აქვთ. ქურდობას და ძარცვას ასეთი ადამიანები, ზოგჯერ, გამოსავლად მიიჩნევენ და დანაშაულზე მიდიან. ყოფილი მსჯავრდებულები გავლენის მქონედ მიიჩნევენ, აგრეთვე, ადამიანის **უშუალო გარემოცვას, სამეგობრო წრეს,** რაც ზოგჯერ უბიძგებს ამ წრის წევრს დანაშაულებრივ ჯაჭვში მონაწილეობისკენ.

„შეიძლება აი, მეგობარი ცოტა ისეთ წრეში იყოს და ეს რომ მაგასთან მეგობრობს, იმან შესთავაზოს რაღაცები. საახლობლო წრესაც აქვს მნიშვნელობა“ (სამეგრელო, ქურდობა, ყოფილი მსჯავრდებული).

რესპონდენტები განიხილავენ **უსაქმურობის** ფაქტორს, როცა ადამიანი თავისუფალ დროს ქუჩაში ატარებს და სხვადასხვა „ქუჩური ცდუნების“ წინაშე დგება. სწორედ უსაქმურობამ შეიძლება უბიძგოს მათ დანაშაულებრივი ქმედებისკენ. ამიტომ, გამოკითხულთა აზრით, ძალზე მნიშვნელოვანია სახელმწიფოს როლი ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობის თვალსაზრისით.

> *„სწორად ითქვა, ახალგაზრდას თუ არ შეუქმენი პირობა, უსაქმურად რომ დადის ქუჩაში, უნდა ილოთაოს, უნდა იქურდაოს. პერსპექტივა რა არის? არანაირი. იქითკენ მიდის საქმე, რომ სულ უფრო გაიზრდება ქურდობაც და სხვა დანაშაულიც“ (თბილისი, ძარცვა, ყოფილი მსჯავრდებული).*

რესპონდენტები საუბრობენ ქვეყანაში არსებულ **დაუსჯელობის სინდრომზე.** მათი აზრით, მხოლოდ იმ ადამიანების დანაშაული აღიქმება კრიმინალურ ქმედებად, რომლებსაც არავინ ჰყავთ მფარველად და საკუთარი თავის დაცვა დამოუკიდებლად უწევთ; მათგან განსხვავებით, მაღალი თანამდებობის მქონე პირებს, რომლებიც მასშტაბურ საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს (ქურდობა, ძარცვა) ცხადად სჩადიან, არაფერი მოეკითხებათ.

2.3 საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის (ქურდობა, ძარცვა) დაკავების შემდგომი ეტაპები და პროცედურები

ფოკუს-ჯგუფების მონაწილე ყოფილმა მსჯავრდებულებმა ისაუბრეს იმ ეტაპებსა და პროცედურებზე, რომლებიც გაიარეს მას შემდეგ, რაც დააკავეს საკუთრების წინააღმდეგ მიმართული კონკრეტული დანაშაულის (ქურდობა, ძარცვა) გამო. მათი ნაწილი ამბობს, რომ სამართალდამცავების მხრიდან მათ მიმართ განხორციელებული ქმედებები სამართლიანი იყო, ნაწილი კი, განვითარებულ მოვლენებს/პროცესებს უსამართლოდ აფასებს.

იმ რესპონდენტებს შორის, რომელთაც დაკავებიდან სასამართლომდე განვითარებულ პროცესებთან მიმართებით სამართლიანობის განცდა აქვთ, არსებობს აზრთა სხვადასხვაობა უშუალოდ სასამართლოზე გამოტანილ განაჩენთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ დაფიქსირდა კანონსაწინააღმდეგო ფაქტი და მოხდა მათთვის თავისუფლების აღკვეთა, ზოგიერთები სამართლოს მიერ დაწესებულ სასჯელს არაადეკვატურად აფასებენ. მეორე მხრივ, გამოკითხულთა შორის არიან ისეთებიც, რომლებიც ამბობენ, რომ ჩადენილი დანაშაულისთვის უფრო მკაცრ სასჯელს ელოდნენ, თუმცა გაუმართლათ და სასამართლომ მათთვის სასარგებლო განაჩენი მიიღო.

„ყველაფერი ისე იყო, როგორც წესია. სასამართლოს გადაწყვეტილება ჩემთვის არ იყო ადეკვატური, ჩემი გადმოსახედიდან“ (ბათუმი, ქურდობა, ყოფილი მსჯავრდებული).

„კმაყოფილი, რა ვიცი, უფრო უარესს ველოდი, მაგრამ კიდევ კარგი, ასე რომ მოხდა.“ (ახალციხე, ქურდობა, ყოფილი მსჯავრდებული)

რაც შეეხება უკმაყოფილო ყოფილი მსჯავრდებულების შეფასებებს, მათი ნაამბობის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ ისინი დანაშაულის ჩადენის გამო დააკავეს და სამართალდამცავების მხრიდან არ განხორციელებულა უკანონო ქმედებები, მაინც ფიქრობენ, რომ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებას დამამძიმებელი გარემოებები ხელოვნურად დაემატა. გარდა ამისა, თავად სასამართლო პროცესსაც არასამართლიანად მიიჩნევენ. მათი აზრით, ჩადენილი დანაშაულისთვის (განსაკუთრებით, ქურდობისთვის) განაჩენის გამოტანა უნდა მიმდინარეობდეს გარეშე და გავლენის მქონე ფაქტორების გათვალისწინებით. მაშინ როდესაც ადამიანი მძიმე ეკონომიკური პირობების გამო და ოჯახის მატერიალური მდგომარეობიდან გამომდინარე სჩადის დანაშაულს, მისი სასჯელის ზომა შედარებით მსუბუქი უნდა იყოს.

„ერთადერთი, რაც შეიძლება მოსამართლისგან და სასამართლოსგან მოითხოვო არის ის, რომ შედარებით ლმობიერი იყოს შენს მიმართ და ესეთი წვრილმანი საქმეების გამო ადამიანებს არ უნგრევდნენ ცხოვრებას და არ აძლევდნენ ამხელა სასჯელს“ (შიდა ქართლი, ქურდობა, ყოფილი მსჯავრდებული).

რესპონდენტების აზრით, ის, ვინც დანაშაულს სჩადის, არ კარგავს რეალობის აღქმის უნარს და იცის, რომ ამისთვის გასამართლდება, თუმცა, გარკვეული მიზეზების გამო, მაინც რისკავს. ამიტომ, პროკურორისა და სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ზოგადი კონტექსტის გათვალისწინებით უნდა ხდებოდეს. უსამართლობის განცდის მქონე ყოფილი მსჯავრდებულები საუბრობენ შემთხვევებზე, როდესაც განსასჯელს იმ ვადაზე მეტი მიუსაჯეს, რაც კანონით ეკუთვნოდა.

ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრების მოსაზრებები ყოფილი მსჯავრდებულების პოზიციების მსგავსია. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა დიდი ნაწილი უკმაყოფილოა მათი ოჯახის წევრების სასჯელით და უსამართლობის განცდა აქვთ. ნაწილი აღნიშნავს, რომ მათი ახლობლის შემთხვევაში დანაშაულის ჩადენის ფაქტს საერთოდ არ ჰქონია ადგილი, ნაწილი კი მიიჩნევს, რომ, არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, უფრო მსუბუქი სასჯელის მისჯაც შეიძლებოდა.

„უსამართლო არ იყო, მაგრამ სასჯელი ცოტა ნაკლები შეიძლება“ (ბათუმი, ქურდობა, ამჟამინდელი მსჯავრდებულის მეუღლე).

უკმაყოფილო რესპონდენტების (მსჯავრდებულის ოჯახის წევრების) შეფასებით, სამართალდამცავი სისტემის მოქმედების სტრატეგიები არ არის სამართლიანი. როგორც ისინი ამბობენ, შესაძლო,ა უდანაშაულო ადამიანი დაიჭირონ და მას არაადეკვატურად მკაცრი სასჯელიც მიუსაჯონ. მათი აზრით, პოლიცია არ არის ობიექტური. ასევე, სასამართლოს ხარვეზებზეც საუბრობენ. მსჯავრდებულების ახლობლები ამბობენ, რომ მოსამართლეს საბოლოო გადაწყვეტილებას, ხშირ შემთხვევაში, პროკურატურა კარნახობს. ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად სახელდება, აგრეთვე, არასრულწლოვანი დამნაშავეებისთვის სასჯელის დიდი ვადის დაკისრება.

„შვილის შემთხვევაში დაახლოებით წელიწადი დასჭირდა სასამართლოს და მიუსაჯეს 10 წელი [2010 წელს], ამ დროს 15 წლის იყო უკვე. ჯგუფურ ქურდობაზე დაიჭირეს და მიუსაჯეს 10 წელი. მე კი არ ვამბობ, რომ დამნაშავე არ არის, ფაქტზე დაიჭირეს, მაგრამ ამხელა მუხლი არასრულწლოვან ბავშვს, არ ვიცი მე მგონი, არ არის სამართლიანი“ (გურია, ქურდობა, ამჟამინდელი მსჯავრდებულის მშობელი).

იმ რესპონდენტთა უმრავლესობის გადმოცემით, რომელთა ოჯახის წევრები წინასწარი დაკავების იზოლატორში იყვნენ მოთავსებულები, დამნაშავეებზე ფიზიკური ზეწოლა არ ხორციელდებოდა; თუმცა, რამდენიმე რესპონდენტმა აღნიშნა, რომ ოჯახის წევრი სამართალდამცავებს ნაცემი ჰყავდათ. გარდა ამისა, ისინი ხაზგასმით საუბრობენ ხანგრძლივვადიანი სასჯელის თავიდან აცილებასთან დაკავშირებულ სირთულეებზე. როგორც რესპონდენტებმა აღნიშნეს, დიდი ოდენობით თანხის გადახდის შემთხვევაში შესაძლებელი იყო უფრო მსუბუქი სასჯელის მიღწევა, თუმცა, მათი ფინანასური მდგომარეობიდან გამომდინარე, ეს ვერ მოხერხდა. სანქციების ზომასთან და ცვლილების შეუძლებლობასთან მიმართებით სწორედ ამიტომ უჩნდებათ პროტესტის განცდა.

„ერთადერთი, რაც, ასე ვთქვათ, რთული იყო და მიზანშეწონილი არ იყო სამართალდამცავების მხრიდან, ეს იყო დაკავების მომენტიდან, სანამ ციხეში გადაიყვანდნენ, ის ეტაპი. ჩვენ როდესაც ვნახეთ. ნაცემი იყო სამართალდამცავების მიერ“ (ქვემო ქართლი, ქურდობა, ამჟამინდელი მსჯავრდებულის და).

მათი ოჯახის წევრის დაკავების და სასჯელის მიმართ სამართლიანობის განცდის მქონე რესპონდენტების მიხედვით, არ აქვს მნიშვნელობა, ვინ იქნება დანაშაულის ჩამდენი პირი; ნებისმიერმა უნდა აგოს პასუხი ჩადენილი კრიმინალური ქმედებისთვის. ამიტომ, მათი შეფასებით, ოჯახის წევრების გასამართლება კანონის დარღვევით არ მომხდარა და საკუთარი შეცდომისთვის იხდიან სასჯელს.

„რაც მიუსაჯეს, ნორმალური იყო. არც გაგვისაჩივრებია, არც არაფერი, იხდის თავისი დანაშაულისთვის სასჯელს. ასე რომ, მართლა სამდურავი და რამე არაფერი გვაქვს“ (ქვემო ქართლი, ქურდობა, ამჟამინდელი მსჯავრდებულის ოჯახის წევრი).

როგორც საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის (ქურდობა, ძარცვა) გასამართლებულმა ყოფილმა მსჯავრდებულებმა აღნიშნეს, მათი უმეტესობა მოთავსებული იყო წინასწარი დაკავების იზოლატორში. მათი შეფასებით, იქ არსებული პირობები აკმაყოფილებდა სტანდარტებს და ამბობენ, რომ არანაირი პრობლემა არ შექმნიათ ადმინისტრაციასთან ურთიერთობის თვალსაზრისით. აქვე უნდა აღნიშნოს ისიც, რომ ფოკუს-ჯგუფებში მონაწილე ყოფილ მსჯავრდებულებს შორის იყვნენ ისეთები, რომლებიც გასამართლდნენ როგორც წინა, ისე ამჟამინდელი ხელისუფლების დროს. მათი შეფასებების მიხედვით, დღესდღეობით, დამნაშავეებს უფრო სამართლიანად ეპყრობიან – წინასწარი დაკავების იზოლატორის ერთ საკანში არ შეჰყავთ ნორმირებულ რაოდენობაზე მეტი მსჯავრდებული, სამართალდამცავები არ ახდენენ დამნაშავის დამცირებას ფსიქოლოგიური თუ ფიზიკური ზეწოლით და ა.შ. რესპონდენტების აზრით, ხელისუფლების ცვლილებამდე არსებული მდგომარეობისგან განსხვავებით, სასამართლო შედარებით დამოუკიდებელი გახდა და ნაკლებად ერევა პროკურატურა მოსამართლის მიერ საბოლოო განაჩენის გამოტანის პროცესში.

„სასამართლოც აშკარად განიცდის პროგრესს. ადრე პროკურატურა რასაც იტყოდა, 100% სრულდებოდა და ახლა შეიძლება პროკურატურამ სხვა თქვას და სასმართლომ სხვა დასკვნა გამოიტანოს“ (სამეგრელო, ქურდობა, ყოფილი მსჯავრდებული).

2.4 მსჯავრდებულების უფლებები პენიტენციალურ დაწესებულებებში

რაც შეეხება საპატიმროებში არსებულ სიტუაციას, როგორც ყოფილმა მსჯავრდებულებმა აღწერეს, მათ ნორმალურ პირობებში მოუწიათ პატიმრობის გატარება, სულ ცოტა, იმაზე უკეთესში მაინც, ვიდრე წინა ხელისუფლების დროს იყვნენ. თუმცა, რესპონდენტებმა პენიტენციალურ დაწესებულებებში არსებულ ხარვეზებზეც ისაუბრეს. კერძოდ, მათ გამოკვეთეს სამედიცინო სერვისებთან დაკავშირებული პრობლემები. ყოფილი მსჯავრდებულები უყურადღებობას გრძნობდნენ სამედიცინო პერსონალის მხრიდან. თუ დგებოდა მედიკამენტების მიღების საჭიროება, მსჯავრდებულებს ბევრი წინაღობა ექმნებოდათ. გარდა ამისა, საუბრობენ საპატიმროში ექიმის ვიზიტიდან ვიზიტამდე დროის დიდ შუალედზე, რაც მსჯავრდებულების ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის.

„ადამიანს ხომ ყველაფრის ექიმი სჭირდება – თავის, ყურის, რაც არის რა. ყველა ექიმი არ ჰყავთ; ექიმები გარეთ მუშაობენ და ორ-სამ თვეში ერთხელ შემოდიან. ჯერ ელოდები, უნდა ჩაეწერო, ტკივილს უძლებ, მერე იმ სამ თვეში შემოვა, მთელი დღე ელოდები.. კანის ექიმთან რომ ჩავეწერე ისე დავამთავრე სროკი, რომ არ შემოსულა“ (შიდა ქართლი, ქურდობა, ყოფილი მსჯავრდებული).

სამედიცინო სერვისების შესახებ გამოთქმულ უარყოფით შეფასებებთან ერთად, ყოფილი მსჯავრდებულები **დადებით გამოცდილებაზეც** საუბრობენ. ასეთი რესპონდენტები ამბობენ, რომ საპატიმროებში გასართობი თუ შემეცნებითი საქმიანობებით შეიძლება დაკავდეს მსჯავრდებული. კერძოდ, არის ბიბლიოთეკები და სპორტული დარბაზი. დადებით კონტექსტში საუბრობენ პენიტენციალურ დაწესებულებებში არსებულ მაღაზიებზე, სადაც მათი შეფასებით, არც სიძვირეა და, ამავდროულად, ნებისმიერი პროდუქტის შეძენის შესაძლებლობაა.

„ყველანაირი პირობაა იქ, განათლების მხრივ, ფიზიკურად შეიძლება მოემზადო, ფეხბურთი ითამაშო, გაერთო, რაც აკლია პატიმრებს, ოჯახია და თავისუფლება ენატრება“ (გურია, ძარცვა, ყოფილი მსჯავრდებული).

რაც შეეხება კვებას, ყოფილი მსჯავრდებულების ნაწილი კმაყოფილია საპატიმროებში არსებული საკვებით, ნაწილი კი, ძალზე უარყოფით შეფასებებს გამოთქვამს. ნეგატიური შეფასებების მქონე რესპონდენტების თანახმად, საკვები ანტისანიტარულ პირობებში მზადდება და, ამასთან ერთად, თავად მსჯავრდებულის ოჯახის წევრებსაც კი უზღუდავდნენ, რომ კონკრეტული სახეობის საკვები მიეტანათ საპატიმროში.

„ამის გარდა, აგერ ახლა ყველას გვჭირდება კვება. მოდის დილით ქაშები, შმორის სუნი ასდიოდა, არ შეჭამ და მშიერი უნდა იყო მაშინ. ვითომ არ შეიძლებოდა ოჯახის წევრებს რომ მოეტანა. რაღაც ელემენტარული საკვები ხომ სჭირდება პატიმარს. მატლიან საჭმელს რომ მოგიტანენ, ის უფლების დარღვევა არ არის?“ (შიდა ქართლი, ქურდობა, ყოფილი მსჯავრდებული).

„კვება არც ხარისხიანი იყო და არც უხარისხო. ახლა თუ კარგი ჭამა და კაი სმა გინდა, კიდევ დარჩებოდი იქ და იქ იცხოვრებდი. რომ არ არის ნორმალური ცხოვრება და ნორმალური ჭამა არ არის, ვერ გარისკავ კიდევ ხელმეორედ წასვლას“ (ახალციხე, ქურდობა, ყოფილი მსჯავრდებული).

რესპონდენტების ნაამბობის მიხედვით, მსჯავრდებულები ძალზე განიცდიან ოჯახის წევრებთან ურთიერთობის ნაკლებობას. მათთვის დამთრგუნველი და მტკივნეულია,

რომ ოჯახის წევრებს ძალიან იშვიათად ნახულობენ. მათი აზრით, პენიტენციალურ დაწესებულებაში სტუმრების ვიზიტის შესაძლებლობები უნდა გაიზარდოს და, ასევე, უნდა მოიხსნას ის ბარიერები, რაც ადამიანების უშუალო/პირისპირ კონტაქტებისთვის არის საჭირო. მსჯავრდებულები ფიქრობენ, რომ საჭიროა სატელეფონო საუბრებისთვის განსაზღვრული დროის გაზრდაც.

რაც შეეხება საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის (ქურდობა, ძარცვა) გასამართლებული ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრების შეფასებებს, მათი დიდი ნაწილი ამბობს, რომ პენიტენციალურ დაწესებულებაში კარგი გარემოა, როგორც სამედიცინო და კვების, ასევე, მსჯავრდებულებთან მოპყრობის თვალსაზრისით. მათი ინფორმაციით, სასჯელმისჯილები არ გამოთქვამენ უკმაყოფილებას არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებით. ამჟამინდელი მსჯავრდებულების ახლობლები ადარებენ ახლანდელი და წინა ხელისუფლების მმართველობის დროს საპყრობილეებში არსებულ პირობებს და ამბობენ, რომ მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეიცვალა და ყველა კუთხით გაუმჯობესდა. მსჯავრდებულებს ზრდილობიანად ეპყრობიან, არ ახორციელებენ მათზე ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას. გარდა ამისა, ამბობენ, რომ მსჯავრდებულებთან ვიზიტის შესაძლებლობაც ნორმირებულია. ოჯახის წევრებს შეუძლიათ მსჯავრდებულების ფინანსური უზრუნველყოფაც, რათ საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება შეძლონ. კვებაზე საუბრისას, რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ კვების რაციონი ჯანმრთელობისთვის სასარგებლო პროდუქტებს შეიცავს, ხოლო თუ ვინმეს დიეტური კვება სჭირდება, ამასაც უზრუნველყოფენ.

> *„დადებითად შეიცვალა სიტუაცია, მეუღლე ამბობდა, რომ საჭმელებიც კარგია. ვინმე დიეტაზე თუ არის, დიეტური პროდუქტებიც შედის“ (გურია, ქურდობა, ამჟამინდელი მსჯავრდებულის მეუღლე).*

> *„ჯანდაცვის მხრივ, წელის ტკივილები ჰქონდა და ძალიან კარგად უმკურნალეს. საკვებთან დაკავშირებითაც არ აქვს პრეტენზია, ჩვეულებრივად იკვებება“ (ბათუმი, ქურდობა, ამჟამინდელი მსჯავრდებულის ძმა).*

რაც შეეხება ოჯახის იმ წევრებს, რომლებიც არსებულ მდგომარეობას რამდენადმე სკეპტიკურად უყურებენ, ისინი ამბობენ, რომ მათი ახლობელი მსჯავრდებულები თავიანთი უკმაყოფილების თაობაზე ხმამაღლა ცოტას ან არაფერს ამბობენ. მსჯავრდებულთა მთავარი მოტივი ისაა, რომ უფრთხილდებიან საკუთარი ოჯახის წევრებს.

> *„მე მგონია, რომ ოჯახის წევრებს არ ანერვიულებენ; არავინ არ იტყვის, რომ ცუდი პირობებია, იძახიან, რომ კარგი პირობებია, ეგრე გვეუბნება ხოლმე“ (შიდა ქართლი, ქურდობა, ამჟამინდელი მსჯავრდებულის ოჯახის წევრი).*

ის, რასაც მსჯავრდებულთა ოჯახის წევრები პრობლემურად თვლიან, არის სა-პატიმროებში არსებულ მაღაზიებში პროდუქტის სიძვირე, რაც ოჯახს ფინანსურ ტვირთად აწვება.

„ჩემთანაც იყო ესეთი პრობლემა – ძალიან ხშირად გვთხოვდა რო გადაგვე-რიცხა ფული და ეს ძალიან დიდი ხარჯი იყო“ (ქუთაისი, ძარცვა, ამჟამინდელი მსჯავრდებულის მშობელი).

2.5. უფლებადამცველებთან ურთიერთობა

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის (ქურდობა, ძარცვა) გასა-მართლებულმა ყოფილმა მსჯავრდებულებმა ისაუბრეს **უფლებადამცველ კერძო პირებთან ან ორგანიზაციებთან** ურთიერთობის გამოცდილებაზე. როგორც აღმო-ჩნდა, რესპონდენტთა ნაწილის უფლებებს კერძო ადვოკატი იცავდა, ნაწილისას კი – სახაზინო ადვოკატი. რესპონდენტების შეფასებებში უფლებადამცველების მიმართ ვლინდება როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი განწყობები. **სახაზინო ადვოკატის** მომსახურებით კმაყოფილმა ბენეფიციარებმა აღნიშნეს, რომ უფლება-დამცველი, შესაძლებლობების ფარგლებში, მაქსიმალურად ცდილობდა კლიენტის დაცვას. გარდა ამისა, დასძენენ, რომ სახაზინო ადვოკატის აყვანა ფინანსური თვა-ლსაზრისით მომგებიანია. რაც შეეხება ნეგატიური გამოცდილების მქონე რესპო-ნდენტების შეფასებებს, ისინი აღნიშნავენ, რომ სახაზინო ადვოკატს არ გააჩნია საქ-მის მოგების ინტერესი, რადგან ის თავად სახელმწიფოს მიერ არის დაქირავებული და საქმის მოგება/წაგების მიუხედავად, ანაზღაურებას მაინც მიიღებს.

„არ ყოფილა ცუდი რაღაცები – ზედმეტის გადახდა, გირაო და ა.შ. კმაყოფი-ლი ვარ სახაზინო ადვოკატის მომსახურებით. ყველაფერი კარგად ჩაატარა“ (ახალციხე, ქურდობა, ყოფილი მსჯავრდებული).

„ის არის სახელმწიფო ადვოკატი და იღებს ანაზღაურებას ყველა შემთხვევა-ში. ამიტომ, შეიძლება სრულიად უდანაშაულო იყო, მაგრამ არ აინტერესებ-დეს შენი უდანაშაულობის დამტკიცება“(შიდა ქართლი, ქურდობა, ყოფილი მსჯავრდებული).

რაც შეეხება რესპონდენტების შეფასებებს **კერძო ადვოკატთან** ურთიერთობის შესა-ხებ, ნაწილი აღნიშნავს, რომ სწორი გადაწყვეტილება მიიღეს უფლებადამცველის შერჩევის პროცესში. კერძო ადვოკატის დაქირავების შესახებ გადაწყვეტილების მი-ღების მიზეზად სახაზინო ადვოკატის კვალიფიკაციისადმი უნდობლობა სახელდება. კერძო ადვოკატის მომსახურებით კმაყოფილთა თქმით, ადვოკატი, როგორც წესი,

ოჯახის ახლობელი/ნაცნობი იყო და მაქსიმალურად იყო მობილიზებული საქმის მოსაგებად. ყოფილ მსჯავრდებულთა მეორე ნაწილი კერძო ადვოკატის მუშაობით იმედგაცრუებულია. მათი შეფასებით, კერძო ადვოკატის დაქირავებას იმ შემთხვევაში აქვს აზრი, თუ ის საქმის გამომძიებელ-პროკურორთან ან მოსამართლესთან დაახლოებული პირია. მსგავსი განწყობის მქონე რესპონდენტები ადვოკატს მიიჩნევენ შუამავლად ოჯახსა და სამართალდამცავებს შორის, ვისი საშუალებითაც ხდება ინფორმაციის მიმოცვლა. ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები, ასევე, საუბრობენ ადვოკატის შეზღუდულ უფლებებზე.

> *„სისტემაშია ისევ და ისევ პრობლემა. არ აქვს იმ ადვოკატსაც არაფრის შნო და.. ცოდნაზე არ არის, უფლებას არ აძლევენ, რომ ის გააკეთოს, რაც უნდა გააკეთოს. აზრი არ აქვს“ (შიდა ქართლი, ქურდობა, ყოფილი მსჯავრდებული).*

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის (ქურდობა, ძარცვა) გასამართლებული ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები, ასევე, მიუთითებენ როგორც სახაზინო, ისე კერძო ადვოკატის მომსახურების გამოყენების შესახებ.

კერძო ადვოკატის მომსახურებით კმაყოფილი ოჯახის წევრები, ყოფილი მსჯავრდებულების მსგავსად ამბობენ, რომ დაქირავებული უფლებადამცველი ოჯახის ახლობელი ან ნაცნობი იყო და მაქსიმალურად ცდილობდა საქმის განსასჯელისთვის სასარგებლოდ წარმართვას. ისინი ხაზს უსვამენ ადვოკატის პროფესიონალიზმს. რაც შეეხება უკმაყოფილო რესპონდენტებს, მათი აზრით, ადვოკატი არის მხოლოდ ფორმალური წარმომადგენელი, რომელიც ფაქტებს და გარემოებებს ახმოვანებს და სუსტ ძალისხმევას იჩენს კლიენტის დასაცავად. კერძო ადვოკატის დაქირავებას დადებით ფაქტად მხოლოდ მაშინ აფასებენ, თუ ის პროკურორთან დაახლოებული პირია. ამასთანავე, დასძენენ, რომ დაქირავებული ადვოკატის მომსახურების საფასური არაადეკვატურად დიდია, მით უფრო, იმ ვითარებაში, როცა ისინი საქმის სასურველი მიმართულებით წარმართვას ვერ ახერხებენ.

> *„მეც მქონდა ეგეთი შემთხვევა კერძო ადვოკატთან დაკავშირებით. თანხა მოითხოვა, მაგრამ საქმე არ გაუკეთებია იმდენი“ (შიდა ქართლი, ქურდობა, ამჟამინდელი მსჯავრდებულის ოჯახის წევრი).*

რაც შეეხება ამჟამინდელ მსჯავრდებულთა იმ ოჯახის წევრებს, რომელთაც სახაზინო ადვოკატთან ჰქონდათ შეხება და საქმიანი კომუნიკაცია, მათი ნაწილი აღნიშნავს, რომ სასურველ შედეგს მიაღწიეს. როგორც ამბობენ, ისევე ენდობიან სახაზინო ადვოკატს, როგორც კერძოს და, ამასთან, ნაკლები ხარჯის გაღება უწევთ. კმაყოფილი რესპონდენტების აზრით, საზოგადოებას მცდარი წარმოდგენები აქვს სახაზინო

ადვოკატის პროფესიონალიზმთან და მოტივირებულობასთან დაკავშირებით. მათი შეფასებით, იმდენად, რამდენადაც სახაზინო ადვოკატის წარმატება და წინსვლა სწორედ მოგებული საქმეებით არის განპირობებული, ის ბევრად მოტივირებულია, რომ განსასჯელის სასარგებლოდ წარმართოს სასამართლო პროცესი.

> *„სახაზინო ადვოკატი შეიძლება იყოს კარგი. მერე რა რომ სახაზინოა და ფულს არ გადაიხდი“(შიდა ქართლი, ქურდობა, ამჟამინდელი მსჯავრდებულის ოჯახის წევრი).*

რაც შეეხება უკმაყოფილო ოჯახის წევრებს, მათი შეფასებით, სახაზინო ადვოკატის აყვანას აზრი არ აქვს, რადგან ის არაფერს აკეთებს და არ არის დაინტერესებული აღებული საქმის მოგებით. ამას კი იმით ხსნიან, რომ სახელმწიფოს მიერ დასაქმებული ადვოკატის ანაზღაურება არ არის იმდენად მაღალი, რომ საქმის წარმატებით დასრულების მოტივაცია ჰქონდეს. რესპონდენტები გამოთქვამენ ვარაუდს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ოჯახი დამატებით გადაუხდიდა თანხას, შესაძლოა, საქმე სხვაგვარად წარმართულიყო და მსჯავრდებულის სასარგებლოდ დასრულებულიყო.

რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის გამოცდილებას, ყოფილ მსჯავრდებულთა და ამჟამინდელ მსჯავრდებულთა ოჯახის წევრების უმრავლესობამ თქვა, რომ მათ არ მიუმართავთ უფლებადამცველი არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის.

2.6 საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის (ქურდობა, ძარცვა) გასამართლებული პირების პერსპექტივები პენიტენციალური დაწესებულების დატოვების შემდეგ

ყოფილი მსჯავრდებულები აღწერენ, რომ პენიტენციალური დაწესებულების დატოვების შემდეგ, ნასამართლევი პირები რიგ ბარიერებს/პრობლემებს აწყდებიან. ყველაზე მთავარ გამოწვევად **დასაქმების შეზღუდულ შესაძლებლობებს** ასახელებენ. რესპონდენტების გამოცდილების თანახმად, ნასამართლევის სტატუსი ავიწროებს დასაქმების სფეროებს; მათ საჯარო სამსახურში მუშაობის უფლება არ აქვთ, და ხშირად კერძო სექტორში დასაქმებაც რთულია. ყოფილი მსჯავრდებულები ძირითადად მომსახურებისა და მშენებლობის სექტორში საქმდებიან. ასევე, საქმდებიან საზღვარგარეთ სეზონური ფიზიკური სამუშაოების შესასრულებლად. ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ, საპატიმროს დატოვების შემდეგ, მას ჰქონდა ძველ სამსახურში (კერძო სექტორი) დაბრუნების მცდელობა, თუმცა, ადმინისტრაციის განცხადებით, ნასამართლეობის სტატუსის გამო ის სამსახურში ვერ დაბრუნდებოდა.

„რომ გამოდიხარ, სამსახურს ვერ იწყებ; ნებისმიერ საჯარო სამსახურში ითხოვენ ნასამართლეობის ცნობას და აზრიც არ აქვს განაცხადის გაკეთებას“ (შიდა ქართლი, ქურდობა, ყოფილი მსჯავრდებული).

დასაქმების პრობლემის გარდა, ყოფილი მსჯავრდებულები საუბრობენ **საზოგადოების დამოკიდებულებებზე.** როგორც რესპონდენტები აღწერენ, წვრილმანი გაუგებრობების შემთხვევაშიც კი, თუ შემთხვევის ადგილას სამართალდამცავები აღმოჩნდებიან, პირველ რიგში ნასამართლევ პირებზე მიაქვთ ეჭვი, რაც ყოფილი მსჯავრდებულებისთვის დამთრგუნველია. საზოგადოების დანარჩენ წევრებზე საუბრისას ამბობენ, რომ არის ადამიანების კატეგორია, რომელებიც ყოფილ მსჯავრდებულებთან კომუნიკაციას/ურთიერთობას ერიდებიან. გარდა აღნიშნულისა, რესპონდენტები საზღვრის კვეთის პრობლემაზეც საუბრობენ.

„ზიზღის გრძნობა ეუფლებათ ალბათ, თუ რავი, არ ვიცი. ჩემთან არც კომუნიკაცია უნდათ“ (შიდა ქართლი, ქურდობა, ყოფილი მსჯავრდებული).

ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრების აზრით, პენიტენციური დაწესებულების დატოვების შემდეგ, ბარიერები ძირითადად უკავშირდება გარემოსთან **ადაპტაცია/ინტეგრაციას** და **რესოციალიზაციის** პროცესს. რესპონდენტები პატიმრობას განიხილავენ როგორც „შავ ლაქას“, რომელიც ადამიანს სხვადასხვა აქტივობაში უშლის ხელს, იქნება ეს დასაქმება, საზოგადოებასთან ურთიერთობა, პირადი ცხოვრების მოწყობა და სხვა.

„ახლობელი ახალგამოსული იყო, უნდოდა სამსახურის დაწყება, მაგრამ აღმოჩნდა ისე, რომ არასდროს არ დაურეკავთ მისთვის და ვერც დაიწყო მუშობა“ (ბათუმი, ქურდობა, ამჟამინდელი მსჯავრდებულის ცოლი).

საპატიმროების დატოვების შემდეგ ადამიანებს სჭირდებათ **ფსიქოლოგიური** დახმარება, რადგან შეძლონ იმ სტრესის დაძლევა, რაც საპყრობილეში მიიღეს. სახელმწიფომ და ოჯახმა მაქსიმალურად უნდა შეუწყოს ხელი ყოფილი მსჯავრდებულის რეაბილიტაციას. ასევე, რესპონდენტების აზრით, მნიშვნელოვანია, ყოფილი მსჯავრდებულების ცნობიერების ასამაღლებლად, მათთვის გარკვეული სერვისების შეთავაზება, სარეაბილიტაციო, თერაპიული დაწესებულებების შექმნა, სადაც კომპეტენტური პირები დამაჯერებლად და გასაგებად აუხსნიან მათი ქმედების უარყოფით მხარეებს და ასწავლიან რთულ სიტუაციებში პრობლემასთან გამკლავების ალტერნატიულ მექანიზმებს.

„პრობლემები შეექმნებათ, რა თქმა უნდა, რომ გამოვა ვიცი, როგორც პატიმარი სამსახურს ვერ იშოვის, რა თქმა უნდა, ნაციხარი და რაღაცა უკვე არავის არ უნდა“ (შიდა ქართლი, ქურდობა, ამჟამინდელი მსჯავრდებულის ოჯახის წევრი).

რესპონდენტების აზრით, სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობის გარდა, დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ რამდენად მონდომებულია თავად საპატიმროდან ახალგამოსული პირი, რომ დაიმკვიდროს თავი საზოგადოებაში, მოიპოვოს ნდობა და ისევ გახდეს მისი სრულფასოვანი წევრი.

რესპონდენტების შეფასებით, საპატიმროდან გამოსვლის შემდეგ, შესაძლებლობების დიაპაზონი იმდენად შეზღუდულია, რომ ყოფილი მსჯავრდებულების გამოსწორების შანსი დაბალია. როდესაც სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერის მოლოდინი ქრება ან სუსტდება, ყოფილი მსჯავრდებულები კვლავ კრიმინალური ქმედებისკენ იხრებიან, რათა თუნდაც მათ ოჯახებში არსებულ ფინანსურ პრობლემებს გაუმკლავდნენ. შესაბამისად, ისინი დგანან ხელახალი დაპატიმრების და უფრო გრძელვადიანი სასჯელის მიღების მაღალი რისკის წინაშე.

> *„მე როდესაც ციხე დავტოვე, ყველაზე ცუდი ის იყო, რომ უმუშევრად ვიყავი, ისევ იგივე გაჭირვება და პრობლემები. როცა დამიჭირეს, იგივე სიტუაცია იყო, ისევ ქურდობა ჩავიდინო?“ (თბილისი, ქურდობა, ყოფილი მსჯავრდებული).*

უარყოფითთან ერთად, ყოფილი მსჯავრდებულების ნაწილი დადებითი გამოცდილების შესახებაც საუბრობს. ამ უკანასკნელთა შემთხვევაში, ნასამართლეობა არ ყოფილა შემაფერხებელი ფაქტორი დასაქმების თვალსაზრისით და არც საზოგადოებასთან ურთიერთობის დროს უგრძვნიათ რამე უხერხულობა. ისინი ამბობენ, რომ საპატიმროდან გამოსვლის შემდეგ უმთავრესი თავისუფლების დაბრუნება და ოჯახის წევრებთან ახლოს ყოფნაა, რის ფონზეც სხვა პრობლემები თუ ბარიერები ნაკლებ მნიშვნელოვნად მიჩნიათ და ფიქრობენ, რომ პენიტენციალური დაწესებულების კედლებს გარეთ ნებისმიერ პრობლემასთან გამკლავება შესაძლებელია. ფოკუს-ჯგუფის ერთი მონაწილე ადასტურებს, რომ, პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ, ძველ სამსახურში დაბრუნდა.

> *„ვმუშაობდი რომ დამიჭირეს და იმ დროში, როცა გამოვეთიშე, შემინახეს სამსახური. არ გამიშვეს სამსახურიდან და რომ გამომიშვეს ისევ ჩვეულებრივად გავაგრძელე მუშაობა“ (ახალციხე, ძარცვა, ყოფილი მსჯავრდებული).*

2.7 ბარიერები, რომლებსაც ოჯახის წევრები აწყდებიან

ფოკუს-ჯგუფებში მონაწილე ყოფილი მსჯავრდებულები ამბობენ, რომ მათი პატიმრობის პერიოდი მძიმე აღმოჩნდა არა მარტო მათთვის, არამედ ოჯახის წევრებისთვისაც. ოჯახი რთულ მდგომარეობაშია როგორც ფსიქოლოგიურად, ისე ფინანსურად. ისინი გარკვეულ სტიგმას განიცდიან მეზობლების და ნაცნობების მხრიდან,

აწუხებთ სირცხვილის გრძნობა. ამ ყველაფერს ამძაფრებს ახლობელ ადამიანებთან დაშორება.

> *„ნერვიულობას იწვევს ახლა, რომ ვეღარ გხედავენ, არ იციან როგორ პირობებში ხარ, ვისთან გაქვს შეხება და ურთიერთობა და ეს მათ ჯანმრთელობაზეც აისახება“ (ახალციხე, ძარცვა, ყოფილი მსჯავრდებული).*

ფოკუს-ჯგუფების მონაწილეების თქმით, როცა იმ წევრს იჭერენ, რომელიც ოჯახს ფინანსურად უზრუნველყოფს, ეს ძალზე უარყოფითად აისახება ოჯახის მატერიალურ მდგომარეობაზე. გარდა ამისა, თავად ოჯახს უწევს სერიოზული ხარჯების გაღება მისი წევრის დაკავებიდან პატიმრობის დასრულებამდე, იქნება ეს ადვოკატის მომსახურების საფასური, გირაო, ჯარიმა, უშუალოდ საპატიმროში ყოფნის პერიოდში მსჯავრდებულისთვის გასაგზავნი თანხა თუ სხვა.

> *„როგორც თვითონ განიცდის, ისე განიცდიან თავისი ოჯახის წევრებიც მის პატიმრობას და ვფიქრობ, რომ ძალიან რთულია მისთვისაც და ოჯახისთვისაც“ (ბათუმი, ქურდობა, ამჟამინდელი მსჯავრდებულის ოჯახის წევრი).*

> *„უწევს რჩენა, ფულის გადარიცხვა საპატიმროში ყოველკვირეულად, მაღაზიაში სიგარეტი და რაღაცები რომ იყიდონ. ჩაცმა უნდა იქ, საპონი უნდა ელემენტარული რაღაცები ყველაფერს ოჯახის წევრები იხდიან“ (თბილისი, ძარცვა, ყოფილი მსჯავრდებული).*

გარდა ამისა, ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენს **მსჯავრდებულთან ვიზიტის** პროცესი. ყოფილა შემთხვევები, როდესაც ოჯახის წევრი სხვა ვიზიტორებთან ერთად რიგში ღამისთევით მდგარა რიგში, რომ საკუთარი ახლობელი ენახა.

3. ზოგადი კონტექსტი/საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა, ძარცვა) პოლიტიკა

3.1 საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა, ძარცვა) შემცირების სტრატეგიები

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა, ძარცვა) პოლიტიკაზე საუბრისას, რესპონდენტებმა ყურადღება გაამახვილეს ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა სასჯელის ფორმა, სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯები ქურდობის/ძარცვის შემცირებისა და პრევენციის მიზნით, ალტერნატიული სასჯელების საჭიროება და ა.შ.

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა, ძარცვა) პრევენციისა და შემცირების თვალსაზრისით სახელმწიფოს როლსა და ფუნქციებზე საუბრისას, ყოფილმა მსჯავრდებულებმა აღნიშნეს, რომ დანაშაულის ჩამდენი პირების დაპატიმრება დიდად ვერ შეუწყობს ხელს საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა, ძარცვა) პრევენციას. რესპონდენტების აზრით, დაპატიმრების პერსპექტივამ და პრაქტიკულმა მაგალითებმა, შესაძლოა, საერთოდ არ იქონიოს სხვის ქცევაზე გავლენა. ამას კი იმით ხსნიან, რომ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა, ძარცვა) ჩადენა, უმეტესწილად, ოჯახის მწვავე საჭიროებებით არის გამოწვეული. ფოკუს-ჯგუფების მონაწილეები ამბობენ, რომ წვრილმანი საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის (ქურდობა, ძარცვა) ჩამდენ პირებს არ უნდა მიესაჯოს გრძელვადიანი სასჯელი, მით უფრო, თუ პირველი შემთხვევაა. მათი აზრით, ასეთი ფაქტების გამოვლენისას პირველ ჯერზე გაფრთხილება უნდა მისცენ დამნაშავეს.

> *„ადამიანი, რომელიც პურს იპარავს, მას გაფრთხილება უნდა ეძლეოდეს ან მცირე სასჯელი და 40 მილიონს რომ იპარავს ადამიანი, ის მეტად უნდა ისჯებოდეს“(ქუთაისი, ძარცვა, ყოფილი მსჯავრდებული).*

ამჟამინდელ მსჯავრდებულთა ოჯახის წევრების ნაწილის აზრით, თუნდაც ყველა დამნაშავე დაიჭირონ, მაინც არ შემცირდება დანაშაულის მაჩვენებლი, თუ ქვეყანაში მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა არ გაუმჯობესდება. მათი აზრით, იმ შემთხვევაში, თუ, საპატიმროდან გამოსვლის შემდეგ, ყოფილი მსჯავრდებული ვერ დასაქმდება, ის ისევ ჩაიდენს დანაშაულებრივ ქმედებას. შესაბამისად, წვრილმანი საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის (ქურდობა, ძარცვა) ადამიანების დაჭერა არ იქნება დანაშაულის შემცირების ეფექტური მექანიზმი; თუ

არ აღმოიფხვრა დანაშაულის ჩადენის მიზეზი, საპატიმროს დატოვების შემდეგ ნასამართლევი პირი ისევ ძველ საქმიანობას დაუბრუნდება.

> *„ჩემი აზრით, თუ ქვეყანაში არ შეიცვლა ეს სიტუაცია, რაც არის, რაც არ უნდა ბევრი ხალხი დავიჭიროთ, ეს არ გვიშველის“ (სამეგრელო, ქურდობა, ამჟამინდელი მსჯავრდებულის მშობელი)*

„არა, არა, მაგით დაპატიმრებებით არ შემცირდება ქურდობები, თუ არ გამოსწორდება სოციალური ფონი. დაიჭირე რამდენიც გინდა“ (ქვემო ქართლი, ქურდობა, ამჟამინდელი მსჯავრდებულის ოჯახის წევრი).

გარდა ამისა, რესპონდენტები საუბრობენ, აგრეთვე, შერჩევითი სამართალზე, რაც არასამართლიან მიდგომას ამკვიდრებს. მათი აზრით, ბიუჯეტის/ხაზინის ქურდები დაუსჯელები რჩებიან, ასევე, დამნაშავეები, რომელთაც გავლენიანი მფარველები ჰყავთ, სასჯელისგან თავისუფლდებიან.

მეორე მხრივ, ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრთა შორის გამოვლინდნენ რესპონდენტები, რომლებიც ემხრობიან სასჯელის კიდევ უფრო მეტად **დივერსიფიკაციას** დანაშაულის სიმძიმის მიხედვით. სასჯელი განსაკუთრებით მკაცრი უნდა იყოს იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ მძიმე დანაშაულებს (ქურდობა, ძარცვა) სჩადიან, ხოლო წვრილმანი ქურდობისთვის – შეუდარებლად მცირე. რესპონდენტების აზრით, შესაძლებელია, რომ ძარცვისა და ქურდობისთვის დაპატიმრების ალტერნატიული სასჯელები გამოიყენონ იმის გათვალისწინებით, თუ რა სიმძიმის დანაშაული ჩაიდინა პირმა. ასეთ ალტერნატიულ სანქციებად რესპონდენტები განიხილავენ, მაგალითად, საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომას (ვთქვათ, ქალაქის დასუფთავებას, მოწესრიგებას, გამწვანებას, ფასადების შეღებვას და ა.შ.). ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა აზრით, ასეთ შემთხვევაში დამნაშავეს გაუჩნდება განცდა, რომ მისი შრომა ფასდება და აქვს შანსი იყოს საზოგადოებისთვის სიკეთის მომტანი, რაც მას მისცემს ბიძგს გამოსწორებისკენ. ამავდროულად, საზოგადოების წევრებსაც შეეცვლებათ წარმოდგენა დამნაშავე პირების მიმართ.

> *„პირადად მე ასეთი განცდა მაქვს. რომ ზოგიერთი სათანადოდ არ არის დასჯილი და ამის ფონზე სხვები იმეორებენ იგივეს. გავამკაცროთ კანონი იმათთვის, ვინც მართლა დამნაშავეა და ბევრი მოიპარა“ (სამეგრელო, ძარცვა, ამჟამინდელი მსჯავრდებულის ოჯახის წევრი).*

3.2 სახელმწიფოს მოქმედების შეფასება

სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯების შეფასებისას, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის (ქურდობა, ძარცვა) გასამართლებულმა ყოფილმა მსჯავრდებულებმა აღნიშნეს, რომ ქურდობის/ძარცვის შემცირებისკენ გადადგმული ნაბიჯები არ არის ეფექტური, რამდენადაც ეს ნაბიჯები მიმართულია დანაშაულის შედეგებზე და დამნაშავის იზოლაციაზე. პირველ რიგში, ყურადღება დანაშაულის ჩადენის მოტივებზე/მიზეზებზე უნდა გამახვილდეს, საჭიროა მთავარი გამომწვევი ფაქტორების გამოვლენა და მხოლოდ მათი გათვალისწინებით შეიძლება ეფექტური პოლიტიკის წარმოება. რესპონდენტების აზრით, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა, ძარცვა) განმაპირობებელი ფაქტორი უმეტეს შემთხვევაში დამნაშავის და მისი ოჯახის ცუდი მატერიალური/ფინანსური მდგომარეობაა. ამიტომ, თუ ქვეყანაში არ გაიზრდება დასაქმების დონე და არ შემცირდება სიღარიბე, არც დანაშაულის ჩადენის მაჩვენებელი დაიწყებს კლებას. ამ მოსაზრებას იზიარებენ ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრებიც. მათი დაკვირვებით, ბოლო პერიოდში ქურდობის/ძარცვის ფაქტებმა იმატა. ხშირია ავტომანქანებიდან ნაწილების ამოღების და სხვა წვრილმანი ქურდობის ფაქტები. ამის გამომწვევი მთავარი ფაქტორი სახელმწიფოს გულგრილი დამოკიდებულებაა მათ მიმართ, ვისაც მინიმალური შემოსავალიც კი არა აქვს.

> *„ბრძოლა მაშინ იქნება წარმატებული, შემოსავალი თუ ექნება ადამიანს, ის აღარ მოიპარავს“ (ახალციხე, ძარცვა, ყოფილი მსჯავრდებული).*

> *„მყავს ჩემი ავტომანქანა. ამ ბოლო პერიოდში უკვე ორჯერ გახსნეს ჩემი მანქანა. (...) მესმის ძალიან ბევრისგან რომ გახშირდა წვრილმანი ქურდობების ფაქტები“ (სამეგრელო, ძარცვა, ამჟამინდელი მსჯავრდებულის ოჯახის წევრი).*

ყოფილი მსჯავრდებულები ამბობენ, რომ საპატიმროს დატოვების შემდეგ მათ ახალი ცხოვრების დაწყების და საკუთარი პოტენციალის რეალიზების შანსი უნდა მიეცეთ, რათა საკუთარი შრომით მოახერხონ შემოსავლის მიღება. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, კვლავ დანაშაულებრივ ქმედებას მიმართონ ოჯახის გამოკვების მიზნით. რესპონდენტების აზრით, ქვეყანაში არსებული ეკონომიკური კრიზისის დაძლევა და მოსახლეობის ფინანსური მხარდაჭერა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა, ძარცვა) შემცირებისა და პრევენციის ერთ-ერთი მთავარი პირობაა.

> *„ეკონომიკური კრიზისი უნდა დაიძლიოს. ქვეყანა უნდა განვითარდეს ეკონომიკურად, გაიზარდოს, ხალხს შემოსავალი და სამსახური უნდა ჰქონდეს და ჩემი აზრით, აღარ იქნება ეს, რაც ახლა ხდება“(ბათუმი, ქურდობა, ყოფილი მსჯავრდებული).*

ამ პათოსს ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრებიც იზიარებენ. მათი აზრით, იმისთვის, რომ შემცირდეს საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (ქურდობა, ძარცვა), საჭიროა დასაქმების ხელშეწყობა, სპეციალური სარეაბილიტაციო და საგანმანთლებლო პროგრამების შექმნა და შეთავაზება საპატიმროებიდან გამოსული პირებისთვის. ასეთი პოლიტიკის შექმნაზე, პირველ რიგში, სახელმწიფომ უნდა იზრუნოს.

> *„საჭიროა, რომ მეტი ტრენინგი ჩატარდეს, მეტი ასოციაციებიც შეიკრიბონ სკოლებში, სასწავლებლებში და ჩაუნერგონ მომავალ თაობას რა არის ცუდი, რა არის კარგი“ (შიდა ქართლი, ქურდობა, ამჟამინდელი მსჯავრდებულის ძმა).*

ნარკოდანაშაული

ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულებისა და ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრების გამოკითხვის შედეგები

ძირითადი მიგნებები

ინფორმირებულობის დონე და მიყენებული ზიანი

სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მოხვედრამდე, სხვადასხვა ტიპის ნარკოდანაშაულის სამართლებრივი შედეგების შესახებ რესპონდენტთა ინფორმირებულობა გაიზომა მათ მიერ საკუთარი ცოდნის დონის შეფასების (თვითშეფასების) თვალსაზრისით. აღმოჩნდა, რომ ნარკოდანაშაულის ამა თუ იმ ტიპის სამართლებრივი შედეგების/სასჯელის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობას (სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მოხვედრამდე) ორივე სამიზნე ჯგუფის რესპონდენტები აღიარებენ. თუმცა, ამ თვალსაზრისით, ამჟამინდელ მსჯავრდებულთა ოჯახის წევრები, ყოფილ მსჯავრდებულებთან შედარებით, უფრო თვითკრიტიკულები არიან.

გარდა ამისა, ყოფილი მსჯავრდებულების ნარკოდანაშაულების შესახებ ახლანდელი ინფორმირებულობის დონე ტესტირების საფუძველზე შეფასდა. აღმოჩნდა, რომ ყოფილი მსჯავრდებულები მეტ ინფორმირებულობას ამჟღავნებენ ნარკოტიკული საშუალებების შეძენა/შენახვისა და მოხმარების თანმდევი სამართლებრივი შედეგების შესახებ. ამავდროულად, რესპონდენტებმა სხვა ნარკოტიკულ საშუალებებზე უკეთ მარიხუანასთან დაკავშირებული საკითხები იციან.

როგორც ამჟამინდელ მსჯავრდებულთა ოჯახის წევრები, ასევე ყოფილი მსჯავრდებულები, სხვადასხვა ტიპის ნარკოდანაშაულით გამოწვეული ზიანის სამ ფორმას გამოყოფენ: ჯანმრთელობის, სოციალურს და ეკონომიკურს. მოხმარების მიზნით შეძენა/შენახვასა და მოხმარების კუთხით მეტწილად სახელდება ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი; აგრეთვე, ეკონომიკური ზიანი. ნარკოტიკული საშუალებების გასაღების და, ასევე, დამზადება/წარმოება/მოყვანის მხრივ უმეტესად სახელდება სოციალური ზიანი. ამავდროულად, რესპონდენტთა მოსაზრებით, ნარკოდანაშაულებრივი ქმედებები ირიბად აყენებს ფსიქიკურ ზიანს მათ, ვისაც დანაშაული უშუალოდ არ ჩაუდენია (უპირველესად, ნარკოდამნაშავეთა პირველადი ჯგუფის (მაგ., ოჯახის) წევრებს).

პირადი გამოცდილება

ყოფილ მსჯავრდებულთა და ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრების თანახმად, ნარკოდამნაშავეები, უმეტეს შემთხვევებში, ნარკოტიკების შენახვისა და მოხმარების ფაქტებზე გაასამართლეს. მოხმარების თვალსაზრისით, კანონით განსაზღვრულ დეფინიციათა შორის, გამოირჩევა ნარკოტიკული საშუალების, მცენარე კანაფის ან მარიხუანის მოხმარების ფაქტები. შენახვის კუთხით შედარებით ხშირად სახელდება დიდი რაოდენობით ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების, დიდი რაოდენობით მცენარე კანაფის ან მარიხუანის და დიდი რაოდენობით სხვა ნარკოტიკული საშუალების შენახვის ფაქტები.

ყოფილ მსჯავრდებულთა 28.6% 2012 წლამდე პერიოდში გასამართლდა, ხოლო 71.4% – 2012 წლის შემდგომ პერიოდში (N=185).

სასჯელის მიხედვით, ნარკოდამნაშავეებს უმეტეს შემთხვევაში მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა, ან დაეკისრათ ჯარიმის გადახდა. მათ შორის, ხშირია 2-დან 4 წლამდე თავისუფლების აღკვეთის შემთხვევები. ასევე, 500-2000 ლარის ფარგლებში ჯარიმის დაკისრების შემთხვევები. ალტერნატიული სასჯელის ფორმები, გამასწორებელი სამუშაო და საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა თითქმის არ სახელდება.

იკვეთება განსხვავებები ყოფილ მსჯავრდებულთა და ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრების მიერ ნარკოდანაშაულის ჩადენის მიზეზების ახსნის მხრივაც. ოჯახის წევრებს მიაჩნიათ, რომ პირს ნარკოდანაშაულისკენ, უპირველესად, მისი საახლობლო წრე უბიძგებს, ამის შემდეგ კი ისეთი მიზეზები, როგორებიცაა ინტერესი და რეკრეაციული მოხმარების სურვილი. ყოფილი მსჯავრდებულები უმეტესად რეკრეაციულ მოხმარებას, ამის შემდეგ კი, ინტერესსა და ცუდ ფინანსურ მდგომარეობას ასახელებენ.

ნარკოდანაშაულისათვის დაკისრებულ სასჯელთან მიმართებით, როგორც ოჯახის წევრები, (33.6%) ასევე წარსულში ნარკოდანაშაულისათვის გასამართლებული პირები (31.4%), ყველაზე ხშირად ასახელებენ პასუხს – „უფრო მეტად არ შეესაბამება, ვიდრე კი“. მიუხედავად ამისა, დადებით და უარყოფით პასუხებად დაჯგუფებისას ვლინდება, რომ ოჯახის წევრები დანაშაულისა და სასჯელის შესაბამისობას მეტწილად შესაბამისობის კონტექსტში მოიხსენიებენ (46.4%). ამის საპირისპიროდ, ყოფილი მსჯავრდებულები მეტწილად სასჯელის შეუსაბამობაზე ამახვილებენ ყურადღებას (51.9%).

ყოფილი მსჯავრდებულები და ამჟამინდელ მსჯავრდებულთა ოჯახის წევრები უმეტესწილად 260-ე (ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება) და 273-ე (პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან

პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა ანდა ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება) მუხლებით გასამართლდნენ, თანაც არაერთხელ. მათ შორის, ვინც წარსულში იყო ნასამართლევი, თუმცა, არა ნარკოდანაშაულისთვის, 177-ე (ქურდობა) და 178-ე (ძარცვა) მუხლებით გასამართლებულები ჭარბობენ.

როგორც ამჟამინდელი პატიმრების ოჯახის წევრები, ასევე ნარკოდანაშაულისათვის სასჯელმოხდილი პირები, პატიმრობაში/პრობაციაში ყოფნის უარყოფით შედეგად ასახელებენ ჯანმრთელობის პრობლემებს, რომლებიც ხანგრძლივ მკურნალობას საჭიროებს. ასევე, ხშირად აღინიშნება მსჯავრდებულის/პრობაციონერის დეპრესიული მდგომარეობა და ინტერესის დაკარგვა აქტიური ცხოვრების მიმართ. ორივე ჯგუფი საუბრობს ფინანსური მდგომარეობის გაუარესებაზე, მათ შორის სამსახურის დაკარგვასა ან ახალი სამსახურის პოვნის სირთულეებზე. ყოფილი მსჯავრდებულები და პრობაციონერები ხაზს უსვამენ, რომ ხშირად ხდებიან საპოლიციო კონტროლის ობიექტები.

პატიმრობაში/პრობაციაში ყოფნის დადებით შედეგად, როგორც ამჟამინდელ მსჯავრდებულთა ოჯახის წევრები, ასევე ყოფილი მსჯავრდებულები, უპირველესად, ცუდი გავლენის მქონე გარემოსგან ჩამოშორებას ასახელებენ. ხარისხობრივი კვლევიდან იკვეთება, რომ გარემოზე საუბრისას რიგ შემთხვევაში იგულისხმება ნარკოტიკის მომხმარებლები, რიგ შემთხვევაში კი – სოციალურ-ეკონომიკური ფონი. ასევე, არის ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარებისათვის თავის დანებების და აქტიური ცხოვრების მიმართ ინტერესის დაბრუნების შემთხვევები.

ყოფილი მსჯავრდებულები ხშირად მიმართავდნენ კერძო ადვოკატის სერვისს და, შესაბამისად, გაცილებით ხშირად ხვდებოდნენ მათ, სახაზინო ადვოკატთან შედარებით. რესპონდენტები (განსაკუთრებით, ყოფილი მსჯავრდებულები) საუბრობენ ადგილობრივი და საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლების მხრიდან სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში ვიზიტების დაბალ სიხშირეზე (ამ თვალსაზრისით, სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლები რამდენადმე უკეთესად გამოიყურებიან). რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ უფლებადაცვით ორგანიზაციებთან შედარებით, სასულიერო პირების ვიზიტები უფრო ხშირია.

ყოფილ მსჯავრდებულთა უმრავლესობა აფიქსირებს, რომ სასჯელაღსრულების ამა თუ იმ ეტაპზე უფლებების დარღვევის ფაქტების შესახებ ადვოკატს (როგორც კერძო, ასევე სახაზინო) სრული ინფორმაცია მიაწოდა. ამას ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრებიც ადასტურებენ. უფლებადაცვით ორგანიზაციებთან მიმართებით იმავე პრაქტიკას ყოფილი მსჯავრდებულები, მათივე განცხადებით, უფრო თავშეკავებულად ახორციელებდნენ (ამჟამინდელი პატიმრების ოჯახის წევრები ამ საკითხზე ნაკლებად ინფორმირებულები არიან). ამის ძირითადი მიზეზი

ისაა, რომ ყოფილ მსჯავრდებულებს არ ჰქონდათ ვითარების გამოსწორების იმედი. აღსანიშნავია, რომ გამოკითხულ ყოფილ მსჯავრდებულებს შორის, ვინც 2012 წლამდე გასამართლდა, ამ მოსაზრებას თითქმის ნახევარი (48.4%) იზიარებს. რაც შეეხება 2012 წელს შემდგომ გასამართლებულ პირებს, პასუხს, რომ არ ჰქონდათ ვითარების გამოსწორების იმედი, 34.4% აფიქსირებს.

ზოგადი კონტექსტი

როგორც ყოფილი მსჯავრდებულებმა, ასევე ნარკოდანაშაულის ჩამდენთა ოჯახის წევრებმა ისაუბრეს სხვადასხვა ნარკოდანაშაულის გამომწვევ ოთხ ძირითად მიზეზზე: სასჯელმოხდილებიც და დამნაშავეთა ოჯახის წევრებიც აღნიშნავენ საახლობლო წრეში ნარკოტიკის მომხმარებელი პირების ყოლას და ნარკოტიკულ ნივთიერებებზე მარტივ ხელმისაწვდომობას. ასევე აქტუალურია ნარკოდანაშაულზე სახელმწიფო კონტროლის შესუსტებისა და ცუდი ფინანსური მდგომარეობის ზეგავლენაც.

ორივე სამიზნე ჯგუფის რესპონდენტთა ინდივიდუალური შეფასებები, მათ თემში ნარკოდანაშაულის სხვადასხვა ტიპის ტენდენციასთან დაკავშირებით, მეტ-ნაკლებად თანაბრად მიუთითებს როგორც გარკვეული ტიპის ნარკოდანაშაულის ზრდაზე, ისე ზოგიერთი მათგანის შემცირებაზე. გაზრდის მხრივ, რესპონდენტთა პოზიცია შედარებით გამოკვეთილია უშუალოდ ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებით. სხვა ნარკოტიკულ საშუალებებთან შედარებით. ეს ყველაზე უკეთ მარიხუანასთან მიმართებით ჩანს, რესპონდენტთა მნიშვნელოვანი წილი აღნიშნავს, რომ სხვა ნარკოტიკული საშუალებების წარმოება და გასაღება შემცირებულია.

ნარკოდანაშაულის ჩადენის თვალსაზრისით, მაღალი რისკის სოციალურ ჯგუფებს შორის გამოიყო ოთხი ძირითადი. ესენი, პირველ რიგში, არიან ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ გარემოში, სადაც ნარკოტიკული საშუალებები გავრცელებულია, ნარკოდამოკიდებული პირების ოჯახის წევრები, ფინანსურად შეძლებული ადამიანები და, გარკვეულწილად, უმუშევრები.

ნარკოდანაშაულისათვის სასჯელმოხდილი პირების მოსაზრებით, ქურდობა/ძარცვა უფრო მძიმე დანაშაულია, ვიდრე ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება. თუმცა, ნარკოტიკული საშუალებების დამზადებას, შეძენა/შენახვას და გასაღებას, სიმძიმით მეტწილად ქურდობა/ძარცვას უთანაბრებენ.

როგორც ყოფილი მსჯავრდებულების, ასევე ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრების მოსაზრებით, ისეთ დემოგრაფიულ მახასიათებლებს, როგორებიცაა განათლება (ყოფილი მსჯავრდებული – 82.7%, ოჯახის წევრები – 72%), ოჯახური მდგომარეობა (ყოფილი მსჯავრდებული – 65.4%, ოჯახის წევრები – 69.6%) და რე-

ლიგიურობა (ყოფილი მსჯავრდებული – 82.5%, ოჯახის წევრები–76.8%), არ აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ნარკოდანაშაულის ჩადენაზე. რესპონდენტთა სრული უმრავლესობა სქესს დამოუკიდებელი გავლენის მქონე ცვლადად მიიჩნევს და ნარკოდანაშაულს ჩადენას, როგორც წესი, მამრობით სქესს მიაწერს (ყოფილი მსჯავრდებული – 69.4%, ოჯახის წევრები – 73.6%). ასაკობრივ ფაქტორს რესპონდენტთა უფრო დიდი ნაწილი არ მიიჩნევს რელევანტურად (ყოფილი მსჯავრდებული – 44.8%, ოჯახის წევრები-49.6%), თუმცა, გარკვეულწილად იკვეთება „სრულწლოვანი-ახალგაზრდების“ (20-34 წლის) ასაკობრივი ჯგუფი, როგორც ხელშემწყობი ფაქტორი (ყოფილი მსჯავრდებული – 24.6%, ოჯახის წევრები – 24%).

ნარკოპოლიტიკა

მსჯავრდებულების მიმართ ადამიანის უფლებების დარღვევის თაობაზე რესპონდენტთა შეფასებები მეტ-ნაკლებად თანაბრად გადანაწილდა დადებით და უარყოფით პასუხებს შორის იმის მიხედვით, თუ სასჯელაღსრულების რომელ ეტაპს ეხებოდა შეკითხვა. რესპონდენტები წინასწარი პატიმრობისა და სასჯელის მოხდის პერიოდებში, უფლებადარღვევის კონტექსტში, მიუთითებენ ციხეში ცხოვრების ღირსეული პირობების უზრუნველყოფის, სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობისა და ფიზიკური უსაფრთხოების საკითხებზე. იკვეთება ადვოკატზე ხელმისაწვდომობის პრობლემა წინასწარი პატიმრობისას. პირობითი მსჯავრის მოხდის და სასჯელის მოხდის შემდეგ პერიოდში, რესპონდენტები ყურადღებას ამახვილებენ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პოლიციის კონტროლის გარეშე თავისუფალი გადაადგილების უფლებების დარღვევაზე.

რესპონდენტების უფრო დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ არსებული ნარკოპოლიტიკა ნარკომომხმარებლის დასჯაზეა ორიენტირებული და, ამავდროულად, ეჭვქვეშ აყენებენ მოსაზრებას, რომ იგი ნარკოდანაშაულის შემცირებას ისახავს მიზნად. რესპონდენტთა შეფასებით, ნარკომომხმარებელთათვის განკუთვნილი მკურნალობისა და მომსახურების არსებობის მიუხედავად, ეს სერვისები საკმარისი არ არის. რესპონდენტები არასაკმარისად აფასებენ საზოგადოების ცოდნას ნარკოდანაშაულის რისკებსა და მოსალოდნელ სასჯელზე და სკოლებში ნარკომოხმარებასთან დაკავშირებული საკითხების სწავლის მიმართ დადებითად არიან განწყობილნი.

როგორც ყოფილი მსჯავრდებულების, ასევე ამჟამინდელ მსჯავრდებულთა ოჯახის წევრები ნარკოტესტირების პროცესს რამდენიმე ინდიკატორით აფასებენ. რესპონდენტების უმრავლესობა თვლის, რომ იძულებითი ნარკოლოგიური შემოწმება არღვევს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას. რესპონდენტთა უმრავლესობა, ასევე, ეთანხმება მოსაზრებას, რომ ნარკოტესტირება ხშირად ხდება შესაბამისი მტკიცებულებების არსებობის გარეშე. მაღალია მათი წილი, ვინც ადასტურებს,

რომ ნარკოტესტირება საქართველოში ატარებს პოლიციური კონტროლის სახეს. რესპონდენტები იხრებიან მოსაზრებისკენ, რომ ნარკოტესტირებით ხშირად ხდება ნარკომომხმარებელთა და ნარკოდამოკიდებულთა გაიგივება.

მსჯავრდებულები და ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები თანხმდებიან, რომ სახელმწიფომ უნდა შექმნას არა ნარკოტიკული საშუალებების აკრძალვებზე და დასჯის შიშზე ორიენტირებული გარემო, არამედ ისეთი, სადაც ინდივიდს ექნება ინფორმირებული არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა. ამასთან, რესპონდენტთა აზრით, სახელმწიფომ უნდა შეცვალოს არსებული ნარკოპოლიტიკა და დასჯაზე ორიენტირებული მიდგომა ზრუნვაზე ორიენტირებული მიდგომით ჩაანაცვლოს. საერთო შეთანხმების საკითხია ასევე ის, რომ უნდა გამკაცრდეს კანონმდებლობა ნარკოტიკების გასაღება-გაყიდვაზე .

წარსულში ნარკოდანაშაულისათვის გასამართლებულ პირთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ სახელმწიფომ უნდა დაუშვას ზოგიერთი მსუბუქი ნარკოტიკის (მაგ., მარიხუანის) ლეგალიზაცია/თავისუფალი მოხმარება და სამედიცინო მიზნით წარმოება. აღსანიშნავია, რომ ამჟამინდელი პატიმრების ოჯახის წევრების უმეტესი ნაწილი აღნიშნულ დებულებებს არ ეთანხმება.

იმ შემთხვევებში, როდესაც საქმე ეხება ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებას ან მოხმარების მიზნით შეძენა/შენახვას, ნარკოდანაშაულისთვის მსჯავრდებულების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ეს პრაქტიკები საერთოდ არ უნდა ისჯებოდეს სამართლებრივი გზებით. აღსანიშნავია, რომ მსჯავრდებულთა ოჯახის წევრების პასუხები დივერსიფიცირებულია. მათი მნიშვნელოვანი წილი აღნიშნული ქმედებებისთვისაც თავისუფლების აღკვეთას მოიაზრებს რელევანტურ სასჯელად.

როდესაც საუბარია ნარკოსაშუალების დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა, გასაღებაზე, მათ შორის ფსიქოტროპული ნივთიერებებზეც, როგორც ყოფილი მსჯავრდებულები, ასევე ამჟამინდელ მსჯავრდებულთა ოჯახის წევრები, მეტწილად, დამნაშავესათვის თავისუფლების აღკვეთას ემხრობიან.

ვითარება იცვლება ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა, მოყვანა ან კულტივირების შემთხვევების შეფასებისას. წარსულში ნარკოდანაშაულისათვის მსჯავრდებულ პირთა უფრო დიდი ნაწილის (ყოველი მესამის) მოსაზრებით, ეს საერთოდ არ უნდა ისჯებოდეს. თუმცა, მნიშვნელოვანი წილი (მეხუთედზე მეტი) ფიქრობს, რომ სასჯელი ჯარიმის სახით უნდა არსებობდეს. ყოფილ მსჯავრდებულთა ოჯახის წევრების უფრო დიდი ნაწილი (40%-მდე) ამ დანაშაულისათვის სწორ სასჯელად მიიჩნევს თავისუფლების აღკვეთას. ასევე მნიშვნელოვანია მათი წილი, ვინც თვლის, რომ უნდა ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა, მოყვანა ან კულტივირება ჯარიმით უნდა ისჯებოდეს.

1. ინფორმირებულობის დონე

წარსულში ნარკოდანაშაულისთვის მსჯავრდებულ პირებს და ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრებს დაესვათ კითხვები **ნარკომოხმარების როგორც სამართლებრივ, ასევე სოციალურ, ეკონომიკურ და ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ შედეგებზე.** რესპონდენტებმა დააფიქსირეს მათი ინფორმირებულობა სხვადასხვა ტიპის ნარკოდანაშაულის შესახებ იმ პერიოდისათვის, სანამ თავად ისინი და მათი ოჯახის წევრები აღმოჩნდებოდნენ პენიტენციურ დაწესებულებაში/გახდებოდნენ პრობაციონერები.

კონკრეტულად, რესპონდენტებმა განსაზღვრეს, რა **სამართლებრივ შედეგებს/სასჯელებს** გულისხმობს ნარკოდნაშაულის ესა თუ ის ტიპი.

ნარკოდანაშაულისთვის მსჯავრდებულ პირთა თითქმის ნახევარი (47.6%) ამბობს, რომ ნაწილობრივ ჰქონდა ინფორმაცია, თუ რა სამართლებრივი სასჯელი მოჰყვება ნარკოტიკული საშუალებების მოყვანას, დამზადებას, წარმოებას (მარიხუანის გარდა). აქვე აღსანიშნავია, რომ რესპონდენტთა დაახლოებით მესამედს (34.1%) დაკავებამდე, ამის თაობაზე ინფორმაცია არ ჰქონია. მეხუთედზე ნაკლებმა (18.4%) ნარკოდანაშაულის სამართლებრივი შედეგების შესახებ იცოდა მანამდე, ვიდრე თავად აღმოჩნდებოდა დამნაშავე. ოჯახის წევრების შემთხვევაში გადანაწილება სხვაგვარია. რესპონდენტთა უმეტესობის პასუხის თანახმად, მათ არ ჰქონდათ ასეთი ინფორმაცია (55.2%). თუმცა, მნიშვნელოვანია ოჯახის იმ წევრთა რიცხვიც, ვისაც ინფორმაცია ნაწილობრივ ჰქონდა (39.2%).

რაც შეეხება ნარკოტიკული საშუალებების გასაღებას (მარიხუანის გარდა), ამ ნარკოდანაშაულთან დაკავშირებული სასჯელის შესახებ დანაშაულის ჩამდენ პირთა 44.9% ნაწილობრივ იყო ინფორმირებული. ყოფილ მსჯავრდებულთა მესამედი (33%) სრულიად არ ფლობდა ინფორმაციას ამ საკითხთან დაკავშირებით. დადებითი პასუხი კვლავ შედარებით დაბალმა წილმა, 22.2%-მა დააფიქსირა. ოჯახის წევრების შემთხვევაში ძირითადი აქცენტი კვლავ ინფორმაციის არქონაზე მოდის (54.4%). 40.8% არის ისეთი, ვინც თქვა, რომ ინფორმაციას ნაწილობრივ ფლობდა.

მარიხუანის გარდა, სხვა ნარკოტიკული საშუალების შეძენა/შენახვისათვის სამართლებრივი სასჯელის თაობაზე ინფორმაცია ნარკოდამნაშავეთა 43.8%-ს ნაწილობრივ, 24.3%-ს კი სრულად ჰქონდა. 31.9%-ის თქმით, მათ ამის შესახებ არ იცოდნენ პენიტენციურ დაწესებულებაში მოხვედრამდე/პრობაციონერობამდე. დამნაშავეთა ოჯახის წევრების ნახევარი (51.2%) მსგავს ინფორმაციას არ ფლობდა. ხოლო მათი წილი, ვინც ნაწილობრივ იყო ინფორმირებული, 42.4%-ს შეადგენს.

ნარკოტიკული საშუალების მოხმარებასთან მიმართებით (მარიხუანის გარდა) დანაშაულის ჩამდენ პირთა შორის ინფორმირებული და არაინფორმირებული რესპონდენტების წილი თანაბარია (28.1%-28.1%). გამოკითხულ რესპონდენტთა დარჩენილი წილი (43.8%) ამბობს, რომ იცოდა სამართლებრივი შედეგების შესახებ. დამნაშავეთა ოჯახის წევრებს შორის 52.8% არაინფორმირებული იყო. 41.6% იყო ისეთი, ვისაც ინფორმაცია ჰქონდა საკუთარი ოჯახის წევრის დაპატიმრებამდე/პრობაციონერობამდე.

ტენდენცია მეტწილად მსგავსია, როდესაც ყოფილი მსჯავრდებულები მარიხუანასთან მიმართებით საუბრობენ. მარიხუანის მოყვანა, დამზადება, წარმოებისთვის სამართლებრივ პასუხისმგებლობაზე ცოდნა რესპონდენტთა 28.1% ჰქონდა სრულად, 46.5%-ს კი – ნაწილობრივ. მეოთხედი (25.4%) ამბობს, რომ ამის თაობაზე არ იყო ინფორმირებული. გამოკითხულ ოჯახის წევრებს შორის, თითქმის ნახევარი, 48.8% აფიქსირებს, რომ ინფორმაციას არ ფლობდა. ასევე, მაღალია იმ ოჯახის წევრთა რიცხვი, ვინც ამბობს, რომ ამის შესახებ ნაწილობრივ იცოდა (42.4%).

მარიხუანის გასაღებისათვის სამართლებრივი სასჯელის შესახებ სრულად ინფორმირებული იყო დანაშაულის ჩამდენთა 22.2%. ცოდნა ნაწილობრივ ჰქონდა რესპონდენტთა 43.8%-ს. ხოლო 34.1% ამბობს, რომ დაკავებამდე ინფორმაცია არ ჰქონია. ოჯახის წევრების უმეტესობა კვლავ აფიქსირებს, რომ ინფორმირებული არ იყო (52.8%). ამის საპირისპიროდ კვლავ მაღალი რჩება იმ ოჯახის წევრთა წილი, ვისაც ინფორმაცია ნაწილობრივ ჰქონდა (42.8%).

ტენდენცია მცირედ იცვლება, როდესაც დანაშაულის ჩამდენ რესპონდენტებს დაესვათ კითხვები მარიხუანის შენახვა/შეძენასა და მოხმარების თაობაზე. ყოფილი მსჯავრდებულებში, იმ რესპონდენტთა წილი, ვინც დადებით პასუხს, აფიქსირებს მეტია, ვიდრე მათი, ვინც ამბობს, რომ ინფორმაცია არ ჰქონია. მარიხუანის შენახვა/შეძენასთან დაკავშირებით სრულ ინფორმირებულობას აფიქსირებს 29.7%, ხოლო მათი წილი, ვინც ამბობს, რომ ინფორმაცია არ ჰქონდა – 24.9%-ია. მარიხუანის მოხმარების შემთხვევაში 36.2% – დადებითი, ხოლო 20% – უარყოფითი პასუხია. ოჯახის წევრების შემთხვევაში, როდესაც საუბარია მარიხუანის შენახვა/შეძენაზე, უფრო დიდი ნაწილი კვლავ უარყოფითი პასუხისკენ იხრება (49.6%). ამის საპირისპიროდ აღსანიშნავია, რომ მარიხუანის მოხმარების სამართლებრივ შედეგებზე ნაწილობრივ ინფორმირებული იყო ოჯახის წევრთა 45.6%. ეს ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც ნაწილობრივ ინფორმირებული ოჯახის წევრების წილი აღემატებოდა მათ, ვინც ინფორმაციას არ ფლობდა (44%). (იხ. ცხრილი №1.1)

ცხრილი №1.1

გქონდათ თუ არა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ კონკრეტულად რა სამართლებრივ შედეგებს/ სასჯელებს გულისხმობს ნარკოდნაშაულის ესა თუ ის ტიპი?	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)			ოჯახის წევრები (N=175)			
	დიახ	ნაწილობრივ	არა	დიახ	ნაწილობრივ	არა	მიჭირს პასუხის გაცემა
ნარკოტიკული საშუალებების მოყვანა/დამზადება/წარმოება (მარიხუანის გარდა)	18.4	47.6	34.1	4.0	39.2	55.2	1.6
ნარკოტიკული საშუალების გასაღება (მარიხუანის გარდა)	22.2	44.9	33.0	3.2	40.8	54.4	1.6
ნარკოტიკული საშუალების შეძენა/ შენახვა (მარიხუანის გარდა)	24.3	43.8	31.9	4.8	42.4	51.2	1.6
ნარკოტიკული საშუალების მოხმარება (მარიხუანის გარდა)	28.1	43.8	28.1	4.0	41.6	52.8	1.6
მარიხუანის მოყვანა/დამზადება/ წარმოება	28.1	46.5	25.4	7.2	42.4	48.8	1.6
მარიხუანის გასაღება	22.2	43.8	34.1	3.2	42.4	52.8	1.6
მარიხუანის შეძენა/შენახვა	29.7	45.4	24.9	3.2	45.6	49.6	1.6
მარიხუანის მოხმარება	36.2	43.8	20.0	8.8	45.6	44.0	1.6

ნარკოდანაშაულის ჩამდენი პირების **ინფორმირებულობის გადასამოწმებლად მათთვის შეთავაზებულ იქნა სხვადასხვა სასჯელი/ზომა, რომლებიც შეიძლება დაეკისროს ნარკოდანაშაულის რომელიმე ტიპის ჩამდენს.** თავიანთ ცოდნაზე დაყრდნობით, რესპონდენტებს უნდა დაეფიქსირებინათ, თუ რომელი სასჯელია გათვალისწინებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და რომელი – არა. სულ რესპონდენტები გაეცნენ ხუთ ამგვარ დებულებას, რომელთაგან სამი არის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული, ხოლო ორი – არა.

აღსანიშნავია, რომ სწორი ფორმულირებით მიწოდებულ დებულებებს რესპონდენტების უმრავლესობა ეთანხმება და ამბობს, რომ მოცემულ სასჯელებს საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს. ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის (კანაფისა და მარიხუანის გარდა) უკანონო გასაღების შემთხვევაში, ეს მაჩვენებელი 66.5%-ია. ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვის, მოყვანის ან კულტივირებასთან მიმართებით სწორ პოზიციას აფიქსირებს 62.7%; ხოლო,

ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება ან გამოძალვასთან მიმართებით სასჯელის შემთხვევაში, სწორი პასუხები მცირედ ჩამორჩება მოწინავე ორს და 54.6%-ს შეადგენს. ამავე დებულებასთან მიმართებით აღსანიშნავია, რომ მესამედზე მეტი – 35.1% არის ისეთი, ვინც პასუხისგან თავს იკავებს, ან ამბობს, რომ უჭირს პასუხის გაცემა. ეს შესაძლებელია დაკავშირებული იყოს ქვეყანაში არსებულ ზოგად კრიმინოგენულ ტენდენციასთან. დასაშვებია, რომ რესპონდენტები მეტად იცნობენ იმ სასჯელს/ზომას, რომელიც შედარებით გავრცელებულ დანაშაულებრივ ქმედებებს უკავშირდება. (იხ. ცხრილი №1.2)

ცხრილი №1.2

რომელი სასჯელია გათვალისწინებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და რომელი – არა. (N=185)	ითვალისწინებს მოცემული სასჯელს	არ ითვალისწინებს მოცემული სასჯელს	მიჭირს პ/გ / უარი პასუხზე
არის გათვალისწინებული საქართველოს კანონმდებლობის მიერ			
ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის (კანაფისა და მარიხუანის გარდა) უკანონო გასაღება დიდი ოდენობით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას რვიდან ოც წლამდე ან უვადოდ.	66.5	11.4	22.2
ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა, მოყვანა ან კულტივირება დიდი ოდენობით ითვალისწინებს ჯარიმას ან თავისუფლების აღკვეთას ოთხიდან შვიდ წლამდე.	62.7	10.3	27.0
ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება ან გამოძალვა ითვალისწინებს ჯარიმას ან გამასწორებელი სამუშაოს ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთას ორიდან ოთხ წლამდე.	54.6	10.3	35.1
არ არის გათვალისწინებული საქართველოს კანონმდებლობის მიერ			
საქართველოში ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის უკანონოდ შემოტანა, საქართველოდან უკანონოდ გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა, – ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას მაქსიმუმ 6 წლამდე.	59.5	13.5	27.0
ნარკოტიკული საშუალების შესაძენად ყალბი რეცეპტის ან სხვა დოკუმენტის დამზადება გასაღების მიზნით ან გასაღება ითვალისწინებს 10 000 ლარიან ჯარიმას.	38.9	15.1	45.9

რესპონდენტებს დაესვათ კითხვა, **სხვადასხვა ტიპის ნარკოდანაშაულის ზიანის** შესახებ. კითხვაზე დასაშვები იყო რამდენიმე პასუხის დაფიქსირება, შესაბამისად, პროცენტული მაჩვენებლები გადანაწილდა არა რესპონდენტების წილის, არამედ დაფიქსირებულ პასუხებს შორის პროცენტული წილის მიხედვით.

როგორც აღმოჩნდა, ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებასთან მიმართებით, დანაშაულის ჩამდენი პირების პასუხთა 42.2% ჯანმრთელობისთვის მიყენებულ ზიანზე მიანიშნებს. პასუხთა თითქმის მეოთხედი (24.7%) სოციალურ ზიანს უსვამს ხაზს. პასუხთა მეხუთედის თანახმად (20%), მნიშვნელოვან შედეგს ეკონომიკური ზიანი წარმოადგენს. ფსიქიკურ ზიანზე მიუთითებს პასუხთა მხოლოდ 12.6%. რაც შეეხება ოჯახის წევრების პოზიციას ნარკოდანაშაულის მოცემული ტიპით გამოწვეული ზიანის შესახებ, როგორც ირკვევა, პასუხები კონცენტრირდება ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ზიანზე (74.4%). ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აღემატება ყოფილი მსჯავრდებულების მიერ ამავე პოზიციის წილს. ოჯახის წევრების მხრიდან შედარებით ნაკლებად ფიქსირდება მოხმარებასთან დაკავშირებული სხვა ტიპის ზიანი. პასუხთა 12.1%-ში დასახელებულია სოციალური ზიანი, 10.5%-ში – ფსიქიკური ზიანი, ხოლო პასუხთა მხოლოდ 3.2%-ში – ეკონომიკური ზიანი.

ნარკოტიკული საშუალების მოხმარების მიზნით შეძენა/შენახვასთან მიმართებაში ნარკოდამნაშავეების მხრიდან ყველაზე ხშირად ასევე ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანი სახელდება (31.7%). დასახელების სიხშირით შემდეგ პოზიციაზე არის ეკონომიკური ზიანი (25.6) და მხოლოდ ამის შემდეგ – სოციალური ზიანი (24.1%). ყველაზე იშვიათად კვლავ ფსიქიკური ზიანი სახელდება (14.5%). პატიმრების ოჯახის წევრები პირველ რიგში ასევე ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ზიანს უსვამენ ხაზს (48%). ნარკოდამნაშავეთაგან განსხვავებით, ოჯახის წევრებისთვის მეორე პოზიციაზეა სოციალური ზიანი (30.4%), ხოლო ეკონომიკური ზიანის ფაქტორი სახელდება პასუხთა 16%-ში. ფსიქიკურ ზიანს ოჯახის წევრები თითქმის არ ასახელებენ (0.8%).

ნარკოტიკული საშუალებების დამზადება/წარმოება/მოყვანა ყოფილი მსჯავრდებულებისათვის ყველაზე ხშირად ასოცირდება სოციალურ ზიანთან (37.9%), შემდეგ ეკონომიკურ ზიანთან (21.4%) და მხოლოდ ამის შემდეგ – ჯანმრთელობისთვის მიყენებულ ზიანთან (18.1%). ფსიქიკური ზიანი ამ შემთხვევაშიც ყველაზე იშვიათად სახელდება (10.1%). ოჯახის წევრებისათვის ეს მიმდევრობა ნარჩუნდება. კონკრეტულად, მათთვის ნარკოტიკული საშუალებების დამზადება/ წარმოება/მოყვანა მეტწილად ასევე სოციალურ ზიანთან ასოცირდება (56%). შედარებით დაბალია ეკონომიკური ზიანის დასახელების სიხშირე (15.2%). ჯანმრთელობისათვის მიყენებულ ზიანსა და აღნიშნულ ნარკოდანაშაულს შორის კავშირი ოჯახის წევრების პასუხთა 14.4%-ში გამოვლინდა.

ისევე, როგორც წარმოების შემთხვევაში, ნარკოტიკული საშუალების გასაღებასთან მიმართებით ყველაზე ხშირად სახელდება სოციალური ზიანი (41.1%). ჯანმრთელობასთან დაკავშირებული (17.8%) და ეკონომიკური ზიანი (17.4%) პრაქტიკულად თანაბრად არის წარმოდგენილი. ფსიქიკური ზიანი სახელდება მხოლოდ პასუხთა 10%-ში. ეს, სავარაუდოდ, დაკავშირებულია იმ დაშვებასთან, რომ ნარკოტიკული საშუალების მწარმოებელი და/ან გამსაღებელი, შესაძლოა, თავად არ იყოს მომხმარებელი და უპირველეს ყოვლისა, მას ემუქრებოდეს სოციალური, და არა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ზიანი. ოჯახის წევრთა უმეტესობა, პირველ რიგში, ასევე სოციალურ ზიანზე მიუთითებს (61.3%). ჯანმრთელობის ზიანზე საუბარია პასუხთა 12.9%-ში, ხოლო ეკონომიკურ ზიანს ეხება პასუხთა 9.7%. ხაზგასასმელია, რომ ფსიქიკურ ზიანზე ნარკოდამნაშავეთა ოჯახის წევრები საერთოდ არ მიუთითებენ. (იხ. ცხრილი №1.3)

ცხრილი №1.3

რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი ზიანი სხვადსხვა ტიპის ნარკოდანაშაულისთვის	ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება		ნარკოტიკული საშუალების შეძენა/შენახვა მოხმარების მიზნით		ნარკოტიკული საშუალებების დამზადება/ნარმოება/მოყვანა		ნარკოტიკული საშუალებების გასაღება	
	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	ოჯახის წევრები (N=175)	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	ოჯახის წევრები (N=175)	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	ოჯახის წევრები (N=175)	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	ოჯახის წევრები (N=175)
ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანი (ნარკოტიკების ზედოზირებით გამოწვეული სიკვდილი, ნარკოტიკების გამოყენებით განვითარებული ინფექციური დაავადებები და ა.შ.)	42.1%	73.4%	31.7%	48%	18.1%	14.4%	17.8%	12.9%
სოციალური ზიანი (უმუშევრობა, კანონთან კონფლიქტი, ცხოვრების ხარისხის დაქვეითება, სოციალური მარგინალიზაცია, გარიყვა, სტიგმატიზაცია, თავისუფლების აღკვეთა და ა.შ.)	24.7%	12.1%	24.1%	30.4%	37.9%	56%	41.1%	61.3%

ეკონომიკური ზიანი (ნარკოტიკების არამიზნობრივი მოხმარების გამო შრომისუნარიანობისა და პროდუქტიულობის დაქვეითებით გამოწვეული ეკონომიკური ზარალი, მკურნალობის ხარჯები და ა.შ.)	20 %	3.2%	25.6%	16%	21.4%	15.2%	17.4%	9.7%
ფსიქიკური ზიანი (დეპრესია, სტრესი და ა.შ.)	12.6 %	10.5%	14.5%	0.8%	10.1%	1.6%	10%	-
მიჭირს პასუხის გაცემა	0.6 %	0.8%	4.1%	4.8%	12.5%	12.8%	1.2%	16.1%

რესპონდენტებს, ასევე, დაესვათ შეკითხვა იმ **ზიანთან დაკავშირებით, რომელიც ეხება ადამიანებს, ვისაც დანაშაული უშუალოდ არ ჩაუდენია, მაგრამ ირიბად შეეხო.** კითხვაზე დასაშვები იყო რამდენიმე პასუხის დაფიქსირება, შესაბამისად, პროცენტული მაჩვენებლები გადანაწილდა დაფიქსირებულ პასუხებს შორის პროცენტული წილის მიხედვით. როდესაც საქმე სხვა ადამიანს ეხება, ყოფილ მსჯავრდებულებში ყველაზე ხშირად ფსიქოლოგიური ზიანი სახელდება (41.5%). ოჯახის წევრები ყველაზე ხშირად, სხვა ადმიანებთან მიმართებით, ძირითად პრობლემად ასევე ფსიქიკურ ზიანს ასახელებენ (37.2%).

აღსანიშნავია, რომ, ყოფილ მსჯავრდებულებში, პასუხთა მნიშვნელოვანი წილი ნაწილდება როგორც ეკონომიკურ (29.9%), ასევე, სოციალურ (26.2%) ზიანზე. ეს მიმდევრობა ნარჩუნდება ოჯახის წევრების შემთხვევაშიც: ეკონომიკური ზიანი სახელდება შემთხვევათა 32.%-ში, ხოლო სოციალური ზიანი 29.4%-ში (იხ. ცხრილი №1.4):

ცხრილი №1.4

ზიანი, რომელიც ადგება მას, ვისაც დანაშაული უშუალოდ არ ჩაუდენია, მაგრამ ირიბად შეეხო	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	ოჯახის წევრები (N=175)
სოციალური ზიანი (ოჯახის სხვა წევრების/ახლობლების გარიყვა, სოციალური კავშირების გაწყვეტა, ღირსების შელახვა და ა.შ.)	26.2%	29.4%
ეკონომიკური ზიანი (ფინანსურად ზარალდებიან ოჯახის სხვა წევრები/ახლობლები, კარგავენ ქონებას და ა.შ.)	29.9%	32.1%
ფსიქიკური ზიანი (ოჯახის წევრებს/ახლობლებს ექმნებათ სხვადსხვა ფსიქოლოგიური პრობლემა: დეპრესია, სტრესი, შფოთვა და ა.შ.)	41.5%	37.2%
მიჭირს პასუხის გაცემა	2.3%	1.4%

2. პირადი გამოცდილება

2.1. კრიმინალური გამოცდილება

ყოფილ მსჯავრდებულებს დაესვათ კითხვები **საკუთარი კრიმინალური გამოცდილების** შესახებ. პირველ ეტაპზე, მათ ისაუბრეს იმ დანაშაულების შესახებ, რომელთა გამოც გასამართლდნენ. კითხვაზე დასაშვები იყო ერთზე მეტი პასუხის გაცემა, შესაბამისად, პროცენტული მაჩვენებელი რესპონდენტთა რაოდენობის ნაცვლად გაცემული პასუხების რაოდენობიდან დაანგარიშდა.

მცირე რაოდენობით ნარკოტიკულ საშუალებასთან დაკავშირებული ნარკოდანაშაულისთვის წარსულში გასამართლებულ პირთა შორის 24.2% გაასამართლეს მოხმარებისათვის. ამავე კომპონენტში, ასევე მოხმარებისთვის გასამართლდა ამჟამინდელ მსჯავრდებულთა 26.6%.

დიდი რაოდენობით ნარკოტიკულ საშუალებებთან დაკავშირებული ნარკოდანაშაულის ჭრილში, ყოფილ მსჯავრდებულთა შორის 15.3% შეძენა-შენახვისათვის გაასამართლეს. აღსანიშნავია, რომ ყოფილ მსჯავრდებულთა უმეტესი წილი (64.7%) დიდი რაოდენობით ნარკოტიკულ საშუალებებთან დაკავშირებული დანაშაულისთვის არ გასამართლებულა. რაც შეეხება ამჟამინდელ პატიმრებს, ამავე კომპონენტში მათი 8.3% გასამართლებულია გასაღებისთვის, ხოლო 7.5% – გადაზიდვისათვის. აღნიშნული დანაშაული არ ეხება ამჟამინდელ მსჯავრდებულთა 66.2%-ს.

მცირე რაოდენობით ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების ჭრილში, ყოფილ მსჯავრდებულთა 3.5% ამბობს, რომ გასამართლდა გასაღებისათვის, ხოლო 3.5% შეძენა-შენახვისათვის. ამჟამინდელ მსჯავრდებულთა შორის შეძენა-შენახვისათვის გასამართლდა 6.8%, ხოლო მოხმარებისათვის – 5.3%.

დიდი რაოდენობით ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების კომპონენტში წარსულში ნაკოდანაშაულისათვის გასამართლებულ პირთა 2.4% ასახელებს, რომ სასჯელი მიიღო გასაღებისათვის. 3% ასახელებს შეძენა-შენახვის შემთხვევებს. ამჟამად საპატიმროში მყოფ პირთა მიმართებით, მათი ოჯახის წევრები ასახელებენ, რომ 3.9% გასამართლდა გასაღებისათვის.

მცირე რაოდენობით მცენარე კანაფის ან მარიხუანასთან დაკავშირებული ნარკოდანაშაულის ჩადენის მხრივ, ყოფილ მსჯავრდებულთა 17.5% დააკავეს შეძენა-შენახვისათვის, ხოლო 10.5% – მოხმარებისათვის. ამჟამინდელ პატიმრებს შორის,

მათი ოჯახის წევრების თანახმად, 16.1% დააკავეს მოხმარებისათვის, ხოლო 9.1%-ისთვის დაკავების მიზეზი დამზადება-წარმოებაა.

დიდი რაოდენობით მცენარე კანაფის ან მარიხუანის კომპონენტში, წარსულში გასამართლებულ რესპონდენტთა შორის 9.6% გაასამართლეს შეძენა-შენახვისათვის, ხოლო 4.8% გასაღებისათვის. მათ შორის, ვინც ამჟამად იხდის ნარკოდანაშაულისათვის სასჯელს, 5.3% გაასამართლეს მოხმარებისათვის. 4.5% დამზადება-წარმოების მიზეზით გასამართლდა. (იხ. ცხრილი №2.1):

ცხრილი №2.1

რომელი დანაშაულის გამო გასამართლდით / გასამართლდა თქვენი ოჯახის წევრი?		დამზადება-წარმოება	შეძენა-შენახვა	გასაღება	მოხმარება	ვადაზიდვა	გადაგზავნა	არ ეხება (არ გასამართლებულა ამ დანაშაულისთვის)	მიჯირს პასუხის გაცემა
მცირე რაოდენობით ნარკოტიკული საშუალების...	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	4,8%	19,3%	3,9%	24,2%	3,4%	1%	43,5%	-
	ოჯახის წევრები (N=175)	1,9%	17,5%	3,2%	26,6%	4,5%	-	44,2%	1,9%
დიდი რაოდენობით ნარკოტიკული საშუალების...	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	2,6%	15,3%	7,9%	5,3%	1,1%	-	64,7%	3,2%
	ოჯახის წევრები (N=175)	0,8%	8,3%	8,3%	2,3%	7,5%	-	66,2%	6,8%
მცირე რაოდენობით ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების...	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	3,5%	2,9%	3,5%	2,3%	0,6%	-	85,0%	2,3%
	ოჯახის წევრები (N=175)		6,8%	1,5%	5,3%	3,8%	-	85,0%	7,6%
დიდი რაოდენობით ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების...	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	3,0%	3,0%	2,4%		1,2%	-	88,1%	2,4%
	ოჯახის წევრები (N=175)		1,6%	3,9%	1,6%	,8%	-	84,4%	7,8%
მცირე რაოდენობით მცენარე კანაფის ან მარიხუანის...	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	11,0%	17,5%	2,0%	10,5%		-	57,0%	2,0%
	ოჯახის წევრები (N=175)	9,1%	8,4%	2,1%	16,1%	0,7%	-	58,7%	4,9%
დიდი რაოდენობით მცენარე კანაფის ან მარიხუანის...	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	6,4%	9,6%	4,8%	1,6%		-	75,5%	2,1%
	ოჯახის წევრები (N=175)	4,5%	3,0%	0,8%	5,3%	0,8%	-	80,3%	5,3%

ყოფილ მსჯავრდებულებს დაესვათ კითხვა **მათთვის დაკისრებული სასჯელის** შესახებ. პასუხების გადანაწილების მიხედვით, 66.2%-ის წილით ფიქსირდება თავისუფლების აღკვეთის შემთხვევები. 29.2%-ისთვის ეს იყო ჯარიმა. 2.8% მიუთითებს გამოსასწორებელ სამუშაოზე, ხოლო 1.4% – საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომაზე. პასუხთა 0.5%-ში რესპონდენტებმა თავი შეიკავეს პასუხისგან. ნარკოდამნაშავეთა ოჯახის წევრები სასჯელის მხოლოდ ორ ფორმას გამოყოფენ: თავისუფლების აღკვეთას (85.6%) და ჯარიმას (12.1%). 2.3% ამბობს, რომ უჭირს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა.

დაფიქსირდა რამდენიმე სასჯელის ერთდროულად გამოყენების შემთხვევებიც. კონკრეტულად, 26 რესპონდენტი არის ისეთი, ვინც აფიქსირებს, რომ თავისუფლების აღკვეთასთან ერთად, დამატებით დაეკისრა ჯარიმა. 2 რესპონდენტი ამბობს, რომ თავისუფლების აღკვეთის გარდა დაეკისრა გამასწორებელი სამუშაო. 2 რესპონდენტის თანახმად, მათ დაეკისრათ ჯარიმა და გამასწორებელი სამუშაოს შესრულება. მხოლოდ 1 რესპონდენტი აფიქსირებს, რომ დაეკისრა ჯარიმა და საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა.

ნარკოდანაშაულისთვის გასამართლებულ და პატიმრობაში მყოფ პირთა მეოთხედზე მეტი (25.8%) აფიქსირებს, რომ მისი სასჯელი ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთას 2-დან 3 წლამდე პერიოდით. 3-დან 4 წლამდე პერიოდით სასჯელი დადგინდა 11.9%-ისათვის. აღსანიშნავია, რომ ამჟამინდელი პატიმრებისთვის მათი ოჯახის წევრების მიერ დასახელებულ სასჯელის ვადებს შორის დიდი წილი 3-დან 4 წლამდე პერიოდში ხვდება. 4-დან 5 წლამდე სასჯელი აქვს მისჯილი 12.4%-ს (იხ. ცხრილი №2.2):

ცხრილი №2.2

სასჯელი ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთას – წლის ვადით	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=143)	ოჯახის წევრები (N=158)
1-დან 2 წლამდე	9,8%	13,3%
2-დან 3 წლამდე	25,8%	6,2%
3-დან 4 წლამდე	11,9%	32,7%
4-დან 5 წლამდე	11,2%	12,4%
5-დან 6 წლამდე	10,5%	10,6%
6 დან 7 წლამდე	7,7%	8%
7 დან 8 წლამდე	4,9%	4,4%
8 დან 9 წლამდე	4,2%	2,7%
9დან 10 წლამდე	3,5%	6,2%
10 და მეტი	10,5%	3,5%

წარსულში ნარკოდანაშაულისათვის გასამართლებული და ჯარიმადაკისრებული პირების მეხუთედზე მეტს (22.4%) 2000 ლარიანი ჯარიმა დაეკისრა. 11.9%-ისთვის ეს ჯარიმა განისაზღვრა 3000 ლარით. ამჟამინდელი პატიმრების ოჯახის წევრთა მეოთხედის (25%) თანახმად, მათ ოჯახის წევრს დაეკისრა 500 ლარიანი ჯარიმის გადახდა. ოჯახის წევრთა მიერ თანაბრად სახელდება 2000 ლარიანი (12.5%) და 5000 ლარიანი (12.5%) ჯარიმის დაკისრება. აღსანიშნავია, რომ ოჯახის წევრებს შორის პასუხისგან თავს იკავებს 12.5%. ყოფილ მსჯავრდებულებს შორის ასეთი შემთხვევა არ ფიქსირდება (იხ. ცხრილი №2.3):

ცხრილი №2.3

სასჯელი ითვალისწინებდა ჯარიმას – ლარის ოდენობით	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=67)	ოჯახის წევრები (N=22)
500	11,9%	25%
1000	6%	6,3%
1500	7,5%	12,5%
2000	22,4%	6,3%
2200	3%	-
3000	16,4%	6,3%
3700	1,5%	-
4000	3%	6,3%
5000	11,9%	12,5%
8000	4,5%	-
10000	7,5%	6,3%
15000	1,5%	-
20000	3%	6,3%
უარი პასუხზე	-	12,5%

აღსანიშნავია, რომ თავისუფლების აღკვეთასთან ერთად, დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმის დაკისრების შესახებ საუბრობს 26 რესპონდენტი. ასევე, 2 რესპონდენტი ამბობს, რომ ჯარიმის გარდა, დაეკისრა გამასწორებელი სამუშაოს შესრულება. 1 რესპონდენტი არის ისეთი, ვინც აფიქსირებს, რომ ჯარიმის გადახდასთან ერთად დაეკისრა საზოგადოებისთვის სასარგებლო სამუშაოს შესრულება.

გამასწორებელი სამუშაოს დაკისრებაზე საუბრობენ მხოლოდ წარსულში გასამართლებული პირები (N=9). 33.3% ასახელებს, რომ აღნიშნული სასჯელი 1 წლის

ვადით დაეკისრა. 22.2%-ისთვის ეს ვადა შეადგენდა 2 წელს. 4 წელს შეადგენს სასჯელის ვადა 11.1%-ისათვის. ასევე 11.1%-ით დასახელდა 14 თვიანი ვადა. ამჟამინდელი პატიმრების ოჯახის წევრები გამასწორებელი სამუშაოს ტიპის სასჯელს არ ასახელებენ.

ხაზგასასმელია, რომ წარსულში ნარკოდანაშაულისათვის გასამართლებულ პირთა შორის (N=6) დაკისრებული საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის ვადები თანაბარი წილის მიერ (16.7%) სახელდება. ესენია: 6 საათი, 40 საათი, 300 საათი, 400 საათი, 500 საათი და 1000 საათი.

2.2. რა ფაქტორებმა განაპირობა ნარკოდანაშაულის ჩადენა?

რესპონდენტებმა ისაუბრეს იმ **ფაქტორებზე, რომლებმაც, მათი აზრით, განაპირობა მათ/მათი ოჯახის წევრის მიერ ნარკოდანაშაულის ჩადენა.** ყველაზე ხშირად ამის მიზეზად ყოფილმა მსჯავრდებულებმა დაასახელეს ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება რეკრეაციული მიზნით[10] (27.5%). პასუხთა მეოთხედზე მეტი (26.8%) იხრება მოსაზრებისკენ, რომ ეს იყო ნარკოტიკული საშულებების მიმართ ინტერესი. საკუთარი / ოჯახის ცუდი ფინანსური მდგომარეობა სახელდება პასუხთა 13.8%-ში. რესპონდენტთა მიერ თანაბრად სახელდება საახლობლო წრეში (ოჯახში, სანათესაოში, სამეზობლოში, სამეგობროში და ა.შ.) ნარკოდამოკიდებული პირების ყოლა და ნარკოდანაშაულის ან ნარკონივთიერებების მავნე ზეგავლენის შესახებ არაინფორმირებულობა (10.1%-10.1%).

ნარკოდამნაშავეთა ოჯახის წევრების მოსაზრებით, პირველ რიგში, დანაშაულის ჩადენა საახლობლო წრეს უკავშირდება (31.5%). რესპონდენტთა მეხუთედი (20.6%) ფიქრობს, რომ გამომწვევი მიზეზი ნარკოტიკული საშუალებების მიმართ ინტერესია. ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება რეკრეაციული მიზნით, გამომწვევ მიზეზად სახელდება შემთხვევათა 14.8%-ში. შეიძლება ითქვას, რომ ყოფილი მსჯავრდებულები და მსჯავრდებულთა ოჯახის წევრები ნარკოდანაშაულის გამომწვევ მიზეზებს სხვადასხვაგვარად აფასებენ (იხ. ცხრილი №2.4):

10 ფსიქოაქტიური საშუალებების რეკრეაციული მოხმარება – ფსიქოაქტიური საშუალებების მოხმარება, ჩვეულებრივ, არალეგალურად, საღამოებზე ან დასვენებასთან დაკავშირებულ სხვა სიტუაციებში, რომლებიც არ გულისხმობს დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, ან სხვა პრობლემების განვითარების საშიშროებას. აღნიშნული ტერმინის გამოყენება არ არის გამართლებული იმ პირების მიმართ, რომლებიც ფსიქოაქტიური ნივთიერებების არალეგალური მოხმარების ყველა ფორმას განიხილავენ, როგორც პრობლემას (საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა).

ცხრილი №2.4

თქვენი აზრით, რომელმა ფაქტორ(ებ)მა განაპირობა თქვენ/თქვენი ოჯახის წევრის მიერ ნარკოდანაშაულის ჩადენა?	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	ოჯახის წევრები (N=175)
საახლობლო წრეში (ოჯახში, სანათესაოში, სამეზობლოში, სამეგობროში და ა.შ.) ნარკოდამოკიდებული პირების ყოლა	10.1%	31.5%
არაინფორმირებულობა ნარკოდანაშაულის ან ნარკონივთიერებების მავნე ზეგავლენის შესახებ	10.1%	11.3%
ცხოვრების მიმართ ინტერესის დაკარგვა/დეპრესია/ სტრესი	7.2%	2.7%
არასრულფასოვანი აღზრდა (მშობლების/ საგანმანათლებლო დაწესებულებების მხრიდან გამოხატული უყურადღებობა)	-	0.4%
ჩემი/ჩემი ოჯახის ცუდი ფინანსური მდგომარეობა	13.8%	12.5%
განსხვავებული ღირებულებების ქონა	3.6%	2.3%
ნარკოტიკული საშუალებების მიმართ ინტერესი	26.8%	20.6%
ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება რეკრეაციული მიზნით/განტვირთვა	27.5%	14.8%
აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება	0.7%	1.2%

ყოფილ მსჯავრდებულთა თითქმის მესამედი (31.4%) თვლის, რომ მათთვის დაკისრებული სასჯელი **უფრო მეტად არ შეესაბამება მათ მიერ რეალურად ჩადენილ დანაშაულს.** გამოკითხულთა მეოთხედზე მეტი (26.5%) მიიჩნევს, რომ სასჯელი უფრო მეტად შეესაბამება დანაშაულს, ვიდრე – არა. მათი მეხუთედი, ვინც ნარკოდანაშაულისთვის სასჯელი მოიხადა, ამბობს, რომ ეს სასჯელი საერთოდ არ შეესაბამება მის მიერ ჩადენილ დანაშაულს. 13% დანაშაულსა და სასჯელს ერთმანეთთან სრულიად შესაბამისად თვლის. საინტერესოა 2.7% მათი წილი, ვინც აღნიშნავს, რომ დანაშაული საერთოდ არ ჩაუდენია,[11] თუმცა, სასჯელი მოიხადა. 5.9%-მა პასუხისგან თავი შეიკავა.

11 ამბობს, რომ ეს კონკრეტული დანაშაული არ ჩაუდენია, ან მის მიერ ჩადენილს ქმედებას არ მიიჩნევს დანაშაულად

ოჯახის წევრების მესამედი (33.6%), ასევე, თვლის, რომ მათი ოჯახის წევრზე დაკისრებული სასჯელი რეალურად ჩადენილ დანაშაულს უფრო მეტად არ შეესაბამება, ვიდრე – კი. მეოთხედზე მეტია იმ რესპონდენტთა წილი, ვინც თვლის, რომ სასჯელი უფრო შესაბამისია, ვიდრე არა (26.4%). მკვეთრად განსხვავებულია ყოფილ მსჯავრდებულთა და ნარკოდამნაშავეების ოჯახის წევრთა პოზიციები სასჯელის სრული შესაბამისობის თვალსაზრისით: ოჯახის წევრების მეხუთედი (20%) თვლის, რომ დაკისრებული სასჯელი სრულიად შეესაბამება ჩადენილ დანაშაულს. მხოლოდ 4.8%-ია ისეთი, ვინც ამბობს, რომ სასჯელი სრულიად შეუსაბამოა. მინიმალურია იმ რესპონდენტთა წილი (0.8%), ვინც ამბობს, რომ მისი ოჯახის წევრს დანაშაული საერთოდ არ ჩაუდენია (იხ. ცხრილი №2.5):

ცხრილი №2.5

დაკისრებული სასჯელი რამდენად შეესაბამება რეალურად ჩადენილ დანაშაულს?	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	ოჯახის წევრები (N=175)
სრულიად შეესაბამება	13%	20%
უფრო მეტად შეესაბამება, ვიდრე არა	26.5%	26.4%
უფრო მეტად არ შეესაბამება, ვიდრე კი	31.4%	33.6%
საერთოდ არ შეესაბამება	20.5%	4.8%
დანაშაული საერთოდ არ ჩამიდენია	2.7%	0.8%
მიჭირს პასუხის გაცემა	5.9%	14.4%

რესპონდენტთა 16.8% ამბობს, რომ ბოლო ნასამართლეობამდე, უკვე ყოფილა გასამართლებული ნარკოდანაშაულისთვის. მათ შორის უმეტესობა, 64.5% ერთხელ ყოფილა გასამართლებული, 22.6% – ორჯერ. ბოლო ნასამართლეობამდე სამი და ექვსი ნასამართლეობა აქვს 3.2-3.2%-ს. საინტერესოა ერთი რესპონდენტის პასუხი, რომელიც აფიქსირებს, რომ თოთხმეტჯერ იყო გასამართლებული.

ოჯახის წევრების თანახმად, წარსულში ნარკოდანაშაულზე გასამართლებული იყო 15.2%. მათ შორის, 89.5% ერთხელ, ხოლო 10.5% – სამჯერ. ოჯახის წევრთა 57.9% ასახელებს მუხლს, რომლითაც მათი ახლობლები გასამართლდნენ – 273-ე. ოჯახის წევრების მიერ სხვა მუხლი არ დასახელებულა – 42.1%-ს უჭირს პასუხის გაცემა ან უარს ამბობს ამაზე.

ყოფილმა მსჯავრდებულებმა დაასახელეს ის მუხლები, რომლებითაც წარსულში გასამართლდნენ. როგორც აღმოჩნდა, პირველი დასახელების მონაცემებით, იმ რესპონდენტთა შორის, ვინც წარსულში ასევე ნარკოდანაშაულისთვის მიიღო სასჯელი, უმეტესწილად 273-ე მუხლით გასამართლდა (31%). თითქმის მეხუთედი (20.7%) ამბობს, რომ წარსულში 260-ე მუხლით იყო გასამართლებული. განმეორებითი შემთხვევების მონაცემებით, რესპონდენტთა 55.6% 273-ე მუხლით გაასამართლეს. მათ შორის, ვისაც ნარკოდანაშაულის გამო მესამე ნასამართლეობაც ჰქონდა წარსულში, მეოთხედი (25%) გაასამართლეს 260-ე მუხლით და ამდენივე (25%) – 273-ე მუხლით (იხ. ცხრილი №2.6):

ცხრილი №2.6

ყოფილი მსჯავრდებულები						
წარსულში რომელი მუხლით იყავით გასამართლებული (ნარკოდანაშაულისთვის)?	260-ე	261-ე	265-ე	271-ე	273-ე	მიჭირს პასუხის გაცემა/უარი პასუხზე
პირველი ნასამართლეობა (N=29)	20,7%	17,2%	6,9%	3,4%	31%	20.6%
მეორე ნასამართლეობა (N=9)	11,1%			11,1%	55,6%	22.2%
მესამე ნასამართლეობა (N=4)	25%				25%	50%

ყოფილ მსჯავრდებულთა თანახმად, **ნარკოდანაშაულის გარდა სხვა დანაშაულ(ებ)ისთვის მათი 91.4% არ ყოფილა გასამართლებული.** გამოკითხულთა 0.5%-მა უარი თქვა პასუხზე. 8.1%-ია ისეთი, ვისაც **ნარკოდანაშაულის გარდა სხვა პროფილის ნასამართლეობა ჰქონია.** მათ შორის 80% ამბოს, რომ სხვა დანაშაულისთვის ერთხელ არის გასამართლებული. 13.3%-ს ასეთი შემთხვევა ორჯერ ჰქონია. ერთი რესპონდენტი ასახელებს 11 ნასამართლეობის შემთხვევას. პირველ დასახელებაზე, წარსულში ნარკოდანაშუალის გარდა, სხვა დანაშაულისთვის ყოფილ მსჯავრდებულთაგან 1 ასახელებს, რომ 110-ე მუხლით გასამართლდა. ოთხმა რესპონდენტმა დაასახელა (20%), რომ წარსულში იყო გასამართლებული 177-ე მუხლით. მეორე დასახელებაზე 2 რესპონდენტი აფიქსირებს, რომ გასამართლებული იყო 178-ე მუხლით (იხ. ცხრილი №2.7):

ცხრილი №2.7

ყოფილი მსჯავრდებულები							
წარსულში რომელი მუხლით იყავით გასამართლებული (ნარკოდანაშაულის გარდა)?	110-ე	156-ე	177-ე	178-ე	179-ე	180-ე	მიჭირს პასუხის გაცემა / უარი პასუხზე
პირველი დასახელება (N=17)	6.7%	6.7%	20%	13.3%	6.7%	6.7%	40%
მეორე დასახელება (N=5)				66.7%			33.3%

ნარკოდამნაშავეთა ოჯახის წევრების თანახმად, მათი ოჯახის წევრების მხოლოდ 2.4%-ს ჰქონია სხვა დანაშაულისთვის ნასამართლეობა. აღსანიშნავია, რომ ვერც ერთი მათგანი ვერ ასახელებს იმ მუხლს, რომლითაც მათი ოჯახის წევრი იყო გასამართლებული.

რესპონდენტებს დაესვათ კითხვა ბოლო პატიმრობის შემთხვევასთან დაკავშირებით, ფიქრობენ, **თუ არა, რომ ეს კონკრეტული დანაშაული ჩაიდინეს.** ყოფილ მსჯავრდებულთა დიდი უმრავლესობა – 80% – ამბობს, რომ ეს კონკრეტული დანაშაული ჩაიდინა. 9.7%-ის თქმით, მათ ეს კონკრეტული დანაშაული არ ჩაუდენიათ, ხოლო. 4.3%-ის თქმით, დანაშაული საერთოდ არ ჩაუდენიათ. 5.9%-მა პასუხისგან თავი შეიკავა. ოჯახის წევრთა 68%-ის შეფასებით, მათი ოჯახის წევრმა ეს კონკრეტული დანაშაული ჩაიდინა. ამას უარყოფს 13.6%. 1.6%-ია იმ ოჯახის წევრთა წილი, ვინც ფიქრობს, რომ მათი ოჯახის წევრს დანაშაული საერთოდ არ ჩაუდენია. მნიშვნელოვანი წილი (16.8%) თავს იკავებს პასუხისგან.

ნარკოდამნაშავეთა შორის, ვინც ამბობს, რომ ჩაიდინა ის დანაშაული, რომლისთვისაც გაასამართლეს, უმრავლესობა (63.2%) ამბობს, რომ **მათთვის დაკისრებული სასჯელი სამართლიანი/პროპორციული არ იყო.** საკუთარი ნასამართლეობის პროპორციულობას ადასტურებს მეოთხედზე მეტი (27%). 9.7%-ს პასუხის გაცემა უჭირს. ოჯახის წევრების თითქმის ნახევარი (49%) ფიქრობს, რომ მიღებული სასჯელი არ იყო სამართლიანი. ამასთან, მნიშვნელოვანი წილი (37.5%) ფიქრობს, რომ სასჯელი სამართლიანი იყო. 13.5% თავს იკავებს შეფასებისგან.

მათ, ვინც ამბობს, რომ ის დანაშაული, რომლისთვისაც ბოლოს თავად ან მათი ოჯახის წევრი იყო გასამართლებული, არ ჩაუდენია, დაესვათ კითხვა, **თუ რატომ ფიქრობდნენ ასე.** ყოფილ მსჯავრდებულთა თითქმის მესამედი (31%) ამბობს, რომ დანაშაულად არ თვლის იმას, რაც ჩაიდინა. 17.2%-ის თქმით, არასწორი მუხლით

გაასამართლეს. ამ რესპონდენტთა 10.3% ამბობს, რომ დანაშაული სხვამ ჩაიდინა, მაგრამ მას დაბრალდა ან მან დაიბრალა. 6.9%-ის თქმით, მის მიერ ჩადენილი ქმედება იყო რეაქცია სხვის დანაშაულზე. საინტერესოა ის 3.4%, რომელიც ამბობს, რომ დანაშაული არ ჩაუდენია, ხოლო ნივთმტკიცება მისი არ იყო (ჩაუდეს). რესპონდენტთა 31%-ისთვის პასუხის გაცემა რთული აღმოჩნდა. ეს ნიშნავს, რომ რესპონდენტთა ამ ნაწილს უსამართლობის შეგრძნება აქვს, თუმცა, კონკრეტულ მიზეზს ვერ ასახელებს.

კითხვა დაესვათ მხოლოდ იმ რესპონდენტებს, ვინც აღნიშნავს, რომ მას დანაშაული არ ჩაუდენია. ყოფილ მსჯავრდებულებს შორის, 2012 წლამდე გასამართლებული რესპონდენტებიდან 4 აფიქსირებს, რომ იმას, რაც ჩაიდინა, დანაშაულად არ მიიჩნევს. 1 რესპონდენტი ამბობს, რომ დანაშაული სხვამ ჩაიდინა, მაგრამ მას დაბრალდა. 2012 წლის შემდგომ პერიოდში გასამართლებულ რესპონდენტთა შორის 5 თვლის, რომ არასწორი მუხლით გაასამართლეს. ასევე 5 ამბობს, რომ იმას რაც ჩაიდინა, დანაშაულად არ თვლის. 2 რესპონდენტი აფიქსირებს, რომ დანაშაული სხვამ ჩაიდინა, მაგრამ მას დაბრალდა. ასევე 2 რესპონდენტის თანახმად, მათი ქმედება იყო რეაქცია სხვის ქმედებაზე. 7 რესპონდენტს უჭირს დასახელება, თუ რატომ თვლის, რომ დანაშაული არ ჩაუდენია.

ისევე როგორც ყოფილ მსჯავრდებულთა შემთხვევაში, მსჯავრდებულთა ოჯახის წევრების უფრო დიდი ნაწილი (26.3%) დანაშაულად არ თვლის იმას, რაც მათმა ახლობელმა ჩაიდინა. ოჯახის წევრთა მეხუთედი (21.15) ფიქრობს, რომ მათი ოჯახის წევრი არასწორი მუხლით გაასამართლეს. საინტერესოა, რომ ოჯახის წევრთა მნიშვნელოვანი ნაწილი საუბრობს მძიმე ცხოვრების პირობებზე, როგორც დანაშაულის ჩადენის მიზეზე (15.8%), მაშინ როდესაც თავად ნარკოდამნაშავეები ამ მიზეზს საერთოდ არ ასახელებენ. ხაზგასასმელია, რომ მეოთხედზე მეტი (26.3%) კონკრეტულ მიზეზს არ/ვერ ასახელებს (იხ. ცხრილი №2.8):

ცხრილი №2.8

რატომ ფიქრობთ, რომ თქვენ / თქვენი ოჯახის წევრს ეს კონკრეტული ქმედება არ ჩაგიდენიათ / ჩაუდენია?	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	ოჯახის წევრები (N=175)
დანაშაული სხვამ ჩაიდინა, მაგრამ მე დამბრალდა / მას დაბრალდა	10,3%	10,5%
არასწორი მუხლით გა(მ)ასამართლეს	17,2%	21,1%
იმას რაც ჩავიდინე/ჩაიდინა, დანაშაულად არ ვთვლი	27,6%	26,3%
ჩემ/მის მიერ ჩადენილი ქმედება იყო რეაქცია სხვის დანაშაულზე	6,9%	-
ქმედების ჩადენა მძიმე ცხოვრების პირობებმა (მ)აიძულა	-	15,8%
წამალი ჩამიდეს / ჩაუდეს	3,4%	-
მიჭირს პასუხის გაცემა / უარი პასუხზე	31%	26.3%

2.3. სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში ყოფნის დადებითი და უარყოფითი შედეგები

ნარკოდანაშაულის ჩამდენმა რესპონდენტებმა ისაუბრეს საპატიმროში/პრობაციაში ყოფნის **დადებით და უარყოფით შედეგებზე.** პირველ რიგში, მათ გამოყვეს სამედიცინო პრობლემები – 15.2% აფიქსირებს, რომ შეექმნა ჯანმრთელობის პრობლემა, რომელიც ხანგრძლივ მკურნალობას საჭიროებს. 12.5% საპატიმროში/პრობაციაში ყოფნის შემდეგ, ხშირად ხდება საპოლიციო კონტროლის ობიექტი. ასევე 8.7% არის ისეთი, ვინც ამბობს, რომ გახდა დეპრესიული, დაკარგა აქტიური ცხოვრების ინტერესი. შესაძლებელია, ცალკე გამოიყოს დამნაშავეთა ეკონომიკური პრობლემები. 8.7%-ის თანახმად, მათ პრობლემა შეექმნათ დასაქმების კუთხით. 7%-მა ქონება დაკარგა, ხოლო 5.4%-მა დაკარგა სამსახური.

ოჯახის წევრები, ასევე, გამყოფენ ჯანმრთელობის პრობლემებს (14%), რომლებიც ხანგრძლივ მკურნალობას საჭიროებს. ასევე ოჯახის წევრებმა ყურადღება გაამახვილეს მსჯავრდებულთა ემოციურ მდგომარეობაზე. ასახელებენ, რომ მათი ოჯახის წევრი გახდა დეპრესიული და დაკარგა აქტიური ცხოვრების სურვილი (12.2%). ოჯახის წევრები წუხან, აგრეთვე, იმაზეც, რომ მათმა ახლობელმა სამსახური დაკარგა (10.4%) (იხ. ცხრილი №2.9):

ცხრილი №2.9

მოჰყვა თუ არა სოციალური, სამედიცინო, ფსიქოლოგიური პრობლემები პატიმრობაში /პრობაციაში ყოფნას?	ნარკოდანაშაულის ჩადენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	ოჯახის წევრები (N=175)
შე(მ)ექმნა ჯანმრთელობის ქრონიკული პრობლემა, რომელიც არ ექვემდებარება მკურნალობას	1.1%	0,9%
შე(მ)ექმნა ჯანმრთელობის პრობლემა, რომელიც ხანგრძლივ მკურნალობას საჭიროებს	15.2%	14,0%
შეუწყდა / შემიწყდა ხელმისაწვდომობა ნარკოდამოკიდებულების მკურნალობის სერვისებზე	1.6%	2,3%
და(მ)ენგრა საკუთარი ოჯახი	4.6%	6,8%
დაუქვეითდა /დამიქვეითდა ან დავკარგე შრომის უნარი	0.8%	1,4%
უჭირს / მიჭირს სხვა ადამიანებთან კონტაქტი (ოჯახის წევრების ჩათვლით)	2.2%	3,2%
დაკარგა/დავკარგე ქონება	7.0%	7,2%
დაკარგა/დავკარგე სამსახური	5.4%	10,4%
გახდა/ გავხდი ნარკოტიკების კიდევ უფრო ინტენსიური მომხმარებელი (ვიდრე პატიმრობამდე)	3.5%	5,0%
გახდა/გავხდი ალკოჰოლის ინტენსიური მომხმარებელი	2.7%	2,7%
გახდა/გავხდი საძილე საშულებებზე/ფსიქოტროპულ ნივთიერებებზე უფრო მეტად დამოკიდებული (ვიდრე პატიმრობამდე)	2.4%	-
გახდა/გავხდი დეპრესიული/ დავკარგე აქტიური ცხოვრების ინტერესი	8.7%	12,2%
საზოგადოებამ გა(მ)რიყა	3.5%	4,1%
შე(მ)ექმნა პრობლემები დასაქმების კუთხით	8.7%	5,0%
შე(მ)ეზღუდა ქვეყნიდან გასვლის უფლება	4.3%	5,9%
ხშირად ხდება/ვხდები საპოლიციო კონტროლის ობიექტი	12.5%	5,4%
არანაირი ზეგავლენა არ ჰქონია	1.4%	1,8%
მიჭირს პასუხის გაცემა / უარი პასუხზე	14.4%	11.8

რაც შეეხება **დადებით** შედეგებს, ამ მხრივ ნარკოდამნაშავეთა 11.7% ამბობს, რომ ჩამოშორდა იმ გარემოს, რომელმაც თავის დროზე მავნე გავლენა იქონია მასზე. 9.9% აღნიშნავს, რომ თავი დაანება ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებას (თუმცა, აქვე აღსანიშნავია ის 3.5%, რომელიც პირიქით, ნარკოტიკის კიდევ უფრო ინტენსიური მომხმარებელი გახდა). 6.3% ამბობს, რომ დაუბრუნდა აქტიური ცხოვრების ინტერესი და დაძლია დეპრესია (ამ შემთხვევაშიც ყურადსაღებია, რომ, როგორც უკვე აღინიშნა, 8.7%-ისთვის საპატიმროში/პრობაციაში ყოფნის გამოცდილებას საპირისპირო შედეგი ჰქონდა). 5.8% დადებით შედეგად ასახელებს ოჯახთან/ახლობლებთან ურთიერთობის დალაგებას. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დადებით მხარეებზე საუბრისას გამოკითხულთა ნახევარზე მეტმა (52.5%) უარი თქვა პასუხზე, ან დააფიქსირა, რომ უჭირს პასუხის გაცემა.

ოჯახის წევრების მესამედის (33.1%) თქმით, მათი ახლობელი პატიმრობაში/პრობაციაში ყოფნის შედეგად ჩამოშორდა იმ გარემოს, რომელმაც თავის დროზე მავნე გავლენა იქონია მასზე. ასევე დადებით მხარედ გამოიკვეთა ნარკოტიკული საშუალებებისათვის თავის დანებება (11.5%) და აქტიური ცხოვრების მიმართ ინტერესის დაბრუნება (8.1%) (იხ. ცხრილი №2.10):

ცხრილი №2.10

მოჰყვა თუ არა დადებითი შედეგები პატიმრობაში / პრობაციაში ყოფნას?	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	ოჯახის წევრები (N=175)
ჩამოვშორდი იმ გარემოს, რომელმაც თავის დროზე მავნე გავლენა იქონია	11.7%	33,1%
თავი დავანებე ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარებას	9.9%	11,5%
გავხდი მეტად სოციალური/კომუნიკაბელური	2.7%	,7%
მივიღე არაფორმალური განათლება	1.3%	-
დავეუფლე ხელობას	1.8%	0,7%
დავსაქმდი/გავხდი თვითდასაქმებული	1.3%	3,4%
დამიბრუნდა აქტიური ცხოვრების ინტერესი/დავძლიე დეპრესია	6.3%	8,1%
ოჯახთან/ახლობლებთან დამილაგდა ურთიერთობა	5.8%	2,7%
ვხვდები, რომ ძალიან დიდი შეცდომა დავუშვი	.4%	-
არ მოჰყოლია დადებითი შედეგი	-	6,1%
მიჭირს პასუხის გაცემა / უარი პასუხზე	52.5%	33.8%

2.4. უფლებადაცვით პირებთან/ორგანიზაციებთან ურთიერთობა

ნარკოდამნაშავეებმა დააფიქსირეს, თუ **რამდენად ხშირად ხვდებოდნენ დაკავების ან პატიმრობის პერიოდში უფლებადამცველ კერძო პირ(ებ)ს, უფლებადაცვითი ორგანიზაციების (სახალხო დამცველის ოფისის და პარლამენტის ჩათვლით) წარმომადგენლებს და სასულიერო პირებს.** როგორც ჩანს, გამოკითხულთა უმეტესი ნაწილი სარგებლობდა კერძო ადვოკატის მომსახურებით. 42.7% ამბობს, რომ კერძო ადვოკატს ხშირად ხვდებოდა, ამის საპირწონედ, 65.9% ამბობს, რომ სახაზინო ადვოკატს არასოდეს შეხვედრია. შეიძლება ითქვას, რომ რესპონდენტებსა და უფლებადაცვითი ორგანიზაციების წარმომადგენლებს შორის შეხვედრები მაღალი სიხშირით არ გამოირჩევა. უფრო კონკრეტულად, უმრავლესობა ამბობს, რომ არასოდეს შეხვედრია სახალხო დამცველის ოფისის, ადგილობრივი უფლებადაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების, საერთაშორისო უფლებადაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის და გაეროს/ევროსაბჭოს წარმომადგენლებს. მათი წილი, ვინც ერთხელ მაინც შეხვედრია ზემოაღნიშნული სტრუქტურების წარმომადგენლებს, ასეთია: 33% არის იმ რესპონდენტთა რაოდენობა, ვინც სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენელს ერთხელ მაინც შეხვედრია. ადგილობრივი უფლებადაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი არის 27%. საერთაშორისო უფლებადაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელს ერთხელ მაინც შეხვედრია 19.5%, გაეროს/ევროსაბჭოს და სხვა საერთაშორისო სამთავრობათშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს 17.3%, ხოლო საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის წარმომადგენლებს 20%. საინტერესოა, რომ სასულიერო პირებს რესპონდენტების 44.9% შეხვედრია საპატიმროში ყოფნის დროს. ასევე 9.2% ამბობს, რომ სასულიერო პირებს ხშირად ხვდებოდა.

ოჯახის წევრებმა იმავე კითხვაზე გასცეს პასუხი და საკუთარი ოჯახის წევრი პატიმრების გამოცდილებაზე ისაუბრეს. ამ შემთხვევაშიც შეინიშნება, რომ ამჟამინდელი პატიმრები ხშირად მიმართავენ კერძო ადვოკატის სერვისებს და შესაბამისად, უფრო ხშირად ხვდებიან მათ (40.8%), ვიდრე სახაზინო ადვოკატს (6.4%). ადგილობრივ და საერთაშორისო უფლებადამცველ ორგანიზაციებთან კომუნიკაციის თვალსაზრისით, ტენდენცია ნარჩუნდება და არ შეინიშნება მსგავსი შეხვედრების რამდენადმე მაღალი სიხშირე. საინტერესოა, რომ ოჯახის წევრები ნაკლებად ფლობენ ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ რა სიხშირით ეწევა ორგანიზება სასულიერო პირებთან შეხვედრას (24.8%), მაშინ როდესაც, ყოფილი მსჯავრდებულები სასულიერო პირთა მხრიდან ვიზიტებს ხშირი მაჩვენებლით ახასიათებდნენ (იხ. ცხრილი №2.11):

ცხრილი №2.11

უფლებადაცვითი პირი/ორგანიზაცია, რომელსაც რესპონდენტი ხვდებოდა		ხშირად	ზოგჯერ	ძალზე იშვიათად	არასოდეს	მიჭირს პასუხის გაცემა/ უარი პასუხზე
კერძო ადვოკატი	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	42.7%	22.2%	19.5%	13.5%	2.2%
	ოჯახის წევრები (N=175)	40,8%	32,8%	12,8%	9,6%	4,0%
სახაზინო ადვოკატი	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	5.4%	18.4%	5.9	65.9%	4.3%
	ოჯახის წევრები (N=175)	6,4%	20,0%	2,4%	56,8%	14.4%
სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენელი	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	4.3%	13.0%	15.7%	62.7%	4.3%
	ოჯახის წევრები (N=175)	3,2%	18,4%	5,6%	48,0%	24.8%
ადგილობრივი უფლებადაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	3.8%	11.9%	11.4%	68.1%	4.9%
	ოჯახის წევრები (N=175)	1,6%	17,6%	8,8%	48,0%	24%
საერთაშორისო უფლებადაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	1.6%	8.6%	9.2%	75.7%	4.9%
	ოჯახის წევრები (N=175)	3,2%	12,8%	2,4%	57,6%	24%
გაეროს/ევროსაბჭოს და სხვა საერთაშორისო სამთავრობათშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	1.6%	8.1%	7.6%	77.8%	4.9%
	ოჯახის წევრები (N=175)	2,4%	7,2%	3,2%	62,4%	24.8%
საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის წარმომადგენლები	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	.5%	10.3%	9.2%	74.1%	5.9%
	ოჯახის წევრები (N=175)	1,6%	4,0%	3,2%	68,0%	23.2%
სასულიერო პირებს	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	9.2%	27.6%	8.1%	51.4%	3.8%
	ოჯახის წევრები (N=175)	5,6%	12,0%	8,8%	48,8%	24.8%

ყოფილ მსჯავრდებულებს დაესვათ კითხვა, **აცნობდნენ თუ არა უფლებადამცველ კერძო პირ(ებ)ს, უფლებადაცვითი ორგანიზაციების წარმომადგენლებს ან სასულიერო პირებს ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევების შესახებ, რომლებიც მათ ან სხვებს გადახდათ.** კითხვა დაესვა რესპონდენტთა იმ ნაწილს, ვინც დააფიქსირა, რომ ამ წარმომადგენლებს შეხვედრიან საპატიმროში ყოფნის დროს.

გამოკითხულთა თითქმის ნახევარი (49.4%) ამბობს, რომ მსგავსი დარღვევების შესახებ კერძო ადვოკატს სრულად აცნობებდა. 8.8% აფიქსირებს, რომ ინფორმაციას კერძო ადვიკატს აწვდიდა ნაწილობრივ, მინიშნებებით. რაც შეეხება სახაზინო ადვოკატთან ურთიერთობას, ამ შემთხვევაში სრული ინფორმაციის მიწოდებაზე საუბრობს რესპონდენტთა 41.3%, 7.9% კი ამბობს, რომ ამ ინფორმაციას სახაზინო ადვოკატს ნაწილობრივ უზიარებდა.

ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევებზე ინფორმაციას რესპონდენტები შედარებით იშვიათად უზიარებდნენ უფლებადაცვითი ორგანიზაციების წარმომადგენლებს, კერძოდ, მათთვის ასეთი ინფორმაციის სრულად გაცნობის მაჩვენებელი 24%-29% ის ფარგლებში ექცევა. აღსანიშნავია, რომ სასულიერო პირებთან კონტაქტისას, რესპონდენტები შედარებით ხშირად უზიარებენ მათ სრულ ინფორმაციას ასეთ შემთხვევებზე (31.4%).

ამავე თემაზე ისაუბრეს პატიმრების ოჯახის წევრებმაც. ნახევარზე მეტი (52.2%) ამბობს, რომ კერძო ადვოკატს უფლების დარღვევების შესახებ ინფორმაცია სრულად მიეწოდებოდა. ასევე, ნახევარზე მეტი, (53.7%) სახაზინო ადვოკატისთვის სრული ინფორმაციის მიწოდებას ადასტურებს. ზოგადი ტენდენციით ოჯახის წევრები მეტად საუბრობენ საკუთარი ოჯახის წევრის მხრიდან უფლებების დარღვევის შესახებ სრული ინფორმაციის გაზიარებაზე. საინტერესოა, რომ ეს შედეგი საპირისპიროა სასულიერო პირების ჭრილში. ოჯახის წევრთა 23.4% ადასტურებს, რომ მათი ოჯახის წევრი სრულად ანდობდა ინფორმაციას სასულიერო პირს, როდესაც ეს მაჩვენებელი თავად ნარკოდამნაშავეების გამოკითხვისას 34.4% იყო. ხაზგასასმელია, რომ ოჯახის წევრების მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ/არ პასუხობს აღნიშნულ კითხვაზე. ეს შესაძლოა დაკავშირებული იყოს როგორც თავად მათ არაინფორმირებულობასთან, ასევე ოჯახის წევრის მხრიდან ინფორმაციის გაცემის თაობაზე საუბრის არასასურველობასთან. (იხ. ცხრილი №2.12):

ცხრილი №2.12

უფლებადაცვითი პირი/ ორგანიზაცია, რომელსაც რესპონდენტი უფლებათა დარღვევების ფაქტებზე ესაუბრებოდა	რესპონდენტები	სრულად	ნაწილობრივ (მინიშნებებით)	არ ვიცნობდი/ აცნობდა, რადგან არაფერი ვიცოდი ასეთი ფაქტების შესახებ	არ ვიცნობდი / აცნობდა	მიჭირს პასუხის გაცემა/ უარი პასუხზე
კერძო ადვოკატი	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=160)	49.4%	8.8%	20.0%	15.0%	6.9%
	ოჯახის წევრები (N=158)	52,2%	3,5%	12,4%	2,7%	29,2%
სახაზინო ადვოკატი	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=63)	41.3%	7.9%	11.1%	20.6%	19.0%
	ოჯახის წევრები (N=76)	53,7%	9,3%	-	1,9%	35.2%
სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენელი	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=69)	29.0%	11.6%	17.4%	26.1%	15.9%
	ოჯახის წევრები (N=91)	32,3%	7,7%	6,2%	1,5%	52.3%
ადგილობრივი უფლებადაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=59)	28.8%	15.3%	15.3%	25.4%	15.3%
	ოჯახის წევრები (N=91)	33,8%	4,6%	4,6%	4,6%	52.3%
საერთაშორისო უფლებადაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=45)	28.9%	2.2%	20.0%	33.3%	15.6%
	ოჯახის წევრები (N=74)	26,4%	7,5%	1,9%	1,9%	62.3%
გაეროს/ევროსაბჭოს და სხვა საერთაშორისო სამთავრობათშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=41)	24.4%	2.4%	26.8%	19.5%	26.8%
	ოჯახის წევრები (N=67)	27,1%	6,3%	-	2,1%	64.6%
საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის წარმომადგენლები	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=48)	27.1%	2.1%	25.0%	22.9%	22.9%
	ოჯახის წევრები (N=56)	12,5%	10,0%	-	5,0%	72.5%
სასულიერო პირებს	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=90)	34.4%	12.2%	20.0%	21.1%	12.2%
	ოჯახის წევრები (N=90)	23,4%	4,7%	4,7%	4,7%	62.5%

მათ, ვინც დააფიქსირა, რომ ინფორმაციას უფლებადამცველ კერძო პირ(ებ)ს, უფლებადაცვითი ორგანიზაციების წარმომადგენლებს ან სასულიერო პირებს ნაწილობრივ ან არ აცნობდა, ამის **მიზეზების** შესახებ ისაუბრეს. ყოფილ მსჯავრდებულებში წამყვანია მიზეზი, რომ მათ არ ჰქონდათ ვითარების გამოსწორების იმედი (38.6%). 5.9% ამბობს, რომ მათ მოყოლის შესაძლებლობა არ ჰქონდათ. 4%-ს რცხვენოდა ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების გამხელის. 3%-ის თანახმად, მათ ეშინოდათ, რომ ამისთვის უარესად დასჯიდნენ მათ ან მათი ოჯახის წევრებს. მხოლოდ 1%-არის ისეთი, ვინც ამბობს, რომ მსგავსი ფაქტების შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდა. ხაზგასასმელია, რომ მათ შორის ვისაც ეს კითხვა დაესვა, თითქმის ნახევარმა (47.5%) არ ისურვა მიზეზებზე საუბარი (თქვა, რომ უჭირს პასუხის გაცემა ან უარი განაცხადა პასუხზე). ოჯახის წევრებმა უმეტესწილად თავი აარიდეს ამ თემაზე საუბარს (60%). თუმცა, 30% ამბობს, რომ მათი ოჯახის წევრ მსჯავრდებულს არ ჰქონდა ვითარების გამოსწორების იმედი და ამიტომ არ ამხელდა ინფორმაციას. 6.7%-ის თანახმად, მათ ახლობელს ასეთი ფაქტების შესახებ მოყოლის შესაძლებლობა არ ჰქონდა. რესპონდენტთა 3.3% ამბობს, რომ მსჯავრდებულს ეშინოდა, რომ ამისთვის უარესად დაასჯიდნენ მას და მისი ოჯახის წევრებს.

3. ზოგადი კონტექსტი

3.1. ნარკომოხმარებისა და ნარკოდანაშაულის გამომწვევი მიზეზები

გარდა პირადი გამოცდილებისა, რესპონდენტებმა ისაუბრეს **ნარკომოხმარებისა და ნარკოდანაშაულის განმაპირობებელ ზოგად მიზეზებსა და კონტექსტზე.** კონკრეტულად, რესპონდენტებმა დაასახელეს ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება, შეძენა, შენახვა, მოხმარების მიზნით დამზადება, წარმოება, მოყვანასა და გასაღების შესაძლო გამომწვევი მიზეზები. კითხვებზე შესაძლებელი იყო რამდენიმე პასუხის დასახელება, შესაბამისად, პროცენტული მაჩვენებელი რესპონდენტთა რაოდენობის ნაცვლად დაანგარიშდა გაცემული პასუხების რაოდენობიდან.

ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება ყოფილმა მსჯავრდებულებმა, პირველ რიგში, დააკავშირეს საახლობლო წრეში ნარკოდამოკიდებული პირების ყოლასთან (17.9%). ასევე, გამოყვეს ისეთი ფაქტორი, როგორიცაა ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების მიმართ ინტერესი (14.2%). რესპონდენტთა აზრით, გარკვეულ როლს თამაშობს, აგრეთვე, ადამიანის ფსიქოლოგიური მდგომარეობაც. კონკრეტულად, ცხოვრების მიმართ ინტერესის დაკარგვას/დეპრესიას/სტრესს შესაძლო გამომწვევ მიზეზად ასახელებს 12.2%. გამოკითხულთა 10.5% თვლის, რომ ნარკოტიკული საშუალების მოხმარებას ხელს უწყობს მათი მარტივი ხელმისაწვდომობა (10.5%).

ოჯახის წევრებმა ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება მეტწილად, ასევე, საახლობლო წრის გავლენას დაუკავშირეს (24.3%). მათი აზრით, ასევე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ნარკოტიკულ ნივთიერებების მარტივი ხელმისაწვდომობა (14.7%) და ნარკოტიკული საშუალებების მიმართ ინტერესი (13.9%). ოჯახის წევრების მიერ რამდენიმე ფაქტორი თანაბარი სიხშირით დასახელდა (7.3%-7.3%). კონკრეტულად, ესენია: არაინფორმირებულობა ნარკოდანაშაულის ან ნარკონივთიერებების მავნე ზეგავლენის შესახებ, ცხოვრების მიმართ ინტერესის დაკარგვა/დეპრესია/სტრესი და ნარკოდანაშაულზე სახელმწიფო კონტროლის შესუსტება.

ყოფილი მსჯავრდებულების მოსაზრებების მიხედვით, **ნარკოტიკული საშუალებების შეძენა/შენახვის** (მოხმარების მიზნით) განმაპირობებელ ფაქტორებში, უმეტესწილად, კვლავ ფიგურირებს ისეთი მიზეზები, როგორებიცაა ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების მიმართ ინტერესი (16.3%), საახლობლო წრეში ნარკოდამოკიდებული პირების ყოლა (16%) და ნარკოტიკულ ნივთიერებების მარტივი ხელმისაწვდომობა (12.7%). ოჯახის წევრები, უმეტეს შემთხვევაში, ამავე მიზეზებზე მიუთითებენ. კერძოდ, საახლობლო წრეში ნარკოდამოკიდებული პირების ყოლას,

როგორც მიზეზს, თითქმის მეოთხედი (24.5%) ასახელებს. ამასთანავე, დასახელდა ნარკოტიკულ ნივთიერებებზე მარტივი ხელმისაწვდომობა (15.4%) და ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების მიმართ ინტერესი (12.4%). ყურადსაღებია, რომ ოჯახის წევრების ერთი ნაწილი ნარკოდანაშაულზე სახელმწიფო კონტროლის შესუსტებას ასახელებს, როგორც ნარკოდანაშაულის გამომწვევს მიზეზს (10.1%).

რაც შეეხება ნარკოტიკული საშუალებების **დამზადება/წარმოება/მოყვანას,** ამ შემთხვევაში ყოფილ მსჯავრდებულთა მიერ ხშირად დასახელებული მიზეზები კვლავ მეორდება. კონკრეტულად, ესენია: საახლობლო წრეში ნარკოდამოკიდებული პირების ყოლა (13.3%), ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების მიმართ ინტერესი (13%) და ნარკოტიკულ ნივთიერებების მარტივი ხელმისაწვდომობა (10.4%). მიზეზის სახით იკვეთება, აგრეთვე, ცუდი ფინანსური მდგომარეობაც (12.4%).

ნარკოტიკული საშუალებების დამზადება/წარმოება/მოყვანის მიზეზებთან მიმართებით, ოჯახის წევრები, საახლობლო წრეში ნარკოდამოკიდებული პირების ყოლასა (17.4%) და ნარკოტიკულ ნივთიერებების მარტივ ხელმისაწვდომობასთან (14.6%) ერთად, ასახელებენ ცუდ ფინანსურ მდგომარეობასა (13.2%) და ნარკოდანაშაულზე სახელმწიფო კონტროლის შესუსტებას (10.1%) .

ნარკოტიკული საშუალებების გასაღება ყოფილ მსჯავრდებულთა მეხუთედმა (20.8%) დაუკავშირა ცუდ ფინანსურ მდგომარეობას. ამ შემთხვევაშიც გავლენიან მიზეზად გამოიკვეთა საახლობლო წრეში ნარკოდამოკიდებული პირების ყოლა (12.8%). საინტერესოა, რომ 9.5% ნარკოდანაშაულზე სახელმწიფო კონტროლის შესუსტებას ასახელებს. ამ ჯგუფის მსგავსად, ოჯახის წევრებიც საუბრობენ ცუდ ფინანსურ მდგომარეობაზე (20.5%), საახლობლო წრეზე (18.9%), მარტივ ხელმისაწვდომობაზე (12.5%) და სახელმწიფო კონტროლის შესუსტებაზე (12.1%).

შეიძლება ითქვას, რომ როგორც ყოფილი მსჯავრდებულების, ასევე ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრების მიერ გამოიკვეთა სხვადასხვა ნარკოდანაშაულის გამომწვევი ოთხი ძირითადი მიზეზი. პირველ რიგში, საახლობლო წრეში ნარკოდამოკიდებული პირების ყოლა და ნარკოტიკულ ნივთიერებების მარტივი ხელმისაწვდომობა. ასევე, აქტუალურია ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა: ნარკოდანაშაულზე სახელმწიფო კონტროლის[12] შესუსტება და ცუდი ფინანსური მდგომარეობა (იხ. ცხრილი №3.1):

12 სახელმწიფო კონტროლი- ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების ბრუნვაზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელების უზრუნველყოფა (საქართველოს კანონი ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ)

ცხრილი №3.1

რომელი განაპირობებს, დღესდღეობით ამა თუ იმ ნარკოდანაშაულის ჩადენას?	ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება		ნარკოტიკული საშუალების შეძენა/შენახვა მოხმარების მიზნით		ნარკოტიკული საშუალებების დამზადება/წარმოება/მოყვანა		ნარკოტიკული საშუალებების გასაღება	
	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	ოჯახის წევრები (N=175)	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	ოჯახის წევრები (N=175)	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	ოჯახის წევრები (N=175)	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	ოჯახის წევრები (N=175)
საახლობლო წრეში ნარკოდამოკიდებული პირების ყოლა	17.9%	24,3%	16.0%	24,5%	13.3%	17,4%	12.8%	18,9%
არაინფორმირებულობა ნარკოდანაშაულის ან ნარკონივთიერებების მავნე ზეგავლენის შესახებ	6.8%	7,3%	3.8%	4,9%	5.2%	6,0%	5.7%	6,1%
ცხოვრების მიმართ ინტერესის დაკარგვა/ დეპრესია/სტრესი	12.2%	7,3%	7.6%	3,6%	5.5%	1,4%	3.9%	,7%
არასრულფასოვანი აღზრდა ოჯახში (მშობლების მხრიდან გამოხატული უყურადღებობა)	1.5%	2,5%	2.3%	2,6%	1.4%	1,1%	3.0%	1,0%
არასრულფასოვანი აღზრდა სკოლაში	2.0%	1,0%	1.5%	1,6%	2.3%	1,8%	2.1%	1,0%
ცუდი ფინანსური მდგომარეობა	4.6%	3,8%	5.9%	5,6%	12.4%	13,2%	20.8%	20,5%
განსხვავებული ღირებულებების ქონა	3.7%	3,0%	2.0%	2,9%	2.0%	1,4%	3.6%	2,4%

რომელი განაპირობებს, დღესდღეობით ამა თუ იმ ნარკოდანაშაულის ჩადენას?	ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება		ნარკოტიკული საშუალების შეძენა/შენახვა მოხმარების მიზნით		ნარკოტიკული საშუალებების დამზადება/წარმოება/მოყვანა		ნარკოტიკული საშუალებების გასაღება	
	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	ოჯახის წევრები (N=175)	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	ოჯახის წევრები (N=175)	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	ოჯახის წევრები (N=175)	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	ოჯახის წევრები (N=175)
ნარკოდანაშაულზე სახელმწიფო კონტროლის შესუსტება	6.3%	7,3%	7.9%	10,1%	9.2%	9,6%	9.5%	12,1%
ქვეყანაში არსებული შერჩევითი მართლმსაჯულება	2.6%	,8%	2.5%	1,3%	2.6%	1,8%	3.0%	1,7%
ლიბერალური ნარკოპოლიტიკა	3.3%	5,3%	6.1%	6,9%	4.3%	9,3%	5.1%	7,4%
ნარკოტიკულ ნივთიერებებზე მარტივი ხელმისაწვდომობა	10.5%	14,7%	12.7%	15,4%	10.4%	14,6%	8.9%	12,5%
ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების მიმართ ინტერესი	14.2%	13,9%	16.3%	12,4%	13.0%	8,9%	3.6%	3,0%
ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება რეკრეაციული/განტვირთვის მიზნით	9.9%	6,8%	8.1%	4,9%	4.6%	3,9%	2.7%	2,7%
უთანასწორო სოციალურ-ეკონომიკური გარემო (საკუთარი თავის რეალიზაციის შეუძლებლობა საზოგადოებაში)	3.1%	,8%	1.8%	,7%	2.3%	,4%	1.8%	1,7%
მიჭირს პასუხის გაცემა/ უარი პასუხზე	1.5%	1,0%	5.3%	2,9%	11.3%	9.3	13.7%	8.4

3.2. თემში/საცხოვრებელ გარემოში ნარკოდანაშაულის ჩადენის სიხშირე

რესპონდენტებმა შეაფასეს მათ **თემში/საცხოვრებელ გარემოში სხვადასხვა ტიპის ნარკოდანაშაულის ჩადენის სიხშირე.** კვლევა აჩვენებს, რომ რესპონდენტები ნარკოდანაშაულის სიხშირეს უფრო მეტად უკავშირებენ მარიხუანას, ვიდრე სხვა ნარკოტიკულ საშუალებებს.

ყოფილ მსჯავრდებულთა თითქმის ნახევრის (47%) მოსაზრებით, მათ თემში მარიხუანის მოყვანა/დამზადება/წარმოების სიხშირე მაღალია (მეტ-ნაკლებად მაღალია ან ძალიან მაღალია). რესპონდენტთა 45.6% ფიქრობს, რომ მარიხუანის გასაღების სიხშირე უფრო მაღალია ვიდრე დაბალი. მსგავსი ტენდენცია ნარჩუნდება მარიხუანის შეძენა/შენახვასთან მიმართებით, შემთხვევათა მაღალ სიხშირეს („ძალიან მაღალია“, „მეტ-ნაკლებად მაღალია“) 42.6% აფიქსირებს. ყველაზე მაღალი სიხშირით გამოირჩევა **მარიხუანის მოხმარების** ფაქტები, ამაზე რესპონდენტთა 59% მიუთითებს.

ახლანდელ მსჯავრდებულთა ოჯახის წევრების ნახევარი (50.4%) მათ თემში მარიხუანის მოყვანა, დამზადება, წარმოების მაღალ სიხშირეზე მიუთითებს. ასეთივე ტენდენციას („ძალიან მაღალია“, „მეტ-ნაკლებად მაღალია“) უსვამენ ხაზს ოჯახის წევრები მარიხუანის გასაღების (48.8%), შენახვა/შეძენის (52%), განსაკუთრებით კი, მოხმარებასთან მიმართებით (60.8%).

რაც შეეხება **სხვა (მარიხუანის გარდა) ნარკოტიკულ საშუალებებს,** მათთან დაკავშირებული მაჩვენებლები შედარებით იკლებს. ყოფილ მსჯავრდებულთა 34.2% საუბრობს ნარკოტიკული საშუალებების მოყვანა/დამზადება/წარმოების მაღალ სიხშირეზე. 32.8%-ის თანახმად, მის თემში/ საცხოვრებლ გარემოში ნარკოტიკული საშუალებები მაღალი სიხშირით საღდება. შეძენა/შენახვის ფაქტების მაღალ სიხშირეზე საუბრობს რესპონდენტთა 39.2%. რაც შეეხება მოხმარებას, ისევე, როგორც მარიხუანის შემთხვევაში, იგი კვლავ ყველაზე მაღალი მაჩვენებლით (46.4%) ხასიათდება სხვა ნარკოდანაშაულებთან მიმართებით.

ამჟამინდელ ნარკოდამნაშავეთა ოჯახის წევრების 35.2% საუბრობს ნარკოტიკული საშუალებების (მარიხუანის გარდა) მოყვანა/დამზადება/წარმოების სიხშირეზე საკუთარ თემში/საცხოვრებელ გარემოში. ოჯახის წევრები, ასევე, მაღალი სიხშირით მოიხსენიებენ ნარკოტიკული საშუალებების გასაღებას (34.4%) და შეძენა/შენახვასა (38.4%). ტრადიციულად, განსაკუთრებით მაღალია მაჩვენებელი ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებასთან მიმართებით (49.6%).

ხაზგასასმელია, რომ საკუთარ საცხოვრებელ გარემოში ნარკოტიკული საშუალებების მოყვანასთან/დამზადებასთან/წარმოებასთან/გასაღებასთან/მოხმარებასთან დაკავშირებულ შეკითხვებზე ყოფილ მსჯავრდებულთა მიერ პასუხებისგან თავის შეკავების მაჩვენებელი 19%-31%-ის ფარგლებში მერყეობს. ეს, შესაძლოა, მიუთითებდეს იმაზე, რესპონდენტებს არ სურთ გაამჟღავნონ ინფორმაცია საკუთარი თემის წევრების ნარკოდანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ (იხ. ცხრილი №3.2):

ცხრილი №3.2

თემში/ საცხოვრებელ გარემოში სხვადასხვა ტიპის ნარკოდანაშაულის ჩადენის სიხშირე	რესპონდენტი	ძალიან მაღალია	მეტ-ნაკლებად მაღალია	მეტ-ნაკლებად დაბალია	ძალზე დაბალია	საერთოდ არ ხდება	მიჭირს პ/გ / უარი პასუხზე
ნარკოტიკული საშუალებების მოყვანა/ დამზადება/ წარმოება	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	11.4%	22.7%	23.8%	12.4%	7.0%	22.7%
	ოჯახის წევრები (N=175)	8,0%	27,2%	22,4%	5,6%	,8%	36,0%
ნარკოტიკული საშუალების გასაღება	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	8.7%	24.0%	22.4%	10.4%	6.6%	27.9%
	ოჯახის წევრები (N=175)	2,4%	32,0%	28,0%	4,0%	-	33.6%
ნარკოტიკული საშუალების შეძენა/ შენახვა	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	12.2%	27.1%	18.8%	12.2%	4.4%	25.4%
	ოჯახის წევრები (N=175)	4,8%	33,6%	22,4%	4,0%	-	35.2%
ნარკოტიკული საშუალების მოხმარება	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	15.3%	31.1%	19.7%	10.9%	3.3%	19.7%
	ოჯახის წევრები (N=175)	16,0%	33,6%	22,4%	5,6%	-	22,4%

თემში/ საცხოვრებელ გარემოში სხვადასხვა ტიპის ნარკოდანაშაულის ჩადენის სიხშირე	რესპონდენტი	ძალიან მაღალია	მეტ-ნაკლებად მაღალია	მეტ-ნაკლებად დაბალია	ძალზე დაბალია	საერთოდ არ ხდება	მიჭირს პ/გ / უარი პასუხზე
მარიხუანის მოყვანა/ დამზადება/ წარმოება	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	13.7%	33.3%	11.5%	7.1%	9.3%	25.1%
	ოჯახის წევრები (N=175)	16,8%	33,6%	15,2%	3,2%	-	31,2%
მარიხუანის გასაღება	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	14.8%	30.8%	8.8%	4.4%	10.4%	30.8%
	ოჯახის წევრები (N=175)	21,6%	27,2%	12,8%	1,6%	-	36,8%
მარიხუანის შეძენა/ შენახვა	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	15.8%	26.8%	13.7%	7.1%	7.1%	29.5%
	ოჯახის წევრები (N=175)	24,8%	27,2%	8,8%	2,4%	-	36,8%
მარიხუანის მოხმარება	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	31.7%	27.3%	8.2%	4.9%	6.6%	21.3%
	ოჯახის წევრები (N=175)	30,4%	30,4%	16,8%	1,6%	,8%	20,0%

არსებული ტენდენციების აღწერის გარდა, რესპონდენტებმა დააფიქსირეს საკუთარი მოსაზრებები **ბოლო 5 წლის მანძილზე განვითარებული ცვლილებების შესახებ იმის თაობაზე, გაიზარდა თუ შემცირდა კონკრეტული ნარკოდანაშაულებრივი ქმედებები მათ საცხოვრებელ გარემოში.** იმას, რომ მარიხუანის მოყვანა/დამზადება/ წარმოება გაიზარდა, ყოფილ მსჯავრდებულთა 46.4% ადასტურებს. მარიხუანის გასაღების ზრდაზე საუბრობს 42.6%. მარიხუანის შეძენა/შენახვის ფაქტების გაზრდას 46.4% უსვამს ხაზს. რესპონდენტთა ნახევარზე მეტი (56.3%) თვლის, რომ მარიხუანის მოხმარება ბოლო 5 წელში გაზრდილია. ამჟამინდელ მსჯავრდებულთა ოჯახის წევრების ნახევარი (50.4%) თვლის, რომ ბოლო 5 წელში მათ თემში/საცხოვრებელ გარემოში მარიხუანის მოყვანა/დამზადება/წარმოება გაზრდილია. ნახევარზე მეტი

(52%) ამავეს აფიქსირებს მარიხუანის გასაღებასთან მიმართებით. თითქმის ამდენივე (52.8%) თვლის, რომ მარიხუანის შეძენა/შენახვის ფაქტები გარვეული ხარისხით (ძალიან/მეტ-ნაკლებად) გაზრდილია. კვლავ ყველაზე მეტი რაოდენობა (59.2%) მიუთითებს მარიხუანის მოხმარების ზრდაზე.

რაც შეეხება სხვა ტიპის (მარიხუანის გარდა) ნარკოტიკულ საშუალებებს, ყოფილ მსჯავრდებულთა 37.3%-ის აზრით, მათი მოყვანა/დამზადება/წარმოება გაზრდილია. 37.7% ფიქრობს, რომ გაიზარდა გასაღების შემთხვევები. 40.3% ნარკოტიკული საშუალების შეძენა/შენახვის ფაქტების ზრდაზე მიუთითებს. რაც შეეხება მოხმარებას, მის ზრდას რესპონდენტთა 42.1% აფიქსირებს. ოჯახის წევრები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ მოხმარების ფაქტების ზრდაზე. ამ მოსაზრებას გამოკითხულ ოჯახის წევრთა 40% აფიქსირებს. 38.4% მოყვანა/დამზადება/წარმოების ტენდენციის აღმავლობაზე საუბრობს. რაც შეეხება, გასაღებას, მას ოჯახის წევრთა 35.2% თვლის გაზრდილად. შეძენა/შენახვის ჭრილში, თემში შემთხვევათა ზრდაზე საუბრობს 36%.

შეიძლება ითქვას, რომ ორივე სამიზნე ჯგუფის გამოკითხულთა სუბიექტური შეფასებით, **ბოლო 5 წელში ნარკოდანაშაულებრივი ქმედებები გაიზარდა. რესპონდენტები ყურადღებას მეტად ამახვილებენ მარიხუანასთან დაკავშირებულ დანაშაულებრივ პრაქტიკებზე. ასევე, უმრავლესობა ხაზს უსვამს უშუალოდ მოხმარების ფაქტების გაზრდას, როგორც მარიხუანის, ისე სხვა ნარკოტიკული საშუალებების შემთხვევაში** (იხ. ცხრილი №3.3):

ცხრილი №3.3

თემში/ საცხოვრებელ გარემოში სხვადასხვა ტიპის ნარკოდანაშაულის ჩადენის სიხშირე	რესპონდენტი	ძალიან გაიზარდა	მეტ-ნაკლებად გაიზარდა	მეტ-ნაკლებად შემცირდა	ძალზე შემცირდა	აღმოიფხვრა	საერთოდ არ ყოფილა	მიჭირს პ/გ / უარი პასუხზე
ნარკოტიკული საშუალებების მოყვანა/ დამზადება/ წარმოება	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	13.5%	23.8%	20.0%	11.9%	.5%	3.2%	27.0%
	ოჯახის წევრები (N=175)	8,8%	29,6%	16,0%	8,8%	-	,8%	36,0%
ნარკოტიკული საშუალების გასაღება	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	6.6%	31.1%	21.3%	10.9%	3.8%	3.3%	23.0%
	ოჯახის წევრები (N=175)	6,4%	28,8%	22,4%	10,4%	-	,8%	31.2%

თემში/ საცხოვ-რებელ გარემოში სხვადასხვა ტიპის ნარკოდანაშაუ-ლის ჩადენის სიხ-შირე	რესპონდენტი	ძალიან გაიზარდა	მეტ-ნაკლებად გაიზარდა	მეტ-ნაკლებად შემცირდა	ძალზე შემცირდა	აღმოიფხვრა	საერთოდ არ ყოფილა	მიჭირს პ/გ / უარი პასუხზე
ნარკოტიკული საშუალების შეძენა/შენახვა	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	10.5%	29.8%	18.8%	12.2%	1.1%	3.3%	24.3%
	ოჯახის წევრები (N=175)	6,4%	29,6%	19,2%	8,8%	,8%	1,6%	33.6%
ნარკოტიკული საშუალების მოხმარება	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	8.7%	33.3%	21.9%	12.6%	1.6%	.5%	21.3%
	ოჯახის წევრები (N=175)	13,6%	26,4%	16,8%	11,2%	2,4%	1,6%	28,0%
მარიხუანის მოყვანა/ დამზადება/ წარმოება	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	19.1	27.3	14.2	4.4	1.6	4.9%	28.4%
	ოჯახის წევრები (N=175)	23,2	27,2	7,2	9,6		1,6%	31.2%
მარიხუანის გასაღება	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	17.5%	25.1%	13.1%	9.8%	.5%	3.3%	30.6%
	ოჯახის წევრები (N=175)	22,4%	29,6%	8,8%	7,2%	-	1,6%	30.4%
მარიხუანის შეძენა/ შენახვა	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	17.5%	29.0%	10.9%	7.7%	2.7%	3.8%	28.4%
	ოჯახის წევრები (N=175)	25,6%	27,2%	8,8%	5,6%	-	1,6%	31.2%
მარიხუანის მოხმარება	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	24.0%	32.2%	10.9%	7.1%	.5%	4.4%	20.8%
	ოჯახის წევრები (N=175)	31,2%	28,0%	8,8%	8,0%	,8%	1,6%	21.6%

3.3. ნარკოდანაშაულის ჩადენის რისკ-ჯგუფები

ყოფილ მსჯავრდებულთა მეოთხედზე მეტის თანახმად (26.4%) ნარკოდანაშაულის ჩადენის თვალსაზრისით მაღალი რისკის ჯგუფებს მიეკუთვნებიან ის ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ გარემოში, სადაც ნარკოტიკული საშუალებები გავრცელებულია. მეხუთედზე მეტი (21.7%) მიუთითებს, რომ რისკ ჯგუფებში შედიან ნარკოდამოკიდებული პირების ოჯახის წევრები. საინტერესოა, რომ ნარკოდანაშაულის ჩადენის ალბათობას რესპონდენტები უფრო მეტად უკავშირებენ ფინანსურად შეძლებულ ადამიანებს (17.6%), ვიდრე სიღარიბეში მცხოვრებ ადამიანებს (5.7%). ასევე ხაზგასასმელია, რომ 14.3% გამოყოფს უმუშევრებს, როგორც ნარკოდანაშაულის რისკ-ჯგუფს.

აღსანიშნავია, რომ მსჯავრდებულთა ოჯახის წევრები უმეტესად იმავე რისკ-ჯგუფებს გამოყოფენ, რასაც ყოფილი მსჯავრდებულები. კონკრეტულად, 31.2% ის თანახმად, ესენი არიან ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ გარემოში სადაც ნარკოტიკული საშუალებები გავრცელებულია. 17.6% გამოარჩევს უმუშევარ ადამიანებს. თანაბრად მნიშვნელოვან რისკ-ჯგუფებად მიიჩნევა ნარკოდამოკიდებული პირების ოჯახის წევრობა (16.1%) და ფინანსურად შეძლებული სოციალური ჯგუფის წევრობა (16.1%) (იხ. ცხრილი №3.4):

ცხრილი №3.4

რომელი სოციალური ჯგუფები ატარებს მაღალ რისკს ნარკოდანაშაულის ჩადენის თვალსაზრისით?	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	ოჯახის წევრები (N=175)
სიღარიბეში მცხოვრები ადამიანები	5.7%	6,8%
ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ გარემოში სადაც ნარკოტიკული საშუალებები გავრცელებულია	26.4%	31,2%
მზრუნველობას მოკლებული (უდედმამო, ქუჩაში მცხოვრები და ა.შ.) არასრულწლოვნები	7.4%	8,2%
დევნილები/ლტოლვილები	0.6%	-
ნარკოდამოკიდებული პირების ოჯახის წევრები	21.7%	16,1%
ფინანსურად შეძლებული ადამიანები	17.6%	16,1%
უმუშევრები	14.3%	17,6%
ჯგუფს არ აქვს მნიშვნელობა	0.3%	0,7%
მიჭირს პასუხის გცემა	6.0%	3,2%

3.4. ნარკოდანაშაულის მასშტაბურობა საქართველოში

ყოფილ მსჯავრდებულთა უფრო დიდი ნაწილის (41.6%) მოსაზრებით, საქართველოში ადამიანები ნარკოდანაშაულსა და ეკონომიკურ დანაშაულს თანაბრად სჩადიან. 27.6% ფიქრობს, რომ საქართველოში ეკონომიკური დანაშაული (მაგ. ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა და სხვ.) უფრო ხშირია. ამის საპირისპიროდ, 19.5% ამბობს, რომ დანაშაულების მეტი წილი მოდის ნარკოდანაშაულზე (მაგ. ნარკოტიკული ნივთიერები შეძენა, შენახვა, მოხმარება, გასაღება). 11.4%-ს უჭირს პასუხის გაცემა, ან თავი შეიკავა პასუხისგან.

ამჟამინდელ მსჯავრდებულთა ოჯახის წევრების შეფასებები ამ საკითხთან დაკავშირებით თითქმის იდენტურია. უფრო დიდი ნაწილის – 44.8%-ის, აზრით, ნარკოდანაშაული და ეკონომიკური დანაშაული თანაბარი სიხშირით ხდება საქართველოში. 28.8%-ის მოსაზრებით, ნარკოდანაშაული უფრო ხშირია, ვიდრე ეკონომიკური. მხოლოდ 8.8% არის ისეთი, ვინც ამბობს, რომ ეკონომიკური დანაშაულის შემთხვევები აღემატება ნარკოდანაშაულს. მსჯავრდებულთა ოჯახის წევრების 17.6% თავს იკავებს პასუხისაგან.

კვლევა აჩვენებს, რომ ყოფილი მსჯავრდებულები ნარკოდანაშაულს საკმაოდ გავრცელებულ კანონდარღვევად მიიჩნევენ საქართველოში. ამას ადასტურებს ისიც, რომ ყოველი მეოთხე გამოკითხულის (23.8%) წარმოდგენით, სასჯელაღსრულების დაწესებულებების მსჯავრდებულთა 40%-დან 60%-მდე სწორედ ნარკოდანაშაულისთვის არის გასამართლებული (იხ. ცხრილი №3.5):

ცხრილი №3.5

სასჯელაღსრულების დაწესებულებების მსჯავრდებულთა შორის რამდენი პროცენტია, ვინც ნარკოდანაშულისთვის გასამართლდა?	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)
0% დან 20% მდე	11,4%
20% დან 40%-მდე	19,5%
40% დან 60%-მდე	23,8%
60% დან 80%-მდე	9,0%
80% დან 100% მდე	4,9%
მიჭირს პასუხის გაცემა/უარი პასუხზე	31,4%

3.5. ნარკოდანაშაულისა და ეკონომიკური დანაშაულის შედარება

რესპონდენტებმა ისაუბრეს დანაშაულებრივი ქმედებების სიმძიმეზე და ერთმანეთს შეადარეს ნარკოდანაშაულის ესა თუ ის ტიპი და ეკონომიკური დანაშაულები. ყოფილ მსჯავრდებულთა 45.4% ფიქრობს, რომ ქურდობა/ძარცვა არის უფრო მძიმე დანაშაული, ვიდრე ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება. მეოთხედი (25.1) ამბობს, რომ ეს ორი თანაბარი სიმძიმისაა. ხაზგასასმელია, რომ რესპონდენტთა მეხუთედის (19.5%) შეხედულებით, ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება საერთოდ არ არის დანაშაული.

განსხვავებული ტენდენცია გამოვლინდა. როდესაც საუბარია ნარკოტიკული საშუალებების დამზადებაზე (47.5), შეძენა/შენახვასა (42.6%) და გასაღებაზე (44.8), რესპონდენტები, ამ ტიპის დანაშაულს, უმეტეს შემთხვევაში, სიმძიმით ქურდობა/ძარცვას უთანაბრებენ.

საინტერესოა, რომ სხვა ნარკოდანაშაულებრივი ქმედებებისგან განსხვავებით, რესპონდენტები ნარკოტიკული საშუალებების გასაღებას (25.1%) უფრო მძიმე დანაშაულად თვლიან, ვიდრე ქურდობა/ძარცვას (14.2%). (იხ. ცხრილი №3.6)

ცხრილი №3.6

რომელი უფრო მძიმე დანაშაულია – ნარკოდანაშაულის ესა თუ ის ტიპი თუ ეკონომიკური დანაშაული?	ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება, თუ ქურდობა/ძარცვა (N-183)	ნარკოტიკული საშუალებების დამზადება თუ ქურდობა/ძარცვა (N-183)	ნარკოტიკული საშუალებების შეძენა/შენახვა თუ ქურდობა/ძარცვა (N-183)	ნარკოტიკული საშუალებების გასაღება თუ ქურდობა/ძარცვა (N-183)
უფრო მძიმეა ნარკოტიკული საშუალებების (მოხმარება, დამზადება, შეძენა/შენახვა, გასაღება)	3.8%	14.2%	7.7%	25.1%
უფრო მძიმეა ქურდობა/ძარცვა	45.4%	29.5%	33.3%	14.2%
თანაბარი სიმძიმისაა ორივე	25.4%	47.5%	42.6%	44.8%
ნარკოტიკული საშუალებების (მოხმარება, დამზადება, შეძენა/შენახვა, გასაღება) საერთოდ არ არის დანაშაული	19.5%	1.6%	3.8%	3.8%
მიჭირს პასუხის გაცემა / უარი პასუხზე	5.9%	7.1%	12.6%	12.0%

3.6. ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების ხელშემწყობი დემოგრაფიული მახასიათებლები

რესპონდენტებმა ისაუბრეს იმ **დემოგრაფიულ მახასიათებლებზე, რომლებიც ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებას უწყობს ხელს.** მათ სხვადასხვა კონკრეტული მახასიათებლის ზეგავლენა გამოკვეთეს.

როგორც აღმოჩნდა, ნარკოდანაშაულის ჩადენის მხრივ, **განათლების დონე** არ მიიჩნევა რელევანტურ გარემოებად ყოფილ მსჯავრდებულთა 82.7%-თვის და ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრთა 72%-თვის. რაც შეეხება **ასაკის** გავლენას ნარკოდანაშაულზე, რესპონდენტთა პასუხები დივერსიფიცირებულია. ყოფილ მსჯავრდებულთა უფრო დიდი ნაწილი (44.8%) კვლავ თვლის, რომ ამ დემოგრაფიულ მახასიათებელს მნიშვნელობა არ აქვს. თითქმის მეოთხედი (24.6%) ფიქრობს, რომ ნარკოდანაშაულის ჩადენას ხელს უწყობს პიროვნების სრულწლოვანების-ახალგაზრდობის (20-34 წლის) პერიოდი. ასევე, თითქმის მეოთხედი (23%) ფიქრობს, რომ ნარკოდანაშაულს ხელს უწყობს თინეიჯერული ასაკი (13-19). უნდა ვივარაუდოთ, რომ, ყოფილ მსჯავრდებულთა აზრით, ამ ასაკობრივი ჯგუფების წარმომადგენლები უფრო მეტად იჩენენ ინტერესს ნარკოტიკული საშუალებების მიმართ. ოჯახის წევრების მნიშვნელოვანი წილი ასევე ემხრობა მოსაზრებას, რომ ასაკი არ არის გამომწვევი ფაქტორი. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ თითქმის მეოთხედი (24%) ასეთ ჯგუფად მიიჩნევს სრულწლოვან ახალგაზრდებს (20-34 წელი)

ოჯახური მდგომარეობის კონტექსტში, როგორც ყოფილ მსჯავრდებულთა (65.4%), ისე ამჟამინდელ მსჯავრდებულთა ოჯახის წევრების (69.6%) უმრავლესობა თვლის, რომ ქორწინებაში არყოფნა არ არის მნიშვნელოვანი დემოგრაფიული ფაქტორი ნარკოდანაშაულის ჩასადენად. ამის საპირისპიროდ, ხაზგასასმელია ისიც, რომ ყოფილი მსჯავრდებულების მეოთხედი (24.7%) და ოჯახის წევრთა 18.4%, თვლის, რომ ნარკოდანაშაულის ჩადენას დაუოჯახებლობის სტატუსი უწყობს ხელს.

ყოფილ მსჯავრდებულთა (82.5%) და მსჯავრდებულთა ოჯახის წევრების (76.8%) უმეტესობა თვლის, რომ რელიგიურობას მნიშვნელობა არ აქვს ნარკოდანაშაულის ჩადენისთვის.

სქესთან მიმართებით, ყოფილ მსჯავრდებულთა (69.4) და ამჟამინდელ მსჯავრდებულთა ოჯახის წევრების (73.6%) უმრავლესობა ფიქრობს, რომ მამაკაცები მეტად არიან მიდრეკილნი მსგავსი ქმედებებისკენ. თუმცა, აქვე აღსანიშნავია ყოფილ მსჯავრდებულთა 29% და ოჯახის წევრთა 24.8%, რომელიც ფიქრობს, რომ სქესს მოცემულ კონტექსტში მნიშვნელობა არ აქვს. ყოფილ მსჯავრდებულებში მდედრობით სქესის გავლენას ასახელებს მხოლოდ 0.5%. ხაზგასასმელია, რომ ამჟამინდელი პატიმრების ოჯახის წევრების მიერ მდედრობითი სქესის გავლენა არ დასახელებულა (იხ. ცხრილი №3.7):

ცხრილი №3.7

განათლება	არასრული საშუალო განათლება	სრული საშუალო განათლება	უმაღლესი განათლება	განათლების დონეს არ აქვს მნიშვნელობა	მიჭირს პასუხის გცემა
ნარკოდანაშაულის ჩამ-დენი ყოფილი მსჯავრ-დებულები (N=185)	8.6%	3.8%	.5%	82.7%	4.3%
ოჯახის წევრები (N=175)	13,6%	8,8%	,8%	72,0%	4,8%
ასაკი	**თინეიჯერუ-ლი ასაკი (13-19 წლის)**	**სრულწლოვა-ნი-ახალგაზრდა (20-34 წლის)**	**საშუალო (35-54 წლის)**	**ასაკს არ აქვს მნიშვნელობა**	**მიჭირს პასუხის გცემა**
ნარკოდანაშაულის ჩამ-დენი ყოფილი მსჯავრ-დებულები (N=185)	23.0%	24.6%	6.6%	44.8%	1.1%
ოჯახის წევრები (N=175)	11,2%	24,0%	12,0%	49,6%	3,2%
ოჯახური მდგომარეობა	**დაოჯახებუ-ლი**	**დაუოჯახებელი**	**განქორწინე-ბული**	**ოჯახურ მდგო-მარეობას არ აქვს მნიშვნე-ლობა**	**მიჭირს პასუხის გცემა**
ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	4.9%	24.7%	2.2%	65.4%	2.7%
ოჯახის წევრები (N=175)	3,2%	18,4%	5,6%	69,6%	3,2%
რელიგიურობა	**რელიგიური რიტუალების დაცვა/ ეკ-ლესიურობა**	**რელიგიური რიტუალების მიმართ გულგრილობა**	**ათეისტობა**	**რელიგიურო-ბას არ აქვს მნიშვნელობა**	**მიჭირს პასუხის გცემა**
ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	.5%	8.7%	4.4%	82.5%	3.8%
ოჯახის წევრები (N=175)		14,4%	3,2%	76,8%	5,6%
სქესი	**მამრობითი**	**მდედრობითი**	**სქესს არ აქვს მნიშვნელობა**	**მიჭირს პასუხის გცემა**	
ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	69.4%	.5%	29.0%	1.1%	
ოჯახის წევრები (N=175)	73,6%		24,8%	1,6%	

4. ნარკოპოლიტიკა

4.1. ადამიანის (ნარკოდამნაშავეების) უფლებები სასჯელაღსრულების სხვადასხვა ეტაპზე

რესპონდენტებმა ისაუბრეს სამართლებრივ საკითხებზე – მათ შეაფასეს სხვადასხვა სამართლებრივი პროცესი და, ზოგადად, ნარკოპოლიტიკა საქართველოში.

პირველ რიგში, რესპონდენტებმა მოსაზრება დააფიქსირეს **ადამიანის უფლებების დარღვევებთან მიმართებით.** ყოფილ მსჯავრდებულთა თითქმის ნახევარი (47%) და ამჟამინდელ მსჯავრდებულთა ოჯახის წევრების 43.2% თვლის, რომ ადამიანთა უფლებები ირღვევა წინასწარი პატიმრობის პერიოდში. ამის საპირისპიროდ, ნარკოდამნაშავეთა 40.4% და ოჯახის წევრთა 35.2% ამ მოსაზრებას არ ეთანხმება.

ყოფილ მსჯავრდებულთა ნახევარზე მეტი (54.1%) ამბობს, რომ ადამიანის უფლებები სასჯელის მოხდის (პატიმრობის) პერიოდში ირღვევა. თუმცა, რესპონდენტთა მესამედი (34.6%) ამას არ ადასტურებს. გამოკითხულ ოჯახის წევრებს შორის 41.6% არის ისეთი, ვინც ფიქრობს, რომ პატიმრობის პერიოდში უფლებათა დარღვევები იჩენს თავს.

პირობითი მსჯავრის მოხდის პერიოდში უფლებების დარღვევაზე საუბრობს ყოფილ მსჯავრდებულთა 50.8%. 36.1% არის იმ გამოკითხულთა წილი, ვინც ასე არ თვლის. ოჯახის წევრების 46.1% დადებით პასუხს აფიქსირებს ამ მოსაზრებასთან მიმართებით, ხოლო 27.2% – უარყოფითს. აღსანიშნავია, რომ მაღალია იმ ოჯახის წევრთა წილი, ვინც პასუხისგან თავს იკავებს (31.2%).

საინტერესოა, რომ სასჯელის მოხდის (პატიმრობის დასრულების) შემდეგ პერიოდზე საუბრისას, ყოფილ მსჯავრდებულთა პოზიციები გაყოფილია: ერთი, უფრო დიდი ნაწილი (46.4%) არ ეთანხმება მოსაზრებას ადამიანის უფლებების დარღვევის თაობაზე. მეორე ნაწილი (40.4%) თვლის, რომ ადამიანის უფლებები სასჯელის მოხდის შემდეგაც ირღვევა. ეს შეფასება სავარაუდოდ დაკავშირებულია ამ ადამიანების ხისტ და ინტენსიურ კონტროლთან სამართალდამცველი სტრუქტურების მხრიდან. ოჯახის წევრების ყველაზე დიდი ნაწილი (36%) კვლავ იკავებს თავს პასუხისაგან (იხ. ცხრილი №4.1):

ცხრილი №4.1

რამდენად ეთანხმებით მოსაზრებას, რომ საქართველოში ირღვევა ადამიანის უფლებები პატიმრებთან მიმართებით?	რესპონდენტები	სრულიად ვეთანხმები	უფრო ვეთანხმები, ვიდრე არა	უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე კი	სრულიად არ ვეთანხმები	მიჭირს პასუხის გაცემა / უარი პასუხზე
წინასწარი პატიმრობის პერიოდში	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	18.6%	28.4%	26.8%	13.7%	12.6%
	ოჯახის წევრები (N=175)	11,2%	32,0%	23,2%	12,0%	21,6%
სასჯელის მოხდის (პატიმრობის) პერიოდში	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	25.4%	28.6%	22.7%	11.9%	11.4%
	ოჯახის წევრები (N=175)	11,2%	30,4%	24,0%	12,0%	22,4%
პირობითი მსჯავრის მოხდის პერიოდში	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	14.2%	36.6%	20.8%	15.3%	13.1%
	ოჯახის წევრები (N=175)	9,6%	32,0%	16,0%	11,2%	31,2%
სასჯელის მოხდის (პატიმრობის დასრულების) შემდეგ	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	14.8%	25.7%	28.4%	18.0%	13.1%
	ოჯახის წევრები (N=175)	7,2%	25,6%	19,2%	12,0%	36,0%

რესპონდენტებმა კონკრეტულად დაასახელეს ის უფლებები, რომლებიც, მათი შეფასებით, ყველაზე მეტად ირღვევა წინასწარი პატიმრობის, სასჯელის მოხდის (პატიმრობის), პირობითი მსჯავრის მოხდის და სასჯელის მოხდის შემდგომ პერიოდში. დასაშვები იყო ერთზე მეტი პასუხის გაცემა.

ყოფილ მსჯავრდებულთა 13.4%-ის მოსაზრებით, **წინასწარი პატიმრობის** პერიოდში ირღვევა ადვოკატზე ხელმისაწვდომობის უფლება. ასევე, მნიშვნელოვან პრობლემად გამოიკვეთა ციხის თანამშრომლებისგან ფიზიკური უსაფრთხოების საკითხის უზრუნველყოფა (11.7%). ითვლება, აგრეთვე, რომ დარღვეულია ციხეში ცხოვრების ღირსეული პირობები (11.4). ხაზგასასმელია, რომ 10.7% გამოყოფს სამედიცინო სერვისების მიღების უფლების დარღვევას წინასწარი პატიმრობის პერიოდში. ამჟამინდელ მსჯავრდებულთა ოჯახის წევრების მეხუთედზე მეტი (21%), აგრეთვე, მიუთითებს ადვოკატზე ხელმისაწვდომობის უფლების დარღვევაზე; ამ ჯგუფისთვის მნიშვნელოვანია ისიც, რომ ციხეში ცხოვრების ღირსეული პირობები არ არის უზრუნველყოფილი (18.2%). თანაბარი სიხშირით დასახელდა სამედიცინო სერვისების მიღებისა (14.1) და საჩივრების/თხოვნების (14.1) წამოყენების უფლებები. ყოფილ მსჯავრდებულთა მეხუთედზე მეტი (21.7%) ასახელებს **სასჯელის მოხდის (პატიმრობის) პერიოდში** ციხეში ცხოვრების ღირსეული პირობების უფლების დარღვევას. ასევე, რესპონდენტთა მნიშვნელოვანი წილი ხაზს უსვამს ციხის თანამშრომლებისგან ფიზიკური უსაფრთხოების უფლების დარღვევებს (15.1%). სამედიცინო სერვისების მიღების მხრივ უფლებების დარღვევაზე ყურადღებას ამახვილებს ყოფილ მსჯავრდებულთა 10.6%. ოჯახის წევრები სასჯელის მოხდის პერიოდში მსჯავრდებულთა უფლებების დარღვევებზე მიუთითებენ ციხეში ცხოვრების ღირსეული პირობების (23.2%), მსჯავრდებულებისგან (18.1%) და ციხის თანამშრომლებისგან (14.1%) ფიზიკური უსაფრთხოების, ასევე სამედიცინო სერვისების მიღების (13.6%) მხრივ.

პირობითი მსჯავრის მოხდის[13] პერიოდში პოლიციის კონტროლის გარეშე თავისუფალი გადაადგილების უფლების დარღვევაზე მიუთითებენ როგორც ყოფილი მსჯავრდებულები (35.6%), ასევე მსჯავრდებულთა ოჯახის წევრები (40.2%). გამომდინარე აქედან, გასაკვირი არ არის, რომ ასევე ხშირად სახელდება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევა, როგორც ნარკოდამნაშავეების (10.8%), ასევე მსჯავრდებულთა ოჯახის წევრების (26.5%) მიერ.

მეტწილად ამავე უფლებების დარღვევებზე საუბრობენ **სასჯელის მოხდის (პატიმრობის დასრულების) შემდეგ/პრობაციაში ყოფნის** პერიოდის განხილვისას. კონკრეტულად, პოლიციის კონტროლის გარეშე თავისუფალი გადაადგილების უფლების დარღვევაზე მიუთითებს ყოფილ მსჯავრდებულთა 37.7% და მსჯავრდებულთა ოჯახის წევრების – 47.3%. ყოფილ მსჯავრდებულთა 10.8% და ოჯახის წევრთა 25.3%, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევაზე საუბრობს.

როგორც ზემოაღნიშნულიდან ირკვევა, უმეტესად ყოფილი მსჯავრდებულები და მსჯავრდებულთა ოჯახის წევრები ამავე უფლებებზე აკეთებენ აქცენტს, თუმცა, ყო-

13 იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებულის გამოსწორება შეიძლება სასჯელად დანიშნული გამასწორებელი სამუშაოს, სამხედრო პირის სამსახურეობრივი შეზღუდვის, თავისუფლების შეზღუდვის და თავისუფლების აღკვეთის მოხდის გარეშე, სასამართლოს შეუძლია დაადგინოს, რომ დანიშნული სასჯელი ჩაითვალოს პირობითად.

ფილი მსჯავრდებულების პასუხები მეტად არის გაფანტული სხვადასხვა უფლებას შორის. რაც შეეხება ოჯახის წევრებს, მათი მოსაზრებები რამდენიმე ძირითადი პასუხის გარშემო იყრის თავს. (იხ. ცხრილი №4.2)

ცხრილი №4.2

რომელი უფლებები ირღვევა ყველაზე მეტად	წინასწარი პატიმრობის პერიოდში		სასჯელის მოხდის (პატიმრობის) პერიოდში		პირობითი მსჯავრის მოხდის პერიოდში		სასჯელის მოხდის (პატიმრობის დასრულების) შემდეგ/ პრობაციაში ყოფნის პერიოდში	
	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	ოჯახის წევრები (N=175)	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	ოჯახის წევრები (N=175)	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	ოჯახის წევრები (N=175)	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	ოჯახის წევრები (N=175)
სამედიცინო სერვისების მიღება	10.7%	14,8%	10.6%	13.6%	2.3%	1,0%	2.5%	1,1%
პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა	4.6%	4,0%	4.9%	7.9%	10.8%	26,5%	10.8%	25,3%
ციხეში ცხოვრების ღირსეული პირობები	11.4%	18,2%	21.7%	23.2%	.5%	-	2.5%	-
საგანმანათლებლო სერვისების მიღება	2.3%	1,1%	3.1%	1.7%	1.8%	2,0%	.5%	2,2%
ფიზიკური უსაფრთხოება მსჯავრდებულებისგან	5.9%	2,3%	13.4%	18.1%	3.2%	6,9%	1.5%	2,2%
ფიზიკური უსაფრთხოება ციხის თანამშრომლებისგან	11.7%	5,7%	15.1%	14.1%	7.2%	3,9%	1.5%	1,1%
საჩივრები/თხოვნები	8.1%	14,8%	3.4%	6.2%	4.1%	1,0%	2.0%	2,2%
ადვოკატზე ხელმისაწვდომობა	13.4%	21,0%	3.7%	0.6%	1.8%	1,0%		
თავისუფალი გადაადგილების უფლება პოლიციის კონტროლის გარეშე	6.5%	2,3%	4.6%	1.1%	35.6%	40,2%	37.7%	47,3%
არაფერი	1.6%	1,7%	1.1%	1.7%	2.3%	-	2.0%	-
მიჭირს პასუხის გაცემა / უარი პასუხზე	23.8%	14.2%	18.3%	11.9	30.6%	17.6	39.2%	18.7%

ყოფილ მსჯავრდებულებს შორის, ვინც 2012 წლამდე გასამართლდა, 12.5% მიუთითებს **სასჯელის მოხდის პერიოდში** სამედიცინო სერვისების მიღების უფლების დარღვევაზე. 2012 წელის შემდგომ პერიოდში გასამართლებული რესპონდენტებისთვის ეს მაჩვენებელი 9.6%-ია. ასევე აღსანიშნავია, რომ ადვოკატზე ხელმისაწვდომობის უფლების დარღვევაზე 2012 წლამდე გასამართლებულთა 7.4% მიუთითებს, მაშინ როდესაც ეს მაჩვენებელი 2012 წლის შემდეგ გასამართლებული რესპონდენტებისთვის 1.4%-მდე მცირდება. (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=41.093, p=0).

პერიოდების მიხედვით **პირობითი მსჯავრის მოხდისას** უფლებათა დარღვევის წილი განსაკუთრებით იზრდება პოლიციის კონტროლის გარეშე თავისუფალი გადაადგილების მხრივ. 2012 წლამდე გასამართლებული მსჯავრდებულების შემთხვევაში ეს მონაცემი არის 27.5%, ხოლო 2012 წლის შემდეგ გასამართლებული რესპონდენტების შემთხვევაში უტოლდება 40%-ს. (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=53.982, p=0).

სასჯელის მოხდის (პატიმრობის დასრულების) შემდეგ/პრობაციაში ყოფნის პერიოდში უფლებების დარღვევების მხრივ 2012 წლამდე და 2012 წლის შემდეგ გასამართლებულ მსჯავრდებულთა შეფასებებზე დაყრდნობით, თვალსაჩინო დიფერენცირება არ იკვეთება (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=44.337, p=0). (იხ. ცხრილი №4.3)

ცხრილი №4.3

რომელი უფლებები ირღვევა ყველაზე მეტად (2012 წლამდე – 2012 წლის შემდგომ გასამართლებული ყოფილი მსჯავრდებულები)	სასჯელის მოხდის (პატიმრობის) პერიოდში		პირობითი მსჯავრის მოხდის პერიოდში		სასჯელის მოხდის (პატიმრობის დასრულების) შემდეგ/პრობაციაში ყოფნის პერიოდში	
	გასამართლდა 2012 წლამდე (N=62)	გასამართლდა 2012 წლის შემდეგ (N=120)	გასამართლდა 2012 წლამდე (N=61)	გასამართლდა 2012 წლის შემდეგ 9N=118)	გასამართლდა 2012 წლამდე (N=61)	გასამართლდა 2012 წლის შემდეგ 9N=118)
სამედიცინო სერვისების მიღება	12,5%	9,6%	1,3%	2,9%	1,5%	3,0%
პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა	5,1%	4,8%	10,0%	11,4%	10,3%	10,4%
ციხეში ცხოვრების ღირსეული პირობები	22,8%	21,1%	1,3%	-	4,4%	1,5%
საგანმანათლებლო სერვისების მიღება	2,9%	3,3%	5,0%	-	-	,7%
ფიზიკური უსაფრთხოება მსჯავრდებულებისგან	12,5%	13,9%	6,3%	1,4%	2,9%	,7%
ფიზიკური უსაფრთხოება ციხის თანამშრომლებისგან	14,7%	15,3%	6,3%	7,9%	1,5%	1,5%
საჩივრები/თხოვნები	4,4%	2,9%	7,5%	2,1%	2,9%	1,5%
ადვოკატზე ხელმისაწვდომობა	7,4%	1,4%	3,8%	,7%		
თავისუფალი გადაადგილების უფლება პოლიციის კონტროლის გარეშე	2,9%	4,8%	27,5%	40,0%	38,2%	37,3%
არაფერი	,7%	1,4%	1,3%	2,9%	1,5%	2,2%
უარი პასუხზე/მიჭირს პასუხის გაცემა	14,0%	21,5%	30,0%	30,7%	36,8%	41,0%

4.2. საქართველოში არსებული ნარკოპოლიტიკის შეფასება

რესპონდენტებმა დააფიქსირეს თავიანთი პოზიცია **საქართველოში არსებული ნარკოპოლიტიკის სხვადასხვა ასპექტთან მიმართებით.** როგორც აღმოჩნდა, ამჟამინდელ მსჯავრდებულთა ოჯახის წევრები, ყოფილ მსჯავრდებულებთან შედარებით, უფრო მეტად ეთანხმებიან მოსაზრებას, რომ საქართველოში **არსებული ნარკოპოლიტიკა ნარკომომხმარებლების დასჯაზეა ორიენტირებული.** კონკრეტულად, ნარკოდანამნაშავეთა 57.3% და მსჯავრდებულთა ოჯახის წევრების 75.2% აფიქსირებს ამ პოზიციას. ამავდროულად, მაღალია ოჯახის წევრების (59.2%) და ყოფილ მსჯავრდებულთა (52.4%) წილი, ვინც არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ არსებული ნარკოპოლიტიკა ნარკოდანაშაულის შემცირებაზეა ორიენტირებული.

ყოფილ მსჯავრდებულთა თითქმის ნახევარი (48.65) ამბობს, რომ ნარკომომხმარებლები უზრუნველყოფილნი არიან მკურნალობით/მომსახურებით. როგორც ჩანს, რესპონდენტები აქ მოიაზრებენ სახელმწიფო ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამებს, რომლებიც საქართველოს მასშტაბით ფუნქციონირებს. მიუხედავად ამისა, 35.1% ამ დებულებას არ ეთანხმება. აღსანიშნავია, რომ ოჯახის წევრების უფრო დიდ ნაწილი ასეთი სერვისების არსებობას უარყოფს (38.4%). თუმცა, ამავე დროს მაღალია ოჯახის წევრთა წილი, ვისაც უჭირს პასუხის დაფიქსირება (27.2%).

როგორც ყოფილ მსჯავრდებულთა (61.4%), ასევე ოჯახის წევრთა (57.6%) უმეტესობა თვლის, რომ საზოგადოება საკმარისად არ არის ინფორმირებული ნარკოტიკების დამზადებასთან/ მოხმარებასთან/ გასაღებასთან დაკავშირებულ რისკები/ სასჯელების შესახებ. ამავდროულად, ყოფილ მსჯავრდებულთა (54.9%) და ოჯახის წევრთა (70.4%) უმეტესობა ეთანხმება მოსაზრებას, რომ ნარკომოხმარებასთან დაკავშირებული საკითხები უნდა ისწავლებოდეს სკოლებში. (იხ. ცხრილი №4.4)

ცხრილი №4.4

რამდენად ეთანხმებით მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ…	რესპონდენტები	სრულიად არ ვეთანხმები	უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე კი	უფრო ვეთანხმები, ვიდრე არა	სრულიად ვეთანხმები	მიჭირს პასუხის გაცემა / უარი პასუხზე
არსებული ნარკოპოლიტიკა ნარკომომხმარებლის დასჯაზეა ორიენტირებული	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	9.7%	22.2%	41.6%	15.7%	10.8%
	ოჯახის წევრები (N=175)	4,0%	14,4%	53,6%	21,6%	6,4%
არსებული ნარკოპოლიტიკა ნარკოდანაშაულის შემცირებაზეა ორენტირებული	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	11.9%	40.5%	28.6%	7.0%	11.9%
	ოჯახის წევრები (N=175)	15,2%	44,0%	15,2%	16,0%	9,6%
ნარმომხმარებლები უზრუნველყოფილნი არიან მკურნალობით/ მომსახურებით	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	15.7%	33.0%	22.7%	12.4%	16.2%
	ოჯახის წევრები (N=175)	6,4%	32,0%	25,6%	8,8%	27,2%
საზოგადოება საკმარისად ინფორმირებულია ნარკოტიკების დამზადებასთან/ მოხმარებასთან/ გასაღებასთან დაკავშირებულ რისკებზე/ სასჯელებზე	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	13.6%	47.8%	26.6%	6.0%	6.0%
	ოჯახის წევრები (N=175)	14,4%	43,2%	23,2%	8,0%	11,2%
ნარკომოხმარებასთან დაკავშირებული საკითხები უნდა ისწავლებოდეს სკოლებში	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	10.3%	15.8%	40.2%	14.7%	19.0%
	ოჯახის წევრები (N=175)	4,0%	6,4%	41,6%	28,8%	19,2%

რესპონდენტებმა ასევე დააფიქსირეს საკუთარი მოსაზრებები **ნარკოტესტირების სამართლებრივი და სოციალური მხარეების შესახებ.** როგორც წარსულში ნარკოდანაშაულისთვის გასამართლებული პირების (88.6%), ასევე ამჟამინდელი პატიმრების ოჯახის წევრების (76%) უმრავლესობა თვლის, რომ იძულებითი ნარკოლოგიური შემოწმება არღვევს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას. ამავდროულად, როგორც ყოფილი მსჯავრდებულების (82.7%), ასევე ამჟამინდელი პატიმრების ოჯახის წევრების (62.4%) უმეტესობის მოსაზრებით, ნარკოტესტირება ხშირად ტარდება შესაბამისი მტკიცებულებების არსებობის გარეშე. ოჯახის წევრების მნიშვნელოვანი წილი ამბობს (30.4%), რომ უჭირს პასუხის დაფიქსირება. აღსანიშნავია, რომ კვლავ უმრავლესობას წარმოადგენს ყოფილ მსჯავრდებულთა (82.2%) და ამჟამინდელ მსჯავრდებულთა (67.2) წილი, ვინც ფიქრობს, რომ ნარკოტესტირება საქართველოში ატარებს პოლიციური კონტროლის სახეს. წარსულში ნარკოდანაშაულისათვის გასამართლებულ პირთა 61.6% და ამჟამინდელ მსჯავრდებულთა ოჯახის წევრების 42.4% ფიქრობს, რომ ზოგი ნარკოტესტი შეცდომით აჩვენებს დადებით შედეგს და არ ხდება მისი გადამოწმება. ამავდროულად, ამ დებულებასთან მიმართებით, ყოფილ მსჯავრდებულთა მეოთხედზე მეტს (26.5%) და ოჯახის წევრთა ნახევარზე მეტს (52.8%) უჭირს პასუხის დაფიქსირება. როგორც წარსულში გასამართლებულ (83.2%), ასევე ამჟამინდელი პატიმრების მშობელთა (69.6%) უმრავლესობა ეთანხმება მოსაზრებას, რომ ნარკოტესტირებით ხშირად ხდება ნარკომომხმარებელთა და ნარკოდამოკიდებულთა გაიგივება. [14]

ამრიგად, როგორც მონაცემები აჩვენებს, **ორივე სამიზნე ჯგუფის რესპონდენტები ნარკოტესტირების საქართველოში არსებულ პრაქტიკას ადამიანის უფლებათა დარღვევებს უკავშირებენ და არ მიიჩნევენ ეფექტიანი ნარკოპოლიტიკის ინსტრუმენტად** (იხ. ცხრილი №4.5)

14 ფსიქოაქტიური საშუალებების რეკრეაციული მოხმარება-ფსიქოაქტიური საშუალებების მოხმარება, ჩვეულებრივ, არალეგალურად, საღამოებზე ან დასვენებასთან დაკავშირებულ სხვა სიტუაციებში, რომლებიც არ გულისხმობს დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, ან სხვა პრობლემების განვითარების საშიშროებას. აღნიშნული ტერმინის გამოყენება არ არის გამართლებული იმ პირების მიმართ, რომლებიც ფსიქოაქტიური ნივთიერებების არალეგალური მოხმარების ყველა ფორმას განიხილავენ, როგორც პრობლემას.(საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა)

ცხრილი №4.5

რამდენად ეთანხმებით ქვემოთ ჩამოთვლილ მოსაზრებებს	რესპონდენტები	სრულიად ვეთანხმები	უფრო ვეთანხმები, ვიდრე არა	უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე კი	სრულიად არ ვეთანხმები	მიჭირს პასუხის გაცემა / უარი პასუხზე
იძულებითი ნარკოლოგიური შემოწმება არღვევს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	67,6%	21,1%	6,5%	1,6%	3,2%
	ოჯახის წევრები (N=175)	42,4%	33,6%	10,4%	1,6%	12,0%
ნარკოტესტირება ხშირად ხდება შესაბამისი მტკიცებულებების არსებობის გარეშე	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	56,8%	25,9%	7,0%	3,8%	6,5%
	ოჯახის წევრები (N=175)	30,4%	32,0%	4,0%	3,2%	30,4%
ნარკოტესტირება საქართველოში ატარებს პოლიციური კონტროლის სახეს	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	51,4%	30,8%	7,0%	6,5%	4,3%
	ოჯახის წევრები (N=175)	40,8%	26,4%	12,0%	,8%	20,0%
ზოგი ნარკოტესტი შეცდომით აჩვენებს დადებით შედეგს და არ ხდება მისი გადამოწმება	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	34,6%	27,0%	8,1%	3,8%	26,5%
	ოჯახის წევრები (N=175)	28,0	14,4%	3,2%	1,6%	52.8%
ნარკოტესტირებით ხშირად ხდება ნარკომომხმარებელთა და ნარკოდამოკიდებულთა გაიგივება	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	49,2%	34,1%	3,8%	2,7%	10,3%
	ოჯახის წევრები (N=175)	36,8%	32,8%	3,2%	1,6%	25.6%

რესპოდენტებმა საკუთარი პოზიცია დააფიქსირეს **ნარკომოხმარების შემცირების/ პრევენციისათვის გასატარებელი აქტივობების შესახებ.** მათი უმრავლესობა (ყოფილ მსჯავრდებულთა 88.1% და ოჯახის წევრთა 88.2%) ფიქრობს, რომ სახელმწიფომ უნდა შექმნას არა ნარკოტიკული საშუალებების აკრძალვებზე და დასჯის შიშზე ორიენტირებული გარემო, არამედ ისეთი, სადაც ინდივიდს ექნება ინფორმირებული არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა. ამასთანავე, გამოკითხულთა უმრავლესობის მოსაზრებით (ყოფილ მსჯავრდებულთა 88.5% და ოჯახის წევრთა 79.2%), სახელმწიფომ უნდა შეცვალოს არსებული ნარკოპოლიტიკა და დასჯაზე ორიენტირებული მიდგომა ზრუნვაზე ორიენტირებული მიდგომით ჩაანაცვლოს. აღსანიშნავია, რომ ყოფილ მსჯავრდებულთა შორის მაღალია იმ რესპონდენტთა წილი, ვინც ფიქრობს, რომ სახელმწიფომ უნდა დაუშვას ზოგიერთი მსუბუქი ნარკოტიკის (მაგ., მარიხუანის) ლეგალიზაცია/თავისუფალი მოხმარება (75.3%). ამჟამინდელი პატიმრების ოჯახის წევრების შემთხვევაში გაცილებით ნაკლებია მათი წილი, ვინც ამ მოსაზრებას ეთანხმება (23.2%). ყოფილ მსჯავრდებულთა 69.4% და ოჯახის წევრთა 64% ეთანხმება მოსაზრებას, რომ ნარკოტიკების გასაღებაზე/გაყიდვაზე კანონმდებლობა უნდა გამკაცრდეს. ხარისხობრივი კვლევის ანგარიშის თანახმად, რესპონდენტები მიუთითებენ ნარკოლეარიზატორების არაკეთილსინდისიერებაზე, იმდენად, რამდენადაც ისინი ნარკოტიკულ საშულებებში ამატებენ სხვადასხვა ტიპის ნივთიერებას, რაც ჯანმრთელობისთვის ძალზე საზიანოა და, გარკვეულ შემთხვევებში, ნარკომომხმარებლის სიკვდილიც კი გამოუწვევია. ყოფილ მსჯავრდებულთა უმეტესობა (65.6%) ეთანხმება, რომ სახელმწიფომ უნდა დაუშვას ნარკოტიკული საშუალებების წარმოება სამედიცინო მიზნით. ამ მოსაზრებას ოჯახის წევრთა შედარებით მცირე წილი, 35.2%, ეთანხმება.

შეიძლება ითქვას, **რომ ორივე სამიზნე ჯგუფის რესპონდენტები, ზოგადად, არ ეთანხმებიან ხისტ ნარკოპოლიტიკას და მის ჰუმანიზაციას მოითხოვენ. თუმცა, მათი პოზიციები რადიკალურად განსხვავდება მსუბუქი ნარკოტიკების ლეგალიზაციასთან დაკავშირებით: ყოფილი ნარკოდამნაშავეები ამას ემხრობიან, ხოლო ოჯახის წევრები – არა. ყოფილი მსჯავრდებულების მიმღებლობა გაცილებით მაღალია სამედიცინო მიზნით ნარკოტიკების წარმოების მიმართაც** (იხ. ცხრილი №4.6):

ცხრილი №4.6

სახელმწიფომ უნდა გადადგას თუ არა შემდეგი ნაბიჯები ნარკოდანაშაულის პრევენციისთვის / შესამცირებლად?		დიახ	არა	მიჭირს პასუხის გაცემა / უარი პასუხზე
სახელმწიფომ უნდა შექმნას არა ნარკოტიკული საშუალებების აკრძალვებზე და დასჯის შიშზე ორიენტირებული გარემო, არამედ ისეთი, სადაც ინდივიდს ექნება ინფორმირებული არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	88.1%	7.0%	4.9%
	ოჯახის წევრები (N=175)	83,2%	8,8%	8,0%
სახელმწიფომ უნდა შეცვალოს არსებული ნარკოპოლიტიკა და დასჯაზე ორიენტირებული მიდგომა ზრუნვაზე ორიენტირებული მიდგომით ჩაანაცვლოს	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	88.5%	7.7%	3.8%
	ოჯახის წევრები (N=175)	79,2%	10,4%	10,4%
სახელმწიფომ უნდა დაუშვას ზოგიერთი მსუბუქი ნარკოტიკის (მაგ., მარიხუანის) ლეგალიზაცია/ თავისუფალი მოხმარება	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	75.3%	18.1%	6.6%
	ოჯახის წევრები (N=175)	23,2%	68,8%	8,0%
ნარკოტიკების გასაღებაზე/ გაყიდვაზე კანონმდებლობა უნდა გამკაცრდეს	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	69.4%	16.4%	14.2%
	ოჯახის წევრები (N=175)	64,0%	24,0%	12,0%
სახელმწიფომ უნდა დაუშვას ნარკოტიკული საშუალებების წარმოება სამედიცინო მიზნით	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	65,6%	10,4%	24,0%
	ოჯახის წევრები (N=175)	35,2%	38,4%	26.4%

4.3. სასჯელი სხვადასხვა ნარკოდანაშაულისთვის

რესპონდენტებმა დაასახელეს, **თუ რა ტიპის სასჯელს უნდა ითვალისწინებდეს საქართველოს კანონმდებლობა სხვადასხვა ნარკოდანაშაულისათვის.**

როგორც აღმოჩნდა, ნარკოდანაშაულისთვის გასამართლებულ ყოფილ მსჯავრდებულთა ნახევარი (50.8%) და ოჯახის წევრთა 69.6% თვლის, რომ ნარკოსაშუალების დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა, გასაღება თავისუფლების აღკვეთით უნდა ისჯებოდეს. ასევე, ყოფილ მსჯავრდებულთა უფრო დიდი ნაწილის (45.9%), ხოლო ოჯახის წევრთა 70.4%-ის მოსაზრებით, თავისუფლების აღკვეთით უნდა ისჯებოდეს ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება. საინტერესოა, რომ სამიზნე ჯგუფების დამოკიდებულება განსხვავებულია ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა, მოყვანა ან კულტივირებაზე საუბრისას. ყოფილ მსჯავრდებულთა 33% თვლის, რომ ადამიანი ამ შემთხვევაში საერთოდ არ უნდა ისჯებოდეს. ხოლო 22.7% ამბობს, რომ სასჯელი უნდა შემოიფარგლოს ჯარიმით. ამის საპირისპიროდ, ოჯახის წევრთა 38.4% ფიქრობს, რომ ამ შემთხვევაშიც სასჯელი უნდა იყოს თავისუფლების აღკვეთა. 23.2% არის ისეთი, ვინც ჯარიმას ემხრობა.

რაც შეეხება ნარკოტიკული საშუალების უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარებას, ნარკოდანაშაულისთვის გასამართლებულ პირთა მოსაზრებები რამდენიმე პოზიციაზე გადანაწილდა: 23.2% თვლის, რომ აღნიშნული თავისუფლების აღკვეთით უნდა დაისაჯოს. 17.8% ამბობს, რომ ამ შემთხვევაში სასჯელი უნდა შემოიფარგლოს ჯარიმით. ხოლო 16.8%-ის მოსაზრებით საერთოდ არ უნდა ისჯებოდეს. ოჯახის წევრთა უმეტესობა (51.2%) თვლის, რომ აღნიშნული ქმედებისათვის დამნაშავე თავისუფლების აღკვეთით უნდა დაისაჯოს.

როდესაც საუბარია მცენარე კანაფის ან მარიხუანის უკანონო შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან/და გასაღებაზე, ყოფილ მსჯავრდებულთა მეოთხედზე მეტი (28.1%) ამბობს, რომ ეს საერთოდ არ უნდა ისჯებოდეს. მეხუთედი (21.6%) თვლის, რომ ეს ქმედება ჯარიმით უნდა ისჯებოდეს. ხოლო 15.7% ემხრობა თავისუფლების აღკვეთით დასჯას. ოჯახის წევრების პოზიცია, ტრადიციულად, უფრო ხისტია: მესამედზე მეტი (35.2%) ემხრობა თავისუფლების აღკვეთით დასჯას. თითქმის მეხუთედი (19.2%) ამბობს, რომ აღნიშნული ქმედებისათვის სასჯელი უნდა განისაზღვროს ჯარიმით.

როდესაც განიხილება ნარკოტიკული საშუალებების (მარიხუანის გარდა) მოხმარების საკითხი, ყოფილი მსჯავრდებულები მეტწილად რჩებიან პოზიციაზე, რომ ეს ქმედებები არ უნდა იყოს დასჯადი. კონკრეტულად, ნახევარზე მეტი (51.4%) თვლის, რომ ნარკოტიკული საშუალების (მარიხუანის გარდა) მოხმარება დასჯადი არ უნდა იყოს. ამავე პოზიციაზეა 50.8%, როდესაც საუბარია ნარკოტიკული საშუალების (მარიხუანის გარდა) მოხმარების მიზნით შეძენა/შენახვაზე. პოზიცია განსაკუთრებით მყარდება, როდესაც საქმე ეხება მარიხუანის მოხმარებას. 77.8% არის მათი წილი, ვინც ფიქრობს, რომ მარიხუანის მოხმარება დასჯადი არ უნდა იყოს. ამასთანავე 74.6% თვლის, რომ მოხმარების მიზნით მარიხუანის შეძენა/შენახვა არ უნდა ისჯებოდეს. ამჟამინდელი პატიმრების ოჯახის წევრების შემთხვევაში, პასუხები შედარებით გაფანტულია და ამასთანავე, ნაკლებია იმ რესპონდენტთა წილი, ვინც მოხმარებასა და შენახვაზე ამბობს, რომ ეს დანაშაული არ არის. 18.4% არის ისეთი, ვინც თვლის, რომ ნარკოტიკული საშუალების (მარიხუანის გარდა) მოხმარება თავისუფლების აღკვეთით უნდა ისჯებოდეს. ამდენივე (18.4%) ამბობს, რომ ეს ქმედება საერთოდ არ უნდა ისჯებოდეს. 20.8% თვლის, რომ ნარკოტიკული საშუალების (მარიხუანის გარდა) შეძენა/შენახვა მოხმარების მიზნით თავისუფლების აღკვეთით უნდა ისჯებოდეს. როდესაც საქმე ეხება მარიხუანას, ოჯახის წევრთა მხოლოდ 29.6% თვლის, რომ მისი მოხმარება არ უნდა იყოს დასჯადი. მოხმარების მიზნით შეძენა/შენახვასთან მიმართებით ამავე პოზიციაზეა ოჯახის წევრთა 28%.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ამჟამინდელ მსჯავრდებულთა ოჯახის წევრები გაცილებით უფრო მეტად ემხრობიან სხვადასხვა ტიპის ნარკოდანაშაულისთვის მკაცრი სასჯელის – თავისუფლების აღკვეთის, არსებობას, ვიდრე ყოფილი მსჯავრდებულები. ოჯახის წევრების ძირითადი ნაწილი თვით მარიხუანის მოხმარებისთვისაც ემხრობა სამართლებრივ პასუხისმგებლობას, თავისუფლების აღკვეთის ჩათვლით (იხ. ცხრილი №4.7)

ცხრილი №4.7

ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული ნარკოდანაშაულისთვის რა ტიპის სასჯელს უნდა ითვალისწინებდეს საქართველოს კანონმდებლობა?		თავისუფლების აღკვეთას	ჯარიმას	გამასწორებელი სამუშაო	საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომას	არ უნდა ისჯებოდეს საერთოდ	მიჭირს პასუხის გაცემა / უარი პასუხზე
ნარკოსაშუალების დამზადება/ წარმოება/შეძენა/ შენახვა/გადაზიდვა/ გადაგზავნა/გასაღება	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	50.8%	8.6%	2.2%	3.2%	6.5%	28.6%
	ოჯახის წევრები (N=175)	69,6%	2,4%	,8%	1,6%	,8%	24,8%
ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	45.9%	10.3%	3.8%	4.3%	8.1%	27.6%
	ოჯახის წევრები (N=175)	70,4%	4,0%	1,6%	-	,8%	23,2%
ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა, მოყვანა ან კულტივირება	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	14.1%	22.7%	4.3%	4.3%	33.0%	21.6%
	ოჯახის წევრები (N=175)	38,4%	23,2%	3,2%	4,0%	4,0%	27,2%
ნარკოტიკული საშუალების უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარება	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	23.2%	17.8%	5.9%	4.3%	16.8%	31.9%
	ოჯახის წევრები (N=175)	51,2%	12,8%	4,0%	,8%	2,4%	28,8%
მცენარე კანაფის ან მარიხუანის უკანონო შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან/და გასაღება	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	15.7%	21.6%	7.6%	5.4%	28.1%	21.6%
	ოჯახის წევრები (N=175)	35,2%	19,2%	8,0%	2,4%	4,8%	30,4%

ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული ნარკოდანაშაულისთვის რა ტიპის სასჯელს უნდა ითვალისწინებდეს საქართველოს კანონმდებლობა?		თავისუფლების აღკვეთას	ჯარიმას	გამასწორებელი სამუშაო	საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომას	არ უნდა ისჯებოდეს საერთოდ	მიჯერს პასუხის გაცემა / უარი პასუხზე
ნარკოტიკული საშუალების (მარიხუანის გარდა) მოხმარება	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	7.0%	4.9%	11.4%	2.2%	51.4%	23.2%
	ოჯახის წევრები (N=175)	18,4%	8,8%	12,8%	9,6%	18,4%	32,0%
ნარკოტიკული საშუალების (მარიხუანის გარდა) შეძენა/შენახვა მოხმარების მიზნით	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	5.9%	10.3%	7.0%	3.8%	50.8%	22.2%
	ოჯახის წევრები (N=175)	20,8%	8,0%	12,8%	5,6%	18,4%	34,4%
მარიხუანის მოხმარება	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	2.7%	7.6%	1.1%	1.6%	77.8%	9.2%
	ოჯახის წევრები (N=175)	10,4%	14,4%	10,4%	11,2%	29,6%	24,0%
მარიხუანის შეძენა/ შენახვა მოხმარების მიზნით	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=185)	2.7%	8.1%	1.6%	1.1%	74.6%	11.9%
	ოჯახის წევრები (N=175)	10,4%	19,2%	7,2%	10,4%	28,0%	24,8%

სამიზნე ჯგუფებმა განსაზღვრეს სხვადასხვა ტიპის ნარკოდანაშაულისთვის სასჯელის ამა თუ იმ ფორმის ზომა:

1. რესპონდენტებმა, ვინც თვლის, რომ **ნარკოსაშუალების დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა, გასაღებისათვის** დამნაშავეს უნდა შეეფარდოს **თავისუფლების აღკვეთა,** დაასახელეს თავისუფლების აღკვეთის ვადები. წარსულში ნარკოდანაშაულისათვის გასამართლებულ პირებს (N=94) შორის 18.1% არის ისეთი, ვინც თვლის, რომ სასჯელი უნდა განისაზღვროს 1-დან 2 წლამდე ვადით. 13.3%-ის თანახმად, ეს ვადა უნდა შეადგენდეს 4-დან 5 წლამდე პერიოდს. ხოლო, 12.2% ამბობს, რომ პროპორციულ ვადას წარმოადგენს 5-დან 6 წლამდე

პერიოდი. ამჟამინდელ მსჯავრდებულთა ოჯახის წევრები (N=122) უფრო მეტ სიმკაცრეს იჩენენ: 17.2%-ის მოსაზრებით, აღნიშნული ნარკოდანაშაულისათვის სამართლიანია თავისუფლების აღკვეთა 3-დან 4 წლამდე. 14.9% არის ისეთი, ვინც ფიქრობს, რომ 5-დან 6 წლამდე პერიოდი არის შესაბამისი სასჯელი (იხ. ცხრილი №4.8):

ცხრილი №4.8

თავისუფლების აღკვეთა – წლის ვადით	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=94)	ოჯახის წევრები (N=122)
1-დან 2 წლამდე	6,4%	8%
2-დან 3 წლამდე	18,1%	9,2%
3-დან 4 წლამდე	11,7%	17,2%
4-დან 5 წლამდე	13,3%	12,6%
5-დან 6 წლამდე	12,2%	14,9%
6 დან 7 წლამდე	3,3%	6,9%
7 დან 8 წლამდე	2,1%	1,1%
8 დან 9 წლამდე	1,1%	-
9დან 10 წლამდე	-	-
10 და მეტი	10,6%	10,5%
მიჭირს პასუხის გაცემა	20,2%	19,5%

ვინც თვლის, რომ ნარკოსაშუალების დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა, გასაღებისათვის დამნაშავეს უნდა **მიესაჯოს ჯარიმა,** კონკრეტული ოდენობები დაასახელა: წარსულში ნარკოდანაშაულისათვის გასამართლებულ პირთა 18.8%-ის (N=3) მოსაზრებით, ეს უნდა იყოს 500 ლარი. 12.5% (N=2) ფიქრობს, რომ ჯარიმამ უნდა შეადგინოს 5000 ლარი. იგივე წილი (12.5%, N=2) ამბობს, რომ ჯარიმა 1000 ლარით უნდა განისაზღვროს. ოჯახის წევრებს შორის, აღნიშნული დანაშაულისათვის 1 რესპონდენტი 1000 ლარს ასახელებს (იხ. ცხრილი №4.9):

ცხრილი №4.9

ჯარიმა – ლარის ოდენობით	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=16)	ოჯახის წევრები (N=4)
400	6,3% (1 რესპ)	-
500	18,8% (3 რესპ)	-
1000	12,5% (2 რესპ)	-
2000	6,3% (1 რესპ)	-
5000	12,5% (2 რესპ)	-
10000	-	33,3% (1 რესპ.)
მიჭირს პასუხის გაცემა	43,8% (7 რესპ)	66,7% (3 რესპ.)

გამოსასწორებელი შრომის ვადებზე საუბრისას, როგორც ყოფილი მსჯავრდებულები (N=4), ასევე ამჟამინდელი პატიმრის ოჯახის წევრი (N=1), გონივრულ ვადად ასახელებენ 2 წელს. რაც შეეხება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას, წარსულში გასამართლებულ პირთაგან 4 ასახელებს 2 წელს, როგორც პროპორციულ სასჯელს. ერთი ამბობს, რომ სამართლიანი იქნებოდა 3 წლის ვადის განსაზღვრა. ხოლო ერთი ზუსტ პერიოდს არ ასახელებს. ოჯახის წევრებს შორის ყველა (N=3), ვინც სასჯელის ასეთი ალტერნატივა აირჩია, ამბობს, რომ სამართლიანი იქნებოდა იგი დაწესდეს 3 წლის ვადით.

2. რესპონდენტებს, ვინც ამბობს, რომ **ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება თავისუფლების აღკვეთით** უნდა ისჯებოდეს, ეთხოვათ დაესახელებინათ სასჯელის მოცულობა. წარსულში ნარკოდანაშაულისათვის გასამართლებულ პირებს შორის 15,3% ემხრობა 2-დან 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას. 14.2% არის ისეთი, ვინც ფიქრობს, რომ სასჯელი უნდა დაწესდეს 10 წლით ან მეტი ვადით. 14% ფიქრობს, რომ სასჯელი 4-დან 5 წლამდე პერიოდს უნდა მოიცავდეს. ოჯახის წევრების მეხუთედზე მეტი (22.8%) თვლის, რომ პროპორციულ სასჯელს წარმოადგენს თავისუფლების აღკვეთა 5-დან 6 წლამდე ვადით. 14.4% ამბობს, რომ სამართლიანი ვადაა 4-დან 5 წლამდე პერიოდი (იხ. ცხრილი №4.10):

ცხრილი №4.10

თავისუფლების აღკვეთა – წლის ვადით	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=85)	ოჯახის წევრები (N=123)
1-დან 2 წლამდე	5,9%	12,5%
2-დან 3 წლამდე	15,3%	10,2%
3-დან 4 წლამდე	10,6%	12,5%
4-დან 5 წლამდე	14,0%	14,4%
5-დან 6 წლამდე	12,9%	22,8%
6 დან 7 წლამდე	2,4%	3,5%
7 დან 8 წლამდე	3,5%	1,1%
8 დან 9 წლამდე	2,4%	-
9დან 10 წლამდე	-	-
10 და მეტი	14,2%	8%
მიჭირს პასუხის გაცემა	18,8%	14,8%

რესპონდენტებს, ვინც ამბობს, რომ ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება **ჯარიმით** უნდა ისჯებოდეს, ეთხოვათ დაეზუსტებინათ ოდენობები ლარში. წარსულში ნარკოდანაშაულისათვის გასამართლებულ პირებს შორის მეხუთედზე მეტი (21.1%) თვლის, რომ ჯარიმის ოდენობა უნდა იყოს 1000 ლარი. იგივე წილი (21.1%) ფიქრობს, რომ ჯარიმის ოდენობა უნდა შეადგენდეს 2000 ლარს. ამჟამინდელ მსჯავრდებულთა ოჯახის წევრების პასუხები თანაბრად ნაწილდება რამდენიმე პასუხს შორის. ჯარიმის ოდენობები მერყეობს 1000-50000 ლარს შორის (იხ. ცხრილი №4.11):

ცხრილი №4.11

ჯარიმა – ლარის ოდენობით	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=19)	ოჯახის წევრები (N=5)
500	15,8% (3 რესპ)	-
1000	21,1% (4 რესპ)	20,0% (1 რესპ)
2000	21,1% (4 რესპ)	-
3000	-	20,0% (1 რესპ)
5000	10,5% (2 რესპ)	20,0% (1 რესპ)
10000	-	-
20000	5,3%(1 რესპ)	-
50000	-	20,0% (1 რესპ)
მიჭირს პასუხის გცემა	26,3% (5 რესპ)	20,0% (1 რესპ)

მათ, ვინც ამბობს, რომ ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღებისთვის **გამოსასწორებელი სამუშაო** უნდა წესდებოდეს (7 ყოფილი მსჯავრდებული, 3 ოჯახის წევრი), ამისათვის კონკრეტული ვადები დაასახელეს. ყოფილ მსჯავრდებულებს შორის სამი თვლის, რომ ამ დანაშაულისათვის პროპორციული სასჯელი იქნებოდა 2 წელი. ორი ასახელებს გამოსასწორებელი სამუშაოს ვადას 3 წლის პერიოდით. ასევე ორი ასახელებს, რომ პროპორციული ვადა იქნებოდა 5 წელი. ოჯახის წევრებს შორის, ვინც აღნიშნული სასჯელი მიიჩნია დანაშაულის პროპორციულად, ყველა (N=3) ამბობს, რომ იგი უნდა დადგინდეს 2 წლის ვადით.

ამ ტიპის დანაშაულთან მიმართებით, რესპონდენტებმა ასევე ისაუბრეს **საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ტიპის** ალტერნატიულ სასჯელზე (8 ყოფილი მსჯავრდებული). ყოფილ მსჯავრდებულებს შორის, ვინც ეს სასჯელის ტიპი დაასახელა, 5 ფიქრობს, რომ იგი 3 დღის ვადით უნდა დაწესდეს. მეოთხედი (N=2) თვლის, რომ გონივრული ვადაა 1 დღე. ერთს უჭირს პასუხის გაცემა. ოჯახის წევრების მიერ საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა არ დასახელებულა, როგორც სასჯელის ფორმა.

3. მათ, ვინც დააფიქსირა, რომ **ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა, მოყვანა ან კულტივირებისთვის** პირები უნდა ისჯებოდნენ **თავისუფლების აღკვეთით,** დაასახელა კონკრეტული ვადებიც. წარსულში ნარკოდანაშაულისათვის გასამართლებულ პირებს შორის უფრო დიდი ნაწილი – 22.8%, თვლის, რომ შესაბამისი პერიოდი ამისათვის არის 5-დან 6 წლამდე. სხვათა მიერ დასახელებული წლები ძირითადად თავსდება 5 წლამდე პერიოდში. ამჟამინდელ მსჯავრდებულთა ოჯახის წევრების მეოთხედზე მეტის (27,1) მოსაზრებით 3-დან 4 წლამდე ვადა იქნებოდა გონიერი ვადა თავისუფლების აღკვეთისათვის. თითქმის მეხუთედს (18.8%) პროპორციულ ვადად მიაჩნია 2-დან 3 წლამდე პერიოდი (იხ. ცხრილი №4.12):

ცხრილი №4.12

თავისუფლების აღკვეთა – წლის ვადით	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=26)	ოჯახის წევრები (N=67)
1-დან 2 წლამდე	12,5%	14,6%
2-დან 3 წლამდე	10,2%	18,8%
3-დან 4 წლამდე	12,5%	27,1%
4-დან 5 წლამდე	14,4%	8,3%
5-დან 6 წლამდე	22,8%	4,2%
6 დან 7 წლამდე	3,5%	2,1%
7 დან 8 წლამდე	1,1%	-
8 დან 9 წლამდე	-	4,2%
10 და მეტი	8%	6,3%
მიჭირს პასუხის გაცემა	14,8%	14,6%

რესპონდენტებმა, ვინც დააფიქსირა, რომ ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა, მოყვანა ან კულტივირება **ჯარიმით** უნდა ისჯებოდეს, დაასახელეს კონკრეტული თანხებიც. წარსულში ნარკოდანაშაულისათვის გასამართლებულ პირთა მხრიდან 14.3%-ის წილით დასახელდა 50-300 ლარის ჯარიმის ოდენობა. თითქმის მეოთხედი (23.8%) თვლის, რომ ჯარიმა უნდა შეადგენდეს 500 ლარს. 16.7% არის ისეთი, ვინც თვლის, რომ აღნიშნული დანაშაულისათვის 2000 ლარიანი ჯარიმა უნდა დაწესდეს. ოჯახის წევრების თითქმის მეოთხედი (24.1%) თვლის, რომ პროპორციულ ჯარიმას წარმოადგენს 1000 ლარი. ამასთანავე, თითქმის მეოთხედის (24.1%) მოსაზრებით, ჯარიმა უნდა განისაზღვროს 5000 ლარით (იხ. ცხრილი №4.13):

ცხრილი №4.13

ჯარიმა – ლარის ოდენობით	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=42)	ოჯახის წევრები (N=41)
50	2,4%	-
100	2,4%	-
200	7,1%	-
300	2,4%	-
500	23,8%	3,4%
1000	7,1%	24,1%
1500	-	6,9%
2000	16,7%	6,9%
3000	4,8%	3,4%
5000	14,3%	24,1%
10000	7,1%	3,4%
15000	-	3,4%
20000	-	3,4%
მიჭირს პასუხის გცემა	11,9%	20,7%

მათ, ვინც დაასახელა, რომ ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა, მოყვანა ან კულტივირება **ალტერნატიული სასჯელით** (8 ყოფილი მსჯავრდებული, 6 ოჯახის წევრი) – გამოსასწორებელი შრომით უნდა ისჯებოდეს, დაასახელეს ამისათვის განსაზღვრული ვადებიც. წარსულში ნარკოდანაშაულისათვის გასამართლებულ პირთა მეოთხედი (25%, N=2) თვლის, რომ ამ შემთხვევაში უნდა განისაზღვროს გამოსასწორებელი შრომა 1 წლით. ასევე, 25% (N=2) ფიქრობს, რომ გამოსასწორებელ სამუშაოს უნდა დაეთმოს 2 წელი. 3 წლის და 4 წლის ვადები თანაბარი წილით (12.5%-12.5%) (N=1, N=1) ფიქსირდება. ოჯახის წევრთა პასუხები ოთხ კატეგორიაში თანაბრად ნაწილდება (25%-25%)(N=1, N=1). შესაბამისად ოჯახის წევრების მიერ დასახელდა 1 წლის, 2 წლის, 3 წლისა და 4 წლის ვადები.

წარსულში ნარკოდანაშაულისათვის გასამართლებულმა პირებმა ასევე დაასახელეს **საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა,** როგორც სასჯელის ალტერნატიული ფორმა (8 ყოფილი მსჯავრდებული). მათი ნახევარი (N=4) თვლის, რომ ეს პერიოდი 2 დღის ვადით უნდა განისაზღვროს, ხოლო მეოთხედი(N=2) ამბობს, რომ შესაბამისი ვადა იქნებოდა 3 დღე. ოჯახის წევრები, რომელთაც სასჯელის ფორმად აირჩიეს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა (N=7), შესაბამის პერიოდად ასახელებენ 1 დღეს.

4. ყოფილ მსჯავრდებულებს შორის, ვინც **ნარკოტიკული საშუალების უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარებაზე** სასჯელის ფორმად დააფიქსირა **თავისუფლების აღკვეთა,** მეოთხედზე მეტი (27.9%) თვლის, რომ შესაბამისი პერიოდი არის 2-დან 3 წლამდე. თითქმის მეხუთედი (18.6%) ამბობს, რომ პროპორციულ სასჯელად მიაჩნია 1-დან 2 წლამდე პერიოდი. 14%-ის თანახმად, ამ ტიპის დანაშაულზე უნდა განისაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 5-დან 6 წლამდე ვადით. ოჯახის წევრების თითქმის მეხუთედი (18.8%) თვლის, რომ ამ დანაშაულისთვის პირი უნდა დაისაჯოს თავისუფლების აღკვეთით 3-დან 4 წლამდე ვადით. 4-დან 5 წლამდე ვადასა და 5-დან 6 წლამდე პერიოდს რესპონდენტების თანაბარი წილი – 12.5%-12.5% ემხრობა (იხ. ცხრილი №4.14):

ცხრილი №4.14

თავისუფლების აღკვეთა – წლის ვადით	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=43)	ოჯახის წევრები (N=90)
1-დან 2 წლამდე	18,6%	12,5%
2-დან 3 წლამდე	27,9%	10,9%
3-დან 4 წლამდე	11,6%	18,8%
4-დან 5 წლამდე	4,7%	12,5%
5-დან 6 წლამდე	14,0%	12,5%
6 დან 7 წლამდე	2,3%	4,7%
10 და მეტი	-	6,3%
მიჭირს პასუხის გაცემა	20,9%	21,9%

რესპონდენტებმა, რომლებმაც ნარკოტიკული საშუალების უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარებაზე სასჯელის ფორმად განსაზღვრეს **ჯარიმა,** ასევე დააფიქსირეს ჯარიმის კონკრეტული ოდენობები. წარსულში ნარკოდანაშაულისთვის გასამართლებულ პირთა თანაბარი წილი თვლის, რომ ჯარიმა უნდა განისაზღვროს 500 ლარით (15.2%), 1000 ლარით (15.2%) და 2000 ლარით (15.2%). ამჟამინდელი პატიმრების ოჯახის წევრთა მეოთხედი (25%) 5000 ლარის ოდენობის ჯარიმის დაწესებას ემხრობა. ამავდროულად, თითქმის მეხუთედი (18.8%) თვლის, რომ ჯარიმა უნდა შეადგენდეს 500 ლარს. (იხ. ცხრილი №4.15)

ცხრილი №4.15

ჯარიმა – ლარის ოდენობით	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=33)	ოჯახის წევრები (N=22)
50	6,1%	-
200	9,1%	12,5%
500	15,2%	18,8%
1000	15,2%	-
1500	-	12,5%
2000	15,2%	6,3%
3000	6,1%	6,3%
5000	-	25,0%
10000	6,1%	6,3%
20000	-	6,3%
მიჭირს პასუხის გაცემა	27,3%	6,3%

რესპონდენტთა ნაწილმა ნარკოტიკული საშუალების უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარებაზე სასჯელის ალტერნატიული ტიპი, **გამასწორებელი სამუშაო,** განსაზღვრა (11 ყოფილი მსჯავრდებული, 7 ოჯახის წევრი). წარსულში ნარკოდანაშაულისთვის გასამართლებულ პირთა უფრო დიდი ნაწილი (36.4%, N=4) თვლის, რომ აღნიშნული დანაშაულისათვის უნდა განისაზღვროს 5 წლით გამასწორებელი სამუშაო. 18.2%-18.2% (N=2,N=2) არიან ისეთებიც, ვინც 2 და 3 წელს განსაზღვრავს. ამჟამინდელ მსჯავრდებულთა ოჯახის წევრთა უფრო დიდი ნაწილი(40%N=3) თვლის, რომ პროპორციული იქნებოდა 2 წლიანი ალტერნატიული სასჯელის განსაზღვრა. 20% (N=1) ემხრობა 3 წლის ვადას. ხოლო 40% (N=3) ზუსტ პერიოდს არ ასახელებს.

რესპონდენტთა მიერ ასევე სახელდება ალტერნატიული სასჯელის მეორე ფორმა, **საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა** (8 ყოფილი მსჯავრდებული, 1 ოჯახის წევრი). ყოფილ მსჯავრდებულებს შორის, ვინც ეს ტიპი აირჩია, როგორც შესაბამისი სასჯელის ფორმა, უმრავლესობა (62.5%, N=5) ამბობს, რომ იგი უნდა განისაზღვროს 1 დღის ვადით. ოჯახის წევრი (N=1) ვინც სასჯელის ამ ფორმას ანიჭებს უპირატესობას, ემხრობა, რომ 3 დღის ვადა განისაზღვროს საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის პერიოდად.

5. იმ რესპონდენტებმა, ვინც **მცენარე კანაფის ან მარიხუანის უკანონო შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან/და გასაღების** შესაბამის სასჯელად მიიჩნიეს **თავისუფლების აღკვეთა,** კონკრეტული პერიოდების დაასახელეს. წარსულში ნარკოდანაშაულისათვის გასამართლებულ პირთა მეოთხედზე მეტი (27.6%, N=8) თვლის, რომ სასჯელი 1-დან 2 წლამდე პერიოდს უნდა შეადგენდეს. ხოლო მეხუთედი (N=6) თვლის, რომ სასჯელი 3-დან 4 წლამდე პერიოდს უნდა მოიცავდეს. ოჯახის წევრებს შორის 31% (N=19) ასახელებს 2-დან 3 წლამდე პერიოდით თავისუფლების აღკვეთას, როგორც აღნიშნული დანაშაულის პროპორციულ სასჯელს. დაახლოებით მეხუთედისთვის (20.5%, N=12) ასეთ ვადას 3-დან 4 წლამდე პერიოდი წარმოადგენს (იხ. ცხრილი №4.16).

ცხრილი №4.16

თავისუფლების აღკვეთა – წლის ვადით	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=29)	ოჯახის წევრები (N=62)
1-დან 2 წლამდე	27,6%	11,4%
2-დან 3 წლამდე	13,8%	31,8%
3-დან 4 წლამდე	20,7%	20,5%
4-დან 5 წლამდე	6,9%	4,5%
5-დან 6 წლამდე	-	13,6%
8 დან 9 წლამდე	3,4%	-
10 და მეტი	3,4%	6,8%
მიჭირს პასუხის გაცემა	24,1%	11,4%

წარსულში ნარკოდანაშაულისათვის გასამართლებულ პირთა შორის, ვინც მცენარე კანაფის ან მარიხუანის უკანონო შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან/და გასაღებისთვის სასჯელის ფორმად განსაზღვრა **ჯარიმა,** რესპონდენტები თანაბრად (20%-20%) ასახელებენ 500 ლარის, 1000 ლარისა და 2000 ლარის ოდენობით ჯარიმის დაწესებას. ამჟამინდელ მსჯავრდებულთა ოჯახის წევრების 29.2% თვლის, რომ ჯარიმა უნდა განისაზღვროს 5000 ლარის ოდენობით. მეოთხედი (25%) ფიქრობს, რომ ჯარიმა უნდა შეადგენდეს 1000 ლარს (იხ. ცხრილი №4.17):

ცხრილი №4.17

ჯარიმა – ლარის ოდენობით	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=40)	ოჯახის წევრები (N=34)
100	2,5%	-
300	7,5%	-
500	20,0%	4,2%
1000	20,0%	25,0%
1500	-	4,2%
2000	20,0%	8,3%
3000	7,5%	-
5000	7,5%	29,2%
10000	-	16,7%
15000	-	4,2%
მიჭირს პასუხის გცემა	15,0%	8,3%

მათ, ვინც სასჯელად განსაზღვრა ალტერნატიული ფორმა **გამასწორებელი სამუშაოს** სახით (14 ყოფილი მსჯავრდებული, 14 ოჯახის წევრი), ასევე კონკრეტული ვადები დაასახელეს. წარსულში ნარკოდანაშაულისათვის გასამართლებულ პირთა 35.7% (N=5) თვლის, რომ პერიოდი უნდა შეადგენდეს 2 წელს. თანაბარი წილი (21.4%-21.4%) (N=3,N=3) ემხრობა 1 წლის და 3 წლის პერიოდების დაკისრებას. ოჯახის წევრების ნახევარი (N=7) თვლის, რომ გამასწორებელ სამუშაოს უნდა დაეთმოს 2 წელი. თანაბარი წილი (20%-20%)(N=3, N=3) ემხრობა 1 წლის ვადასა და 6 წლის პერიოდს. 10% (N=1) არის ისეთი, ვინც გამასწორებელ სამუშაოს ვადად 5 წელს ასახელებს.

რესპონდენტთა ნაწილმა, ასევე დაასახელა სასჯელის ალტერნატიული ფორმა **საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის** სახით (10 ყოფილი მსჯავრდებული, 4 ოჯახის წევრი). წარსულში ნარკოდანაშაულისთვის გასამართლებულ პირთა 30% (N=3) თვლის, რომ მცენარე კანაფის ან მარიხუანის უკანონო შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან/და გასაღებისთვის ალტერნატიული სასჯელი უნდა განისაზღვროს 2 დღით. 3 დღესა და 1 დღიანი სასჯელის განსაზღვრას თანაბარი წილი (20%-20%) (N=1, N=1) ემხრობა. ოჯახის წევრებს შორის 66.7% (N=3) 2,5 დღეს, იგივე 60 საათს, ასახელებს, როგორც სასჯელის პერიოდს. 33.3% (N=1) კი ამბობს, რომ საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა დამნაშავემ 4 დღის მანძილზე უნდა გასწიოს.

6. იმ რესპონდენტებმა, ვინც **ნარკოტიკული საშუალების (მარიხუანის გარდა) მოხმარების** შესაბამის სასჯელად მიიჩნია **თავისუფლების აღკვეთა,** დაასახელეს შესაბამისი ვადები. ყოფილ მსჯავრდებულთა 30.8% თვლის, რომ დანაშაულის პროპორციული იქნება 3-დან 4 წლამდე თავისუფლების აღკვეთა. თითქმის მეოთხედი (23.1%) ამბობს, რომ შესაბამის პერიოდად მიაჩნია 2-დან 3 წლამდე ვადა. ამჟამინდელი პატიმრების ოჯახის წევრთა 34.8% ფიქრობს, რომ დანაშაულის პროპორციულია თავისუფლების აღკვეთა 2-დან 3 წლამდე ვადით. თანაბარი სიხშირით სახელდება (13%-13%) 1-დან 2 წლამდე, 4-დან 5 წლამდე და 5-დან 6 წლამდე ვადები. (იხ. ცხრილი №4.18)

ცხრილი №4.18

თავისუფლების აღკვეთა – წლის ვადით	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=13)	ოჯახის წევრები (N=32)
1-დან 2 წლამდე	15,4% (2 რესპ)	13,0% (4 რესპ)
2-დან 3 წლამდე	23,1% (3 რესპ)	34,8% (11 რესპ)
3-დან 4 წლამდე	30,8% (4 რესპ)	8,7% (3 რესპ)
4-დან 5 წლამდე	-	13,0% (4 რესპ)
5-დან 6 წლამდე	-	13,0% (4 რესპ)
6 დან 7 წლამდე	-	4,3% (1 რესპ)
7 დან 8 წლამდე	-	4,3% (1 რესპ)
8 დან 9 წლამდე	7,7% (1 რესპ)	8,7% (3 რესპ)
მიჭირს პასუხის გაცემა	23,1% (3 რესპ)	-

რესპონდენტებმა, ვინც თვლის, რომ ნარკოტიკული საშუალების (მარიხუანის გარდა) მოხმარების პროპორციული სასჯელია **ჯარიმა,** დაასახელეს კონკრეტული ოდენობები. ყოფილ მსჯავრდებულთაგან ოთხი თვლის, რომ სამართლიანი ჯარიმის ოდენობა უნდა შეადგენდეს 3000 ლარს. ორი არის ისეთი, ვინც 1000 ლარიანი ჯარიმის განსაზღვრას ემხრობა. თითო-თითოდ ნაწილდება () რესპონდენტთა პასუხები, ვინც თვლის, რომ უნდა დაწესდეს 300 ლარიანი, 500 ლარიანი და 2000 ლარიანი ჯარიმები. (იხ. ცხრილი №4.19)

ცხრილი №4.19

ჯარიმა – ლარის ოდენობით	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=9)	ოჯახის წევრები (N=15)
300	1 რესპ.	-
500	1 რესპ.	3 რესპ.
1000	2 რესპ.	-
1500	-	3 რესპ.
2000	1 რესპ.	-
3000	4 რესპ.	-
5000	-	6 რესპ.
10000	-	3 რესპ.
მიჭირს პასუხის გაცემა	-	1 რესპ.

წარსულში ნარკოდანაშაულისათვის გასამართლებულ პირთა შორის, ვინც სასჯელის ფორმად აირჩია **გამასწორებელი სამუშაო** (N=21), 47.6% (N=10) თვლის, რომ იგი უნდა გაგრძელდეს 2 წლის პერიოდით. 33.3% (N=7)ფიქრობს, რომ ეს პერიოდი უნდა იყოს 1 წელი. 19% (N=4) თავს იკავებს პასუხისგან. ოჯახის წევრებს შორის (N=22), 31.3% (N=7) თვლის, რომ გამასწორებელი სამუშაოს ვადა უნდა იყოს 1 წელი. 2 წლის ვადასა და 6 წლის პერიოდს, რესპონდენტთა თანაბარი წილი ემხრობა (18.8%-18.8% (N=4, N=4)).

წარსულში გასამართლებულ პირთა შორის, ვინც ალტერნატიული სასჯელის სახით, **საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომას** მიანიჭა უპირატესობა (N=4), როგორც სასჯელს, 50% (N=2) თვლის, რომ იგი 2 დღის ვადით უნდა განისაზღვროს. მეოთხედი (25%, N=1) ამბობს, რომ ეს ვადა უნდა იყოს 4 დღე. ხოლო დანარჩენი 25% (N=1) პროპორციულად მიიჩნევს ამ ალტერნატიულ სასჯელს 9 დღის ვადით. ოჯახის წევრებს შორის (N=17), თითქმის ნახევარი (41.7%, N=7) ამბობს, რომ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ვადა ნარკოტიკული საშუალების (მარიხუანის გარდა) მოხმარებისთვის უნდა იყოს 1 დღე. დანარჩენი უფრო მეტ დღეებს ასახელებს, თუმცა, არაუმეტეს – 6 დღისა.

7. რესპონდენტთა წილი, **ნარკოტიკული საშუალების მოხმარების მიზნით (მარიხუანის გარდა) შეძენა/შენახვის** შემთხვევაში პროპორციულ სასჯელად მიიჩნევს **თავისუფლების აღკვეთას.** კონკრეტულად, ნარკოდანაშაულისათვის წარსულში გასამართლებულ პირთა შორის, ვინც ამას ეთანხმება, უმეტესობა (N=7) სამართლიანად მიიჩნევს აღნიშნული დანაშაულისათვის 2-დან 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას. ამავდროულად, გარკვეული რაოდენობა (N=2) 1-დან 2 წლამდე ვადას ასახელებს. ამჟამინდელ მსჯავრდებულთა ოჯახის წევრების ნახევარი (N=18) თვლის, რომ შესაბამის პერიოდს 2-დან 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთა წარმოადგენს. თანაბრად სახელდება 1-დან 2 წლამდე და 7-დან 7 წლამდე პერიოდები (N=4, N=4) (იხ. ცხრილი №4.20):

ცხრილი №4.20

თავისუფლების აღკვეთა – წლის ვადით	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=11)	ოჯახის წევრები (N=36)
1-დან 2 წლამდე	18,2% (2 რესპ.)	11,5% (4 რესპ.)
2-დან 3 წლამდე	63,6% (7 რესპ.)	50,0% (18 რესპ.)
4-დან 5 წლამდე	9,1% (1 რესპ.)	-
6 დან 7 წლამდე	-	3,8% (1 რესპ)
7 დან 8 წლამდე	-	11,5% (4 რესპ.)
8 დან 9 წლამდე	-	7,7% (3 რესპ.)
10 და მეტი	-	3,8% (1 რესპ.)
მიჭირს პასუხის გაცემა	9,1% (1 რესპ.)	11,5% (4 რესპ.)

რესპონდენტებმა, ვინც ნარკოტიკული საშუალების მოხმარების მიზნით (მარიხუანის გარდა) შეძენა/შენახვისათვის შესაბამის სასჯელად **ჯარიმა** დაასახელეს (19 ყოფილი მსჯავრდებული, 14 ოჯახის წევრი), კონკრეტულ ოდენობებზეც ისაუბრეს. წარსულში ნარკოდანაშაულისათვის გასამართლებულ პირთაგან ხუთი თვლის, რომ პროპორციული იქნებოდა 1000 ლარის ოდენობით ჯარიმის დაწესება. ამავდროულად, ოთხი 200 ლარიანი ჯარიმით შემოიფარგლება. ამჟამინდელ მსჯავრდებულთა ოჯახის წევრებიდან ოთხი თვლის, რომ პროპორციული ოდენობა იქნებოდა 3000 ლარი. თანაბარი სიხშირით სახელდება 500 ლარის და 5000 ლარის ოდენობები (N=3, N=3) (იხ. ცხრილი №4.21):

ცხრილი №4.21

ჯარიმა – ლარის ოდენობით	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=19)	ოჯახის წევრები (N=14)
200	4 რესპ.	-
250	1 რესპ.	-
500	-	3 რესპ.
1000	5 რესპ.	-
2000	2 რესპ.	1 რესპ.
3000	1 რესპ.	4 რესპ.
5000	1 რესპ.	3 რესპ.
10000	-	1 რესპ.
მიჭირს პასუხის გაცემა	5 რესპ.	1 რესპ.

წარსულში ნარკოდანაშაულისათვის გასამართლებულ პირთა შორის, ვინც სასჯელის ფორმად აირჩია **გამასწორებელი სამუშაო** (N=13), ხუთი თვლის, რომ გონივრული ვადა არის 2 წელი. სამის მოსაზრებით, გამასწორებელი სამუშაო დამნაშავეს 1 წლის ვადით უნდა დაეკისროს. ერთი რესპონდენტი შესაბამის პერიოდად 6 წელს აფიქსირებს. ამჟამინდელ მსჯავრდებულთა ოჯახის წევრებს შორის (N=22) ნახევარი (N=11) თვლის, რომ ამისათვის 2 წლის ვადა უნდა განისაზღვროს. თანაბრად სახელდება 1 წლიანი და 5 წლიანი პერიოდები (N=3, N=3). ასევე თანაბრად სახელდება 3 წლიანი პერიოდი და 10 წლიანი ვადა (N=1, N=1).

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შემთხვევაში, ყოფილი მსჯავრდებულების (N=7) ნახევარზე მეტი (N=4) შესაბამის ვადად 2 დღეს მიიჩნევს. თანაბრად სახელდება 1 დღის და 3 დღისა პერიოდები (N=1, N=1). ყოფილ მსჯავრდებულთაგან ერთი კონკრეტულ პერიოდს არ ასახელებს. ამჟამინდელი პატიმრების ოჯახის წევრთა (N=10) უმეტესობა (N=6) 1 დღის სამუშაოს ასახელებს (იგივე 24 საათი). თანაბრად სახელდება 36 საათის, 2 დღისა და 4 დღის პერიოდები (N=1, N=1).

8. წარსულში ნარკოდანაშაულისთვის გასამართლებულ პირთა შორის, ვინც **მარიხუანის მოხმარებისათვის** შესაბამის სასჯელად მიიჩნია თავისუფლების აღკვეთა (N=5), უმეტესობა (N=4) შესაბამის პერიოდად განსაზღვრავს 1-დან 2 წლამდე პერიოდს. აღსანიშნავია, რომ ოჯახის წევრებიდან (N=18) შვიდი ვადას 1-დან 2 წლამდე პერიოდით განსაზღვრავს. ოთხი თვლის, რომ შესაბამისი იქნებოდა თავისუფლების აღკვეთა 7-დან 8 წლამდე. (იხ. ცხრილი №4.22):

ცხრილი №4.22

თავისუფლების აღკვეთა – წლის ვადით	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=5)	ოჯახის წევრები (N=18)
1-დან 2 წლამდე	4 რესპ.	7 რესპ.
2-დან 3 წლამდე	-	3 რესპ.
5 დან 6 წლამდე	-	1 რესპ.
7 დან 8 წლამდე	-	4 რესპ.
9 დან 10 წლამდე	-	3 რესპ.
მიჭირს პასუხის გაცემა	1 რესპ.	-

ისინი, ვისაც მარიხუანის მოხმარებისათვის შესაბამის სასჯელად მიაჩნია **ჯარიმის** დაწესება (14 ყოფილი მსჯავრდებული, 25 ოჯახის წევრი), კონკრეტულ თანხებს ასახელებენ. წარსულში ნარკოდანაშაულისთვის გასამართლებულ პირთა 21.4% თვლის, რომ მარიხუანის მოხმარებისათვის უნდა დაწესდეს ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით. 14.3%-ის მოსაზრებით, ჯარიმა უნდა განისაზღვროს 5000 ლარის ოდენობით. ამჟამინდელ მსჯავრდებულთა ოჯახის წევრებიდან შვიდი 27.8% თვლის, რომ სასჯელი უნდა დაწესდეს 1000 ლარის ოდენობით. 22.2% არის ისეთი, ვინც ფიქრობს, რომ ჯარიმა უნდა შეადგენდეს 5000 ლარს. თანაბარი სიხშირით სახელდება 1500 ლარის და 2000 ლარის ოდენობის ჯარიმები (16.7%-16.7%). (იხ. ცხრილი №4.23):

ცხრილი №4.23

ჯარიმა – ლარის ოდენობით	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=14)	ოჯახის წევრები (N=25)
50	7,1% (1 რესპ.)	-
100	7,1% (1 რესპ.)	-
500	7,1% (1 რესპ.)	5,6% (1 რესპ.)
1000	21,4% (3 რესპ.)	27,8% (7 რესპ.)
1500	-	16,7% (4 რესპ.)
2000	-	16,7% (4 რესპ.)
3000	7,1% (1 რესპ.)	5,6% (1 რესპ.)
5000	14,3% (2 რესპ.)	22,2% (6 რესპ.)
10000	-	5,6% (1 რესპ.)
20000	7,1% (1 რესპ.)	-
33000	7,1% (1 რესპ.)	-
მიჭირს პასუხის გაცემა	21,4% (3 რესპ.)	-

მათ შორის, ვინც სასჯელის ალტერნატიული ფორმა, **გამასწორებელი სამუშაო** დაასახელა (2 ყოფილი მსჯავრდებული, 18 ოჯახის წევრი), წარსულში ნარკოდანაშაულისთვის გასამართლებულ პირთა პასუხები თანაბრად ნაწილდება 1 წლიან პერიოდსა და 3 წლიან ვადას შორის თითო-თითო პასუხით. ოჯახის წევრებს შორის შვიდი თვლის, რომ მან 1 წლის ვადა უნდა მოიცვას. ექვსს შეადგენს რესპონდენტთა წილი, ვინც თვლის, რომ გამასწორებელი სამუშაო 6 წლის ვადით უნდა დაწესდეს. თანაბარი სიხშირით სახელდება 3 წლის და 4 წლის ვადები (N=3, N=3). ერთი თვლის, რომ გამასწორებელმა სამუშაომ 2 წელი უნდა გასტანოს.

რაც შეეხება **საზოგადობისათვის სასარგებლო საქმიანობას,** როგორც სასჯელის ალტერნატიულ ფორმას (3 ყოფილი მსჯავრდებული, 20 ოჯახის წევრი), ყოფილ მსჯავრდებულთა პასუხები ნაწილდება 1 დღის ვადასა (N=2) და 3 დღის პერიოდს (N=1) შორის. ოჯახის წევრებს შორის თერთმეტი ალტერნატიული სასჯელის ფორმას 12 საათის ვადით განსაზღვრავს. შვიდი თვლის, რომ მარიხუანის მოხმარებისათვის საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა 1 დღის ვადით (24 საათი) უნდა განისაზღვროს. ერთი მიიჩნევს, რომ პროპორციული იქნება 3 დღის ვადის დაწესება.

მათ, ვინც დაასახელა, რომ **მოხმარების მიზნით მარიხუანის შეძენა/შენახვისათვის** პირები თავისუფლების აღკვეთით უნდა ისჯებოდნენ, დაასახელეს კონკრეტული ვადებიც. ნარკოდანაშაულისთვის წარსულში გასამართლებულ პირთა პასუხები სამ ძირითად კატეგორიაში ნაწილდება. თანაბარი სიხშირით სახელდება 1-დან 2 წლამდე პერიოდი და 3-დან 4 წლამდე ვადა (N=2, N=2). დარჩენილი წილი (N=1) ემხრობა თავისუფლების აღკვეთის დაწესებას 2-დან 3 წლამდე პერიოდით. ოჯახის წევრების (N=6) თვლის, რომ ეს პერიოდი უნდა განისაზღვროს 7-დან 8 წლამდე ვადით. შვიდი არის ისეთი, ვინც თვლის, რომ აღნიშნული დანაშაულისთვის პირს თავისუფლების აღკვეთა 1-დან 2 წლამდე ვადით უნდა მიესაჯოს. (იხ. ცხრილი №4.24)

ცხრილი №4.24

თავისუფლების აღკვეთა – წლის ვადით	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=5)	ოჯახის წევრები (N=18)
1-დან 2 წლამდე	2 რესპ.	7 რესპ.
2-დან 3 წლამდე	1 რესპ.	3 რესპ.
3-დან 4 წლამდე	2 რესპ.	-
4-დან 5 წლამდე	-	1 რესპ.
5-დან 6 წლამდე	-	1 რესპ.
7 დან 8 წლამდე	-	6 რესპ.

ნარკოდანაშაულისათვის წარსულში გასამართლებულ პირთა შორის, ვინც მოხმარების მიზნით მარიხუანის შეძენა/შენახვისათვის შესაბამის სასჯელად ჯარიმას მიიჩნევს, თანაბარი სიხშირით სახელდება 200 ლარის და 3000 ლარის საჯარიმო ოდენობები (20%-20%). ასევე თანაბრად სახელდება 300 ლარის და 1000 ლარის ოდენობები (13.3%-13.3%). ოჯახის წევრებისთვის 29.2% ამ ჯარიმას 2000 ლარის ოდენობით განსაზღვრავს. 25% თვლის, რომ შესაბამისი ოდენობა 5000 ლარი იქნებოდა. 16.7% არის ისეთი, ვინც დანაშაულის პროპორციულად მიიჩნევს 1000 ლარის ოდენობის ჯარიმის დადგენას (იხ. ცხრილი №4.25)

ცხრილი№4.25

ჯარიმა – ლარის ოდენობით	ნარკოდანაშაულის ჩამდენი ყოფილი მსჯავრდებულები (N=15)	ოჯახის წევრები (N=34)
50	6,7% (1 რესპ.)	-
200	20,0% (3 რესპ.)	-
300	13,3% (2 რესპ.)	-
500	6,7% (1 რესპ.)	4,2% (1 რესპ.)
1000	13,3% (2 რესპ.)	16,7% (6 რესპ.)
1500	-	12,5% (4 რესპ.)
2000	6,7% (1 რესპ.)	29,2% (10 რესპ.)
3000	20,0% (3 რესპ.)	4,2% (1 რესპ.)
5000	-	25,0% (8 რესპ.)
10000	-	4,2% (1 რესპ.)
მიჭირს პასუხის გაცემა	13,3% (2 რესპ.)	4,2% (1 რესპ.)

წარსულში ნარკოდანაშაულისათვის გასამართლებული პირები, ვინც ფიქრობს, რომ მარიხუანის მოხმარების მიზნის შეძენა/შენახვისათვის დამნაშავემ უნდა მიიღოს ალტერნატიული სასჯელი (N=3) **გამასწორებელი სამუშაოს** სახით, ასევე ფიქრობენ, რომ ამისათვის შესაბამისი პერიოდი 2 წლის ვადით უნდა განისაზღვროს. ოჯახის წევრებს შორის, ვინც ამ ალტერნატიულ სასჯელს ეთანხმება (N=13), ათი თვლის, რომ შესაბამისი პერიოდი არის 1 წლის ვადა. ამავდროულად, ერთი ასახელებს 2 წლის ვადას და ამდენივე (N=1)) – 10 წლის პერიოდს.

რაც შეეხება ალტერნატიულ სასჯელს **საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის** სახით, მისი მომხრე ყოფილი მსჯავრდებულები (N=2) ფიქრობენ, რომ ამისათვის 2 დღიანი ვადა (იგივე 48 საათი) უნდა დაწესდეს. ამჟამინდელი პატიმრების ოჯახის წევრებიდან (N=18) ათის მოსაზრებით, შესაბამისი პერიოდია 12 საათი და რვის მოსაზრებით – პროპორციული ვადა 24 საათია.

5 . დემოგრაფიული ბლოკი

გამოკითხული ყოფილი მსჯავრდებულებიდან 69.2%-ს შეეფარდა პატიმრობა. 8.6% არის ისეთი, ვისაც შეეფარდა პატიმრობა პირობითი მსჯავრით, ხოლო ყოფილი პრობაციონერი არის 4.3%. გამოკითხულთა დარჩენილმა წილმა მიიღო ალტერნატიული სასჯელი, მათ შორის: 14.6%-მა გადაიხადა ჯარიმა, 2.7%-ისთვის სასჯელს წარმოადგენდა საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა, ხოლო 0.5%-ს დაეკისრა გამოსასწორებელი სამუშაო.

მათ შორის, ვინც ახლა იხდის სამართლებრივად დაკისრებულ სასჯელს, 74% არის მსჯავრდებული სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში. 16%-ს პირობითი სასჯელი აქვს განსაზღვრული. ჯარიმა (ალტერნატიული სასჯელი) დაკისრებული აქვს 7.2%-ს, ხოლო პრობაციონერი არის 2.4%.

მათ შორის, ვინც ამჟამად იხდის სასჯელს სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში, 17.2% იმყოფება გლდანის მე-8 დაწესებულებაში. 12.9% სასჯელს იხდის ქუთაისის მე-2 დაწესებულებაში. რიგ შემთხვევებში რესპონდენტებმა დაასახელეს მხოლოდ სასჯელაღსრულების ქალაქი და არ დააკონკრეტეს დაწესებულების ნომერი. ასეთია 7.5%, რომელიც რუსთავს ასახელებს და 5.4%, რომელიც ასახელებს ქსანს. ხაზგასასმელია, რომ თითქმის მეოთხედი, 23.7% უარს ამბობს პასუხზე, არ იცის კონკრეტული დაწესებულება ან თავს იკავებს მისი დასახელებისაგან (იხ. ცხრილი №5.1):

ცხრილი №5.1

სასჯელაღსრულების დაწესებულება	ამჟამინდელი პატიმრების წილი (N=175)
ბათუმის მე-3	3,2%
გეგუთის მე-14	3,2%
გლდანის მე-8	17,2%
რუსთავი	7,5%
რუსთავის მე-12	3,2%
რუსთავის მე-16	5,4%
რუსთავის მე-17	7,5%
რუსთავის მე-6	4,3%
ქსანი 15 დაწესებულება	2,2%
ქსანი 19 დაწესებულება	4,3%
ქსნის სასჯელაღსრულების დაწესებულება	5,4%
ქუთაისის მე-2	12,9%
მიჭირს პასუხის გაცემა/არ ვიცი/უარი პასუხზე	23,7%

მათ შორის, ვინს იმყოფებოდა პატიმრობაში, ნახევარზე მეტი (55.5%) განთავისუფლდა სასჯელის ამოწურვის შემდეგ. აღსანიშნავია, რომ თითქმის მეხუთედი (19.5%) განთავისუფლდა ამნისტიის შედეგად. 14.1% განთავისუფლდა ვადაზე ადრე განთავისუფლების კომისიით (ე.წ. "უდო"). 9.4%-ისთვის განთავისუფლება შეწყალების შედეგი იყო. 1.6% განთავისუფლდა ხანდაზმულობის გამო.

გამოკითხულ პატიმრობაში მყოფთა თითქმის მეხუთედი (19.5%) 2013 წელს გაათავისუფლეს. 17.2% გათავისუფლდა 2014 წელს, ხოლო 15.6% – 2017 წელს (იხ. დიაგრამა №5.1):

დიაგრამა №5.1. განთავისუფების თარიღი (N=185)



მათ შორის, ვინც ნარკოდანაშაულისთვის წარსულში გასამართლდა, 94.6% არის მამაკაცი, ხოლო 5.4% – ქალი. ხოლო მათ შორის, ვინც ამჟამად იხდის სამართლებრივად დაკისრებულ სასჯელს 96% არის მამაკაცი და 4% – ქალი.

ბოლო ნარკოდანაშაულის ჩადენის დროს ყოფილ მსჯავრდებულთა 40.5% 25-34 ასაკობრივ ჯგუფს მიეკუთვნებოდა, ხოლო 30.3% 35-44 ასაკობრივ ჯგუფს. გამოკითხვის პერიოდისათვის 25-34 ასაკობრივ ჯგუფს მიეკუთვნება 25.4%, ხოლო, 39.5% 35-44 ასაკობრივ კატეგორიას. რაც შეეხება ამჟამინდელ პატიმრებს, მათი უმეტესობა ასევე 25-34 და 35-44 ასაკობრივ კატეგორიაში ხვდება, როგორც პატიმრობამდე/პრობაციონერობამდე, ასევე ამჟამად (იხ. დიაგრამა №5.2):

დიაგრამა №5.2. ასაკი



წარსულში გასამართლებულთა ნახევარზე მეტი (56.2%) აფიქსირებს, რომ ჰქონდა **საშუალო განათლება** (10-12 კლასი), პატიმრობის შემდგომ პერიოდში საშუალო განათლებას უმაღლეს საფეხურად ასახელებს 55.7%. პარალელურად, მცირე ცვლილება ფიქსირდება პროფესიული განათლების ჭრილში. პატიმრობამდე 11.4% იყო ისეთი ვისაც პროფესიული განათლება ჰქონდა, ხოლო ამჟამად მათი წილი 12.4%-ია.

რაც შეეხება მათ, ვინც ამჟამად იხდის სასჯელს ნარკოდანაშაულისათვის, მათ შორის თითქმის ნახევარს (48%) აქვს მიღებული საშუალო განათლება (10-12 კლასი). 23.2% არის ისეთი, ვისაც აქვს სრული უმაღლესი განათლება მიღებული. 15.2%-ისათვის ეს არის პროფესიული განათლება, ხოლო 11.2%-ისათვის არასრული უმაღლესი. მხოლოდ 2.4% არის ისეთი, ვისაც დაფარული აქვს საბაზისო განათლების საფეხური (7-9 კლასი) (იხ. დიაგრამა №5.3):

დიაგრამა №5.3. განათლების დონე



ოჯახური მდგომარეობის მიხედვით, წარსულში გასამართლებული პირთა შორის პატიმრობამდე დარეგისტრირებულ ქორწინებაში იყო 44.3%. ამჟამად ეს წილი გაიზარდა და 49.2%-ს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ პატიმრობამდე დასაოჯახებელი იყო 38.9%, თუმცა ამჟამად დასაოჯახებლის სტატუსს აფიქსირებს 23.2%. პარალელურად გაიზარდა განქორწინებულთა და გაშორებულთა წილი. ამჟამინდელ პატიმრებს შორის 35.2% არის დასაოჯახებელი, ხოლო 32.8% არის დარეგისტრირებულ ქორწინებაში. აღსანიშნავია 13.6%, რომელსაც აქვს გაშორებულის სტატუსი (იხ. დიაგრამა №5.4):

დიაგრამა №5.4. ოჯახური მდგომარეობა



წარსულში გასამართლებულთა უმეტესობა (57.3%) აფიქსირებს, რომ პატიმრობამდე საკუთარი შრომით შოულობდა ფულს. ამჟამად ეს წილი შეადგენს 64.3%-ს. რესპონდენტთა 30.8% პატიმრობამდე ფინანსურ დახმარებას მშობლების მხრიდან იღებდა. ამჟამად ეს მაჩვენებელი არის 21.6%. ამჟამინდელ პატიმრებს შორის, პატიმრობამდე/პრობაციონერობამდე, უდიდესი წილი (48.8%) ფინანსურ მხარდაჭერას იღებდა მშობლებისგან. ასევე მნიშვნელოვან წილთან მიმართებაში (44%) ოჯახის წევრები აფიქსირებენ, რომ ამჟამინდელი მსჯავრდებული შემოსავალს თავისი შრომით შოულობდა (იხ. დიაგრამა №5.5):

დიაგრამა №5.5. შემოსავლის ძირითადი წყარო



ნარკოდანაშაულისთვის წარსულში გასამართლებულ პირთა 16.2% აფიქსირებს, რომ პატიმრობამდე პირადი შემოსავალი არ ჰქონდა. ამჟამად ასეთი არის 17.3%. სტაბილური შემოსავალი პატიმრობამდე 15.1%-ს არ ჰქონდა, ამჟამად ასეთი – 13.5%-ია. 501-700 ლარის ფარგლებში ყოველთვიური შემოსავალი ჰქონდა 13%-ს. ამჟამად ყოფილ მსჯავრდებულებს შორის ასეთი შემოსავლის ქონას აფიქსირებს 15.7%. ამჟამინდელ მსჯავრდებულთა შორის 28.8%-ს სტაბილური შემოსავალი არ ჰქონდა, ხოლო 16.8%-ს საერთოდ არ ჰქონდა შემოსავალი (იხ. დიაგრამა №5.6).

დიაგრამა №5.6. პირადი ყოველდღიური შემოსავალი



ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისას წარსულში გასამართლებულთა ნახევარზე მეტი (53.5%) ამბობს, რომ პატიმრობამდე/ პრობაციონერობამდე ოჯახს საკვებისთვის საკმარისი ფული ჰქონდა, მაგრამ უნდა დაეზოგათ ან ესესხათ, რომ ტანსაცმელი და ფეხსაცმელი ეყიდათ. ამჟამად ყოფილ მსჯავრდებულთა წილი, ვინც საკუთარი ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობას ასე აფასებს, მცირედით შემცირდა (45.9%). 5.5%-ით გაზრდილია იმ რესპონდენტთა წილი, ვინც ამბობს, რომ მისი ოჯახი გაჭირვებით ყიდულობს საჭმელს. ამჟამინდელ მსჯავრდებულთა ოჯახის წევრებს შორის 39.2% თავიანთ ეკონომიკურ მდგომაროების შესახებ ამბობს, რომ საკვებისთვის, ყოველდღიური ტანსაცმლისა და ფეხსაცმლისთვის საკმარისი ფული ჰქონდა, მაგრამ კარგი ტანსაცმლის, მობილური ტელეფონის, მტვერსასრუტის და სხვა საოჯახო მოწყობილობების საყიდლად უნდა დაეზოგათ ან ესესხათ თანხა. (იხ. ცხრილი №5.2)

ცხრილი №5.2

ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა	პატიმრობამდე/ პრობაციონერობამ-დე (ყოფილი მსჯავრ-დებულები N=185)	ამჟამად (ყოფილი მსჯავრდებულები N=185)	ამჟამინდელი პატიმრები (N=175)
გაჭირვებით ვყიდულობდით/ვყიდულობთ საკვებს	8.6%	14.1%	24,0%
საკვებისთვის საკმარისი ფული გვქონდა/გვაქვს, მაგრამ უნდა დაგვეზოგა/დავზოგოთ ან გვესესხა/ ვისესხოთ, რომ ტანსაცმელი და ფეხსაცმელი გვეყიდა/ვიყიდოთ	53.5%	45.9%	32,8%
საკვებისთვის, ყოველდღიური ტანსაცმლისა და ფეხსაცმლისთვის საკმარისი ფული გვქონდა/ გვაქვს, მაგრამ კარგი ტანსაცმლის, მობილური ტელეფონის, მტვერსასრუტის და სხვა საოჯახო მოწყობილობების საყიდლად უნდა დაგვეზოგა/ დავზოგოთ ან გვესესხა/ვისესხოთ	25.9%	28.1%	39,2%
საკვებისთვის, ყოველდღიური ტანსაცმლისა და ფეხსაცმლისთვის საკმარისი ფული გვქონდა/ გვაქვს, მაგრამ მანქანის ან ბინის საყიდლად უნდა დაგვეზოგა/დავზოგოთ ან გვესესხა/ვისესხოთ	9.7%	9.2%	2,4%
ნებისმიერ დროს შეგვეძლო გვეყიდა/შეგვიძლია ვიყიდოთ ყველაფერი, რაც გვინდოდა	1.1%	1.6%	1,6%
მიჭირს პასუხის გაცემა / უარი პასუხზე	1.1%	1.1%	-

წარსულში გასამართლებულთა თქმით, პატიმრობამდე/პრობაციონერობამდე უმუშევარი იყო 44.3%, ამჟამად უმუშევრობის სტატუსის ქონას აფიქსირებს 39.5%. აღსანიშნავია, რომ გაიზარდა არაოფიციალურად დასაქმებულთა წილი. პატიმრობამდე/პრობაციონერობამდე მათი წილი იყო 38.9%, ხოლო ამჟამად არის 48.1%. მათ შორის, ვინც ამჟამად იხდის სასჯელს, უმეტესობა (56%) იყო უმუშევარი. 29.6% არის ისეთი, ვინც არაოფიციალურად იყო დასაქმებული (იხ. დიაგრამა №5.7):

დიაგრამა №5.7. დასაქმების მდგომარეობა



წარსულში გასამართლებულთა მონაცემებით, პატიმრობამდე/პრობაციონერობამდე რესპონდენტთა 40% კერძო სექტორში იყო დასაქმებული. ამჟამად ეს მაჩვენებელი 4.5%-ით არის გაზრდილი. 2.3%-ით გაიზარდა ყოფილ მსჯავრდებულთა/პრობაციონერთა წილი, ვინც ეწევა საკუთარ ფერმერულ საქმიანობას. 6.2%-ით შემცირებულია იმ რესპონდენტთა წილი, ვინც საჯარო სექტორშია დასაქმებული. მათ შორის, ვინც ამჟამად იხდის სასჯელს, პატიმრობამდე/პრობაციონერობამდე უმეტესობა კერძო სექტორში იყო დასაქმებული (56.4%). ასევე დიდი წილი იყო თვითდასაქმებული და ეწეოდა არაფერმერულ საქმიანობას (40%) (იხ. დიაგრამა №5.8:

დიაგრამა №5.8. დასაქმების სექტორი



ნარკოდანაშაულის ჩამდენ ყოფილ მსჯავრდებულებთან და ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრებთან ჩატარებული ფოკუს–ჯგუფების ანალიტიკური ანგარიში

კვლევის ძირითადი მიგნებები

ნარკოდანაშაულთან დაკავშირებით ნარკოტიკული დანაშაულისთვის ყოფილ მსჯავრდებულ პირებთან და ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრებთან ჩატარებული ფოკუს-ჯგუფების საფუძველზე გამოიკვეთა ის საკვანძო საკითხები, რომლებიც ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება, შეძენა, შენახვა, წარმოება, გასაღებას ეხება.

ყოფილი მსჯავრდებულები და ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები მიიჩნევენ, რომ ნარკოდანაშაულის ნებისმიერი ტიპის და მათი თანმხლები რისკების შესახებ საზოგადოების წევრებისთვის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებისთვის, ინფორმაციის მიწოდება მნიშვნელოვანი საკითხია. თუმცა, ამავდროულად აღნიშნავენ, რომ ინფორმირებულობა არ არის დანაშაულის არჩადენის გარანტია. რესპონდენტთა დიდი ნაწილისთვის ინფორმაციის წყაროდ სახელდება არაფორმალური არხები: საახლობლო, სამეზობლო, ძირითადად, უფროსი თაობის ან მსგავსი დანაშაულებრივი გამოცდილების მქონე ადამიანები. რესპონდენტები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საკომუნიკაციო პრაქტიკებში აქტიურად უნდა ჩაერთონ ისეთი ინსტიტუტები, როგორებიცაა ოჯახი და საგანმანათლებლო დაწესებულებები.

კვლევაში მონაწილე პირები ნარკოდანაშაულის ხელშემწყობ ფაქტორებად/მიზეზებად ასახელებენ, როგორ ობიექტურ, ისე სუბიექტურ/პიროვნულ მიზეზებს. ობიექტურ ფაქტორებს შორის დასახელდა ოჯახის მატერიალური მდგომარეობა, მსგავსი დანაშაულებრივი გამოცდილების მქონე სამეგობრო/საახლობლო წრე, სოციალური თვითრეალიზაციის შეუძლებლობა და ოჯახში მოუწესრიგებელი (კონფლიქტური) ურთიერთობები. რაც შეეხება სუბიექტურ/პიროვნულ ფაქტორებს, აქ გამოკვეთა: წამალდამოკიდებულება, მიმბაძველობა, სუსტი ნებისყოფა, სტრესი და ა.შ.

ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა შეფასებით, ნარკოდანაშაულის ნებისმიერი ტიპი, გარდა მოხმარებისა და მოხმარების მიზნით შეძენა/შენახვა/დამზადებისა, იმსახურებს დანაშაულის კვალიფიკაციას. ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა მნიშვნელოვანი ნაწილი მიზანშეწონილად მიიჩნევს მსუბუქი ნარკოტიკული საშუალებების (პირველ რიგში, მარიხუანის) ხელმისაწვდომობა/ლეგალიზაციას მომხმარებელთათვის. ისი-

ნი დასაშვებად თვლიან, რომ, სიგარეტისა და ალკოჰოლის მსგავსად, მარიხუანა დოზირებულად გაიყიდოს სპეციალურ მაღაზიებში. მათი აზრით, ასეთი მიდგომა შეამცირებს მსუბუქი ნარკოტიკული საშუალებების არალეგალურ წარმოებას და გასაღებას.

კვლევის მიხედვით, ნარკომომხმარებელი ნებისმიერი სოციალური თუ ეკონომიკური ფენის წარმომადგენელი შეიძლება გახდეს. და აქ საზოგადოების რომელიმე სპეციფიკურ ფენაზე, რომელიმე სოციალურ სტატუსზე მითითება არ იქნებოდა მართებული.

ნარკოდამნაშავეებისა და ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრების ნაწილი ჩადენილ დანაშაულთან ადეკვატურად აფასებს იმ პროცესებს, რომლებიც მათ/მათმა ახლობლებმა განვლეს დაკავებიდან სასამართლომდე, ნაწილი კი მიიჩნევს, რომ როგორც დაკავება, ასევე შემდეგ განვითარებული მოვლენები მნიშვნელოვანი დარღვევებით წარიმართა. კერძოდ, რესპონდენტები ერთ-ერთ ასეთ დარღვევად მიიჩნევენ თავად ნარკოდამოკიდებული პირის დაპატიმრებას, რადგან მათი შეფასებით ნარკოტიკების მომხმარებელი პირი დამნაშავე არ არის. ამასთან, მნიშვნელოვან პრობლემად სახელდება პირისთვის ბრალის წაყენება ნარკოტესტის პასუხზე დაყრდნობით, პროკურორის გავლენა მოსამართლის საბოლოო გადაწყვეტილებაზე და სხვა. პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული მდგომარეობის შეფასებისას უარყოფითი გამოცდილების მქონე ნარკოდამნაშავეების მიერ გამოთქმული შეფასებებიდან განსაკუთრებით ყურადსაღებია სამედიცინო სერვისებთან დაკავშირებული ხარვეზები, რაც გამოიხატება მსჯავრდებულებისთვის სხვადასხვა სახის მედიკამენტების დროულად ვერ/არ მიწოდებითა და ექიმის/თან ვიზიტის დროში გაწელვით, რაც მსჯავრდებულების ჯანმრთელობის მდგომარეობას მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნიდა. მსჯავრდებულების ნაწილი, რომელთაც აქვთ როგორც წინა (2012-წლამდე), ასევე, ახალი ხელისუფლების პირობებში სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ყოფნის გამოცდილება, დასძენს, რომ ციხეში საცხოვრებელი პირობები, ახალი ხელისუფლების პირობებში, ხელშესახებად არ გაუმჯობესებულა, მხოლოდ დამოკიდებულებები შეიცვალა მსჯავრდებულებისადმი – მსჯავრდებულებზე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის პრაქტიკები მნიშვნელოვნად შემცირდა. ნეგატიურ კონტექსტში საუბრისას, რესპონდენტები, ასევე, გამოყოფენ ისეთ პრობლემებს, როგორებიცაა უხარისხო კვება და მსჯავრდებულებთან სტუმრობის (პაემანის უფლებით სარგებლობის) დაბალი სიხშირე. კერძოდ, რესპონდენტებისთვის პრობლემური აღმოჩნდა ოჯახის წევრებთან, კანონით განსაზღვრული, შესაძლო ვიზიტების რაოდენობა.

როგორც აღმოჩნდა, ნარკოდანაშაულისთვის გასამართლებულები იყენებენ როგორც სახაზინო, ისე კერძო ადვოკატის მომსახურებას. კერძო ადვოკატის დაქირა-

ვება მნიშვნელოვან ფინანსურ დანახარჯებს უკავშირდება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ კერძო ადვოკატის მომსახურების გამოყენების ეფექტი, მისი დაქირავებისთვის გაწეული ფინანსური ტვირთის ადეკვატურ კომპენსაციას არ წარმოადგენს. საქმე ისაა, რომ როგორც სახაზინო, ისე კერძო ადვოკატის წარმატებული ჩართვა მოითხოვს იმას, რომ მათ პროკურატურასთან და სხვა გავლენიან სამართალდამცავებთან ჰქონდეთ საქმიანი კავშირი, შეეძლოთ მათთან მოლაპარაკება და შეთანხმებების მიღწევა. ადვოკატის დაქირავების ეფექტი სწორედ ასეთი არაფორმალური კავშირების ქონას უკავშირდება.

პენიტენციური დაწესებულების დატოვების შემდეგ, ნარკოდამნაშავეებს რიგ პრობლემებთან უწევთ გამკლავება – იქნება ეს სამსახურის შოვნა, ახალ გარემოსთან ადაპტაცია თუ საზოგადოებაში ხელახალი ინტეგრაცია. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ საჯარო სამსახურში მუშაობის დაწყება ნასამართლეობის გამო თითქმის შეუძლებელია, თუმცა, კერძო სექტორში დასაქმების შანსები არსებობს. ყოფილი მსჯავრდებულები საუბრობენ ნასამართლეობის სტიგმაზე, რაც მათი რესოციალიზაციისთვის დამაბრკოლებელი ფაქტორია. საპატიმროებში მყოფი ნარკოდამნაშავეების ოჯახის წევრებისთვის უმთავრესი პრობლემა სტრესულ მდგომარეობაში ყოფნაა, რასაც სირცხვილის განცდა იწვევს. პრობლემურ საკითხად ასახელებენ ოჯახის წევრთან განშორებას. ოჯახის წევრები საუბრობენ, აგრეთვე, ფინანსურ პრობლემებზე, რაც ოჯახის წევრის დაპატიმრებით შეექმნათ.

ნარკოპოლიტიკაზე საუბრისას, რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ნარკოდამნაშავეებისთვის საპატიმრო სასჯელის დაკისრება მეტ-ნაკლებად შეუწყობს ხელს ქვეყანაში ნარკოდანაშაულის შემცირებას, თუმცა, არა ყველა მიმართულებით. კერძოდ, ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების შემთხვევაში, პირის დაპატიმრება არ არის პრობლემის აღმოფხვრის საშუალება. რესპონდენტების აზრით, სტიქიური ნარკოლოგიური შემოწმება პოლიციური კონტროლის სახეს ატარებს, არღვევს ადამიანის უფლებებს და ხშირად სადამსჯელო მიზნებისთვის გამოიყენება. ფოკუს-ჯგუფების მონაწილეები მიიჩნევენ, რომ სახელმწიფოს ნარკომომხმარებლების მიმართ უფრო მეტად ლიბერალური ნარკოპოლიტიკა უნდა გააჩნდეს და მათი დასჯის ნაცვლად, იზრუნოს სარეაბილიტაციო (ფსიქოლოგიური, სამედიცინო და სხვ.) პროგრამების გაძლიერებაზე. გარდა ამისა, რესპონდენტები ქვეყანაში ნარკოდანაშაულის შემცირებისა და პრევენციისთვის საჭირო წინაპირობად მიიჩნევენ საზოგადოების წევრების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, მათ დასაქმებას, ცნობიერების ამაღლებაზე, განათლების დონის გაუმჯობესებაზე ზრუნვას.

ფოკუს–ჯგუფების მონაწილეთა დემოგრაფიული მახასიათებლები

კვლევის ფარგლებში ჩატარებულ ფოკუს-ჯგუფებში მონაწილეობა მიიღეს ნარკოდანაშაულის ამა თუ იმ ტიპისთვის გასამართლებულმა ყოფილმა მსჯავრდებულებმა, რომლებსაც უკვე დატოვებული აქვთ საპატიმრო დაწესებულება. ამ უკანასკნელთა მსჯავრდების/პენიტენციური დაწესებულების დატოვების წლები მერყეობს 2010 წლიდან 2019 წლის პირველ ნახევრამდე). ასევე, კვლევაში მონაწილე პირთა შორის იყვნენ ნარკოტიკული დანაშაულისთვის გასამართლებული ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები.

კვლევაში მონაწილე ყოფილ მსჯავრდებულებს შორის იყვნენ ნარკოტიკულ საშუალებების მოხმარების მუხლით და, ასევე, სხვა ნარკოტიკული დანაშაულისთვის გასამართლებული პირები. კერძოდ, ასეთებად ასახელებენ, კანაფის მოყვანას, რეალიზაციას და ა.შ. რაც შეეხება ამჟამინდელ მსჯავრდებულებს, მათი ოჯახის წევრების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ნარკოდამნაშავეები ნარკოტიკული საშუალებების რეალიზაციის, წარმოებისა შენახვისა და მოხმარების მუხლით გასამართლდნენ. მსჯავრდებულების ნაწილს ნარკოტიკული საშუალება საზღვარზე გადმოტანის დროს აღმოუჩინეს.

ყოფილი მსჯავრდებულების ნაწილი დროის გარკვეული პერიოდი პენიტენციურ დაწესებულებაში იხდიდა სასჯელს, შემდეგ კი საპყრობილეს პირობითი მსჯავრით ტოვებდა, ნაწილმა კი აღნიშნა, რომ თავიდანვე პირობითი მსჯავრი მიუსაჯეს. რამდენიმე მსჯავრდებულმა სრულად მოიხადა სასჯელი პენიტენციურ დაწესებულებაში, ზოგი კი ამნისტიით (2013 წელი) გაანთავისუფლეს. ასევე, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გარკვეული დროის საპატიმრო დაწესებულებაში გატარების შემდეგ, მსჯავრდებულების ნაწილს თავისუფლების აღკვეთა ჩაუნაცვლეს პირობითი მსჯავრით. ყოფილი მსჯავრდებულების დასაქმების სტატუსის მიხედვით, რამდენიმე რესპონდენტი დასაქმებულია, ძირითადი ნაწილი კი – უმუშევარი. კერძოდ, დასაქმებულთა შორის ყველა კერძო სექტორში მუშაობს. ამათგან ნაწილი თვითდასაქმებულია, ნაწილი კი დაქირავებული მუშახელია. ეს უკანასკნელნი ამბობენ, რომ ისინი ძირითადად მშენებლობებზე, სარემონტო სამუშაოებზე საქმდებიან, რადგან სხვაგან ნასამართლეობის ცნობას სთხოვენ და დამსაქმებლები უარით ისტუმრებენ.

ყოფილი მსჯავრდებულები და ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის ძირითად შემოსავლად მშობლების ან შშმპ სტატუსის შვილ(ებ)ის პენსია, ოჯახის სხვა წევრების ხელფასი, ფულადი გზავნილები საზღვარგარეთიდან და სოციალურად დაუცველთა დახმარება სახელდება.

1. ინფორმირებულობის დონე

1.1. ინფორმირებულობის მნიშვნელოვნება

თვისებრივი კვლევის საფუძველზე ცხადი გახდა რესპონდენტების შეფასებები, თუ რამდენად მნიშვნელოვანად მიაჩნიათ **ნარკოდანაშაულის** ამა თუ იმ ტიპის შესახებ საზოგადოების წევრების ინფორმირებულობა (სამართლებრივი, სოციალური, ფსიქოლოგიური, სამედიცინო და ა.შ. შედეგები, მოსალოდნელი სასჯელები და სხვა). მათ, ასევე, ისაუბრეს იმასთან დაკავშირებით, თუ რა გავლენას ახდენს დანაშაულის ამ ტიპების შესახებ ინფორმაციის ფლობა ადამიანთა ქცევაზე **ნარკოდანაშაულის** ჩადენის თვალსაზრისით.

ნარკოდანაშაულისთვის გასამართლებულთა აზრით, ზოგადად, დანაშაულის და მისი თანმხლები რისკების, სასჯელის ზომის და სიმკაცრის შესახებ საზოგადოების წევრებისთვის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებისთვის, ინფორმაციის მიწოდება მნიშვნელოვანი საკითხია. რესპონდენტების ნაწილი საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით საუბრისას აღნიშნავს, რომ მათ შემთხვევაში დანაშაულის ჩადენის შემდგომი რისკების შესახებ არაინფორმირებულობამ უარყოფითად იმოქმედა დანაშაულის პრევენციაზე – სასჯელის სიმკაცრის შესახებ წინასწარი ინფორმაციის შემთხვევაში, შესაძლოა, თავი შეეკავებინათ დანაშაულის ჩადენისგან. აქვე დასძენენ, რომ ინფორმირებულობა არ არის დანაშაულის არჩადენის გარანტია, თუმცა, შესაძლოა გარკვეულწილად მის შემცირებას შეუწყოს ხელი.

> *„ინფორმაციას დიდი მნიშვნელობა აქვს. ადამიანი რომ ჩაიდენს დანაშაულს წინასწარ რომ ეცოდინება ამდენი ელოდება, ალბათ, არ ჩაიდენს....მე რომ მცოდნოდა რა მოყვებოდა, არ ჩავიდენდი, ალბათ". (სამეგრელო, ყოფილი მსჯავრდებული)*

ფოკუს-ჯგუფებში მონაწილე ნარკოდამნაშავეების ოჯახის წევრებმა, მსგავსად ნარკოდანაშაულისთვის გასამართლებულებისა, აღნიშნეს, რომ ნარკოდანაშაულის შესახებ საზოგადოების ინფორმირება აუცილებელია, თუმცა, ამა თუ იმ დანაშაულის შესახებ ინფორმაციის ფლობას ვერ მივიჩნევთ კონკრეტული ქმედების განხორციელება/არგანხორციელების განმსაზღვრელ ფაქტორად. როგორც ოჯახის წევრები ამბობენ, დღესდღეობით მეტ-ნაკლებად ყველამ იცის, რომ ნარკოტიკებთან დაკავშირებული ქმედებები დანაშაულად კვალიფიცირდება, თუმცა, პოტენციური დამნაშავისთვის მხოლოდ ცოდნა არ კმარა. მას არასწორი ქცევისკენ ძირითადად სხვა ფაქტორები უბიძგებს.

„ინფორმირებულობა ჩემი აზრით არ არის ეგრე მნიშვნელოვანი, ყველამ იცის რომ ნარკოტიკის მოხმარება დანაშაულია, მოყვანა, მოხმარება დანაშაულია.“ (ქუთაისი, ამჟამინდელი მსჯავრდებულის ოჯახის წევრი)

ყოფილი მსჯავრდებულების ნაწილმა აღნიშნა, რომ თითოეულმა დამნაშავემ მინიმუმ ის მაინც იცის, რომ გაწეული დევიანტური ქმედებისთვის ადრე თუ გვიან აუცილებლად დაისჯება; თუმცა, მათ არ აქვთ დეტალური სამართლებრივი ცოდნა, რომ განსაზღვრონ ღირს თუ არა გარისკვა იმ სასჯელის ფასად, რაც მათ ელოდებათ. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ რესპონდენტთა დიდი ნაწილისთვის ინფორმაციის წყაროდ სახელდება არაფორმალური ინსტიტუტები: საახლობლო, სამეზობლო, ძირითადად უფროსი თაობის ან მსგავსი დანაშაულებრივი გამოცდილების მქონე ადამიანები.

„ინფორმაცია უფროსი ხალხიდან მოდის – არ მოწიო, არ დააშავო, არ გაიკეთო, ესეთი ინფორმაცია. სხვა წინასწარ ინფორმაცია არ არის არაფერი“ (გურია, ყოფილი მსჯავრდებული).

რესპონდენტების მოსაზრებების თანახმად, არის რიგი დანაშაულები, რომელთა შემთხვევაშიც პირები არ უნდა ისჯებოდნენ ისე მკაცრად, როგორც ეს ხდება. **ისინი სასჯელს არ განიხილავენ, როგორც დანაშაულის ხელმეორედ ჩადენის პრევენციულ საშუალებას.** მათი აზრით, ამის საპირწონედ უნდა არსებობდეს ალტერნატიული მიდგომები, რაც უშუალოდ დამნაშავის გამოსწორებაზე იქნება მიმართული და არა კონკრეტული დანაშაულის გამო დასჯაზე.

„სასჯელი არ არის გამოსწორებითი ხასიათის. ბევრს ისევ ჩაუდენია. არ უნდა იყოს დასჯა უპირველესი, ჩემი აზრით“ (კახეთი, ყოფილი მსჯავრდებული).

„ციხეში გამოსწორებული კაცი ვის უნახია, იქიდან უფრო მოტეხილი თუ გამოხვალ. უფრო რეაბილიტაცია და ხელის შეწყობაა საჭირო“ (ქუთაისი, ყოფილი მსჯავრდებული).

ფოკუს-ჯგუფების მონაწილეები, არაინფორმირებულობაზე მეტად, აქცენტს სვამენ დანაშაულის ჩადენის **მიზეზებზე,** რაც მათი აზრით, დამნაშავეს ან პოტენციურ დამნაშავეს არ აძლევს იმის საშუალებას, რომ კონკრეტულ მომენტში მისი განხორციელებული თუ დაგეგმილი ქმედების შედეგებზე იფიქროს. უმეტესწილად, ასეთ მიზეზებად სახელდება **წამალდამოკიდებულება.** რაც შეეხება ოჯახის წევრებს, მათი აზრით, ნარკოდანაშაულის ჩადენის მიზეზი შეიძლება იყოს სამეგობრო/საახლობლო წრე, ოჯახის მატერიალური მდგომარეობა, სუსტი ნებისყოფა, სტრესი და ა.შ.

„გარემოცვაზეც ძალიან დიდია დამოკიდებული, გარემოცვას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. კი, იცის რა მოყვება, მაგრამ იმ მომენტში ეგონა, რომ გადარჩებოდა და გაუმართლებდა“ (ბათუმი, ამჟამინდელი მსჯავრდებულის ოჯახის წევრი).

„ყოველთვის ცდილობდა თავი აერიდებინა ამისთვის, თავი დაენებებინა, მაგრამ ისეთ წრეში ხვდებოდა, რომ შეუძლებელი იყო თავის არიდება“ (ქუთაისი, ამჟამინდელი მსჯავრდებულის მეუღლე).

1.2. ინფორმაციის გავრცელების ლეგიტიმური წყაროები

ფოკუს-ჯგუფების მონაწილეებმა დაასახელეს ის ძირითადი ლეგიტიმური წყაროები, რომელთა საშუალებითაც უნდა ხდებოდეს დანაშაულებრივი ქმედებების და განსაზღვრული სასჯელის ზომისა და სიმკაცრის შესახებ ინფორმაციის გავრცელება და სამიზნე აუდიტორიამდე მიტანა. როგორც ნარკოდანაშაულისთვის გასამართლებული პირები, ასევე, ამ დანაშაულის მქონე პირების ოჯახის წევრები, სოციალიზაციის პროცესის შედარებით დაბალი საფეხურიდან –სასკოლო ასაკიდან იწყებენ და ამბობენ, რომ მოზარდებს **სკოლებშივე** უნდა მიაწოდონ მათთვის გასაგებ ენაზე ადაპტირებული სამართლებრივი საკითხები, კანონმდებლობის ძირითადი ასპექტები, რათა მათთვის თავიდანვე იყოს ცნობილი, თუ რა შეიძლება მოყვეს დანაშაულებრივი ქმედების განხორციელებას, იქნება ეს დაკავშირებული ნარკოდანაშაულთან თუ სხვა ტიპის დანაშაულთან. ამასთანავე, ხაზგასმით აღნიშნავენ **ოჯახის** ფაქტორსაც. მათი აზრით, იმ პირველადი ჯგუფების წევრებს, რომლებთანაც მოზარდს ყოველდღიური კომუნიკაცია აქვს, ძალიან დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია; შესაბამისად, ოჯახის წევრებიც უნდა უხსნიდნენ ახალგაზრდებს დანაშაულის ჩადენის ნეგატიურ ასპექტებს. ფოკუს-ჯგუფებში მონაწილე ოჯახის წევრების აზრით, მშობლებმა აღზრდის პროცესში ყურადღება უნდა გაამახვილონ ისეთ საკითხებზე, რომლებმაც ახალგაზრდის, მოზარდის ცხოვრების არასწორად წარმართვა შეიძლება გამოიწვიოს. გარდა სკოლებისა და ოჯახისა, ასევე სახელდება **სატელევიზიო მედიაც.** რესპონდენტების აზრით, მსგავსი საკითხების განხილვას სპეციალური გადაცემები უნდა დაეთმოს, რასაც სისტემატური ხასიათი ექნება. ამ პროცესში მნიშვნელოვნად მიიჩნევენ არასამთავრობო ორგანიზაციების როლს. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ რესპონდენტები მთავარ სამიზნე ჯგუფებად ახალგაზრდებს ასახელებენ და ხსენებულ საკვანძო საკითხებთან მიმართებით მთავარ იმპერატივად ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლებას განიხილავენ.

„ტელევიზორში საერთოდ არ ამბობენ დეტალურად არაფერს. ადამიანები უნდა იყვნენ ინფორმირებულები, რომ რეალიზაციაზე დიდია სასჯელი, რადგან ამ ინფორმაციამ ხელი ააღებინოს ამ დანაშაულზე“ (კახეთი, ყოფილი მსჯავრდებული).

„მშობლებმა ძალიან ბევრი უდნა ვესაუბროთ ჩვენს შვილებს ამ პრობლემის შესახებ. მაქსიმალურად შევეცადოთ გავაკონტროლოთ ბავშვი“ (ბათუმი, ამჟამინდელი მსჯავრდებულის ოჯახის წევრი).

„უნდა დაეთმოს გადაცემები და აიხსნას, თუ რას გამოიწვევს ამა თუ იმ ნარკოტიკის თრობის ქვეშ მყოფი ადამიანი და რას ავნებს ადამიანს“ (ახალციხე, ყოფილი მსჯავრდებული).

ოჯახის წევრების აზრით, ნარკოდანაშაულის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით, უნდა არსებობდეს **ონლაინ-პლატფორმა,** სადაც დაწვრილებით და გასაგებად იქნება მოცემული ყველა ის საკითხი, რომელიც ნარკოდანაშაულს უკავშირდება. მათი აზრით, ეს ფუნქცია შინაგან საქმეთა სამინისტრომ და არასამთავრობო ორგანიზაციებმა უნდა იკისრონ, რათა ორგანიზებულად და ეტაპობრივად მოხდეს სამიზნე ჯგუფებისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება. ოჯახის წევრები ხაზგასმით აღნიშნავენ **ეკლესიის** როლს მოზარდის ცხოვრებაში. მათი აზრით, ახალგაზრდებში რწმენის განმტკიცება იმთავითვე ხელს უწყობს დანაშაულის ჩადენის შესახებ ნეგატიური განწყობების ჩამოყალიბებას.

„რაღაც საიტი უნდა იყოს, სადაც შეხვალ და ბევრ რამეს ნახავ. ან შინაგან საქმეთა სამინისტროს უნდა ჰქონდეს სპეციალური საიტი, ან რომელიმე არასამთავრობოს“ (ბათუმი, ამჟამინდელი მსჯავრდებულის მეუღლე).

გარდა ზემოთ ხსენებული წყაროებისა, ნარკოდანაშაულისთვის გასამართლებული პირები ამბობენ, რომ თავადაც ავრცელებენ ინფორმაციას მათ ირგვლივ მყოფ საზოგადოებაში იმის თაობაზე, თუ რა რისკებთან არის დაკავშირებული დანაშაულის ჩადენა და რამდენად უარყოფით ცხოვრებისეულ გამოცდილებას სძენს ის ადამიანს. აღსანიშნავია, რომ ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრების აზრით, საინფორმაციო კამპანიის წარმატებული და ეფექტური მეთოდი შეიძლება აღმოჩნდეს თავად იმ ადამიანების ინტერვიუების გავრცელება, რომლებიც გასამართლდნენ ნარკოდანაშაულისთვის და ჩადენილ ქმედებას შეფასების უარყოფით პრიზმაში განიხილავენ. სწორედ ასეთი ადამიანების შეფასებები და ცხოვრებისეული გამოცდილება ყველაზე ცხადად დაანახებს ახალგაზრდებს და პოტენციურ ნარკოდამნაშავეებს, თუ რა რისკებს უკავშირდება მათი ქმედება.

1.3. ნარკოდანაშაულის კრიმინალური სახეები

ზემოთ განხილული საკითხების გარდა, რესპონდენტებმა ისაუბრეს ნარკოდანაშაულის (მოხმარება, შეძენა, შენახვა, წარმოება, გასაღება) კვლევისთვის რელევანტური სახეებიდან, მათი აზრით, **რომელი იმსახურებს დანაშაულის კვალიფიკაციას და რომელი გადის კრიმინალური ქმედების ფარგლებს გარეთ.**

ნარკოდანაშაულის ისეთ სახეებს შორის, როგორებიცაა მოხმარება, შეძენა, შენახვა, წარმოება, გასაღება, გამოკითხულთა აზრით, დანაშაულის კვალიფიკაცია პირველ რიგში უნდა მიენიჭოს გასაღებას და ყველაზე მკაცრი სასჯელი სწორედ რეალიზატორებისთვის უნდა დადგეს. ასევე, მათი აზრით, **წარმოება გასაღების მიზნით** დანაშაულის კვალიფიკაციას იმსახურებს. რაც შეეხება **დამზადებას პირადი მოხმარების მიზნით,** ეს შემთხვევა არ უნდა იყოს დასჯადი. გამოკითხულები ფიქრობენ, რომ მოხმარება ადამიანის თავისუფალ ნებაზეა დამოკიდებული და ამ მუხლით ადამიანის დასჯა არ არის სწორი გადაწყვეტილება. ყოფილი მსჯავრდებულების გარკვეული ნაწილისთვის ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება ალკოჰოლის ან სიგარეტის მოხმარებასთან იგივდება და ფიქრობენ, რომ ინდივიდმა თავად უნდა განსაზღვროს და გადაწყვიტოს, მიიღებს თუ არა რაიმე სახის ნარკოტიკს. მათი აზრით, სწორედ რომ **ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება გადის კრიმინალური ქმედების გარეთ.** წამალდამოკიდებულებას ისინი განიხილავენ, როგორც დაავადებას და არა როგორც კრიმინალურ აქტს. ფოკუს-ჯგუფებში დაფიქსირებული მოსაზრებების მიხედვით, დასაშვებია, მომხმარებელთათვის ისეთი ნარკოტიკული საშუალების, როგორიცაა მარიხუანა, ხელმისაწვდომობა გაიზარდოს სახელმწიფოს მიერ შესაბამისი ნაბიჯების გადადგმის შემთხვევაში. ასეთ გზად ისინი მიიჩნევენ, სიგარეტის და ალკოჰოლის მსგავსად, მარიხუანის გაყიდვას სხვადასხვა ტიპის მაღაზიაში. მათი აზრით, ეს მიდგომა შეამცირებს არალეგალურ წარმოებას და გასაღებას. რესპონდენტები ყურადღებას ამახვილებენ რეალიზატორების არაკეთილსინდისიერებაზე, იმდენად, რამდენადაც ისინი ნარკოტიკულ საშუალებებში ამატებენ სხვადასხვა ტიპის ნივთიერებას, რაც ჯანმრთელობისთვის ძალზე საზიანოა და, გარკვეულ შემთხვევებში, ნარკომომხმარებლის სიკვდილიც კი გამოუწვევია.

> *„პირველი რიგის დანაშაული საერთოდ რეალიზატორობაა და სასჯელს რაც შეეხება, უნდა განისაზღვროს მაგისთვის სასჯელი. შემდეგ არის მოყვანა/მოხმარება, მაგრამ საერთოდ რეალიზატორს უფრო მეტი უნდა მიესაჯოს“ (ახალციხე, ყოფილი მსჯავრდებული).*

> *„მე ვეთანხმები ევროპაში გავრცელებულ პრაქტიკას. დამზადება გასაღების მიზნით არის მძიმე დანაშაული. ზოგადად, გასაღებაც. პირადი მოხმარების მიზნით დამზადება არ უნდა იყოს მძიმე სასჯელი“ (კახეთი, ყოფილი მსჯავრდებული).*

ნარკოდამნაშავეების მსგავსად, მსჯავრდებულთა ოჯახის წევრებიც ფიქრობენ, რომ ნარკოდანაშაულის ესა თუ ის ტიპი, გარდა მოხმარებისა და მოხმარების მიზნით შეძენა, შენახვა, დამზადებისა, იმსახურებს დანაშაულის კვალიფიკაციას. როგორც რესპონდენტები ამბობენ, თავად ნარკოდამოკიდებულებიც პროტესტს გამოთქვამენ მათ მიმართ გამოყენებული სადამსჯელო ღონისძიებების მიმართ; ამას კი იმით ხსნიან, რომ მომხმარებლები ზიანს მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ ჯანმრთელობას აყენებენ. თუმცა, გარდა ამისა, თუ უფრო მასშტაბურად შევხედავთ საკითხს, დავინახავთ მეორე მხარეს – უარყოფითი მაგალითის მიცემას ნარკოდამოკიდებული პირის ირგვლივ მყოფი ადამიანებისთვის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებისთვის. ოჯახის წევრების აზრით, შეძენა მოხმარების მიზნით არ იმსახურებს დანაშაულის კვალიფიკაციას, თუმცა, თუ შემდგომი რეალიზაციისთვის ხდება შეძენა, მაშინ მსგავსი მოქმედება კრიმინალურ ფაქტად ხასიათდება.

> *„დიახ, იმას ვიძახი, რომ მომხმარებელი არის პიროვნება რომელიც არის სამკურნალო, ის ადამიანი რომელიც ასაღებს და რომელსაც მოყავს, უკვე ერთ ასპექტშია ეს ორივე“ (ქუთაისი, ამჟამინდელი მსჯავრდებულის ოჯახის წევრი).*

ნარკოდამოკიდებული პირების ოჯახის წევრების გარკვეული ნაწილი ამბობს, რომ ნარკოდანაშაულის ნებისმიერი სახე, მოხმარების ჩათვლით, დანაშაულია, რომელიც აზიანებს არა მხოლოდ მომხმარებელს, არამედ მის ირგვლივ მყოფ ადამიანებსაც, რამდენადაც არსებობს რისკი, რომ ისინიც მომხმარებლებად ჩამოყალიბდნენ. ნარკოტიკის მოხმარებას ძალიან ბევრი ნეგატიური ფაქტი ახლავს თან: ოჯახი ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ იმყოფება. წამალდამოკიდებული ოჯახის წევრის ქმედებების გამო უარესდება ფინანსური მდგომარეობა, რადგან ოჯახს უწევს იმ ვალების გასტუმრება, რომელსაც მომხმარებელი იღებს ნარკოტიკის საყიდლად.

> *„ის თუ ავადმყოფია, ჩვენც ავადმყოფებიც გავხდით იმის ყურებით თუ რა დღეში იგდებს თავს და ოჯახსაც რა დღეში აგდებს. პატიმარს როგორი შენახვა უნდა კარგად მოგეხსენებათ“ (კახეთი, ამჟამინდელი მსჯავრდებულის მეუღლე).*

> *„ჩემთვის ნარკოდანაშაული ყველა შემთხვევაში დანაშაულად ითვლება, ვერ ვუპოვი გამართლებას. თუნდაც მარტო დამოკიდებული იყოს და არა გამსაღებელი“ (გურია, ამჟამინდელი მსჯავრდებულის მეუღლე).*

ნარკოდამნაშავეების ოჯახის ზოგიერთი წევრი აღნიშნავს, რომ მიუხედავად ასაკისა, ნარკოდანაშაულის ჩამდენი ნებისმიერი პირი თანაბარი სიმკაცრით უნდა გასამართლდეს. მათი აზრით, არასრულწლოვნების მიმართ გამოჩენილი ლიბერალიზმი შერჩევითი სამართლის მავნე პრაქტიკას ამკვიდრებს და დანაშაულის ჩადენის მაჩვენებელიც იმატებს.

„ნამდვილად აი, ეს არასრულწელოვნებიც რომ სჩადიან, ბევრი დანაშაული ყოფილა არასრულწლოვნებისაც, მაგრამ არ დასჯილან, უკვე იმ ერთმა რომ დააშავა და არ დაისაჯა, მეორემაც დააშავა. სათანადოდ ეგენიც უნდა დაისაჯონ, არასრულწლოვნებიც“ (შიდა ქართლი, ნარკორეალიზატორის ოჯახის წევრი).

ამისგან განსხვავებით, რესპონდენტთა ნაწილი არასრულწლოვნებთან მიმართებით შედარებით ლიბერალური სისხლის სამართლის პოლიტიკის მომხრეა. ასეთთა აზრით, ნარკოტიკული დანაშაულისთვის გასამართლებული 18 წლამდე ასაკის პირებზე ბევრად უფრო მსუბუქი სასჯელი უნდა ვრცელდებოდეს, ვიდრე სრულწლოვან პირებზე.

აღსანიშნავია, რომ ოჯახის წევრების შეფასებები რადიკალურია და ძალიან მკაცრად უდგებიან ნებისმიერ ნარკოდანაშაულს, გარდა მოხმარებისა. ამ უკანასკნელთან მიმართებით კი, ოჯახის წევრების უმრავლესობის და თავად ნარკოდამნაშავეების მოსაზრებები ერთმანეთს ემთხვევა. მათი აზრით, ნარკომომხმარებლებს სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარება სჭირდებათ და მათზე განსაკუთრებული ზრუნვაა საჭირო.

გარდა ზოგადი შეფასებებისა, ნარკოდამნაშავე რესპონდენტები, ასევე, იხსენებენ მათ პირად გამოცდილებას მათთვის დაკისრებული სასჯელების სიმკაცრესთან და ჩადენილი დანაშაულის ადეკვატურობასთან დაკავშირებით. გამოკითხულთა გარკვეული ნაწილი აღნიშნავს, რომ მათთვის დაკისრებული სასჯელი არ იყო მათი დანაშაულის ადეკვატური. კერძოდ, ისინი საუბრობენ სასჯელის სიმკაცრეზე ან თუნდაც დიდი ოდენობის ჯარიმებზე, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, ჩადენილი დანაშაულის ადეკვატური არ არის.

„ისედაც სულ არეულობა, უმუშევრობა, პრობლემების ქვეშ ვიყავი, 500 ლარი დაგვაკისრეს ორი ნაპასი პლანისთვის, არ მაქვს თანხის გადახდის საშუალება“ (ქუთაისი, ნასამართლევი (ჯარიმა).

რესპონდენტებს ევროპის ქვეყნების პრაქტიკა მოჰყავთ მაგალითად, და აღნიშნავენ, რომ თუ ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება არ იქნება დასჯადი, მომხმარებელთა რაოდენობა შემცირდება ქვეყანაში.

„ევროპამ აჩვენა, რომ იქ სადაც ნარკომოხმარება დასჯადი არ არის, უფრო ნაკლები მომხმარებლები ჰყავთ, ვირე იქ, სადაც ეს ყველაფერი დასჯადია“ (კახეთი, ამჟამინდელი მსჯავრდებულის ოჯახის წევრი).

ნარკოდამნაშავეების ოჯახის წევრების მონათხრობის მიხედვით, მათი გამოცდილებები, თუ რატომ ჩაერთო მათი ოჯახის წევრი დანაშაულებრივ პრაქტიკებში, ერთმანეთისგან განსხვავდება. გამოკითხულთა ნაწილი ამბობს, რომ მათი ოჯახის წევრის დანაშაულებრივ ქცევას ცუდ ეკონომიკურ მდგომარეობას ვერ დააბრალებს, მით უმეტეს, რომ დამნაშავე დასაქმებული იყო. მათი აზრით, მნიშვნელოვანია პირადი პასუხისმგებლობის და გაცნობიერების ხარისხი: ზოგიერთი ნარკომომხმარებელი შეიძლება ვერც აცნობიერებდეს მისი ქცევის უარყოფით მხარეებს. მიუხედავად იმისა, ექნება თუ არა მას ინფორმაცია წამალდამოკიდებულების ნეგატიურ ასპექტებზე, შეიძლება, მაინც განაგრძოს მოხმარება, რადგან ეს საკუთარი ნებით/მრწამსით იქნება განპირობებული. ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება არ განიხილება როგორც დროებითი ან ერთჯერადი ქცევა, რომელიც პირის პენიტენციურ დაწესებულებაში მოხვედრის შემდეგ აღარ განმეორდება. ოჯახის წევრების აზრით, ეს რთული მოვლენაა და მას კომპლექსური მკურნალობა სჭირდება. მით უფრო, რომ ვერც ციხე და ვერც ინფორმაციის მიწოდება ვერ უბიძგებს ადამიანს, შეწყვიტოს მოხმარება.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ როგორც ნარკოდამნაშავეები გამოთქვამენ უკმაყოფილებას მათთვის დაკისრებული სასჯელის უსამართლობის გამო, ასევე, უსამართლობის განცდა აქვთ ოჯახის წევრებსაც.

> *„ეს მომხმარებელი იყო და ვფიქრობ რომ გინდაც 3 წელი დიდია, იმიტომ, რომ ნარკომომხმარებელი ავადმყოფია, თავის თავს უშავებს. ის არ ყოფილა გამსაღებელი, მან მოიხმარა. ასეთ ადამიანს ჭირდება მკურნალობა. „სროკი“ მედიდა“ (ბათუმი, ამჟამინდელი მსჯავრდებულის ოჯახის წევრი).*

2. ნარკოდანაშაულის ჩამდენი სამიზნე ჯგუფები და ნარკოდანაშაულის გამომწვევი მიზეზები

2.1. ნარკოდანაშაულისკენ მიდრეკილი ჯგუფები

გარდა ზემოთ განხილული საკითხებისა, რესპონდენტებმა ისაუბრეს იმაზეც, თუ **საზოგადოების რომელი ჯგუფების წევრები არიან განსაკუთრებით მოწყვლადნი ნარკოდანაშაულის ჩადენის თვალსაზრისით.** ამასთან ერთად, ყურადღება გამახვილდა დანაშაულის გამომწვევ მიზეზებზე.

ნარკოდანაშაულისთვის გასამართლებულთა აზრით, ნარკომომხმარებელი ნებისმიერი სოციალური თუ ეკონომიკური ფენის წარმომადგენელი ადამიანი შეიძლება გახდეს. ნარკოტიკული საშუალებების შესახებ ინფორმაცია და მათზე წვდომა მეტ-ნაკლებად ყველას აქვს, ვისაც ამის სურვილი უჩნდება, იქნება ეს ახალგაზრდა თუ უფროსი ასაკისა. ამასთან, მათი აზრით, ხსენებულ საკითხზე ინფორმაციის მიღების თვალსაზრისით, არ აქვს მნიშვნელობა მიღწეული განათლების დონეს, პროფესიას და სხვა სოციალურ-დემოგრაფიულ მახასიათებლებს. რაც შეეხება ნარკოტიკების გასაღებას, ამ შემთხვევაში რესპონდენტები აქცენტს აკეთებენ დაბალი ეკონომიკური შემოსავლების მქონე ადამიანებზე, რომლებიც ნარკოტიკულ საშუალებებს ყიდიან შემოსავლის მიღების და ოჯახისთვის მატერიალური კეთილდღეობის შექმნის გამო. გამომდინარე იქიდან, რომ გასაღება აკრძალულია, შესაბამისად, ნარკოტიკებზე მაღალი ფასია დაწესებული. ამიტომ, გამსაღებელს უჩნდება სურვილი გარისკოს დიდი მოგების მიღებისთვის, რაც, ხშირ შემთხვევაში, სამართლებრივი პასუხისმგებლობით სრულდება.

> *„უფრო მეტს გაუჩნდა სურვილი, რომ [ნარკოტიკული საშუალება] გადაეყიდა და ოჯახი გამოეკვება იმ ფულით, ეს ხომ სოციალურ პრობლემებს უკავშირდება, მიზეზ-შედეგობრივი კავშირია ნარკორეალიზაციასა და იმას შორის, რომ ყველას ძალიან უჭირს“ (კახეთი, ყოფილი მსჯავრდებული).*

ისევე როგორც ნარკოდანაშაულისთვის გასამართლებული პირები, ნარკოდამნაშავეების ოჯახის წევრებიც ამბობენ, რომ ნარკოდანაშაული ნებისმიერი სოციალური ფენის წარმომადგენელმა ადამიანმა შეიძლება ჩაიდინოს. თუმცა, გავრცელებული ტენდენციის მიხედვით, მათი აზრით, განსაკუთრებით უმუშევრები, ცუდი ეკონომიკური მდგომარეობის მქონე ადამიანები და ახალგაზრდები არიან მოწყვლადები ნარკოდნაშაულის ჩადენის თვალსაზრისით. რესპონდენტების შეფასებით, არის ნარკომომხმარებლების ორი კატეგორია – ადამიანები, რომლებიც წამალდამოკიდებულები არიან, თუმცა, მათ მართლაც არანაირი ზიანი არ მოაქვთ ოჯახებისთვის და

მეორე კატეგორია ნარკომომხმარებლებისა, რომლებიც ნარკოტიკის საყიდლად ყველანაირ ხერხს მიმართავენ, იქნება ეს სახლის გაყიდვა, თუ სხვა უფრო რადიკალური ზომები.

„უმუშევრობა უბიძგებს, რომ ნარკოტიკებს მიეძალონ, ბევრი დრო აქვთ ტყუილად ყოფნისთვის , ფსიქოლოგიური მდგომარეობაც ძალიან დაქვეითებული აქვთ, ახალგაზრდები ვინც ადრე შექმნეს ოჯახი და მეუღლეზე არიან დამოკიდებული თუნდაც“ (ქუთაისი, ნარკომომხმარებლის მეუღლე).

„არიან მომხმარებლები, ვინც მართლა არაფერს აკლებენ ცოლ-შვილს და ხელის გულზე ყავთ, მაგრამ მაინც მოიხმარენ. მაგრამ არის ისეთი კატეგორია, ჩემი მეუღლე მაგალითად, პირიქით ბინაც გაყიდა, ეზოც გაყიდა, რომ მისი ვალები დაგვეფარა. ხომ ავნო ოჯახს. ესე იგი მის პირად სიამოვნებას მოხმარდა მთელი ქონება“ (ქუთაისი, ნარკომომხმარებლის მეუღლე).

რესპონდენტების ნაწილი აღნიშნავს, რომ ბოლო წლებში გავრცელებული ტენდენციის მიხედვით, ახალგაზრდები უფრო მეტად მოიხმარენ მსუბუქ ნარკოტიკულ საშუალებებს (მაგ. მარიხუანა) და კლუბურ ნარკოტიკებს. ასევე, ისინი ამბობენ, რომ საზოგადოების ეს სეგმენტი ხშირად იყენებს ფსიქოტროპულ მედიკამენტებს, რათა განიცადონ ნარკოტიკული თრობა. ყოველივე თქმული მათთვის გართობის, განტვირთვის საშუალებად იდენტიფიცირდება.

„ახალგაზრდებში არის ეს კლუბური და სააფთიაქო ნარკომანია, ეს მართლა მოქმედებს ფსიქიკაზე.“ (ქვემო ქართლი, ყოფილი მსჯავრდებული)

„ჩემ წინ არის ფსიქოტროპული აფთიაქი და რიგი დგას ახალგაზრდების. ქალი, ბიჭი გოგო... ყოველდღე ყიდულობენ დიდ დოზებს“ (ქვემო ქართლი, ყოფილი მსჯავრდებული).

2.2. ნარკოდანაშაულის გამომწვევი ფაქტორები

რესპონდენტებმა განიხილეს ამა თუ იმ სოციალური ჯგუფის მიერ **ნარკოდანაშაულის ჩადენის გამომწვევი ფაქტორები.** ისინი აღნიშნავდნენ, რომ ამ საკითხს კომპლექსური შეფასება სჭირდება, ვინაიდან ნარკოდანაშაულიას ამა თუ იმ ტიპის ჩადენა, როგორც წესი, რამდენიმე მიზეზით –ეკონომიკური მდგომარეობა, ფსიქოლოგიური მდგომარეობა, სოციალური წრე, განათლების დონე, დასაქმების მდგომარეობა, ოჯახში არსებული ურთიერთობები და სხვ. შეიძლება იყოს განპირობებული. ამიტომ, მათ გაუჭირდათ ერთი ძირითადი ფაქტორის გამოყოფა. ფოკუს- ჯგუფების

მონაწილე ყოფილი ნარკოდამნაშავეები ყურადღებას ამახვილებენ საზოგადოებაში გავრცელებულ დამოკიდებულებებსა და განწყობებზე. ისინი ამბობენ, რომ გარკვეულ ჯგუფებში საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული „კაი ბიჭობის“/“გამოსული ბიჭობის“ მენტალიტეტი და ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება გართობის მიზნით, განსაკუთრებით ახალგაზრდებში. შესაბამისად, ერთ-ერთ საკვანძო ფაქტორად **მიმბაძველობას** ასახელებენ.

> *„ზოგი ისეთ სამეგობროშია, რომ ეწევიან. ახალგაზრდებში არის სამწუხაროდ, რომ აი, ერთმანეთის სიამოვნების გულისთვის, გეგონება, კარგია ეს ყველაფერი, სჩადიან ნარკოდანაშაულს. რაღაცნაირად მოდაშია ახლა ახალგაზრდებში მოწევა, რაც არ უნდა ხდებოდეს“ (სამეგრელო, ყოფილი მსჯავრდებული).*

მარიხუანის გარდა სხვა უფრო მძიმე ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება, გამოკითხულთა გარკვეული ნაწილის აზრით, შეჩვევით და ნივთიერებაზე დამოკიდებულებით არის გამოწვეული. თუმცა, აქვე დასძენენ, რომ თავად მარიხუანა არ იწვევს დამოკიდებულებას და ამ ტიპის ნარკოტიკის მომხმარებელი ვერ იქნება მიდრეკილი, რომ სხვა უფრო ძლიერი ნარკოტიკის გამოყენება დაიწყოს. ამასთანავე, მნიშვნელოვან საკითხად მიიჩნევენ **აკრძალულისკენ მიდრეკილების** საკითხს. რაც უფრო მეტად აკრძალული იქნება ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება, მით უფრო მეტი ინტერესი ექნება საზოგადოების წევრებს, გასინჯონ ესა თუ ის ნარკოტიკი.

> *„არ მგონია ახლა, რომ მარიხუანას მომხმარებელი გაგიჟდეს და სხვა საშულებებზე გადავიდეს, მარიხუანა არ იწვევს დამოკიდებულებას. აი წამალი კი, ერთხელ რომ გაიკეთებენ ვეღარ ეშვებიან. არა მგონია ამის მიზეზი იყოს რამე ოჯახური და სხვა გარემოება, გასინჯა ერთხელ ესიამოვნა და გააგრძელა“ (ქუთაისი. ყოფილი მსჯავრდებული).*

> *„აკრძალული ხილისკენ ლტოლვა არის უმნიშვნელოვანესი. ინტერესი ნარკოტიკული საშუალებით თრობის მიმართ. და მერე ემატება ცოტ-ცოტა ყველაფერი – ის, რომ არ მუშაობს, ის რომ გვერდით ვიღაც ისეთი ყავს“ (კახეთი, ყოფილი მსჯავრდებული).*

გარდა თქმულისა, რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ქვეყნის მძიმე **სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობაც** მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელი საკითხია, როდესაც ნარკოდანაშაულის ჩადენის მოტივებზე ვსაუბრობთ. მაშინ, როდესაც ადამიანი სახელმწიფოსგან ვერ გრძნობს მხარდაჭერას, არ არის დასაქმებული, ვერ ახერხებს საკუთარი თავის და ოჯახის რჩენას, ის იძულებული ხდება იფიქროს ალტერნატიულ

გზებზე, იქნება ეს ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებით დეპრესიული და რთული ფსიქოლოგიური მდგომარეობისგან საკუთარი თავის დახსნა თუ ოჯახის რჩენა დანაშაულებრივი, კანონსაწინააღმდეგო გზით, მაგალითად, ნარკოტიკული საშუალებების გასაღებით.

> *„ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა პირდაპირ კავშირშია არამარტო ნარკოდანაშაულთან, არამედ ნებისმიერ დანაშაულთან“ (შიდა ქართლი, ყოფილი მსჯავრდებული).*

ზოგიერთი რესპონდენტი, ასევე, საუბრობს **რელიგიისა და რწმენის** ფაქტორის გავლენაზე. როგორც ისინი ამბობენ, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, მორწმუნე და ეკლესიური ადამიანი ნარკოდანაშაულს არ ჩაიდენს.

> *„შეიძლება ითქვას, რომ უღმერთობა. ადამიანი ახლა მაინც რომელიც უფრო ცდილობს, რომ ვინც რწმენაშია, ეკლესიურად ცხოვრობენ და ღმერთთან სიახლოვე უნდათ, არ სჩადიან დანაშაულებს თითქმის“(შიდა ქართლი, ყოფილი მსჯავრდებული).*

ნარკოდამნაშავეების ოჯახის წევრების მოსაზრებები იმასთან დაკავშირებით, თუ რა ფაქტორები უწყობს ხელს ამ ტიპის დანაშაულის ჩადენას ემთხვევა თავად ნარკოდამნაშავეების მოსაზრებებს. ფოკუს-ჯგუფების მონაწილე ოჯახის წევრები ხაზგასმით ასახელებენ პირის ეკონომიკურ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, თვითრეალიზაციის შეუძლებლობას, მიმბაძველობას, სუსტ ნებისყოფას, ოჯახურ ურთიერთობებს და ა.შ.

> *„ნაკლები შემოსავალი რომ არის, ეს უკვე ფსიქოლოგიურადაც მოქმედებს ადამიანზე. შემოსავლები ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნილებებს და გადაცდომისკენ უბიძგებს მერე ეს ადამიანებს“ (შიდა ქართლი, ნარკორეალიზატორის და).*

> *„ეკონომიკური მდგომარეობა წამყვანია, მაგრამ გარემოცვასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორი უბანია, როგორი სამეგობრო ჰყავს, რომელიც შეიძლება იყოს ბიძგის მიმცემი“ (ბათუმი, ნარკომომხმარებლის მეუღლე).*

როგორც რესპონდენტები აღნიშნავენ, მოსალოდნელი სასჯელის მიმართ შიში ვერ გახდება ნარკოდამოკიდებულისთვის მოხმარებისთვის თავის დანებების მიზეზი ან მოტივაცია. წამალდამოკიდებულ ადამიანს პირველ რიგში თანადგომა ესაჭიროება, როგორც შესაბამისი სამკურნალო დაწესებულებების, ასევე ოჯახის წევრების მხრიდან. რესპონდენტების აზრით, როდესაც ვსაუბრობთ ნარკომოხმარებაზე,

გასათვალისწინებელია მომხმარებლის ასაკი. ახალგაზრდების შემთხვევაში ნარკომოხმარების მაჩვენებელი არის მაღალი, რაც ძირითადად, მიმბაძველობით არის გამოწვეული.

> *„არასრულწლოვანი დაიჭირეს ჩემი შვილი, გამოცდებისთვის ემზადებოდა და გამოიწვია სამეგობრო წრემ. იყო ისეთ სამეგობრო წრეში, სწავლობდა ემზადებოდა, მაგრამ ჩავარდა ისეთ სამეგობრო წრეში, გაყვა მათ“ (გურია, ნარკოდამოკიდებულის დედა).*

2.3. ნარკოდანაშაულისთვის დაკავების შემდგომი ეტაპები და პროცედურები

ფოკუს-ჯგუფებში მონაწილე ყოფილმა მსჯავრდებულებმა და ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრებმა **ისაუბრეს იმ ეტაპებსა და პროცედურებზე, რომლებიც ნარკოდამნაშავეებმა გაიარეს მას შემდეგ, რაც დააკავეს კონკრეტული ნარკოდანაშაულის გამო.** ისინი შეეხნენ ისეთ ეტაპებს, როგორებიცაა წინასწარი პატიმრობა, პროცესების განვითარება დაკავებიდან სასამართლომდე, სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და სხვ.

რესპონდენტების შეფასებები ორ ნაწილად იყოფა. ნარკოდამნაშავეების და ოჯახის წევრების ნაწილი ჩადენილ დანაშაულთან ადეკვატურად აფასებს იმ პროცესებს, რომლებიც ნარკოდამნაშავეებმა განვლეს დაკავებიდან სასამართლომდე, ნაწილი კი უსამართლოდ მიიჩნევს, როგორც დაკავებას, ასევე შემდგომ განვითარებულ მოვლენებს. რესპონდენტებს შორის აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომლებიც დანაშაულებრივი ქმედებისთვის გასამართლდნენ როგორც ამჟამინდელი, ისე წინა ხელისუფლების დროს. ასეთთა შეფასებების თანახმად, ქვეყანაში დამნაშავეებთან მოპყრობის ტენდენციები გაუმჯობესდა. სამართალდამცავები ბევრად უფრო ლოიალურები გახდნენ. შემცირდა სტიქიური ნარკოლოგიური შემოწმებები, რაც პიროვნების ქუჩიდან მოულოდნელად აყვანას და ნარკოლოგიურში ნარკოტესტის ჩასატარებლად იძულებით წაყვანას გულისხმობდა. დღესდღეობით, როგორც რესპონდენტები აღნიშნავენ, ბევრად უფრო თავისუფლად გრძნობენ თავს და ქუჩაში გასვლის შიში აღარ აქვთ.

> *„წინა ხელისუფლების დროს გარეთ ვერ გახვიდოდი, თუ დაგიჭერდნენ, პირდაპირ იზოლატორში მიყავდით. ახლა უკეთესი სიტუაციაა. დანაშაულს თუ ჩაიდენ, რა თქმა უნდა, ახლა უკვე დახვეწილია ყველაფერი. ახლა პატიმრებს ადამიანურად ექცევიან და წინა ხელისუფლების დროინდელთან შედარებით უკეთესია ნამდვილად“ (სამეგრელო,ყოფილი მსჯავრდებული).*

„აქ არიან ბიჭები, მიშას [სააკაშვილის] დროიდელი პატიმრები ვინცაა. იმათ მეტი სირთულე აქვთ გამოვლილი, მაშინ ძაან უჭირდათ ბიჭებს და ახლა საერთოდ სხვა სიტუაციაა, ძალადობა რამე ჩემ დროს არ ყოფილა“ (გურია, ყოფილი მსჯავრდებული).

როგორც ზემოთ აღინიშნა, გამოკითხულთა ერთი ნაწილი სამართლიანს უწოდებს იმ პროცესებს, რომლებიც მათთან მიმართებით განხორციელდა. კერძოდ, ნარკოდამნაშავეები აღნიშნავენ, რომ ისინი სამართლიანად დააკავეს ჩადენილი დანაშაულის გამო, სამართალდამცავების მხრიდან მათ მიმართ არ განხორციელებულა ძალადობრივი ქმედებები ან ზეწოლა. ზოგიერთები აღნიშნავენ, რომ შესაძლო სასჯელის მინიმუმი შეუფარდეს, რაც მათი მხრიდან დადებითად ფასდება. ამასთანავე, დადებითად აფასებენ წინასწარი პატიმრობის იზოლატორში არსებულ სიტუაციას და პირობებს.

„პირადად ჩემს შემთხვევაში, რასაც ითვალისწინებდა ჩემი მუხლი, 273-ე მუხლი, მაგაზე მინიმუმის მოცემა უკვე აღარ შეიძლებოდა ჩემ შემთხვევაში და გასაპროტესტებელი მაგ მხრივ არაფერი არ მაქვს“ (შიდა ქართლი, ყოფილი მსჯავრდებული).

მსგავსად ნარკოდამნაშავეებისა, ოჯახის წევრების ნაწილიც სამართლიანად აფასებს მათ ახლობლებთან მიმართებით განხორციელებულ სამართლებრივ მოქმედებებს. როგორც ისინი ამბობენ, კანონდარღვევით არაფერი მომხდარა სამართალდამცავების მხრიდან. არსებობდა ფაქტი დანაშაულის ჩადენის, რასაც შესაბამისი რეაგირება მოჰყვა.

„კანონდარღვევით არაფერი არ მომხდარა. ნარკოანალიზებიც ყველაფერი უცებ კეთდება, არანაირი კანონდარღვევა არ ყოფილა ჩემი მეუღლის შემთხვევაში. ყველაფერი თვალსაჩინო იყო – ავარიაც, წამალიც. სასამართლო გადაწყვეტილება, მგონია რომ სამართლიანი იყო (ბათუმი, ნარკომომხმარებლის მეუღლე).

ამის საპირისპირო გამოცდილებაზე საუბრობს გამოკითხულთა მეორე ნაწილი. ამ პოზიციის მქონე ნარკოდამნაშავეთა შეფასებით, მათი დაკავება არ იყო სამართლიანი და არც შემდეგ განვითარებულა პროცესები ჩადენილი გადაცდომების ადეკვატურად. მსგავსი დამოკიდებულებებისა და განწყობების მქონე რესპონდენტების მსჯავრდებულობის პერიოდი ემთხვევა, როგორც ამჟამინდელ, ასევე, წინა ხელისუფლების პერიოდს და იმ დროს არსებულ პოლიტიკას. ნარკომომხმარებლები საკუთარ ქმედებას კანონსაწინააღმდეგოდ არ აღიქვამენ და ფიქრობენ, რომ ნარკოდამოკიდებული ადამიანის გასამართლება ან მისთვის ჯარიმის სახით გადასახადის

დაკისრება უსამართლოა. ამის საპირწონედ ყოფილი მსჯავრდებულები მათთვის სამედიცინო მომსახურების შეთავაზებას განიხილავენ. გარდა ამისა, ნარკოტესტის პასუხზე დაყრდნობით ადამიანისთვის ბრალის წაყენება მათთვის მიუღებელია, რადგან მათი აზრით, ტესტის პასუხი, შესაძლოა, მცდარი იყოს. ასევე, ყოფილი მსჯავრდებულები აღნიშნავენ, რომ ნარკოტიკული დანაშაულისთვის სასამართლო პროცესი არ იმართებოდა მსჯავრდებულის სასარგებლოდ, მოსამართლეს არ გააჩნდა ძალაუფლება, რომ გადაწყვეტილება თავად გამოეტანა. სასამართლო პროცესს ირიბად პროკურატურა განსაზღვრავდა. ამასთანავე, წინასწარი პატიმრობის პერიოდში არსებულ მდგომარეობაზე საუბრისას, რესპონდენტები აღნიშნავდნენ, რომ ისინი შეზღუდულები იყვნენ გარკვეულ საკითხებში.

„ისეთი პრეპარატით ვიყავი, რომ ჯერ ამხელა სროკი მომცეს და მერე ფული [ჯარიმა] ცალკე. ამ სიტუაციაში მართალი ვარ მე კანონთან“ (გურია, ყოფილი მსჯავრდებული).

გარდა ნარკოდამნაშავეებისა, უკმაყოფილო შეფასებებით გამოირჩევიან ამჟამინდელი ნარკოდამნაშავეების ოჯახის წევრები. უსამართლობის განცდის მქონე რესპონდენტების ეს ნაწილი ამბობს, რომ მათი ოჯახის წევრების შემთხვევაში სამართალდამცავებს ყველაფერი წინასწარ ჰქონდათ დაგეგმილი. რესპონდენტები საუბრობენ ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა ნარკომომხმარებლებისთვის დიდი ოდენობის ჯარიმის დაკისრება, სასჯელის არაადეკვატურობა, არასამართლიანი სასამართლო პროცესი. როგორც გამოკითხულმა ოჯახის წევრებმა აღნიშნეს, მოსამართლე ძალადაკარგულია, განსასჯელისთვის განაჩენის გამოტანა პროკურატურაში ხორციელდება, მოსამართლე კი მხოლოდ დაკისრებულ სასჯელს აცხადებს. ერთ-ერთი რესპონდენტი საუბრობს შემთხვევაზე, როცა მისი მეუღლე დაიჭირეს ნარკოტიკული საშუალებების ქონის გამო, თუმცა, როგორც აცხადებს, მოხდა ე.წ. „ჩადების“ ფაქტი (2012 წელი), რასაც მოჰყვა პროტესტი. გამოთქმული პროტესტის საფუძველზე კი სასჯელი უფრო დაუმძიმეს. ოჯახის წევრების აზრით, ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებისთვის განსაზღვრული სასჯელის ზომა არ უნდა იყოს იმაზე მეტი, ვიდრე სხვა ნარკოდანაშაულებისთვის არის. მეტიც, მათი აზრით, მოხმარება, საუკეთესო შემთხვევაში, საერთოდ არ უნდა ისჯებოდეს კანონით, არამედ უნდა ხდებოდეს წამალდამოკიდებული პირების რეაბილიტაცია შესაბამის დაწესებულებებში. რესპონდენტების ეს ნაწილი ამბობს, რომ მათი ოჯახის წევრებისთვის მეტად სტრესულია იმ პროცესების გახსენება, რაც მიმდინარეობდა დაკავებიდან განაჩენის გამოტანამდე. ნარკომომხმარებლის პენიტენციურ დაწესებულებაში განწესება აზარალებს არა მხოლოდ დამნაშავეს, არამედ მის ოჯახსაც.

„[ნარკოტიკების]მომხმარებელს ძალიან დიდი სასჯელი აქვს ამ ქვეყანაში. გამსაღებელი იყოს ის, ვისაც მუდმივად დააპატიმრონ, მაგრამ მომხმარებელზე ძაან დიდი სასჯელებია ჩვენთან“ (გურია, ნარკომომხმარებლის ნათესავი).

„ვფიქრობ, რომ სასამართლო არის ერთი დიდი სპექტაკლი, ყველაფერი ხდება ისე, როგორც ეს გადაწყდება პროკურორის კაბინეტში“ (გურია, ნარკომომხმარებლის მეუღლე).

2.4 მსჯავრდებულების უფლებები პენიტენციურ დაწესებულებებში

პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში მსჯავრდებულების უფლებებზე საუბრისას, ყოფილი მსჯავრდებულების შეფასებები გაიყო – ერთი ნაწილი ნეგატიურად აფასებდა იქ არსებულ სიტუაციას, ნაწილი კი, დადებითად. შეფასებების ორი პოლუსის გაჩენას გარკვეულწილად განაპირობებს ის ფაქტი, რომ რესპონდენტებს სხვადასხვა პენიტენციურ დაწესებულებაში და დროის სხვადასხვა პერიოდში აქვთ სასჯელი მოხდილი. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ რესპონდენტების შეფასებები სუბიექტურია და ამიტომ, ერთსა და იმავე სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფი რესპონდენტების გამოცდილება შესაძლოა რამდენადმე განსხვავებული იყოს კონკრეტულ სერვისებთან მიმართებით.

უარყოფითი გამოცდილების მქონე ნარკოდამნაშავეების მიერ გამოთქმული შეფასებებიდან განსაკუთრებით ყურადსაღებია სამედიცინო სერვისებთან დაკავშირებული ხარვეზები, რაც გამოიხატება მსჯავრდებულებისთვის სხვადასხვა სახის მედიკამენტის დროულად ვერ/არ მიწოდებითა და ექიმის/თან ვიზიტის დროში გაწელვით, რაც მსჯავრდებულების ჯანმრთელობის მდგომარეობას მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნიდა. ყოფილი მსჯავრდებულები ამბობენ, რომ მათთვის საჭირო მედიკამენტი ან საერთოდ არ მოჰქონდათ, ან, ხშირ შემთხვევაში, დაგვიანებით აწვდიდნენ. ასევე, იყო შემთხვევები, როდესაც მხოლოდ ერთი სახის წამლით მკურნალობდნენ სხვადასხვა ტკივილს, იქნებოდა ეს კარდიოლოგიური ჩივილები, თავის ტკივილი თუ სხვა. მსჯავრდებულების ნაწილი დასძენს, რომ ციხეში საცხოვრებელი პირობები არ გაუმჯობესებულა, მხოლოდ დამოკიდებულებები შეიცვალა მსჯავრდებულებისადმი.

„ყველაზე დიდი პრობლემა იყო მედიკამენტების პრობლემა, იქ იყო ჩაწერა, ექიმი როცა გჭირდება და ან მოგიწევს რიგი და ან – არა. სროკი ისე დავამთავრე, ექიმი არ შემოსულა“ (შიდა ქართლი, ყოფილი მსჯავრდებული).

„თან ერთი მედიკამენტი ფუნქციონირებს მხოლოდ. გინდა გული გტკიოდეს, გინდა კუჭი გტკიოდეს, სულ ერთ წამალს გაძლევენ მხოლოდ“ (შიდა ქართლი, ყოფილი მსჯავრდებული).

ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრების გარკვეული ნაწილი საპატიმროებში არსებულ პირობებთან დაკავშირებით ნეგატიურ კონტექსტში საუბრისას გა-

მოყოფს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა კვება და მსჯავრდებულებთან სტუმრობის სიხშირე. დამატებით, ფოკუს-ჯგუფის ერთ-ერთი რესპონდენტი ამბობს, რომ მსჯავრდებულებს არ აძლევენ უფლებას ციხეში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით პრეტენზიები გამოთქვან, თუნდაც უფლებადამცველებთან. როგორც რესპონდენტმა აღნიშნა, მსგავსი ფაქტის დაფიქსირების შემთხვევაში მსჯავრდებულებზე ფიზიკურად ძალადობენ ციხის ე.წ. კრიმინალური სუბკულტურის წარმომადგენლები. ოჯახის წევრები, ასევე, საუბრობენ მსჯავრდებულების ფინანსურ პრობლემებზე. როგორც აღნიშნეს, პენიტენციურ დაწესებულებებში არსებულ მაღაზიებში სიძვირეა და ამავდროულად, ფიქსირდება ვადაგასული პროდუქტის გაყიდვის ფაქტებიც.

> *უფლებადამცველები შესულან და ყუთი დაუდიათ, რომ დაწერეთ პრობლემები, რაც არისო, რომ მოგვარდესო და ვინც მიამიტი იყო და დაიჯერა, დაწერა და ჩააგდო. უნახავთ დაცვის თანამშრომლებს, ამან თავისი სახელი დააწერა და ამას ყველაზე მეტი მოხვდა“ (ქუთაისი, ნარკომომხმარებლის ოჯახის წევრი).*

უარყოფითთან ერთად, გამოვლინდა დადებითი შეფასებებიც. რესპონდენტების ნაწილი კმაყოფილებას გამოხატავს პენიტენციურ დაწესებულებაში არსებულ პირობებთან დაკავშირებით. ასევე, ამბობენ, რომ სამედიცინო სერვისი გამართულია და ამ კუთხით მათი ციხეში ყოფნის პერიოდში ხარვეზი არ გამოვლენილა. არ გამოთქვამენ პრეტენზიებს კვებასთან დაკავშირებით. მსგავსი დამოკიდებულებების მქონე ნარკოდამნაშავეები აღნიშნავდნენ, რომ მათ შეზღუდული თავისუფლების პირობებში ახალი ცხოვრების დაწყება გაუჭირდათ. მათთვის ყველაზე პრობლემური საკითხი ეს იყო.

> *„ამ ბოლო დროს ისეთი საჭმელები იყო საპატიმროში, დედა რომ ლობიანს გაგიკეთებს, ისეთი ზუსტად. სალათები და ხორცი და ყველაფერი. ბათუმის ციხეში იყო ასე, ზოგი გარეთ ვერ ჭამდა ეგეთ საჭმელს. ყველაფერი სუფთად, ნორმადაცულად, ხელზე ხელთათმანებით. დამატება თუ გინდოდა დაგიმატებდნენ და პური და ყველაფერი რჩებოდა კამერაში“ (გურია, ყოფილი მსჯავრდებული).*

აღსანიშნავია, რომ ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები სამედიცინო საკითხებთან დაკავშირებით ძირითადად დადებით გამოცდილებებზე საუბრობენ. ასევე, ოჯახის წევრი რესპონდენტების ნაწილი კვებასა და ჰიგიენასთან დაკავშირებულ საკითხებსაც დადებითად აფასებს. მათი აზრით, მოსაწონია ის ფაქტიც, რომ საპატიმროებში ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკა, რაც მსჯავრდებულს განათლების მიღებაში ეხმარება. გარდა ამისა, ისინი ხაზგასმით საუბრობენ მოძღვრის ვიზიტზე და იქვე არსებულ სამლოცველოზე.

„სამედიცინო სერვისების მხრივ, ჰეპატიტის პრობლემა იყო და უმკურნალეს. საკვებიც გამოსწორებულია, აქვთ ბიბლიოთეკა, მოიცალა და წაიკითხა, ბევრი რამე შეისწავლა, გადმოცემით ასე მეუბნება“ (გურია, ნარკომომხმარებლის ოჯახის წევრი).

ყოფილი მსჯავრდებულებისთვის და ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრებისთვის ძალზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა შეხვედრების (პაემანების) საკითხი. როგორც ამბობენ, ძალიან დიდია შუალედი ერთი ვიზიტიდან მომდევნო ვიზიტამდე. ოჯახის წევრების აზრით, კარგი იქნება, თუ ყოველკვირეულად ვიდეო-ზარების განხორციელების შესაძლებლობას მისცემენ.

„ოჯახთან შეხვედრის პროცესი არის ძალიან ცუდი, ექვს თვეში ერთხელ უნდა შეხვდე.“ (გურია, ყოფილი მსჯავრდებული).

„კარგი იქნება, თუ კვირაში ერთხელ ან ორ კვირაში ერთხელ ვიდეო ქოლით შეეძლოთ შვილებს, ვიდეო პაემანით ან მისვლითი პაემანით დაკავშირება“ (გურია, ნარკომომხმარებლის მეუღლე).

საყურადღებოა იმათი მდგომარეობაც, ვისაც ბრალი დაუმტკიცეს, თუმცა პენიტენციური დაწესებულების გარეთ იხდიდნენ სასჯელს. ერთ-ერთი რესპონდენტი, რომელიც პრობაციონერი იყო, აცხადებს, რომ ქუჩაში გადაადგილების დროს მას ძალიან დიდ დისკომფორტს უქმნიდნენ სამართალდამცავები, იყო ინტენსიური საპოლიციო კონტროლის ქვეშ. თუკი ვინმე სამართალდამცავი შეხვდებოდა, რომელიც მისი დანაშაულებრივი ქმედების საქმის კურსში იყო, მასზე ახდენდა ფსიქოლოგიურ ზეწოლას.

„ქუჩაში პოლიცია რომ შემხვდებოდა, აუცილებლად შემახსენებდა და ხმამაღლა გამომკითხავდა საქმესთან დაკავშრებით. სხვების თანდასწრებით. ვფიქრობ, შეგნებულად აკეთებდა“ (ბათუმი, ნარკოდანაშაული, ყოფილი მსჯავრდებული).

2.5. უფლებადამცველებთან ურთიერთობა

კვლევაში მონაწილე ყოფილ მსჯავრდებულთაგან ნაწილის უფლებებს სახაზინო ადვოკატი იცავდა, ნაწილისას კი – კერძო/დაქირავებული ადვოკატი. ზოგიერთებმა აღნიშნეს, რომ მიიღეს როგორც სახაზინო ადვოკატის, ასევე, კერძო ადვოკატის მომსახურება.

„მე სახაზინო მყავდა, არ იყო ახლა ისეთი დანაშაული. არ იყო აუცილებლობა, რომ კერძო ადვოკატი ამეყვანა“ (ქუთაისი, ყოფილი მსჯავრდებული).

„ადვოკატი ორივე მყავდა მე, კერძოც და სახაზინოც“ (შიდა ქართლი, ყოფილი მსჯავრდებული).

უფლებადამცველებთან ურთიერთობის თვალსაზრისით, რესპონდენტების გამოცდილება განსხვავებულია. ნაწილი უკმაყოფილოა როგორც სახაზინო, ასევე, კერძო ადვოკატის მომსახურებით, ნაწილი კი, პირიქით. უკმაყოფილო რესპონდენტები ყურადღებას ამახვილებენ სახაზინო ადვოკატის ზედაპირულობაზე, საქმისადმი გულგრილ დამოკიდებულებაზე. მათი აზრით, ადვოკატის დაქირავებას არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, თუ ის პროკურორთან დაახლოებული პირი არ არის, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში საქმის დამნაშავის სასარგებლოდ გადაწყვეტა გაჭირდება. ერთ-ერთი რამდენჯერმე ნასამართლევი რესპონდენტი, რომელსაც ორჯერ ჰყავდა ადვოკატი აყვანილი და ერთხელ არა, ამბობს, რომ ადვოკატების როლი მისი საქმის დადებითად გადაწყვეტაში ნულის ტოლი იყო, მას ორივეჯერ პატიმრობა შეუფარდეს, თუმცა მაშინ, როდესაც საკუთარ თავს თავად იცავდა (ადვოკატის გარეშე), მოსამართლემ გამამართლებელი დასკვნა გამოუტანა.

„თუ ადვოკატს ქირაობ უნდა კითხო, პროკურორთან თუ აქვს ახლობლობაში, მაშინ უნდა დაიქირავო. თუ პროკურორთან ვერ შედის, არ აქვს ურთიერთობა და არ ძმაკაცობს და ასე ვთქვათ გარიგებაში არ არის, როგორც ხდება, აზრი არ აქვს ადვოკატის აყვანას“ (შიდა ქართლი, ყოფილი მსჯავრდებული).

რესპონდენტების აზრით, სახაზინო ადვოკატი წესით, უფრო მეტად მოტივირებული უნდა იყოს, რომ არსებული საქმე წარმატებით დასრულდეს, ვინაიდან ეს მისი კარიერისთვისაც მნიშვნელოვანია. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, ასე არ ხდება და ამას ფოკუს-ჯგუფების მონაწილეები სხვადასხვაგვარად ხსნიან. ნაწილი მიიჩნევს, რომ ისინი არ არიან დამოუკიდებლები და მათ პროკურატურა აკონტროლებს, ნაწილი კი მიიჩნევს, რომ ისინი უპერსპექტივო კადრები და, შესაბამისად, მხოლოდ სამსახურისა და ანაზღაურების შენარჩუნებაზე ფიქრობენ.

რაც შეეხება ადვოკატების მომსახურებით კმაყოფილ რესპონდენტებს, მათ შორის უფრო მეტად არიან კერძო ადვოკატების ბენეფიციარები. მათი შეფასებით, დაქირავებული უფლებადამცველი ცდილობდა მინიმუმ უფრო მსუბუქი სასჯელი მიესაჯათ კლიენტისთვის, ვიდრე ამას კანონი ითვალისწინებდა. კერძო ადვოკატების შერჩევაში ძირითადად მსჯავრდებულების ოჯახის წევრები იღებდნენ მონაწილეობას.

„ჩემს შემთხვევაში კერძო ადვოკატი მყავდა. თავისი საქმე გააკეთა. ყველაფერს ცდილობდა ყველანაირად“ (ახალციხე, ყოფილი მსჯავრდებული).

„მე კმაყოფილი ვარ ჩემი ადვოკატის, მაქსიმუმი გააკეთა რაც შეეძლო, კერძო ადვოკატი მყავდა“ (გურია, ყოფილი მსჯავრდებული).

ფოკუს-ჯგუფებში მონაწილე ოჯახის წევრების შეფასებები უფლებადამცველებთან მიმართებით სხვადასხვაგვარია. ყოფილი მსჯავრდებულების მსგავსად, ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრების გარკვეული ნაწილი კმაყოფილია სახაზინო თუ კერძო ადვოკატის მომსახურებით, ნაწილი კი, მკვეთრ უკმაყოფილებას გამოხატავს. ოჯახის წევრთა ერთი ნაწილი, რომელსაც გააჩნიათ სახაზინო ადვოკატთან თანამშრომლობის გამოცდილება, ამბობს, რომ სახაზინო ადვოკატის როლი მხოლოდ ფორმალურად გაწერილი ფუნქციებით შემოიფარგლება. მათი შეფასებით, ის პროკურატურის და სასამართლოს წინააღმდეგ ვერ მიდის და წინასწარ განსაზღვრული წესების მიხედვით მოქმედებს. გარდა ამისა, ისინი ამბობენ, რომ სახაზინო ადვოკატთან მიმართებით საზოგადოებაში ნეგატიური შეფასებები ჭარბობს, რაც დამნაშავეების ოჯახის წევრებს კერძო ადვოკატის დაქირავებისკენ უბიძგებს. ამასთანავე, რესპონდენტებს ეჭვი შეაქვთ სახაზინო ადვოკატის საქმისადმი ერთგულ და გულისხმიერ დამოკიდებულებაში.

„მე პირადად არასდროს მისარგებლია სახაზინო ადვოკატით, რადგან საერთოდ საზოგადოებაში გავრცელებულია აზრი რომ ისე ერთგულად ვერ დაგიცავს სახაზინო ადვოკატი და ინფორმაციასაც ისე არ მოაგროვებს, როგორც კერძო“ (ბათუმი, ნარკომომხმარებლის მეუღლე).

ფოკუს-ჯგუფების მონაწილე ოჯახის წევრების ნაწილის შეფასებები უარყოფითია კერძო ადვოკატთან მიმართებითაც. როგორც ისინი ამბობენ, მათ მიერ დაქირავებული ადვოკატები მხოლოდ მსჯავრდებულის წარმომადგენლობას სწევდნენ სასამართლომდე და უშუალოდ პროცესის მიმდინარეობისას, რაც ტექნიკური თუ პროცედურული საკითხების მოგვარებით შემოიფარგლებოდა – იქნება ეს რაიმე სახის საბუთების მომზადება თუ სხვა. როგორც ისინი ამბობენ, მათ მიერ დაქირავებულმა რეკომენდირებულმა ადვოკატებმა კლიენტები სათანადოდ არ დაიცვეს. ამას რესპონდენტები საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულებით და ფინანსურ მოგებაზე ორიენტაციით ხსნიან.

„გვყავდა ბათუმში ყველაზე კარგი კერძო ადვოკატი, ჩვეულებრივი სახაზინო ადვოკატი რასაც გააკეთებდა, იმაზე მეტი არ გაუკეთებია. ადვოკატი არის შუამავალი ოჯახსა და სასამართლოს შორის და იცავს მაინც იმათ ინტერესებს“ (გურია, ნარკომომხმარებლის მეუღლე).

„ჩემ შემთხვევაშიც კერძო ადვოკატი იყო. მაინცდამიანც რომ გითხრათ, რომ კმაყოფილი ვართ, არა. რატომღაც ვერ იმუშავა ისე როგორც საჭირო“ (ბათუმი, ნარკომომხმარებლის ოჯახის წევრი).

ოჯახის წევრების მეორე ნაწილი დადებით გამოცდილებაზე საუბრობს. ისინი პოზიტიურად აფასებენ როგორც სახაზინო, ასევე კერძო ადვოკატის მომსახურებას და დასძენენ, რომ უფლებადამცველმა კლიენტის დასაცავად მისი შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოიყენა, რაც მიღწეულ შედეგშიც გამოვლინდა. როგორც რესპონდენტები ამბობენ, კერძო ადვოკატები უფრო მეტად მოტივირებულები არიან არსებული საქმის მოგებით, რადგან ეს მათ მომავალ საქმიანობას და პრესტიჟულობას განსაზღვრავს; შესაბამისად, დიდ გავლენას იქონიებს დაინტერესებული საზოგადოების შეხედულებაზე ადვოკატის კვალიფიკაციის შესახებ.

„კერძო ადვოკატი უფრო დაინტერესებულია მისი დაცვის ქვეშ მყოფის სიმართლის დამტკიცებით, ვიდრე სახაზინო. რაც მეტ საქმეს მოიგებს, მეტი ავტორიტეტია, მეტი საქმე მიეცემა მას“ (გურია, ნარკომომხმარებლის ოჯახის წევრი).

„ჩემსას მაგალითად, სახაზინო ყავდა და არაფრით განსხვავდებოდა კერძოდ აყვანილი ადვოკატისგან და ძალიან კმაყოფილები დავრჩით“ (სამეგრელო, ნარკომომხმარებლის ოჯახის წევრი).

აღსანიშნავია, რომ ფოკუს-ჯგუფებში მონაწილე ყოფილ მსჯავრდებულთაგან უმეტესობას არ მიუმართავს ისეთი არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, რომლებიც დანაშაულებრივი ქმედებისთვის დაჭერილი პირების უფლებებს იცავენ. ხოლო მათ შემთხვევაში, რომელთაც მსგავსი გამოცდილება აქვთ, ასეთ ორგანიზაციად ასახელებენ „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას“, „თეთრი ხმაურის“ მოძრაობას. ზოგიერთმა მონაწილემ მიუთითა სახალხო დამცველის ინტერვენციაზეც.

„სახალხო დამცველი თვითონ შემეხმიანა, როცა ახალი დაპატიმრებული იყო ჩემი მეუღლე, შემეხმიანა ასევე „თეთრი ხმაურის“ მოძრაობა, რეპორტაჟიც გააკეთეს ამ საქმეზე, მაგრამ არ გამოვიდა მაინც არაფერი“ (ქუთაისი, ნარკომომხმარებლის მეუღლე).

2.6. ნარკოდამნაშავეების პერსპექტივები პენიტენციური დაწესებულების დატოვების შემდეგ

ნარკოდანაშაულისთვის გასამართლებულ პირებს პენიტენციური დაწესებულების დატოვების შემდეგ, როგორც აღმოჩნდა, რიგ პრობლემებთან/ბარიერებთან მოუწიათ/უწევთ გამკლავება. იქნება ეს სამსახურის შოვნა, ახალ გარემოსთან ადაპტაცია თუ საზოგადოებაში ხელახალი ინტეგრაცია. ყოფილი მსჯავრდებულების გარკვეული ნაწილი აღნიშნავს, რომ საპატიმროს დატოვების შემდეგ მათი რესოცილიზაციის პროცესი არ იყო რთული. მათ ისევ ისე მოახერხეს გარემოსთან ადაპტირება, როგორც პატიმრობამდე იყვნენ, დასაქმდნენ კიდეც და ა.შ. რესპონდენტები აქვე აღნიშნავენ, რომ საჯარო სამსახურში მუშაობის დაწყება ნასამართლეობის გამო შეუძლებელია, თუმც,ა კერძო სექტორში დასაქმება შესაძლებელია. მათთვის მთავარი საყრდენი ოჯახი და მეგობრები აღმოჩნდნენ.

> *„ჩემს შემთხვევაში არანაირი პრობლემა არ შექმნილა არსად. [საჯარო] სტრუქტურაში არ ვარ დასაქმებული და არც სურვილი მქონია რომ სტრუქტურაში მემუშავა. ჩემს შემთხვევაში არაფერში ხელი არ შეუშლია ჩემს ნასამართლეობას. როგორც ნორმალურად ვცხოვრობდი, დღემდე ისე ნორმალურად ვცხოვრობ“ (ახალციხე, ყოფილი მსჯავრდებული).*

რაც შეეხება ისეთ მსჯავრდებულებს, რომელთაც უარყოფითი გამოცდილება აქვთ საპატიმროს დატოვების შემდეგ საზოგადოებაში რესოციალიზაციის თვალსაზრისით, აღნიშნავენ, რომ არაერთი პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ. მათ შორის არის ისეთი ბარიერები, როგორებიცაა საზოგადოებისგან გარიყვა, სტიგმატიზება, დასაქმების შესაძლებლობების სიმწირე, დაბალანაზღაურებადი სამსახურები, მეგობრებისა და ოჯახის წევრებთან გართულებული ურთიერთობა და ა.შ. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ მიუხედავად მათი მცდელობისა, ეშოვათ სამსახური, ყველა შესაძლო ვარიანტი უარით დასრულდა. ისინი ნასამართლეობის გამო ვერ იწყებდნენ მუშაობას. ნასამართლეობა მათ ცხოვრებაში სტიგმად ჩამოყალიბდა, რაც სოციალურ გარემოში ნდობის მოპოვებას უშლის ხელს. ყოფილი მსჯავრდებულები საუბრობენ ისეთ ფაქტზე, როგორიცაა მართვის მოწმობის ჩამორთმევა მათი წამალდამოკიდებულების გამო. რაც მათი ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობაზე უარყოფითად აისახება.

> *„მართვის მოწმობაც ჩამომართვეს. და დღესაც სამი წელია მართვის მოწმობა არა მაქვს. ნარკოლოგიურ დინამიკურ ცნობას მთხოვენ და ვერ ვიღებ ამ დინამიკურ ცნობას. პირველ რიგში იქიდან გამომდინარე, რომ მომხმარებელი ვარ და მეორე იქიდან გამომდინარე, რომ არც იმის საშუალება მაქვს, რომ 40 ლარი გადავიხადო, თბილსამდე ჩავიდე, ჩამოვიდე და ანალიზი ჩავაბარო.*

მოსამართლესაც ვუთხარი, მართვის მოწმობა მჭირდება-თქო, ოჯახი რომ ვარჩინო და რაღაცა რა, მაგრამ ყურადაც არ იღო“ (შიდა ქართლი, ყოფილი მსჯავრდებული).

ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრების შეფასებით, პენიტენციური დაწესებულების დატოვების შემდეგ ნარკოდანაშაულისთვის გასამართლებული პირები რიგი პრობლემების წინაშე შეიძლება აღმოჩდნენ. მთავარ პრობლემად პიროვნების ფსიქოლოგიურ მდგომარეობას ასახელებენ, ვინაიდან საპატიმროში გატარებული პერიოდი ფსიქიკაზე უარყოფით გავლენას ახდენს. ამას მით უფრო ის რესპონდენტები ეთანხმებიან, რომელთა ოჯახის წევრებს ცუდ პირობებში უწევთ სასჯელის მოხდა. გარდა ამისა, ოჯახის წევრები საუბრობენ ყოფილ მსჯავრდებულთა დასაქმების პრობლემაზე და პოლიციის მხრიდან მუდმივი კონტროლის განხორციელებაზე. სამსახურის ძიების პროცესში დამსაქმებელთან კავშირი ხშირ შემთხვევაში მას შემდეგ სრულდება, რაც აპლიკანტს ნასამართლეობას აღმოუჩენენ, შესაბამისად, ეს ერთ-ერთ მთავარ პრობლემად სახელდება. გარდა ამისა, ყურადღებას ამახვილებენ რესოციალიზაციის პროცესზე, რაც შედარებით რთულია საპატიმროდან ახალგამოსულებისთვის. მათ უჭირთ საზოგადოების წევრებთან კონტაქტი, გარემოსთან ადაპტაცია. რესპონდენტები ამბობენ, რომ თავად სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს ყოფილი მსჯავრდებულების, საპატიმროებიდან ახალგამოსული პირების გარკვეული პერიოდით დასაქმებისთვის, რათა მათ აღიდგინონ ნდობა სხვა დამსაქმებლების თვალში.

„მეც ვფიქრობ, რომ სოციალური ადაპტაცია უჭირს პატიმარს, ვერ ეგუება ოთხი კედელიდან გამოსული ადამიანი. რესოციალიზაცია უჭირს ძალიან, ვერ შედის კონტაქტში საზოგადოების ფართო მასებთან,. ვერ ნახულობს სამსახურს. უნდა მუშაობა, მაგრამ ნასამართლეობიდან გამომდინარე, ვერ ნახულობს. ეს არის არასწორი მიდგომა. სახელმწიფომ რაღაც ეტაპზე უნდა მიიღოს მონაწილეობა და ახალგამოსული პატიმარი უნდა დაასაქმოს“ (ბათუმი, ნარკომომხმარებლის ნათესავი).

ფოკუს-ჯგუფების მონაწილეები საუბრობენ, აგრეთვე, თავად მსჯავრდებულების თვითაღქმისა და თვითშეფასების პრობლემაზე. საპატიმრო გამოვლილი ადამიანი, ხშირ შემთხვევაში, დაბალი თვითშეფასებით და გაუცხოების გრძნობით გამოირჩევა. ამიტომ, მნიშვნელოვანია ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამების ინიცირება, რომლებიც დაეხმარება მსგავსი პრობლემების მქონე ადამიანს საკუთარი თავის და შესაძლებლობების მიმართ რწმენის დაბრუნებაში.

„თვითონ ძალიან უჭირს იმის გახსენება, რაც დაემართა. ძალიან რცხვენია, ვატყობ. თავს დამნაშავედ გრძნობს, თითქოს ნელ-ნელა გამოდის ამ მდგომარეობიდან, მაგრამ უჭირს მაინც“ (ბათუმი, ნარკომომხმარებლის ოჯახის წევრი).

2.7. ბარიერები, რომლებსაც ოჯახის წევრები აწყდებიან

ნარკოდანაშაულისთვის გასამართლებული რესპონდენტების მონათხრობის თანახმად, ის ძირითადი პრობლემები/ბარიერები/გამოწვევები, რომლებსაც ოჯახი აწყდება მათი წევრების მსჯავრდებულობის პერიოდში, უმეტეს შემთხვევაში, სტრესთან და ფინანსურ პრობლემებთან არის დაკავშირებული. ოჯახის წევრები რთულ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში იმყოფებიან, აწუხებთ სირცხვილის განცდა ოჯახის წევრის დაპატიმრების გამო. გარდა ამისა, როგორც რესპონდენტები ამბობენ, რთულია ოჯახის წევრთან განშორება, განსაკუთრებით, მშობლისთვის. თუმცა, დასძენენ, რომ ამას შეგუების ეტაპი მოსდევს.

> *„ოჯახის წევრი ყველა შემთხვევაში განიცდის, მაგრამ ეს ისეთი განცდაა, რომელსაც ეგუება ყველა, დედა მამაც, შვილიც“ (ქუთაისი, ყოფილი მსჯავრდებული).*

> *„ის პრობლემებია, რომ ფულს რომ გაკისრებენ, მაგ ფულს ოჯახი უხდის, ადვოკატის ფულს ოჯახი იხდის, ციხეში პატიმრის შენახვაც ოჯახის კისერზეა. პატიმარი ციხეში ხარ და ვერაფერს ეხმარები“ (კახეთი, ყოფილი მსჯავრდებული).*

ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები უფრო დაწვრილებით საუბრობენ იმ ძირითად პრობლემებსა და გამოწვევებზე, რომლებიც მათ ხვდებათ ოჯახის წევრის დაპატიმრების შემდეგ. უმთავრეს პრობლემად ასახელებენ ოჯახის წევრების სტრესულ მდგომარეობაში ყოფნას, რასაც სირცხვილის განცდა იწვევს. თუმცა, არანაკლებ პრობლემურ საკითხად ასახელებენ ოჯახის წევრთან განშორებას. ერთ-ერთი ნარკომომხმარებლის მეუღლე შიშობს, რომ მეუღლის ნასამართლეობის ისტორია პრობლემებს შეუქმნის მის შვილს კარიერის გაკეთებაში, რადგან ეს უკანასკნელი პროფესიით იურისტია. გარდა ხსენებულისა, ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები საუბრობენ ფინანსურ პრობლემებზე, რაც ოჯახის წევრის დაპატიმრებით შეექმნათ. მათ მსჯავრდებულებისთვის უწევთ გარკვეული ოდენობის თანხის ჩარიცხვა, რათა შეძლონ ელემენტარული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

> *„ფულის დარიცხვის პრობლემა, ოჯახს ძალიან გვიჭირს, დიდი ხარჯი ვნახეთ, თუნდაც რომ 3 წლამდე დაგვეყვანა მისი სასჯელი და პირობითი, თვითონ ვერ გვთხოვს, მორიდება აქვს, მაგრამ როდესაც მაქვს, ან მეგობრებს როდესაც აქვთ შესაძლებლობა, ურიცხავენ“ (ქუთაისი, ნარკომომხმარებლის მეუღლე).*

> *„მიდგომას შორისაც განსხვავებაა, მარტო პატიმრების კი არა, მათი ოჯახის წევრების მიმართაც“ (გურია, ნარკომომხმარებლის მეუღლე).*

3. ნარკოპოლიტიკა

3.1. ნარკოდანაშაულის შემცირების სტრატეგიები

ნარკოპოლიტიკაზე საუბრისას, რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ნარკოდამნაშავეების დაპატიმრება მეტ-ნაკლებად ხელს შეუწყობს ნარკოდანაშაულის შემცირებას, თუმცა, არა ყველა მიმართულებით. კერძოდ, ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების შემთხვევაში პირის დაპატიმრება არ არის პრობლემის აღმოფხვრის საშუალება. როგორც რესპონდენტები აღნიშნავენ, ამისთვის ალტერნატიული მიდგომები უნდა იქნას გამოყენებული. მაგალითად, საჭიროა ასეთ ადამიანებს გაეწიოთ კომპლექსური სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარება, რათა შეძლონ წამალდამოკიდებულებისგან თავის დაღწევა. რაც შეეხება წარმოებას და გასაღებას, ყოფილი მსჯავრდებულები აღნიშნავენ, რომ ვიდრე კანონის დონეზე არ დარეგულირდება ნარკოტიკული საშუალებების ლეგალურად გაყიდვის გზები, მანამ გაგრძელდება კანონსაწინააღმდეგო გზებით მათი წარმოება და მომხმარებლისთვის მიწოდება. შესაბამისად, ამ შემთხვევაშიც ნაკლებად სავარაუდოა, რომ ნარკოდამნაშავის დაპატიმრება იყოს ნარკოტიკული საშუალებების წარმოებისა და გასაღების შემცირების ან პრევენციის ეფექტური მეთოდი. მით უფრო, რომ ამ საქმიანობის წამოწყებას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ნარკოდამნაშავის ოჯახის არასახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობა. რესპონდენტების აზრით, რაც უფრო გაიზრდება დასაქმების შესაძლებლობები და რაც უფრო ნაკლებ ადამიანს ექნება თავისუფალი დრო, მით უფრო შემცირდება ნარკოდანაშაულის ჩადენის მაჩვენებელი.

> *„მე ვფიქრობ და ჩემი აზრი ეგეთია, რომ ნარკომოხმარებისთვის ადამიანი არ უნდა ისჯებოდეს. პირიქით, უნდა ეხმარებოდეს სახელმწიფო იმაში, რომ განკურნოს“ (ახალციხე, ყოფილი მსჯავრდებული).*

> *„დანაშაული მოდის სულ გაჭირვების სფეროდან. მეტი თავისუფალი დროც ხელს უწყობს, არავის არ ცალია ბირჟაზე დასაჯდომად, თუ ის არის დაკავებული, აქვს რაღაც შემოსავალი. და როდესაც მეტი დრო აქვს ცუდის მოსაფიქრებლად და გასაკეთებლად, თუნდაც ნარკოტიკის შემთხვევაში, მეტი ადამიანი ეჩვევა ნარკოტიკს“ (ქუთაისი, ყოფილი მსჯავრდებული).*

ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრებიც ფიქრობენ, რომ ნარკოდამნაშავეების დაპატიმრება გარკვეულწილად შეამცირებს ნარკოდანაშაულს, თუმცა, ეს არ ეხება ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებას. რესპონდენტების აზრით, სასჯელის მკაცრი ზომები უნდა ვრცელდებოდეს ნარკორეალიზატორებსა და მწარმოებლებზე. ნარკომომხმარებლებს კი მკურნალობისა და რეაბილიტაციის კურსებში უნდა რთავდნენ. რესპონდენტები ფიქრობენ, რომ ქვეყანაში ნარკომომხმა-

რებლების დაჭერის და გასამართლების მთავარი მოტივი სწორედ სახელმწიფოს ფინანსური ინტერესებია. წამალდამოკიდებულ პირებზე დაკისრებული ჯარიმების საფუძველზე სახელმწიფო ბიუჯეტის შევსება ხორციელდება. ამის საპირისპიროდ, სარეაბილიტაციო კურსები რომ შესთავაზონ მომხმარებლებს, ამისთვის თავად სახელმწიფომ უნდა გასწიოს ხარჯი.

> *„არიან ადამიანები, რომლებიც რეალიზატორები არიან და არიან მომხმარებლები. რეალიზატორებთან დაკავშრებით, ჩემი აზრით, უფრო სიმკაცრე ნამდვილად საჭიროა. მომხმარებლებს, წელანაც ვთქვი, რომ იქნებ რამე სარეაბილიტაციო რამე კურსი შესთავაზონ თუ აიძულონ, რომ გაიარონ“ (ბათუმი, ნარკორეალიზატორის ოჯახის წევრი).*

რესპონდენტები, უმეტეს შემთხვევაში, ვერ ასახელებენ ისეთ სახელმწიფო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების პროგრამებსა და სერვისებს, რომლებიც საპატიმროდან გამოსვლის შემდეგ პირს ეხმარება საკუთარი თავის დამკვიდრებაში/რეალიზაციაში. ფოკუს-ჯგუფებში მონაწილე ნარკოდამნაშავეებს შორის მხოლოდ ერთი აღმოჩნდა მსგავსი პროგრამის ბენეფიციარი. პროგრამის ფარგლებში ამ უკანასკნელს სხვადასხვა სახის სამუშაო იარაღი გადაეცა. გარდა ამისა, ესწრება სხვადასხვა ლექციას, რომლებიც მიმართულია ჯანსაღი ცხოვრების წესზე ნარკომომხმარებლების ცნობიერების ამაღლებისკენ. ასევე, ყოფილ მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის და სოციალიზაციის პროგრამების ფარგლებში, არასამთავრობო ორგანიზაციები ყოფილ მსჯავრდებულებს ეხმარებიან მცირე ბიზნესის წამოწყებაში. ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ მას შესთავაზეს დასაქმება, თუმცა, თავად განაცხადა უარი, რადგან არ მოსწონდა ის სექტორი, რომელშიც უნდა ემუშავა, კერძოდ გამწვანება.

> *„ლექციებს გვიკითხავენ ცხოვრების წესზე, სწორად იცხოვრეთ, რა გჭირდებათ, რა ბიზნესს გააკეთებთ, რომ დაგეხმაროთ – დავუშვათ, სათხილე გინდა, მოგეხმარებიან ყველაფერში. ხარისხიანი მომცეს ყველაფერი, 3 წელია ვხმარობ და არ გაფუჭებულა“ (გურია, ყოფილი მსჯავრდებული).*

3.2. ნარკოლოგიური შემოწმება

სტიქიურ **(ad hoc)** ნარკოლოგიურ შემოწმებასთან დაკავშირებით ნარკოდამნაშავეების მოსაზრებები ერთმანეთს ემთხვევა. ყოფილი მსჯავრდებულების აზრით, მსგავსი ქმედება პოლიციური კონტროლის სახეს ატარებს და არღვევს ადამიანის უფლებებს. ადამიანის ფიზიკური მახასიათებლების მიხედვით, იქნება ეს გამოხედვა, ჩაცმულობა და ა.შ., მისი ქუჩიდან ნარკოლოგიურში წაყვანა დაუშვებელია, ტესტის პასუხი

კი ხშირ შემთხვევაში არ ემთხვევა რეალობას და მის მიმართ სანდოობა არის დაბალი. საკუთარ გამოცდილებაზე საუბრისას, რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ჰქონიათ შემთხვევები, როდესაც ტესტმა ისეთი ნივთიერებების მიღება დაადასტურა, რომლებიც საერთოდ არ ჰქონდათ გამოყენებული. ამავე პოზიციას იზიარებს ოჯახის წევრთა გარკვეული ნაწილი. ისინიც ამბობენ, რომ სტიქიური ნარკოლოგიური შემოწმებები პოლიციური კონტროლის სახეს ატარებს. ოჯახის წევრებიც საუბრობენ ტესტის პასუხის არასანდოობაზე და ამბობენ, რომ შესაძლოა ადამიანს, რომელიც არ არის წამალდამოკიდებული, დააბრალონ, რომ მას ნარკოტიკული საშუალება აქვს მოხმარებული. ამავდროულად, ამბობენ, რომ შერჩევითი სამართლის პირობებში ხდება პირების გასამართლება ნარკომოხმარებისთვის – ასამართლებენ მათ, ვისაც „ლობი“ არ ჰყავს და არ ეხებიან, მათ, ვისაც სანდო კავშირები აქვს გავლენიან ადამიანებთან.

> *„მე რომ დამაკავეს, ჩამიტარეს შემოწმება ორთაჭალაში, ამომიგდო სხვა რაღაცებიც, მე ხომ ვიცოდი, რომ ეს არ მქონდა მოხმარებული, მაშინ გაასაჩივრეო. მოხმარებული მქონდა ჰეროინი. მიიღეს საჩივარი და სწორი პასუხი მოვიდა შემდეგ“ (ქვემო ქართლი, ყოფილი მსჯავრდებული (2018 წელი)).*

> *„თუ ეს ყველაფერი მოხდება კეთილსინდისიერად და თუ ეს ჩემი და მინისტრის შვილისთვის იქნება იგივე, პოლიციელის, პროკურორის შვილისთვის, ერთნაირად დაისჯებიან ერთი დანაშაულისთვის, მივესალმები ამას. დღეს ამის განცდა არ მაქვს, ვიღაცის შვილი რომ ნაკლებად ისჯება და არავის შვილი ყოველთვის ისჯება“ (გურია, ნარკომომხმარებლის ოჯახის წევრი).*

რესპონდენტები ყურადღებას ამახვილებენ უშუალოდ იმ სამართალდამცავების დამოკიდებულებებზე, რომლებიც ჩართულნი არიან ნარკოლოგიური შემოწმების პროცესში. მათი შეფასებით, პოლიციელთა ეს ნაწილი გულგრილობით და ძალადობრივი ქმედებებით გამოირჩევა. ფოკუს-ჯგუფების მონაწილე ნარკოდამნაშავეების აზრით, მაშინ როდესაც ნარკოდამოკიდებული პირები სამედიცინო დახმარების გაწევას საჭიროებენ, პოლიცია საერთოდ არ უნდა ეხებოდეს მათ და მით უმეტეს, ნარკოლოგიურ შემოწმებას არ უნდა უტარებდეს, ჯარიმის ან სხვა უფრო მძიმე სასჯელის დაკისრების მიზნით.

> *„პოლიციელების მაიძულებელი ქმედებებით ილახება ადამიანის უფლებები. ნარკოშემოწმება პოლიციური კონტროლის ერთ-ერთი ბერკეტია“ (კახეთი, ყოფილი მსჯავრდებული).*

ნარკოლოგიური შემოწმების საკითხთან დაკავშირებით, ოჯახის წევრებს შორის გამოთქმულ ნეგატიურ შეფასებებთან ერთად გამოვლინდა ამ ქმედების მომხრე

რესპონდენტების პოზიციებიც. მათი აზრით, სტიქიური ნარკოტესტირება სწორი გადაწყვეტილებაა, რადგან ამ მეთოდის გამოყენებით შესაძლებელია ახალგაზრდა ნარკომომხმარებლების ადრეული გამოვლენა, რაც პრობლემის დროულ მოგვარებას შეუწყობს ხელს.

> *„ძალისმიერმა ორგანომ, პოლიციას ვგულისხმობ, გადამოწმების კუთხით აუცილებლად უნდა გადაამოწმოს და უნდა ჰქონდეს უფლება, მაგრამ არ უდნა გადაამეტოს ძალას“ (სამეგრელო, ნარკომომხმარებლის ნათესავი).*

3.3. სახელმწიფოს მოქმედების სტრატეგიები

რესპონდენტების აზრით, სახელმწიფოს ნარკომომხმარებლების მიმართ უფრო მეტად ლიბერალური ნარკოპოლიტიკა უნდა გააჩნდეს. ყოფილი მსჯავრდებულების აზრით, სახელმწიფომ უნდა დაუშვას მსუბუქი ნარკოტიკების, მაგალითად მარიხუანის, მოხმარება. მათი შეფასებით, ნებისმიერი ტიპის ნარკოტიკული საშუალების მომხმარებელი არ უნდა ისჯებოდეს იმის გამო, რომ ნარკოდამოკიდებულია.

> *„რა თქმა უნდა, თუ არ ვლაპარაკობთ ლეგალიზაციაზე და თუ ეს იურისტების და ექსპერტების საქმეა, ყველა შემთხვევაში უნდა ვილაპარაკოთ დეკრიმინალიზაციაზე, ეს უნდა გამოვიდეს იმ სფეროდან, რომ ადამიანს დაეტაკო ქუჩაში, წაიყვანო, შეუქმნა პრობლემები...“(კახეთი, ყოფილი მსჯავრდებული).*

რესპონდენტების აზრით, ნარკოდამნაშავეებს შორის ისინი უნდა ისჯებოდნენ, რომლებიც ნარკოტიკული საშუალებების რეალიზაციას ახდენენ, მომხმარებლებს კი მკურნალობას უნდა სთავაზობდნენ. დღესდღეობით, საქართველოში ნარკომომხმარებლები ძალიან უხარისხო და ჯანმრთელობისთვის მეტად საზიანო ნივთიერებებით კუსტარულად დამზადებულ ნარკოტიკებს მოიხმარენ, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის მათ ჯანმრთელობას. ეს კი იმით არის გამოწვეული, რომ ხარისხიანი ნარკოტიკი ბევრად ძვირი ღირს და მასზე ხელმისაწვდომობა ბევრად დაბალია. გარდა ხსენებულისა, აღნიშნავენ, რომ არსებობს ფსიქოტროპული მედიკამენტების აფთიაქები, რომლებშიც ნარკოდამოკიდებული ადამიანები თავისუფლად ახერხებენ მათთვის სასურველი მედიკამენტის შეძენას. არ არსებობს მკაცრი კონტროლის მექანიზმი, რომელიც დაარეგულირებს მსგავსი ტიპის მედიკამენტების ფარმაცევტულ ბაზარზე გაყიდვას.

ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრების შეფასებით, ნარკომოხმარებისთვის პატიმრობა არ უნდა იყოს გათვალისწინებული. რაც შეეხება ნარკოდანაშაულის სხვა ტიპებს, ყველა სხვა დანარჩენი დანაშაულად კვალიფიცირდება და მკაცრი სასჯელით უნდა ისჯებოდეს.

„სამუდამო რომ მიესაჯოთ გამსაღებლებს, არ შემეცოდება. ისეთი მომხმარებელი, როგორიც ჩემი მეუღლეა, და კიდევ ბევრი, ასეთებისთვის უფრო რეაბილიტაციაა საჭირო“ (ქუთაისი, ნარკომომხმარებლის მეუღლე).

ქვეყანაში ნარკოდანაშაულის შემცირებისა და პრევენციისთვის საჭირო წინაპირობად ფოკუს-ჯგუფების მონაწილეები მიიჩნევენ საზოგადოების წევრების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, მათ დასაქმებას, ცნობიერების ამაღლებაზე, განათლების დონის გაუმჯობესებაზე ზრუნვას. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს საპატიმროებიდან გამოსვლის შემდეგ ნარკოდანაშაულისთვის გასამართლებული პირების საზოგადოებაში ინტეგრაციას და ახალ გარემოსთან ადაპტაციის პროცესს, რაც მათ გაძლიერებასა და რეალიზაციის გაზრდილ შესაძლებლობებს გულისხმობს. რესპონდენტების შეფასებით, ნარკოდანაშაულის შესამცირებლად სახელმწიფოს მიერ განხორციელებული მოქმედებები არ არის იმდენად ადეკვატური და ეფექტური, რომ დანაშაულის შემცირებას ან ნარკომომხმარებლების ეფექტიან რეაბილიტაციას შეუწყოს ხელი.

„კარგი ნარკოტიკული საშუალება ძვირია და ხელმისაწვდომი არ არის დამოკიდებული ადამიანებისთვის დაბალ ფენაში და სწორედ ისინი გადადიან კუსტარულ ნარკოტიკულ საშუალებაზე და უფრო მეტად მოიხმარენ“ (ბათუმი,ყოფილი მსჯავრდებული).

„რეალიზაციას ვინც უკეთებს, ის არის დასასჯელი, მომხმარებელი არ უნდა დაიჭირო. ადრეც იჭერდნენ ამ რეალიზატორებს და ახლაც იჭერენ. მომხმარებელს მისი გაჭირვება ყოფნის“ (გურია,ყოფილი მსჯავრდებული).

გარდა დასახელებული პრობლემებისა, ერთ-ერთი რესპონდენტი, რომელიც არის რუსთავის მაცხოვრებელი, საუბრობს პრობლემაზე, რომელიც ეხება ჩანაცვლებითი თერაპიისთვის განკუთვნილი დაწესებულების არარსებობას ქალაქში, რის გამოც პროგრამის ბენეფიციარებს თბილისში უწევთ ჩამოსვლა. ეს კი სხვადასხვა სირთულესთან არის დაკავშირებული, იქნება ეს ფინანსური თუ სხვა. როგორც რესპონდენტი აღნიშნავს, დღიური დოზის მიღება მათთვის მნიშვნელოვანია, რათა არ დაკარგონ საქმის კეთების მოტივაცია და შეეძლოთ სოციალურ აქტივობებში ჩაბმა.

ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები ამბობენ, რომ აუცილებელია ისეთი სამედიცინო დაწესებულებების არსებობა, სადაც ნარკომომხმარებლები შეძლებენ მკურნალობას, ხოლო მკურნალობის მეთოდები იქნება უფრო დახვეწილი და შედეგზე ორიენტირებული, ვიდრე დღეს არის. არსებული სარეაბილიტაციო ცენტრები ვერ უზრუნველყოფს ბენეფიციარისთვის სერვისის ისე მიწოდებას, რომ უკეთესი შედეგი დადგეს ნარკომომხმარებლის ცხოვრებაში. რესპონდენტების აზრით,

თავად სახელმწიფო არ არის მონდომებული, რომ პრობლემის გადაჭრაზე იზრუნოს. ამის მიზეზად კი თავად სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებული ადამიანების ნარკოდანაშაულში ჩართულობას ასახელებენ. კერძოდ, ერთ-ერთი რესპონდენტის ვარაუდით, სახელმწიფო სტრუქტურებში მაღალ თანამდებობებზე მომუშავე პირები, რომელთაც ევალებათ მსგავსი ნარკოდანაშაულის კონტროლი და მასთან დაკავშირებული კანონდარღვევის აღკვეთა, თავად არინ ნარკობიზნესში ჩართულნი, რითაც ფინანსურ სარგებელს იღებენ.

„როგორც ვიცი, ქუთაისში არის რეაბილიტაციის ცენტრი, სადაც ჩემი მეუღლის ძმაკაცი იწვა 10 დღით, გამოსასწორებელი ვარიანტით და თითქოს 10 დღე იმკურნალებდა და მერე უკეთ იქნებოდა, მაგრამ არანაირი შედეგი ამას არ ქონდა. ალბათ არ არის ისეთი გამართული და ფორმალურადაა“ (ქუთაისი, ნარკომომხმარებლის მეუღლე).

„იყო ასეთი რამეც, რომ შენ აქ რომ გეყიდაო, არავინ არ დაგიჭერდა, მაგრამ საზღვარზე რომ გადახვედი და სხვაგან იყიდეო, ამიტომ გიჭერთო, ასეთი მომენტი იყო. თვითონ სტრუქტურა, ესენი უწყობენ ხელს და ესენი არიან ბარიგები და რეალიზატორები, ისეთი ხალხი ვისაც ხელეწიფება მერე ამაზე კონტროლი“ (ქუთაისი, ნარკომომხმარებლის მეუღლე).

დანართი N1 — საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (ქურდობა/ძარცვა)

იმ რესპონდენტების 73.6%-მა, რომელთა ოჯახის წევრიც ამჟამად მსჯავრდებულია, აღნიშნა, რომ მათი ოჯახის წევრი სასჯელაღსრულებით დაწესებულებაშია, მათგან 16.5% სასჯელს გეგუთის №14 დაწესებულებაში იხდის, 10.7% – ქუთაისის №2 დაწესებულებაში, 9.7% – ბათუმის №3 დაწესებულებაში, ხოლო 7.8% – ქსნის №19 დაწესებულებაში. ოჯახის წევრების 23.3%-მა თავი შეიკავა სასჯელაღსრულებითი დაწესებულების დასახელებისგან (დიაგრამა №ბ).

დიაგრამა #ბ. ასჯელაღსრულებითი დაწესებულება (%) (N=129)



ბიბლიოგრაფია

Ayar, A., Lotfi, Y., & Nooraee, E. (2011). *The effects of social factors on committing crimes: a case study of darehshahr prison, Iran.* Iran.

Justice, U. D. (2000). მოპოვებული Office of Justice Programs: https://www.ojp.gov/ncjrs/virtual-library/abstracts/social-process-theories-criminology-seventh-edition-p-220-253-2000-დან

Ministry of Justice, N. Z. (2009). *Social risk factors for involvement in crime.* New Zealand.

SCCJR. (2016). *Theories and causes of crime.* Glasgow.

(2018). *ზრუნვის სისტემის შეფასების ანგარიში.* თბილისი: საქართველოს ზრუნვის პლატფორმა; კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი.

საქართველოს რეპრესიული ნარკოპოლიტიკის მძიმე ადამიანური შედეგები. (2018 წლის 13 აგვისტო). მოპოვებული Human Rights Watch: https://www.hrw.org/ka/report/2018/08/13/321308-დან

საქსტატი. (2020). *სისხლის სამართლის სტატისტიკა – მსჯავრდებულთა რაოდენობა დანაშაულებათა სახეების მიხედვით.* მოპოვებული https://www.geostat.ge/ka/modules/categories/132/siskhlis-samartlis-statistika-დან